ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით ფასი: 1 ლარი
№37
11-17.IX
2013

სარკე

ნინო ნადირაძე: „ამ ცეკვების გამო ვიჩხუბეთ კიდეც“

გვ.14

გუგა კუზანოვი: „ჩემს კაბინეტში იმდენი ქალი იხდის, მაგრამ ამის გამო პირად ცხოვრებაში პრობლემა არასოდეს მქონია“

უქმნის თუ არა საფრთხეს კუზანოვების ოჯახს ვარსკვლავებთან ცეკვა

დათო და ანნა იმედაშვილებმა ახალდაბადებულ შვილს ორსართულიანი სახლი დაახვედრეს

გვ.6

ანნა: „ჩემი ქმარი ყოველთვის ინტერესებს მხოლოდ „სარკის“ საშუალებით მეუბნება“

გვ.8

რატომ გაუშვეს სოფო ნიქარაძე და ვანო ჯავახიშვილი „ნიჭიერიდან“

გვ.7

მაკა ძაგანია: „ყველა მამაკაცს ჩემი შეცვლა სურს“

გვ.9

ნიკა გვარამია: „მინისტრობისას ძალიან მიჭირდა“

გვ.71

ბასილ მკალავიშვილის ვაჟმა თავი ეკლესიას მიუძღვნა

ნინი ცნობილაძე: „ვბიჭდები ძველმოდურ ბიჭებზე“

გვ.34

სარკე
+
„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“
მე-10 ტომი
ფასი ჟურნალთან ერთად
10 ლარი

ISSN 1987-9369

მშობლების შეცდომა – „ცოლად კინაღამ ბიოლოგიურ ძმას გავყევი“

გვ.46

ანრი ჯოხაძე: „ერთადერთი მომღერალი ვარ, ვინც ჩვენს გაცრეცილ შოუბიზნესს ქანგბადს აწვდის“

გვ.31

სოფო გელოვანი: „არ ვიცი, მეორე შვილზე მამამთილი მამშობიარებს თუ არა“

გვ.38

ასმათ ტყაბლაძე პირადმა ტრაგედიამ ფრთხილ მძღოლად აქცია

გვ.25

სალომე ბაკურაძე იოგას ვარჯიშებს იწყებს

გვ.35

რისი ეშინია ქართველ ფალავანს

გვ.50

გიგა ტაბიძეს სიამაყემ საყვარელი ქალი დააკარგვინა

Nuby™
NATURAL TOUCH™

ტომფორტული ჭიქები
ყველა ასაკის ბავშვისთვის
ნუბისგან nuby-georgia

1. არ შეიცავს ტოქსიურ ნივთიერებას „ბისფენოლ A"-ს
2. აქვს ჰიგიენური სარქველი
3. იხურება ჰერმეტულად
4. მსუბუქია
5. თერმოგამძლეა
6. აქვს მოსახერხებელი ფორმა და მოცულობა.
7. მკვეთრი და მხიარული ფერებით

0% BISPHENOL A

საქართველოში Nuby-ის ოფიციალური წარმომადგენელი კომპანია PSP №1

შეიძინეთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია PSP აფთიაქებში. ნუ შეუქმნით ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხეს.

ნომერში

ოჯახური სიხარული

- დათო და ანნა იმედაშვილებმა ახალდაბადებულ შვილს ორსართულიანი სახლი დაახვედრეს 6
- კახი კალაძე და მისი ცოლი მესამე ბავშვს ელოდებიან 6

სახე სერიალიდან

მაკა ძაგანია: „ყველა მამაკაცს ჩემი შეცვლა სურს“ 7

TV ამბები

რატომ გაუშვეს სოფო ნიკარაძე და ვანო ჯავახიშვილი „ნიჭიერიდან“ 8

პერსონა

ნიკა გვარამია: „მინისტრობისას ძალიან მიჭირდა“ 9

გულახდილი საუბრები 12

ახალი ამპლუა

რატომ იყო გუგა კუზნაოვის ცოლი ქმრის აცეკვების წინააღმდეგი 14

პოლიტიკა

- პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასადგურებით კანონი დაირღვა 16
- აკაკი ბობოხიძე: „მომკალი და, მჯერა, რომ ქართველმა ხალხმა 1 ოქტომბერს გონივრული არჩევანი გააკეთა“ 17
- მანანა კობახიძე: „ალბათ დავფიქრდები, დავრჩე თუ არა პოლიტიკაში“ 19

შოუს მიღმა

ძმები გულაშვილები თავიანთი ფილმისთვის მთავარ გმირს ეძებენ 24

სარკის წინ

სალომე ბაკურაძე იოგას ყარჯიშებს იწყებს 25

სახელები

ელგუჯა ამაშუკელი და ლია სტურუა — ზეცაში გადაწყვეტილი ქორწინება 26

ოზარდები 28

ეტაპი

- ანრი ჯოხაძე: „ერთადერთი მომდერალი ვარ, ვინც ჩვენს გაცრეცილ შოუბიზნესს ჟანგბადს აწვდის“ 30
- სოფო გელოვანი: „არ ვიცი, მეორე შვილზე მამამთილი მამშობიარებს თუ არა“ 31

ტელესახე

ნიკა ლომაძე: „უნდა ვალიარო, რომ „მაესტროზე“ კარგი გადაცემა ვერ გავაკეთეთ და ამიტომაც დაიხურა“ 33

სამოსი

ნინი ცნობილაძეს ტანსაცმელს მამა ურჩევს 34

ასპარეზი

რისი ეშინია ქართველ ფალავანს 35

მეორედ დაბადება

ახალგაზრდა ბაიკერი მეგობრის შეცდომას კისადამ ემსხვერპლა 37

ავტომოყვარული

ასმათ ტყაბლაძე პირადმა ტრაგედიამ ფრთხილ მძღოლად აქცია 38

ცხოვრება ჩემოდნებზე

ხათუნა ხოფერია: „დელის აეროპორტში ღამის 4 საათზე სერიოზული შიში ვჭამე“ 43

მეგზური

ქურდბაცაცა მაიმუნები და ჭრელაჭრელა პეპლები — კუალა ლუმპურის საგზიტო ბარათი 45

ასეც ხდება

შშობლების შეცდომის გამო დასჯილი შვილები 46

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

ჩემი მშვენიერი ლედი

გიგა ტაბიძეს სიამაყემ საყვარელი ქალი დააკარგვინა 50

სპორტის მიღმა 51

ადამიანის ინსტიტუტი 52

იაშვილის კლინიკაში თურქი ინვესტორი გახსნილი შარვლით დარბოდა?

„ახალგაზრდა ექიმს უთხია, ჰამდენი გაქვს ხელფასი, ოთახში შემოდი და მე ოჰმაგს გადაგიხდიო“

„ყოველ ღამე მთვარალი მოდის, ყვირის, იგინება, შარვალზე შესაკრავი აქვს გახსნილი და ახალგაზრდა ექთნებს ოთახში ეპატიჟება — მე უფრო მეტს გადაგიხდით, ვიდრე ხელფასი გაქვთო. ექიმებს უკრძალავს ჯვრების ტარებას, მოითხოვა, ხატები ჩამოგვეხსნა“, — ასე ახასიათებენ იაშვილის სახელობის კლინიკის ექიმები საავადმყოფოს ახალ მეპატრონეს, წარმოშობით თურქ თექინ ატიქს. მეპატრონესა და კლინიკის მედპერსონალს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით 31 აგვისტოს შემდეგ გამწვავდა, როდესაც ატიქი, როგორც ექიმები ამბობენ, საავადმყოფოში მთვარალი მივიდა და დებოში ატეხა. კლინიკის თანამშრომლებმა აქცია გამართეს...

■ იაშვილის კლინიკა

სკანდალმა თურქეთის საელჩოსა და ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ყურამდე მიაღწია და ისინი საქმეში ჩაერთვნენ. დეტალები იხ. 21-ე გვერდზე.

გზა ტაძრისაკენ

ბასილ მკალავიშვილის ვაჟმა თავი ეკლესიას მიუძღვნა 71

სახალისო 56

იყავით ჯანმრთელი 58

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ბედნიერების ძიებაში“ (გაგრძელება, დასაწყისი №30-36) 66
- ლელა ცუცქირიძე — „მეთოჯინე“ 68

წმინდანები

ღვთისადმი რწმენა არის იარაღი, რომელიც აგვარიდებს თვით უცნაურ განსაცდელებსაც კი — ცხოვრება ღირსისა მამისა მიქაელ აღმსარებელისა, სინაიდელი ეპისკოპოსისა 72

კითხვები მოძღვარს

„ჯვრისწერის ბეჭდების გაყიდვა ან გადადნობა, თუნდაც გაჭირვების გამო, არ შეიძლება“ 73

საბავშვო გვერდი 76

ხელსაქმე 78

№37(802) 11 — 17 სექტემბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 9.09.2013, 21.00 სთ-ზე.

საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის მონაწილეობას ვენეციის კომისიის დასკვნა გადაწყვეტს

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დააკმაყოფილა სალომე ზურაბიშვილის მოთხოვნა და პრეზიდენტობის კანდიდატობასთან დაკავშირებულ საკითხზე ვენეციის კომისიას მიმართა. ზურაბიშვილმა მინისტრს მას შემდეგ მიმართა, რაც სასამართლომ ცესკო-ს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. შეგახსენებთ, რომ ცესკო-მ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირა. ამის მიზეზად მისი ორმაგი მოქალაქეობა დაასახელეს. ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ ცესკო-ს და სასამართლოს გადაწყვეტილება „სრულიად უსაფუძვლო და უკანონოა". სამაგიეროდ, წულუკიანი სასამართლოს კრიტიკისგან თავს იკავებს.

— ჩემი მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკა არ ეგების. ის მიმართვა კი, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა ჩემდამი, როგორც მთავრობის წევრისადმი და ეკა ბესელიასადმი, როგორც საკანონმდებლო ორგანის წარმომადგენლისადმი გააკეთა, ვენეციის კომისიას უკვე გადაეგზავნა. კომისიას მივმართე, დაჩქარებულად განიხილოს ქალბატონ სალომეს წუხილი იმასთან დაკავშირებით, თუ რას გულისხმობს კონსტიტუციის ის ორი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეც არის, ვერ იქნება პრეზიდენტი. მაშინ, როდესაც სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკა არის ის, რომ კანდიდატად დარეგისტრირებას მას კონსტიტუცია არ უკრძალავს. ზურაბიშვილის ეს მოთხოვნა იმ დღესვე დავაკმაყოფილეთ, რადგან პრემიერის პირადი პოზიციაა, რომ კადიდატობის ყველა მსურველს კომფორტული პირობები შევუქმნათ, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე სექტემბრის ბოლომდე გავა

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მორიგი შეხვედრის ადგილი გარკვეულია — პრაღა, დრო კი ჯერ ისევ ზუსტდება, მაგრამ, სავარაუდოდ, 20 სექტემბრამდე იქნება.

განსახილველ საკითხებს შორის კვლავ მთავარ თემად რჩება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, სავიზო რეჟიმის გამარტივება და სატრანსპორტო მიმოსვლა, მათ შორის, რეგულარული ავიარეისების შესრულება. ქართული მხარის წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე ვარაუდობს, რომ ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე სექტემბრის ბოლომდე გავა.

სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იტყუება

სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივნის, არტურ ბაღდასარიანის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველო აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე თანახმაა, პრემიერის აპარატი ეხმიანება და განმარტავს, რომ ბაღდასარიანის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება.

„ჩვენ ვადასტურებთ, რომ რკინიგზის აღდგენის საკითხს საქართველოს მთავრობა სწავლობს და მიაჩნია, რომ ეს შესაძლოა საინტერესო იყოს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე გრძელი გზაა გასავლელი. გასარკვევია არაერთი პოლიტიკური და ტექნიკური საკითხი. ასევე უნდა შედგეს დისკუსია და მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით არანაირი ოფიციალური გადაწყვეტილება არ მიუღია და წინასწარ განცხადებების გაკეთება ნაადრევია", — ნათქვამია განცხადებაში.

— სომხეთში ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტთან და პრემიერთან მქონდა ამ თემაზე საუბარი. ჩვენი დამოკიდებულება უცვლელია. საინტერესოა, თუ რკინიგზა აღდგება, მაგრამ ამ საკითხზე დიდ გავლენას პოლიტიკა ახდენს. ჩვენ გვაქვს სურვილი, მაგრამ ეს არ არის მარტივად მოსაგვარებელი საკითხი. რკინიგზის აღდგენა რომ სასარგებლოა, ამაში ჯერ მთავრობა უნდა დარწმუნდეს, მერე საქართველოს მოსახლეობა უნდა დავარწმუნოთ და ავუხსნათ მისი ავკარგიანობა, — ეს განმარტება პრემიერმა ივანიშვილმა ლატვიაში გააკეთა.

საზოგადოებრივ მაუწყებელში ნაციონალები ბრუნდებიან

საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი თანამდებობიდან უკვე მეორეჯერ გადაყენეს. გადაწყვეტილება სამეურვეო საბჭომ დაახლოებით ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ მიიღო და მას მხარი ბორდის 9-ვე წევრმა დაუჭირა. მათი არგუმენტით, ბარათაშვილმა ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნა ვერ მოახერხა. კულუარებში კი ამბობენ, რომ ამ ყველაფრის უკან ისევ ტელეკომპანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ნათუნა ბერძენიშვილი დგას, რომელსაც დირექტორობა თავად სურს. ის 6 თვის წინ „პირველი არხიდან" სწორედ ბარათაშვილთან დაპირისპირების გამო წავიდა, რამდენიმე დღეში კი კრწანისის რაიონის გამგებლად მოგვევლინა.

— როგორც მითხრეს, თანამდებობიდან ჩემი გადაყენების მიზეზი არის ის, რომ ბორდს ბიუჯეტთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია არ მივაწოდე. მოგეხსენებათ, პირველი გადაყენების დღიდან ექვსი თვეა გასული, ტელევიზიაში კი, მხოლოდ სამი თვეა, რაც დავბრუნდი. ამ საკმაოდ მოკლე დროში მაუწყებელმა ახალი ეთერის დაწყება მოახერხა. თუნდაც იმ მოტივით, რომ ბიუჯეტი არასრულყოფილად იქნა მიწოდებული, ახალი საეთერო სეზონის დაწყების წინ და თანაც წინასაარჩევნოდ რამდენად სწორია გენერალური დირექტორის გადაყენება, ამ კითხვას ბორდმა უპასუხოს. პირადად მე წინასაარჩევნოდ ასეთი გადაწყვეტილება წარმოუდგენლად მიმაჩნია. ერთი რამ ცხადია, არჩევნების წინ საზოგადოებრივ მაუწყებელში ეს პროცესები ტყუილად არ ხდება და ამაში პოლიტიკურ მხარეს ვხედავ. საზოგადოებამ განსაჯოს, რამდენად სწორად მოიქცა ბორდი. პოლიტიკურ ძალაში კი ნაციონალურ მოძრაობას ვგულისხმობ, რომლითაც ბორდია დაკომპლექტებული, — აცხადებს გიორგი ბარათაშვილი.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე"
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან აღვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru

მდივანი – იზა ბარბაქაძე.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში" გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

ნოდარ ხადური საქართველოს ეკონომიკაში აღმავლობას ხედავს

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს მიაჩნია, რომ საქართველოს საბიუჯეტო სფეროში პრობლემები არ არის და ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის შეუქცევადი პროცესი დაწყებულია. მან მედიას ანგარიში ჩააბარა. მინისტრის მტკიცებით, 2013 წლის 7 თვის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 1,7% შეადგინა.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს ეკონომიკაში პოზიტიური დინამიკა შეინიშნება, ბიუჯეტში 2013 წლის 7 თვის საგადასახადო შემოსავლებმა 31 მილიონი ლარით გადააჭარბა 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს. ხადური ირწმუნება, რომ ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესება მარტიდან დაიწყო და წლის ბოლომდე ეკონომიკური ზრდა 4 პროცენტს მიაღწევს.

თეა წულუკიანი „განკითხვის ქამს“ ელოდება

მთავარი პროკურორის შესაძლო გადაყენებასთან დაკავშირებით მოარულ ხმებს იუსტიციის მინისტრი გამოეხმაურა. წულუკიანის განმარტებით, დღევანდელი კანონმდებლობით, მთავარი პროკურორის გადაყენების საკითხს ხელი იუსტიციის მინისტრმა უნდა მოაწეროს, პრეზიდენტს გააცნოს და მასთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილება.

— აზრადაც არ მომსვლია, რომ პრეზიდენტს მივმართო ამ საკითხით, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა და იქვე დასძინა, რომ პოლიტიკიდან პრემიერის წასვლის შემდეგ მინისტრების მუშაობა შეფასდება და არ არის გამორიცხული, მინისტრთა კაბინეტში ცვლილებებიც მოხდეს.

— დადგება ყველას საქმიანობის შეფასების და განკითხვის ჟამი. ეს შემეხება მეც, შეეხება მთავარ პროკურორს და ყველას, — განაცხადა წულუკიანმა.

„თუ სოსო პავლიაშვილი უდანაშაულოა, მაშინ ვერც მისი სიძე იქნება დამნაშავე“

მომღეხარს 20 წლიანი პატიმრობა ემუქრება?

ბიზნესმენ ავთანდილ (ანტონ) ადუაშვილის მკვლელობის საქმის გამოძიება, რომელიც რუსეთში მცხოვრები მომღერლის, სოსო პავლიაშვილის სახელს უკავშირდება, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა მკვლელობაში ბრალდებულ სამ პირს — სოსო პავლიაშვილის სიძეს, ვახტანგ ჩხაპელიას, კობა ყურუას და გელა უბილავას — გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა, ხოლო მოსამართლემ თითოეულ მათგანს 20 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

46 წლის ავთანდილ ადუაშვილი 2012 წლის 23 ნოემბერს თბილისში, ზაზიაშვილის ქუჩაზე, საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილული იპოვეს. გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახის წევრები მკვლელობის შემკვეთად რუსეთში მომუშავე ქართველ მომღერალს, სოსო პავლიაშვილს ასახელებენ. ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატი, ლევან ჯავახაძე კი ირწმუნება, რომ ეს ეჭვი უსაფუძვლოა და ფაქტებით არ არის განმტკიცებული. ადვოკატი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

ლევან ჯავახაძე „სარკესთან“ აცხადებს:

— გამამტყუნებელ ვერდიქტს გავასაჩივრებთ, რადგან არ ვეთანხმებით. ნაფიცმა მსაჯულებმა 12 საათის განმავლობაში გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. საზარელი დანაშაულია მომხდარი, ადამიანია მკვდარი, დარბაზი შავებში ჩაცმული ხალხით იყო სავსე, შვილმკვდარი დედის, ოჯახის წევრების ემოციები... ამ ყველაფრის ფონზე ბრალდების მხარეს მყარი მტკიცებულებები რომ მოეტანა, მერწმუნეთ, ნაფიცი მსაჯულები პირველივე საათში მიიღებდნენ გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნაფიც მსაჯულებს გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის ეშინოდათ, რადგან ამის საფუძველი არ გააჩნდათ. ალბათ იფიქრეს, რომ კანონით მინიჭებულ უფლებას და დროს გამოიყენებდნენ, ვერდიქტს არ დააყენებდნენ და ამ პასუხისმგებლობას თავიდან აიშორებდნენ, მაგრამ იმ ბოლო, მე-13 საათში რა მოხდა, არ ვიცი. მე-12 საათი რომ დასრულდა, მსაჯულები გამოვიდნენ და თქვეს, რომ ვერდიქტი ვერ გამოიტანეს. ისეთი ამბავი ატყდა, ენით ვერ გადმოგცემთ. დარბაზში რაც მოხდა, იმას სახელი საზოგადოებამ დაარქვას!

ამ განაჩენით თითქოს დადასტურდა, რომ ვახტანგ ჩხაპელიამ ანტონ ადუაშვილის მკვლელობა შეუკვეთა, მაგრამ რეალურად აქ განაჩენი სოსო პავლიაშვილსაც გამოუტანეს, რადგან ვახტანგ ჩხაპელიას ანტონ ადუაშვილის მკვლელობის შეკვეთის დამოუკიდებელი მიზეზი ვერ ექნებოდა. მას სოსო პავლიაშვილისგან უნდა მიეღო შეკვეთა, მისი სურვილი განეხორციელებინა და შემდეგ მკვლელობის ორგანიზება მოეხდინა. თუ ამ საქმეში სოსო პავლიაშვილი უდანაშაულოა, ვახტანგ ჩხაპელიაც ვერ იქნება დამნაშავე. თუ სოსო პავლიაშვილი დამნაშავეა, მაშინ სავსებით კანონიერი ვერდიქტი მიუღიათ ნაფიც მსაჯულებს, მაგრამ ჯერ სოსო პავლიაშვილის ბრალეულობა უნდა დამტკიცებულიყო. ამის შემდეგ უნდა დადასტურებულიყო, ვახტანგ ჩხაპელია იყო თუ არა დამნაშავე.

გამოძიება სწორი გზით და ეფექტურად რომ წარმართულიყო, სოსო პავლიაშვილი ბრალდებულის სკამზე ვახტანგ ჩხაპელიას გვერდით უნდა მჯდარიყო, ან საერთოდ ეს საქმე წარმოებით უნდა შეწყვეტილიყო. სანამ სოსო პავლიაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგება, მანამდე ესენი უადანაშაულოდ ითვლებიან.

— თუ პავლიაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, დაკავებულებს დაემატებათ სასჯელი?

— არა. სავარაუდოდ, ეს განაჩენი დარჩება ძალაში. თუ სოსო პავლიაშვილმა თავი გაიმართლა, ამ საქმის გადახედვის საფუძველი იქნება და დიდი ალბათობაა, ასეც მოხდეს. თუ იმავე მუხლით წაუყენეს ბრალი, რა მუხლითაც ვახტანგ ჩხაპელიას, მასაც იგივე სასჯელი ელოდება.

— დანარჩენ ბრალდებულებს რა მოუსაჯეს?

— რამაზ ქარჩავას სასამართლო დასრულდა, რომელიც დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო იყო პასუხისგებაში მიცემული. მას 2 წელი და 3 თვე მიუსაჯეს. ვლადიმერ ქარჩავას სასამართლო პროცესი გრძელდება. თემურ ქობალიაზე და მურთაზ გერგაიაზე, არ ვიცი, რა ხდება. როგორც ვიცი, გირაოს საფუძველზე გაათავისუფლეს, შეიძლება საპროცესოც გაუფორმეს.

■

ავთანდილ ადუაშვილის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა, ხათუნა პაიჭაძემ, „სარკესთან“ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

— საქმე სავარაუდო შემკვეთ პირთა მიმართ ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი და ძიება გრძელდება. ვინ და როგორ დაიკითხება, ეს გამოძიების სტრატეგიაა. კანონით, ამის გახმაურება არ შეიძლება. საქმე რასაც მოითხოვს, იმის მიხედვით ყველა პირი დაიკითხება. თუ საჭირო გახდება, დააკავებენ და თუ საჭირო გახდება, პასუხისგებაშიც მიეცემა, მაგრამ ისე არ გაიგოთ, რომ ამას სოსო პავლიაშვილთან დაკავშირებით ვამბობ. პერსონალურად პავლიაშვილის მიმართ არც ერთი ქმედება მოიაზრება, სანამ ყველაფერი ბოლომდე არ გამოიკვეთება.

ეკა ლემონჯავა

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

დათო და ანნა იმედაშვილებმა ახალდაბადებულ შვილს ორსართულიანი სახლი დაახვედრეს

ანნა: „ჩემი ქმარი კომპლიმენტებს მხოლოდ „სარკის“ საშუალებით მეუბნება“

ბროდიუსერ დათო იმედაშვილის და მისი ცოლის, ანნა იმედაშვილის ცხოვრება პატარა პეტრემ თავდაყირა დააყენა. პეტრე ანნასთვის პირველი შვილია, დათოსთვის — მესამე და გამოცდილი მამა ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით ცოლს რჩევებს ხშირად აძლევს. სიამაყით ამბობს, რომ ორი თვის პეტრე მას ძალიან ჰგავს როგორც გარეგნობით, ისე ხასიათით.

ანნა: „პეტრე ანტიდეპრესანტია, ჩავიხუტებ გულში, ხელში ავიყვან და დედამიწის ზურგზე აღარაფერი მაინტერესებს“.

ბავშვის დაბადებას დათოს და ანნას ცხოვრებაში კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენა მოჰყვა — ოჯახი ახალ, ორსართულიან სახლში გადავიდა, რომელიც თვითონ ცოლ-ქმარმა დააპროექტეს და ააშენეს. მართალია, სარემონტო სამუშაოები ბოლომდე დასრულებული არ არის, მაგრამ ახალ გარემოში თავს მშვიდად უკვე გრძნობენ. დათომ თავის სამივე შვილს ცალ-ცალკე მოუწყო ოთახები, რომ ყველამ ერთად დიდ ოჯახად იცხოვრონ. ასე რომ, „ახალი ხმის“ წამყვან ანნა იმედაშვილს ახლა დიდი სახლის დიასახლისობის შეთავსებაც მოუწევს. ჯერჯერობით ამ პერსპექტივას უშიშრად უყურებს, ის კი არა, ძიძის აყვანასაც არ ფიქრობს.

— ანნა და დათო, რა შეცვალა პეტრეს დაბადებამ ცხოვრებისადმი, საქმისადმი თქვენს დამოკიდებულებაში?

ანნა: პეტრემ ყველაფრის აღქმა, ყველაფრისადმი დამოკიდებულება, ზოგადად ჩვენი ცხოვრებისადმი განწყობა შეცვალა. პეტრე ანტიდეპრესანტია, ჩავიხუტებ გულში, ხელში ავიყვან და დედამიწის ზურგზე აღარაფერი მაინტერესებს.

დათო: ბავშვი მაგარია, მოტივაციაა, რომ მეტი გააკეთო. ეს ჩემთვის მესამე შვილია, მაგრამ სიხარული და შეგრძნებები მაინც მაღალ ხარისხშია.

პირველი შვილი რომ შემეძინა, 17 წლის ვიყავი და, რა თქმა უნდა, შეგრძნებები, ემოციები, დამოკიდებულება, აღქმა სხვანაირი იყო. მაშინაც დიდი სიხარული იყო, მაგრამ სხვანაირი. ახლა შეგრძნებები დამჯდარი, სტაბილურია და ყველაფერს ბევრად კარგად აღვიქვამ. როცა პეტრე გაჩნდა, ზუსტად 5 წუთში გამომიყვანეს და დამანახეს, როგორ იღიმოდა.

ანნა: პეტრე წონით დიდი გაჩნდა, „გაბარიტებიც“ და სახეც ჩამოყალიბებული ჰქონდა. თავიდან ალი-კვალი დათო იყო, ახლა ცოტა შეიცვლა, მეც დამემსგავსა.

დათო: ჩემი შვილები მე მგვანან.

ანნა: როცა პეტრე გაჩნდა, ვამბობდი, ხომ შეიძლება ჩემი რაღაცაც ჰქონდეს-მეთქი, მაგრამ ხასიათი აშკარად ჩემი აქვს, სულ იღიმის. ძალიან მშვიდი და უპრობლემო ბავშვია. ამბობენ, პატარები ზნეს იცვლიანო, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ პეტრე ასეთი დარჩება. ღამე არ მაწუხებს, მაქსიმუმი, ორჯერ იღვიძებს, რომ ჭამოს, ძალიან უპრობლემოა, არ ტირის. სულ იღიმის, თამაში უნდა.

— ანნა, დედობამ ხასიათი შეგიცვალათ?

ანნა: მგონია, რომ უფრო მშვიდი გავხდი. მანამდე ჩემს თავს ვეკუთვნოდი, ექსტრიმზე, მანქანით სწრაფად სიარულზე ვგიჟდებოდი. ახლა ყველაფერი შეიცვალა, პასუხისმგებლობა მომემატა.

დათო: რაღაც ყურადღების ნაკლებობას ვგრძნობ შენგან და იმედია, მალე გამოსწორდება.

ანნა: ვცდილობ, რომ ყურადღება არ მოვადუნო და დათოსაც საკმარისი დრო დავუთმო, მაგრამ რამდენად გამომდის, არ ვიცი. რთულია, ყურადღება სწორად გადაანაწილო.

დათო: ბავშვს ყურადღება სჭირდება და ვფიქრობ, ანნა ამ ყველაფერს ისე მოახერხებს, რომ მეც კმაყოფილი ვიყო და პეტრეც.

— ანნა, ჩვილის მოვლა ხომ არ გიჭირთ?

ანნა: როცა ფეხმძიმედ ვიყავი, არაფრის მეშინოდა, მშობიარობისაც კი. ერთადერთი, სულ ის მედარდებოდა, ბავშვს როგორ მივხედავდი, როგორ დავიჭერდი ხელში და ასე შემდეგ, მაგრამ თურმე ბავშვი რომ ჩნდება, ინსტინქტის დონეზე ყველაფერს აკეთებ, ხვდები, რა უნდა, რა სჭირდება.

სამშობიაროდან რომ გამოვედი, დათო ძალიან მეხმარებოდა. თავიდან ბავშვს დათო აბანავებდა, ღამეც ჩემზე ხშირად ის იღვიძებდა და ბევრად სწრაფად რეაგირებდა, ვიდრე მე. ეს ყველაფერი ნელ-ნელა მეც ვისწავლე.

დათო: ეტყობა, რომ გიჟი დედაა. ყველაფერი ზედმიწევნით წესრიგში აქვს. ბევრს ვერაფერს ვასწავლი, მაგრამ რაღაცეები ვიცი. ბავშვს რომ რაღაც აწუხებს, ვხვდები და ვცდილობ, მივეხმარო.

დათო: „პეტრემ ჩვენს უთანხმოებას სიმყარე შესძინა, როგორც ანნამ თქვა, ეს ის მანამდე გვაჯდა, მაგრამ ბავშვმა საერთო დიდი საყრდენი და საერთო დიდი საზრუნავი გაგვიჩინა“.

ანნა: თავიდან ეს რთული იყო. დათო თუ სახლში არ იყო, მშვიდად არ ვიყავი, ვურეკავდი, როდის მოხვალ-მეთქი.

დათო: მე კიდევ, ჩემი ხასიათი ვიცი და, აქედან გამომდინარე, ვხვდები, ბავშვს რა უნდა. ბავშვს ან შია, ან მუცელი სტკივა, ან ეძინება. მას გართობა და კონტაქტი სჭირდება. თუ არ ეკონტაქტები, ამას ითხოვს.

— ანნა, მამიკო პეტრეს ძალიან ანებივრებს?

ანნა: კი და სულ ამბობს, რომ ყველაფერს უყიდის და მართლაც ყიდულობს. პეტრეს დაბადებიდან ცალკე ოთახში სძინავს. ყველა გვეუბნებოდა, ცოდოაო, მაგრამ ვთვლი, რომ ეს კარგია, უფრო მშვიდად და თან დიდხანს სძინავს. ერთი პერიოდი ვი- →74

კახი კალაძე და მისი როლი მესამე ბავშვს ელოდებიან

ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი ფავორიტი მინისტრის, კახი კალაძის ოჯახში მოსალოდნელი მატებაა. მისი ცოლი, ყოფილი მოდელი და ახლა უკვე დიზაინერი ანუკა არეშიძე, მესამე შვილს ელოდება. ეს ამბავი თავად მან სოციალური ქსელით აცნობა ახლობლებს. ანუკამ საკუთარი სურათი გამოაქვეყნა, სადაც ფართხუნა შარვლით პოზირებს, კომენტარებში კი მას მესამე შვილზე მოლოდინს ულოცავენ. თავად ანუკას ჯერჯერობით საკუთარ ფეხმძიმობაზე საუბარი არ სურს. როგორც ჩანს, ის ორსულობის პირველ პერიოდშია.

კახისა და ანუკას ორი შვილი ჰყავთ — 4 წლის ლევანი და წლისა და სამი თვის კახაბერი. ორივე ბიჭი მილანში დაიბადა. თუ სად დაიბადება მომავალი შვილი და ისიც ბიჭია თუ არა, ჯერჯერობით უცნობია.

Cyan Magenta Yellow Black

მაკა ძაგანია: „ყველა მამაკაცს ჩემი შეცვლა სურს“

Ესახიობი მაკა ძაგანია ერთი წელია შეყვარებული აღარ არის. მამაკაცებმა, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუეს. სასიყვარულო ამბებში რისკზე აღარ მიდის. მისი და მსახიობ ტატო ჩახუნაშვილის ხუთწლიანი რომანი დასრულდა და ახლა ამაზე ლაპარაკიც არ სურს.

ამ ზაფხულს ვერც დასვენება გამოუვიდა ისეთი, როგორიც სჭირდებოდა. ბათუმში პლაჟსა და სახლს შორის სირბილმა დაღალა. თბილისში ნელ-ნელა აღიდგინა ჩვეული რიტმი. ახლა მისი მთელი ენერგია შვილს და საყვარელ საქმეს ხმარდება. პოპულარული სერიალის გადაღებები განახლდა და მაკაც დაუბრუნდა თავის ფემინისტ გმირს, თინას, რომელიც ძალიან მოსწონს და ჯერ კიდევ არ მობეზრებია.

— მაკა, რა სიახლეებია თქვენს შემოქმედებაში, სერიალზე მუშაობა განახლდა?

— კი, დავიწყეთ და ვიცი, ყველა ძალიან ელოდება, ტელეეკრანზე როდის გავა. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

— სერიალის პროდიუსერმა მიშა მშვილდაძემ გვითხრა, რეიტინგის კლებას ველოდებითო.

— გამორიცხული არაფერია, შეიძლება რეიტინგი დავკარგოთ კიდეც ან პირიქით, მოგვემატოს.

— სერიალი ადრე თუ გვიან დამთავრდება და ალბათ თქვენი პერსონაჟი, თინაც ძალიან მოგენატრებათ.

— რა თქმა უნდა, მომენატრება, რადგან ძალიან მიყვარს. როგორც ქალი, მომწონს. საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა.

— ყველა რომ თინასთან გაიგივებთ, ეს არ გაღიზიანებთ?

— არა, მაგრამ ის კი მაწუხებს, რომ ჩემი ახლობლები ხანდახან ძალიან სულელურ კითხვას სვამენ. დედაჩემს ხშირად

„ჯაცისთვის ქალი ჩეჩეტი და ღამაზი უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში ჯიჩგად მანიპულირებენ. ძლიერ ქალებს ვერ ეჭიდავებიან და ამიტომ არ მოსწონთ“.

ეკითხებიან, მაკას მართლა ასეთი ხასიათი აქვს თუ არაო. ეს უკვე მეტისმეტია, ის ადამიანები დაბადებიდან მიცნობენ და მიკვირს, თინასთან რომ მაიგივებენ.

— თქვენს გმირს არც კრიტიკა აკლია. ბევრს ეს ტიპაჟი სასტიკად არ მოსწონს.

— მერე რა! ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის კარგია.

— თინას რომელ თვისებას გააკრიტიკებდით თავად?

— მისი დედასთან ურთიერთობა ცოტა არ მომწონს. ხისტია, სირბილე უნდა ჰქონდეს. არც ის მომწონს, რომ ძალიან პირდაპირია. შეუძლია ისეთი ცუდი რაღაც გაჯავრებოს, რომ გული გატკინოს. მეტი დიპლომატიურობა არ აწყენდა.

— მამაკაცებისადმი დამოკიდებულებაზე რას იტყვით?

— აი, ამაში კი ვენაცვალე! თინაში ყველაზე მეტად სწორედ მამაკაცებთან მიდგომა მომწონს. მშვენივრად იქცევა, რას ერჩით?!

— თქვენც თინასნაირი ხომ არ ხართ, როცა საქმე სასიყვარულო ურთიერთობებს ეხება?

— არა. თინა გონებით მოქმედებს, ჩემს შემთხვევაში კი გული ყოველთვის სჯობნის გონებას, რაც ძალიან ცუდია. პირად ურთიერთობებში გონებას კი არ ვუხმობ, ბოლომდე გულს მივყვები. ვერ ვიტყვი, რომ ბევრი ფიქრი არ მიყვარს, გადაწყვეტილებებს ძალიან რთულად ვიღებ, მაგრამ თუ მივიღე, მორჩა, წყალი აღარ გაუვა! მერე უკვე ძალიან კატეგორიული ვარ.

— როგორ ფიქრობთ, მამაკაცების უმეტესობას თინას გმირი რატომ არ მოსწონს?

— იმიტომ, რომ ძალიან ძლიერი, ჭკვიანია და, როგორც წესი, კაცებს ძლიერი ქალები არ მოსწონთ, თრგუნავთ. კაცისთვის ქალი ჩერჩეტი და ღამაზი უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში კარგად მანიპულირებენ. მათი მიზანი ერთია, ქალი როგორც კი მათი გახდება, აუცილებლად უნდა შეცვალონ. შენ კი არ უყვარდები, როგორც პიროვნება, უყვარდება ვიღაც „იქს“ მაკა, რომლის თვისებებიც არ მოსწონს, მაგრამ ჰგონია, რომ აუცილებლად შეცვლის. ძლიერ ქალებს ვერ ეჭიდავებიან და ამიტომ არ მოსწონთ. თუ სუსტია კაცი, მით უმეტეს, ცუდადაა საქმე.

— ანუ ფიქრობთ, რომ ქალი საყვარელი ადამიანის გამო არ უნდა შეიცვალოს?

— როცა გიყვარს, შინაგანად იცვლები და ბევრ ისეთ რაღაცას აკეთებ, რასაც ვერც კი წარმოიდგენდი. უბრალოდ სხვამ არ უნდა მოგთხოვოს, შეიცვალეო.

— თქვენთვის მოუთხოვიათ შეცვლა?

— აბსოლუტურად ყველა ითხოვს.

— თავად თუ მოგითხოვიათ, რომ თქვენ გამო შეცვლილიყვნენ?

— ქალი ამას ყოველთვის ნაკლებად ითხოვს. რატომღაც კაცი თვლის, რომ ქალი ვალდებულია, მის გამო შეიცვალოს.

— ახლა რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?

— ის, რაც აქამდე ხდებოდა.

— აქამდე შეყვარებული იყავით. თქვენ და მსახიობ ტატო ჩახუნაშვილს ერთმანეთი გიყვარდათ.

— ეგ როდის იყო. ჩვენ შარშან, ოქტომბრის ბოლოს დავშორდით. მას შემდეგ ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება.

— იმ სიყვარულმა მონატრება არ დაგიტოვათ?

— არა. ახლა დიდი პაუზა მაქვს აღებული, რაც ძალიან მომწონს. თავს ძალიან კარგად და თავისუფლად ვგრძნობ.

— ადვილად შეგიძლიათ ურთიერთობა დამთავროთ და დაიცალოთ?

— ადვილად არ დამიმთავრებია. სანამ გადაწყვეტილებას მივიღებ, და თუ ვიღებ,

„პირად ურთიერთობებში გონებას ჯერ არ ვუხმობ, ბოლომდე გულს მივყვები. ვერ ვიტყვი, რომ ბევრი ფიქრი არ მიყვარს, გადაწყვეტილებებს ძალიან რთულად ვიღებ, მაგრამ თუ მივიღე, მორჩა, წყალი აღარ გაუვა!".

დიდხანს ვფიქრობ, მერე უკან აღარ ვიხედები. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. გადავწყვიტე და დამთავრდა. ტრაგედია იქამდე იყო, სანამ გადავწყვეტდი.

— იმიტომ დამთავრდა თქვენი ურთიერთობა, რომ ტატომაც თქვენი შეცვლა მოინდომა?

— არა, ჩვენ უკვე დიდი ხნის ნაჭიდავები ვიყავით. ორ ადამიანს შორის ჭიდაობა სულ მიდის და ამაზე შევთანხმდეთ. ჭიდაობა ურთიერთობის დასაწყისშია, მერე ან ეგუები, ან არა. არ ვიცი, ტატო ჩახუნაშვილი ჩემს ცხოვრებაში რატომ გახდა აქტუალური თემა. შეიძლება, რომ სულ მასზე ვლაპარაკობდე?! ჩვენი დაშორებიდან ლამის წელიწადი გავიდა და ხომ უნდა დამთავრდეს ამაზე ლაპარაკი!

— ახლა გაქვთ მასთან ურთიერთობა?

— არა, ჩვენ კონტაქტი არ გვაქვს, მას შემდეგ არც მინახავს. ვერ ვიტყვი, რომ შეყვარებულობის შემდეგ მეგობრობა არ გამოდის, თუ ძალიან ცუდად არ დაშორდნენ და ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. გადაბმული ძმაკაცები ვერ იქნებიან, მაგრამ გამარჯობის თქმას წინ რა უდგას?

— ტატოს არ უცდია შერიგება?

— არა, დავშორდით და ეს საბოლოო გადაწყვეტილება იყო.

— პირად ურთიერთობებში ძალიან მომთხოვნი ხართ?

— დედა სულ მეუბნება, მინიმალურით ნუ ხარ კმაყოფილიო, მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ მომთხოვნი ვარ.

— სერიალმა ძალიან პოპულარული გაგხადათ. ხალხის ყურადღება ხომ არ გაწუხებთ?

— არა, შემაწუხებელი არ არის. რაღაცეებში ისეთი თავისუფალი ვერ ვარ, როგორიც ვიყავი, ცოტა ვიბოჭები, მაგრამ ხალხისგან ისეთი დადებითი ემოციები მოდის, რომ ამ ყველაფერს ანეიტრალებს. როცა კაფეში ვზივარ, მზად ვარ იმისთვის, რომ ვიღაც მიცნობს და გამომელაპარაკება. დილით ვერასოდეს ვიღვიძებ, ადგომა ყოველთვის მი-

→75

Cyan Magenta Yellow Black

TV ამბები

რატომ გაუშვეს სოფო ნიჟარაძე და ვანო ჯავახიშვილი „ნიჭიერიდან“

■ ვანო ჯავახიშვილი

■ სოფო ნიჟარაძე

„ნიჭიერი“ ახალ სეზონზე განახლებული ჟიურით ბრუნდება — გადაცემის პროდიუსერებმა ვანო ჯავახიშვილი და სოფო ნიჟარაძე მის შემადგენლობაში აღარ შეიყვანეს, ისინი, ასე ვთქვათ, გადახალისების პროცესში მოჰყვნენ. ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ გეგა ფალავანდიშვილი შემორჩა, რომელსაც გვერდს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, მსახიობი ია ფარულავა და პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი დაუმშვენებენ. როგორც პროექტის პროდიუსერი გიორგი ხაბურზანია ირწმუნება, ახალი ოთხეული უფრო საინტერესო იქნება და მათი პიროვნულ-პროფესიული განსხვავებულობით კარგი შოუ დაიდგმება.

რა სიახლეებს უნდა ელოდოს მაყურებელი ოქტომბრიდან „ნიჭიერში“ და რა პრინციპით შეირჩა რეიტინგული პროექტის ჟიური, ამ და სხვა კითხვებზე გიორგი ხაბურზანია გვპასუხობს.

— გიორგი, უკვე ცნობილი არიან „ნიჭიერის“ ჟიურის წევრები, რომელთა შორის წელს აღარ იქნებიან შოუმენი ვანო ჯავახიშვილი და მომღერალი სოფო ნიჟარაძე. რატომ თქვით უარი მათზე?

— ეს „ნიჭიერის“ მეოთხე სეზონია და ჟიურიშიც სიახლის შეტანა გვინდოდა. მისი შემადგენლობა განვაახლეთ და მეოთხე წევრი დავამატეთ. გეგა ფალავანდიშვილი „ნიჭიერის“ უცვლელი წევრია, რადგან პირველი სეზონიდან ჩვენთან არის და პროექტის განუყოფელი ნაწილი გახდა. „ნიჭიერისთვის“, ფორმატის მიხედვით, ჟიურის წევრები ორ წელიწადში ერთხელ მაინც ყველა ქვეყანაში იცვლებიან.

— წინა სეზონი „ნიჭიერმა“ გამოტოვა, ეთერში არ გავიდა. მიზეზი რა იყო?

— ეს გადაცემა იმიტომ შევაჩერეთ, რომ კონკურსანტები შეგვეგროვებინა. ყოველ წელს რთულია ახალი და მრავალფეროვანი კონკურსანტების შეკრება. არ გვინდა, ერთფეროვანი ნომრები გვქონდეს. თან „საქართველოს ვარსკვლავი“ ზედიზედ გავაკეთეთ, რადგან ამ პროექტმა ძალიან გაამართლა.

— „საქართველოს ვარსკვლავი“ ამ სეზონზე იქნება?

— რა თქმა უნდა. საქართველოში ყველაზე წარმატებული მუსიკალური პროექტია და ამიტომ გაზაფხულზე დავაბრუნებთ.

— ია ფარულავამ სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში გახდებოდა პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ჟიურის წევრი, თუ მაღალ ჰონორარს გადაუხდიდნენ. თქვენთანაც ჰქონდა ეს მოთხოვნა?

— მე არ ვიცი ეს ინფორმაცია, ჰონორარზე არც გვისაუბრია. ია ჩვენთან თანამშრომლობას ძალიან პროფესიონალურად მიუდგა. „ნიჭიერის“ ჟიურის წევრად იმიტომ ავარჩიეთ, რომ წლებია ცნობილი სახეა, საინტერესო პიროვნებაა და ვფიქრობთ, რომ შოუში მისი ყოფნა ძალიან საინტერესო იქნება. ია გულწრფელობით გამოირჩევა. წლებია ეს ადამიანი ა კლასის ვარსკვლავია საქართველოში, ამიტომ ლოგიკურია, რომ ნომერ პირველ გადაცემაში ჟიურის წევრი იყოს.

ვანო ჯავახიშვილი: „გამიხარდა ჯიდეს. „ნიჭიერის“ ჟიურიში რომ არ ვიქნებოდი, იადგან ეს საოცრად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. დიდი ენერგია მიჰქონდა და ჩემი გადაცემისთვის ცოტა ძალა მრჩებოდა“.

— რაც შეეხება ხატია ბუნიათიშვილს, ის შეიძლება ძალიან ნიჭიერი პიანისტია, მაგრამ საქართველოში ნაკლებად იცნობენ. რატომ შეაჩერეთ მასზე არჩევანი?

— ხატია ძალიან სერიოზული მუსიკოსია. საერთაშორისო ასპარეზზე გასული პიანისტი, რომლის დისკები სხვადასხვა ქვეყანაში იყიდება, ამ ეტაპზე ძალიან ცოტა გვყავს. ძალიან გვიხარია, რომ ასეთი სერიოზული მუსიკოსი დაგვთანხმდა იმ გადაცემაში მონაწილეობას, რომელიც მაინც უფრო პოპკულტურის ნაწილია. მუსიკალურ ნომრებში ხატიას სახით ავტორიტეტი გვეყოლება. ვფიქრობ, რომ საქართველოში მას ფართო საზოგადოებაც იცნობს. იმდენად დადებითი და ემოციური ადამიანია, დარწმუნებული ვარ, მაყურებელი შეიყვარებს.

— ჟიურიში არსის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას გამოჩენა მართლაც ყველაზე მოულოდნელი სიახლე იყო. რატომ გადაწყვიტეთ პროექტში მისი ჩართვა?

— გვინდოდა, ჟიურის კრიტიკული წევრი გვყოლოდა რაციონალური შეფასებებით. ასეთი ადამიანად კი ლოგიკურად ნიკა გვარამია დავინახეთ. მას დიდი პასუხისმგებლობა აქვს, თან გენერალური დირექტორია და თან ჟიურის წევრი. ჩემი აზრით, „ნიჭიერის“ ყველაზე მკაცრი ჟიური იქნება. ალბათ კონკურსანტებს ძალიან გაუჭირდებათ ნიკა გვარამიას გულის მოგება.

— მანამდე მკაცრ იმიჯს გეგა ფალავანდიშვილი ირგებდა.

— გეგასაც ექნება მკაცრი შეფასებები. ამ სეზონისთვის ჟიურის წევრები ისე არიან შერჩეული, რომ ყველას განსხვავებული შეხედულება ექნება. ვფიქრობ, რომ აზრთა დიდი სხვადასხვაობის მომსწრენი გავხდებით, ეს კი შოუს ძალიან საინტერესოს გახდის. თან, რადგან ამ სეზონზე ჟიურის ოთხი წევრი გვყავს, კონკურსანტს შემდეგ ტურში გადასასვლელად უკვე სამი „კი“-ს მოპოვება დასჭირდება. დამეთანხმებით, რომ სამი „კი“-ს მიღება უფრო რთულია.

— ჟიურიში არსის გენერალური დირექტორის ყოფნა თქვენთვის, როგორც პროექტის პროდიუსერისთვის, რამდენად კომფორტული იქნება?

— ყველა ქვეყანაში ამ გადაცემის ჟიურის წევრი თავის სფეროში შემდგარი ხალხია. მნიშვნელობა არ აქვს, რა თანამდებობაზეა, მილიონერია თუ შოუბიზნესის პირველი სახე, ვინც უნდა იყოს, როცა ჟიურიში ჯდება, გადაცემის ინტერესებს ემსახურება. ჩვენთან საქმეს ყველა პროფესიონალურად უდგება.

— როგორც აღნიშნეთ, დიდი ხნის განმავლობაში არჩევდით „ნიჭიერის“ კონკურსანტებს. როგორ შეაფასებთ მოსულ ნაკადს?

— ჩვენ გვინდოდა მრავალფეროვნება და შევეცადეთ, ისეთი ნომრები შეგვერჩია, რომლებიც მანამდე ქართულ ტელეარხებზე არ ყოფილა. კონკურსანტები ძირითადად ამ პრინციპით შევარჩიეთ, მათ ახალი სანახაობა უნდა გვაჩვენონ. ამ პროექტისთვის ზოგი საზღვარგარეთიდან სპეციალურად ჩამოვიდა. საკმაოდ მაღალ დონეზე მომზადებული კონკურსანტები გვყავს. რასაც მანამდე მაყურებელი „ნიჭიერის“ ნახევარფინალში ხედავდა, ფაქტობრივად, კონკურსანტების პირველ გამოსვლაზე ნახავენ. მერე რა უნდა გააკეთონ, არც ვიცი. შესარჩევი ტური ძალიან საინტერესო იქნება და მის დაწყებას დიდი სიამოვნებით ველი. სწორედ კონკურსანტების მომზადების დონემ მოგვცა ჟიურის გამკაცრების საშუალება. ამავდროულად მათ ყველანაირ პირობებს ვუქმნით, რომ მეგობრულ გარემოში იგრძნონ თავი.

გიორგი ხაბუჩზანია: „პირველად „ნიჭიერის“ ისტორიაში დაიდგმება ნომრები, რომლებიც ფილარმონიის შენობიდან გასვლას მოითხოვს, იადგან შენობა ნომრისთვის მცირეა. ჟიური ხალხთან ერთად გარეთ გავა და გრანდიოზული ნომრები გარეთ ეთქმოდ გავა და გრანდიოზული ნომრები გარეთ ეთქმოდ“.

წელს „ნიჭიერში“ იქნება საცეკვაო თუ შოუდ გადაკეთებული აკრობატული ნომრები, სიმღერები და ა.შ. უფრო შოუზე გაკეთდება აქცენტი. რაც მთავარია, პირველად „ნიჭიერის“ ისტორიაში დაიდგმება ნომრები, რომლებიც ფილარმონიის შენობიდან გასვლას მოითხოვს, რადგან შენობა ნომრისთვის მცირეა. ჟიური ხალხთან ერთად გარეთ გავა და გრანდიოზუ-

Cyan Magenta Yellow Black

ლი ნომრები გარეთ შესრულდება.

— „ნიჭიერის“ მთავარი კონკურენტი „იმედზე“ რომელი პროექტია — „ცეკვავენ ვარსკვლავები“ თუ „ახალი ხმა“?

— ჩვენ ორშაბათი დღე ავირჩიეთ. ძალიან გვინდოდა, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ „იმედს“ ორშაბათს ჩაესვა, რომ რეიტინგის თვალსაზრისით მათი პროექტისთვის მოგვეგო. ეს ასეც იქნებოდა, რადგან „ნიჭიერი“ სახალხო პროექტია. მაგრამ, როგორც ვიცი, ამ პროექტს რატომღაც ორშაბათს არ სვამენ. ამდენად, ძნელი სათქმელია, „ნიჭიერის“ კონკურენტი რომელი გადაცემა იქნება. „ახალ ხმას“ საერთოდ ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს. „ცეკვავენ ვარსკვლავები“ განსახილველად კიდევ

გიორგი ხაბუჩიანი: „გვინდოდა, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ „იმედს“ ორშაბათს ჩაესვა, რომ რეიტინგის თვალსაზრისით მათი პროექტისთვის მოგვეგო... მაგრამ, როგორც ვიცი, ამ პროექტს რატომღაც ორშაბათს არ სვამენ“.

ღირს. „ახალი ხმა“ რეიტინგული გადაცემების ათეულშიც არ შედიოდა. ეს წარუმატებლობაა. წარუმატებელ პროექტზე კი ძალიან მიჭირს საუბარი.

■

დასწყდა თუ არა გული ვანო ჯავახიშვილს „ნიჭიერის“ ჟიურის დატოვების გამო, რომელშიც ორი სეზონი გაატარა? შეუძლებელია, პროექტი არ ენანებოდეს, თუმცა მაინც ამ ფაქტში პოზიტივის უფრო მეტს ხედავს და „სარკესთან“ ამბობს:

— „ნიჭიერის“ ჟიურის წევრად ორი სეზონი ვიყავი. საერთოდ, პროდიუსერები წინასწარ გითანხმდებიან, ჟიურიში ჯდომა გაწყობს თუ არა. „ნიჭიერის“ გუნდმა ჟიურის გადახალისება გადაწყვიტა და, რა თქმა უნდა, ეს კარგია. ახალ ჟიურის დადებითად ვაფასებ. მინდა, მათ წარმატებები ვუსურვო. ჩვენთან, სამსახურში, არანაირი წყენა არ არის, ყველა ვმეგობრობთ და საქმეს ერთად ვაკეთებთ.

ერთი პირობა გამიხარდა კიდეც, „ნიჭიერის“ ჟიურიში რომ არ ვიქნებოდი, რადგან ეს საოცრად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. დიდი ენერგია მიჰქონდა და ჩემი გადაცემისთვის ცოტა დრო მრჩებოდა. ასე რომ, პირიქით, მიხარია, ამ კუთხით დატვირთული რომ არ ვარ. ამ სეზონზე „ვანოს შოუ“ ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება.

✓ მანანა ნოდია

ნიკა გვარამია: „მინისტრობისას ძალიან მიჭირდა“

ჰოგოჰ იყიდა სახლები „ჰუსთავი 2“-ის შეფმა

ადვოკატი, „თელასის“ იურისტი, პარლამენტის წევრი, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — ასეთი წარსული აქვს ნიკა გვარამიას, რომელიც დღეს საქართველოში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს უდგას სათავეში.

ნიკა გვარამია სანამ პოლიტიკაში გამოჩნდებოდა, მას მაყურებელი, როგორც ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებულ და ჭკვიან ადამიანს, ისე იცნობდა. ის კლუბ „რა? სად? როდის?“ წევრი გახლდათ და თანაც ყველაზე ტიტულოვანი — „ბრინჯაოს მოაზროვნის“ ორგზის მფლობელი, სამხრეთ კავკასიის სამგზის ჩემპიონი, საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი. დღეს უკვე „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ, სანამ ამ არხის სათავეში იქნება, მედიასივრცეში პირველობას არავის დაუთმობს. პარალელურად საქმე სამართალდამცავებთან აქვს. ცოტა ხნის წინ ის ფინანსური მაქინაციებისა და საბუთების გაყალბების ბრალდებით დააპატიმრეს და მალევე გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. საქმე ისევ ძიებაშია, თუმცა ბატონი ნიკა დარწმუნებულია, რომ სასამართლო მის დამნაშავედ ცნობას ვერ შეძლებს.

— ბატონო ნიკა, თქვენ ნაციონალების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სახე იყავით. როგორც კი ახალი მთავრობა მოვიდა, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელად მოგვევლინეთ. როგორ და ვინ შემოგთავაზათ ეს პოსტი?

— ჩემი ბიოგრაფია ალბათ იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანებმა განმიხილონ, როგორც წარმატებული მენეჯერი. ამ ტელევიზიის მფლობელები ძმები ყარამანიშვილები არიან. ჩვენ საერთო ნაცნობები გვყავდა. ყარამანიშვილები სოხუმელები არიან, ისევე როგორც — მე. კონკრეტული პირობები განვიხილეთ, მათ შორის — ისიც, თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონოდათ ჩემგან. დავთანხმდი, რადგან ჩავთვალე, რომ საინტერესო გამოწვევა იყო. არჩევნების შემდეგ გადაწყვიტეს, დირექტორი გამოეცვალათ, რადგან იყო ახალი გამოწვევები, რისთვისაც ამ ტელევიზიას უნდა გაეძლო. იყო ფინანსური გამოწვევაც და არამხოლოდ ეს, ამიტომ გადაწყვიტეს მენეჯმენტის შეცვლა.

„ჰოცა თანამდებობები მჭონდა, სწორედ მაშინ მიჭირდა ყველაზე მეტად. საზღვარგარეთ სასნავლებლად ჩემი ნასვლის მთავარი მოტივაცია სწორედ ფინანსური პრობლემები იყო. სამი შვილის ხელში... 3.500 ლარი მჭონდა ხელფასი და ჰრემია ჩემთვის არასოდეს დამინიშნავს. მიჭირდა, რომ საკუთარი თავისთვის ჰრემია გამომენერა“.

— ალბათ სარედაქციო პოლიტიკის შეცვლასაც მოითხოვდნენ.

— რა თქმა უნდა, სარედაქციო პოლიტიკაც უფრო ადეკვატური უნდა ყოფილიყო და ამ რეალობაში — აქტუალური. თქვენი შესაფასებელია, ტელეკომპანიამ ამ გამოწვევებს რამდენად გაუძლო. რაც შეეხება ფინანსურ გამოწვევებს, „რუსთავი 2“ ერთადერთი მომგებიანი სატელევიზიო არხია მთელი საქართველოს მასშტაბით.

— როცა ტელეკომპანიას სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა სჭირდება იმის გამო, რომ ქვეყანაში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, ეს ხომ მის ცალსახა ტენდენციურობაზე მეტყველებს.

— კომერციული ერთეული, „რუსთავი 2“, მოექცა ახალ კომერციულ ვითარებაში. პოლიტიკური ვითარება თანხვედრაა და ეს ყველაფერი კომერციულ სტრუქტურაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ეს გამოწვევა ბუნებრივად არსებობდა და, რა თქმა უნდა, არხსაც ჰქონდა პრობლემები. სარედაქციო პოლიტიკაც არ იყო იდეალურად დაბალანსებული, ამ მიმართულებითაც გარკვეული სამუშაო იყო ჩასატარებელი. თუმცა სავსებით საკმარისი გამოდგა ის ჟურნალისტური რესურსები, რაც აქ არსებობდა. სწორი მენეჯმენტის პირობებში ინფორმაციული დაბალანსება პრობლემა არ არის.

— და ფიქრობთ, რომ ახლა „რუსთავი 2“ პოლიტიკურად დაბალანსებული არხია?

— ვფიქრობ, აბსოლუტურად დაბალანსებულია.

— აქამდე თუ მხოლოდ ხელისუფლების კარგს ხედავდა, ახლა მშვენივრად ანერვებს ახალი ხელისუფლების თუნდაც უმნიშვნელო შეცდომის

→10

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

გამოფენას. ამასთან, გარკვეული ტენდენცია, სამპპთია ნაციონალებისკენ უდაოდ ისევ შეინიშნება.

— ამ შენიშვნას არ ვიზიარებ. „რუსთავი 2“ არ არის ოპოზიციური ტელევიზია და არც — სახელისუფლებო. არის კლასიკური კრიტიკული ტელევიზია. ჩვენი უპირველესი ამოცანა არ არის, ადამიანებს ვანახოთ, რა ხდება კარგი. ჩვენი ამოცანაა, დავანახოთ პრობლემები და ხელისუფლებასთან თუ ოპოზიციასთან ერთად გამოსავალი ვეძებოთ. ამიტომაც ჰქვია მედიას მეოთხე ხელისუფლება. რასაც ახლა ჟურნალისტები აკეთებენ, ეს მხოლოდ მათი პოზიციაა. მე არ ვიღებ გადაწყვეტილებებს.

— ფიქრობთ, აქამდე ჟურნალისტებს პოზიცია არ ჰქონდათ?

— ჟურნალისტებს პოზიცია ჰქონდათ და ეს ის იყო, რასაც აქამდე ხედავდით და ისიც პოზიციაა, რასაც ახლა ხედავთ. ჟურნალისტური შემოქმედება მთავარია. ჩვენ ვიღებთ ეკრანზე იმას, რასაც ჟურნალისტები აკეთებენ. არ არის ისე, რომ ჟურნალისტები აკეთებენ იმას, რასაც მე ვეტყვი. თავად წყვეტენ. შიდა ცენზურა ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვმსჯელობთ და არ გავდივართ გარკვეულ საკითხებზე კონსულტაციებს, მაგრამ გადამწყვეტი ჟურნალისტის პოზიციაა. მან უნდა შექმნას პროდუქტი. ვფიქრობ, რომ ის, რაც აქამდე იყო, ცუდი და არასწორია. ის იყო მაშინდელი არხის სარედაქციო პოლიტიკა და ეს ყველაფერი არ ყოფილა აკრძალული. არხს აქვს უფლება, ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. ამის გამო როგორ კომერციულ ზარალს მიიღებს, მეორე საკითხია...

— რა დაეზარალებდა, როცა ამბობენ, რომ პირდაპირ ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა ეს ტელეკომპანია და ამის შესახებ ახლა პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა, თინა ხიდაშელმა განაცხადა. მან ფინანსური სქემის დეტალურად წარმოდგენა მოგვთხოვათ. სწორედ ის ამბობს, რომ „რუსთავი 2“ არაპირდაპირი გზებით ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

— ქალბატონი თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-თან ბრძოლას ვერ მოიგებს. ამაში აბსოლუტურად ვარწმუნებ. სამწუხაროდ, მან ეს თავისი ცხოვრების მიზნად გაიხადა, რასაც ვერ განახორციელებს.

— ბატონო ნიკა, კი ამბობთ, „რუსთავი 2“ ახლა დამოუკიდებელი მედიაა, მაგრამ თქვენ სართ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური სახე...

— ვიყავი, მაგრამ ახლა არ ვარ! ჩემს პოლიტიკურ დამოკიდებულებებზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია, თუმცა ალბათ ისედაც ყველასთვის გასაგებია, მაგრამ ახლა არ ვაპირებ იმაზე საუბარს, ვის მივცემ არჩევნებში ხმას. როგორც „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორისთვის, ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ჩემი კარიერული, პროფესიული რეპუტაცია. ამიტომ, პრაგმატული მოსაზრებით, არ ვაპირებ ამ რეპუტაციის დაზიანებას იმით, რომ ვინმეს ვათქმევინო, „რუსთავი 2“ დავლუპე იმის გამო, რომ გადავაქციე კარის ტელევიზიად. ეს არ მოხდება, როგორი პოლიტიკური მისწრაფებებიც უნდა მქონდეს მე თუ არხის დამფუძნებლებს. ამის გარდა, მხარს მიმაგრებს კოლექტივი და ფინანსური დამოუკიდებლობა. არავისზე ვართ დამოკიდებულები, სხვა არხებისგან განსხვავებით, რომლებსაც პოლიტიკური წარმოშობის ფული ძალიან ბევრი აქვთ დღემდე.

— აქამდე სახელმწიფომ იმხელა ჯალი ჩამოაწერა „რუსთავი 2“-ს...

— ეს მოხდა აბსოლუტურად ლეგიტიმურად და ასეთი რამ გაფორმებული აქვს ათასამდე ორგანიზაციას, კომერციულ პირს. ასევე „იმედს“ და სხვებს. გარდა იმისა, რომ „რუსთავი 2“ ტელევიზიაა, არის ჩვეულებრივი კომერციული სუბიექტიც, რომელზეც ვრცელდება ყველა ის კანონი, რაც სამეწარმეო სუბიექტებზე. ჩვენ არ ვითხოვთ არანაირ შეღავათებს. გვჭირდება ერთადერთი რამ — არ იყოს დევნა და ზეწოლა.



„ქალბატონი თინა ხიდაშელი „რუსთავი 2“-თან ბრძოლას ვერ მოიგებს. ამაში აბსოლუტურად ვარწმუნებ. სამწუხაროდ, მან ეს თავისი ცხოვრების მიზნად გაიხადა, რასაც ვერ განახორციელებს“.

— როცა „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელად დაინიშნეთ, ამბობდნენ, რომ ამით ნაციონალებს თქვენი დაცვა უნდოდათ, რადგან პროკურატურაში უკვე მზად იყო საქმე, სადაც ბრალს გდებდნენ ფინანსურ მანიპულაციებში.

— არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას. გადაჭარბებულია ჩემზე ასეთი წარმოდგენა.

— ნაციონალებმა ბევრი ილაპარაკეს, ხელისუფლებას თავისუფალ მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებდნენ...

— არამხოლოდ ნაციონალებმა, სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც ბევრი ილაპარაკეს, მაგალითად, „ახალმა მემარჯვენეებმა“, ლეიბორისტებმა. მე დაკავებული ვიყავი, როგორც „რუსთავი 2“-ის დირექტორი და არა, როგორც ნიკა გვარამია. მალე ნახავთ, რომ ეს ბრალდება არამარტო სასაცილოა, არამედ უსაფუძვლოც. რამდენიმე სხდომა დარჩა და სექტემბრის ბოლოს ალბათ პროცესი დასრულდება.

— ლეიბორისტები ახსენეთ. ცოტა ხნის წინ წერდით „ფეისბუქში“, შალვა ნათელაშვილი შემიყვარდაო. რამ შეგაყვარათ?

— ძალიან ნიჭიერი ადამიანია. ჩემი და მისი პოლიტიკური შეხედულებები სრულიად არ ემთხვევა ერთმანეთს, უფრო მეტიც, რადიკალურადაც განსხვავდება. ვფიქრობ, ის ძალიან ნიჭიერი ადამიანია არამხოლოდ ქართულ პოლიტიკაში, არამედ, საერთოდ, ქართულ სინამდვილეში. გულწრფელად მიყვარს.

— ეს მაშინ, როცა ერთ დროს ბრალდებულადაც კი გამოაცხადეთ?

— კი, ბრალდებულად მყავს გამოცხადებული, მაგრამ მართლა ნიჭიერი ადამიანია.

— ბიჭი, რომელსაც ხალხი იცნობდა, როგორც უზომოდ ნიჭიერს და ყველას უყვარდა, რამ წაიყვანა პოლიტიკაში?

— პოლიტიკა მაინტერესებდა. პროფესიით კონსტიტუციონალისტი ვარ და... არაჩვეულებრივი სამუშაო მქონდა — „თელასის“ იურისტი ვიყავი. 4-ჯერ უფრო მეტ ანაზღაურებას ვიღებდი, ვიდრე მერე, პარლამენტის წევრობისას. ჩემთვის კი ფული მნიშვნელოვანია. ცხოვრებაში არავის არაფერი მოუცია ჩემთვის. ყველაფერი თავად შევქმენი. დევნილი ვარ და მაშინ სახლიც არ მქონდა. უბრალოდ, მივხვდი, რომ 2004 წელს მქონდა შანსი და ეს უნდა გამომეყენებინა. მეასე ვიყავი ნაციონალური მოძრაობის სიაში და არც მეგონა, რომ პარლამენტში მოვხვდებოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოვხვდი.

— ბოლოს ისანეთ ეს საქციელი?

— არა. რამდენჯერაც უნდა განმეორებულიყო იგივე სიტუაცია, იმავეს ვიზამდი.

— ხალხის სიყვარული რომ დაკარგეთ?

— ვერ ვიტყოდი ასე. თუმცა მაშინ ნამდვილად ყველას ვუყვარდი და როცა პოლიტიკაში მიდიხარ, ყველას ვერ ეყვარები. არსებობს უფრო მნიშვნელოვანი რაღაც, ვიდრე პოპულარობაა. იურისტის რუტინულ ცხოვრებას ჩაენაცვლა ძალიან დინამიკური, საინტერესო, ბევრი შთაბეჭდილებით და გამოცდილებით სავსე ცხოვრება. თუმცა, ბუნებრივია, რომ ბევრი ადამიანის სიმპათია დავკარგე.

— საინტერესოა, განათლების მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ საზღვარგარეთ რის შესახებ წაკვლად წასულიხართ?

— გავიღრმავე ცოდნა ინგლისურ ენაში და ასევე — საერთაშორისო სამართალში.

— სახლი რიდის იყიდეთ?

— პარლამენტის წევრი ვიყავი, როცა „თელასიდან“ დიდი პრემია დამიჯდა ანგარიშზე. კონკრეტული საქმე მქონდა მოგებული და სამართლებრივად ასეა, რომ, როცა ხდება საქმის აღსრულება, მერე იურისტს პროცენტი ერიცხება. როცა ეს პროცენტი დამერიცხა, აღმოჩნდა, რომ ეს თანხა პარლამენტის წევრობის ერთი წლის შემოსავალზე რამდენჯერმე მეტი იყო და მაშინ დავფიქრდი, ფინანსურად რამდენად წამგებიანი ნაბიჯი გადავდგი. „თელასის“ მიერ დარიცხული პრემიით ბაგებში ვიყიდე ბინა. ეს თანხა ამისთვის საკმარისი იყო. სამოთახიანი ბინა იყო, 110 კვადრატული.

მერე ცოლი მოვიყვანე. ჩემს მეუღლეს ბიჭი ჰყავს, რომელსაც ჩვენთან უნდა ეცხოვრა. მაშინ მივხვდი, რომ ვერ დავეტეოდით. ის გავყიდე და ოთხოთახიანი ბინა ვიყიდე ხილიანის ქუჩაზე. ეს კრედიტის თანხით მოვახერხე. იქ ვცხოვრობდი, სანამ ხელისუფლებაში ვიყავი. მერე კი, როცა საზღვარგარეთიდან დავბრუნდი, მაღალანაზღაურებადი სამსახური მქონდა და შევძელი, კიდევ უფრო დიდი

Cyan Magenta Yellow Black

ბინა მეყიდა, ამჯერად უკვე ვაკეში. სამი შვილი მყავს ჩემი ცოლის უფროსი ვაჟის ჩათვლით და ჯერჯერობით ვეტევით.

— ხალიანის ქუჩაზე ბინა ისევ თქვენი საკუთრებაა?

— არა, ასეთი შეძლებული არ ვარ. საშუალო მცხოვრები გახლავართ.

— ისეთი თანამდებობები გეკავათ...

— როცა თანამდებობები მქონდა, სწორედ მაშინ მიჭირდა ყველაზე მეტად. საზღვარგარეთ სასწავლებლად ჩემი წასვლის მთავარი მოტივაცია სწორედ ფინანსური პრობლემები იყო. სამი შვილის ხელში... 3.500 ლარი მქონდა ხელფასი და პრემია ჩემთვის არასოდეს დამინიშნავს. პრემიის დანიშვნა არ არის კანონდარღვევა, მაგრამ მიჭირდა, რომ საკუთარი თავისთვის პრემია გამომეწერა. ეს არასოდეს გამიკეთებია. აღმოჩნდა, რომ გაცილებით მეტი მქონდა შემოსავალი, როცა ზურა ადეიშვილის მოადგილე ვიყავი, რადგან ყოველთვე პრემიას მიწერდა. როგორც კი მინისტრი გავხდი, აღარც პრემია მქონდა. გულწრფელად ვამბობ, რომ მაშინ გამიჭირდა.

— ნაციონალები მომდურლებსაც კი ასაჩუქრებდნენ ფულით მხარდაჭერისთვის და ვინ დაიჯერებს, რომ დოკუმენტური ფილმების — „ენვერის საქმე“, „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, „პატარკაცაშვილის საქმე“ — ერთ-ერთ შემქმნელს ფინანსურად ვიჭირდათ?

— „ენვერის საქმესთან“ კავშირი საერთოდ არ მაქვს. მე მაწერენ ფილმ „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ შექნას, რომელთანაც კავშირი ასევე არ მაქვს. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვნახე, რომ ამას მაბრალებდნენ. ეს ფილმი კავშირში არ არის პროკურატურასთან და იქ არც ჩემი ინტერვიუა. ჩემი ვრცელი ინტერვიუა „პატარკაცაშვილის საქმეში“. ფილმს — „ნოემბრიდან ნოემბრამდე“ — რაც შეეხება, ასეთი ხარისხის და შინაარსის სურათს არასოდეს გადავიღებდი. იქ რაღაც გაუგებრად მოდელირებულია მთელი სიტუაცია, რომელსაც არც — ჩემთან და არც პროკურატურასთან კავშირი არ აქვს. ჩემთვის არასოდეს არავის არაფერი უჩუქებია.

— მუდმივად არის საუბარი „რუსთავი 2“-ის კიდევ ერთხელ გაყიდვაზე. მისი შემქმნელები არწმუნებიან, რომ ნაციონალებმა მათ ეს ქონება წაართვეს.

— მათ თავიანთი საკუთრება გაყიდული აქვთ. ეს ჩემი საქმე არ არის.

— ყველამ ვიცით, როგორ დაათმობინეს მათ ეს ქონება.

— არ იცით სწორად. მე, როგორც იურისტი, გარწმუნებთ, რომ იმ ყოფილ მესაკუთრეებს, რომლებიც ახლა ჩივიან, საკუთრება გაყიდული აქვთ.

— კი, ბატონო, გეთანხმებით, რომ ნაციონალებს ქალაქზე ყველაფერი სუფთად აქვთ შესრულებული. სამართლებრივი პროცესებიც, როგორც პროკურატურაში ამბობენ, იმიტომ იწელება, რომ სწორედ იმ დანაშაულის ფაქტები, რომლებზეც დაზარალებულები ჰყავებიან, არაფის დაუტოვებია. დაშინებებს რომ ჰქონდა ადგილი, ხომ ყველამ ვიცით?

— „სუფთად აქვთ შესრულებული“ — რას ჰქვია?! რაღაც რომ სწორად კეთდება, ესე იგი, ის კონტრაქტი სწორია. ჭორები არ მაღელვებს, მე ფაქტები მაინტერესებს და არ მაინტერესებს, რას მოჰკარით თქვენ ან მე ყური. ბაჩო ახალაია რომ ბავშვებს ჭამს, ეს ჭორი გავიგეთ, მაგრამ ფაქტი მაინტერესებს, თუ რას მიუსჯის სასამართლო და რას დაადასტურებს პროკურატურა.

— ბატონო ნიკა, ფაქტია, რომ იმ ხელისუფლებამ, რომელსაც თქვენც წარმოადგენდით, დიდი კრახი განიცადა. როგორ ფიქრობთ, რატომ განვითარდა მოვლენები ასე?

— პოლიტიკაზე ბევრს არ ვილაპარაკებ, ჩემი თანამდებობრივი პოზიციიდან გამომდინარე. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ პროცესების განვითარებაში ვხედავ კანონზომიერებას. ნაციონალურმა მოძრაობამ იმ ეტაპზე საკუთარი თავი ამოწურა, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი რესურსები საბოლოოდ ამოწურულია. რაც შეეხება იმას, რომელი ძალითაც შეიცვალა, ამომრჩეველმა თვითონ განსაზღვროს — უკეთესით შეცვალეს თუ უარესით. ერთადერთი, მინდა ვთქვა, არ ილაპარაკონ, რომ „რუსთავი 2“ ვიღაცასთან შეკრულია, ვიღაცისია... არავისთან შეკრულები არ ვართ. ყველაზე დაბალანსებული საინფორმაციო გამოშვება გვაქვს. თუ მიხეილ სააკაშვილი „რუსთავი 2“-ის ეთერში ჩანს, იმის გამო კი არ ხდება, რომ ეს მისი ტელევიზიაა, არამედ იმიტომ, რომ ის საქართველოს პრეზიდენტია! ასევე ჩანს საქართველოს პრემიერმინისტრი, მაგრამ, პრეზიდენტისგან განსხვავებით, მას დიდად არ უყვარს საჯარო შეხვედრები, გამოსვლები და ა.შ.

— „რუსთავი 2“-ის ახალი სატელევიზიო სეზონი როგორი იქნება?

— საინტერესო იქნება როგორც ძველი, ისე ბევრი ახალი გადაცემით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ეს სეზონი გასული წელივით წარმატებული იყოს. გვექნება ახალი ტოქ შოუები, ახალი გასართობი გადაცემები და ახალი სერიალიც. კიდევ ერთი ქართული სერიალი გაჩნდება ჩვენს ბადეში. სიტუაციური კომედია, რომელშიც მონატრებული, ძალიან ცნობილი სახეები მონაწილეობენ.

„ახაჩვეულებრივი სამუშაო მქონდა — „თელასის“ იუხისტი ვიყავი. 4-ჯერ უფრო მეტ ანაზღაურებას ვიღებდი, ვიდრე მერე, პარლამენტის წევრობისას. ჩემთვის ფული ეს მნიშვნელოვანია. ცხოვრებაში არავის არაფერი მოუცია ჩემთვის. ყველაფერი თავად შევქმენი. დევნილი ვარ და მაშინ სახლიც არ მქონდა“.

— ახალი ჟურნალისტებიც გყავთ?

— ვცდილობთ, ჩვენი ჟურნალისტური თვალსაწიერი გავაფართოვოთ. ახლა ვიწყებთ სტაჟირებას. ვეცდებით, ახალი და საინტერესო სახეები დავამატოთ.

— ტელეკომპანია „მეცხრე არხიდან“ გათავისუფლდა უამრავი კადრი.

— გვირჩევნია, აქცენტი გავაკეთოთ ამ პროფესიაში ახალშემოსულ ადამიანებზე, რომლებსაც ახალი ხედვები აქვთ.

— „მეცხრე არხის“ კადრებს იწუნებთ?

— არავინ დამიწუნებია, რადგან არავის მოუმართავს. საერთოდ გვაქვს ასეთი სტრატეგია. სანამ „მეცხრე არხის“ ამბავი გაირკვეოდა, მანამდე დაიგეგმა ეს ყველაფერი. ხუთ უნივერსიტეტთან გვაქვს მემორანდუმი გაფორმებული და ვაპირებთ, მათთან ამ მიმართულებით აქტიურად ვიმუშაოთ. რაც შეეხება „მეცხრე არხის“ ჟურნალისტებს, გამორიცხული არაფერია.

— ამას წინათ ერთი კიწმარიშვილმა მითხრა, „რუსთავი 2“, როგორიც მე შევქმენი, ისევ ისეთია, მეტად აღარ განსხვავებულია.

— „რუსთავი 2“ ახლა ქონებითაც და ხარისხითაც 10-ჯერ უფრო დიდი კორპორაციაა, ვიდრე კიწმარიშვილის დროს და საერთოდ, ოდესმე იყო.

— „ფეისბუქში“ დაწერეთ, ტელეკომპანიებმა მეორე ადგილისთვის ბრძოლა დააწყესო. ვის გულისხმობდით?

— „იმედს“ და „მაესტროს“. ორივეს წარმატებას ვუსურვებ ამ ბრძოლაში.

— „მაესტროს“ ხელმძღვანელობა ამბობს, რეიტინგებში „რუსთავი 2“-ს ხშირად ჯობნითო.

— ასე არ არის, თუმცა „მაესტროს“ პროგრესი ნამდვილად აქვს, მათ შორის — სარედაქციო პოლიტიკის ნაწილშიც და ეს პატივისცემის ღირსია. ჩემთვის მოულოდნელი იყო ის, რაც ამ არხზე მოხდა. მეორე ადგილზე ყოფნით დაამთავრა ზაფხული.

— პირველი ადგილი რომ წაგართვათ?

— ამას გამოვრიცხავ და, მგონი, თვითონაც გამორიცხავენ. სწორი არჩევანი გააკეთეს — გადაწყვიტეს, მეორე ტელეკომპანია ერქვათ. ალბათ მოვა დრო, როცა პირველობაც მოუნდებათ.

— თქვენი მომდევნო ნაბიჯი რა იქნება, დარჩებით მედიასფეროში, ისევ პოლიტიკისკენ გაგაწყვეთ გული თუ სხვა გეგმები გაქვთ?

— ვერ გეტყვით. მე აქ ვმუშაობ, პატრიოტი ვარ და ძალიანაც მომწონს. კარგადაც ვგრძნობ აქ თავს. როცა ჩავთვლი, რომ ამოვწურე ჩემი თავი... ძალიან პატიოსანი მენეჯერი ვარ. თუ შევატყობ, რომ ინტერესი მაკლდება ანუ ჩემი შესაძლებლობები ვეღარ სწვდება და მორალურად მოძველდა ჩემი პერსონა კომპანიაში, სამსახურს გამოვიცვლი. ეჭვი მაქვს, რომ არ გამიჭირდება. ვერც იმას ვიტყვი, რომ პოლიტიკაში არასოდეს დავბრუნდები. სამი შვილი მყავს და ჩემთვის მნიშვნელოვანია ანაზღაურება. პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი შვილების წინაშე, მათ სჭირდებათ ბევრი ისეთი რამ, რისი მიცემაც გამიჭირდება დაბალი ანაზღაურების პირობებში. როცა შემიძლია, რომ უზრუნველვყო მათი მომავალი იმით, რომ ვიშოვო უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაო, რატომაც არა?! როცა სახელმწიფო სამსახურიდან მოდიხარ, კომერციულ სტრუქტურაში საქმიანობ და იქ გაქვს ათჯერ მეტი ხელფასი, ვიდრე მთავრობაში...

— „რუსთავი 2“-ში გაქვთ მთავრობის წევრებთან შედარებით ათჯერ მეტი ხელფასი?

— არა, აქ არ მაქვს. ხელფასი ჩემი მოთხოვნების მინიმუმს აკმაყოფილებს და საქმეც საინტერესოა. მიყვარს გამოწვევები და სირთულეების დაძლევა.

— მოსაცდელში გელოდებოდით და ისე სწრაფად შემოხვედით, მანეულ საკაკუილი გამახსენდა.

— არა, ასე ჩქარა არ დავდივარ, მაგრამ მართლა სულ მეჩქარება. ახლა შედარებით ადვილი გრაფიკი მაქვს. შემიძლია ღამის 10 საათზე სახლში მივიდე. 5 წელი ეს არ მღირსებია. სახლში მივდიოდი, როცა ჩემს შვილებს ეძინათ და მოვდიოდი, როცა ისევ ეძინათ. ახლა ისინი უფრო ადრე იღვიძებენ, ვიდრე მე.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლაოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. **ძ-ნი ქეთევანი.**

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

„40 წელია ერთი ქალი მიყვარს"

ამ წერილს 63 წლის კაცი გწერთ. „სარკე" ჩემი საყვარელი ჟურნალია, გულახდილი საუბრების რუბრიკას ხშირად ვკითხულობ. დიდხანს ვფიქრობდი, ჩემი ამბავი მომეწერა თუ არა თქვენთვის, მერე ჩემი ახალგაზრდობის მოგონებებმა მძლია და გადავწყვიტე, საზოგადოებისთვის გული გადამეშალა.

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, უფრო კონკრეტულად კი 40 წლის წინ. მეც სტუდენტი ვიყავი და „ისიც". პირველად თსუ-ის მეორე კორპუსის კიბეზე დავინახე — გოგონა ბევრი ფურცლითა და დაბნეული სახით. მაშინვე მომეწონა, როგორც იტყვიან, გულში ჩამივარდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ჩემი მეგობრის ჯგუფელი იყო. გავიცანი და ჩვენი ურთიერთობა მალევე აეწყო... ძალიან შემიყვარდა. მის გარეშე ერთ წუთსაც ვერ ვძლებდი. ისეთი ნაზი, ბავშვური და მხიარული იყო, ისეთი უშუალო...

ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, რომ არა ერთი საბედისწერო დღე. მეგობართან ვიყავი აგარაკზე. იქ ბევრი გოგონა იყო. ერთ-ერთი მოვიდა და თვითონ გამეცნო. დავლიეთ, ბევრი ვიცინეთ. ჩვენ ის ღამე ერთად გავატარეთ. ერთი შეხედვით იმ უმნიშვნელო ღამემ, სულ რამდენიმე საათმა, ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ის გოგო დაორსულდა. მე კი არ ვიცოდი, რა მექნა, საყვარელი ადამიანისთვის სიმართლე როგორ გამემხილა, მისთვის თვალებში როგორ ჩამეხედა. ბევრი ფიქრის შემდეგ ყველაზე ლაჩრული გადაწყვეტილება მივიღე — ყველანაირი ახსნა-განმარტების გარეშე მისი ცხოვრებიდან გავქრი.

9 თვეში მამა გავხდი, მე და იმ გოგოს შვილი გვეყოლა, ბიჭი. ამ მოვლენამ ჩემში ბევრი რამ შეცვალა, მხოლოდ ერთი რამ იყო უცლელი — მე ისევ ის მიყვარდა, ჩემი ძველი სიყვარული. მასზე ფიქრი არასოდეს შემიწყვეტია. ჩემი შვილის დედა ცოლად არ შემირთავს. ხშირად, ძალიან ხშირად დავდიოდი მის უბანში, რომ შორიდან მაინც მომეკრა თვალი, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ვიცოდი, მასთან ახლოს მისვლას ვერ გავბედავდი.

გავიდა 5 წელი. ვეღარ გავუძელი და სახლში დავურეკე. მეშინოდა, ყურმილი მის შვილს ან ქმარს არ აეღო. ახლაც მახსოვს ის შეგრძნება, რაც მისი ხმის გაგონებისას დამეუფლა. არ მეგონა, თუ მიცნობდა, მაგრამ შევცდი. მიხვდა, ვინც ვიყავი. 3 საათი ვილაპარაკეთ. ისევ ისეთი საყვარელი და მხიარული იყო, როგორც ადრე. ყველაფერი მოვუყევი და შეხვედრა ვთხოვე, ამ დროს ჩემი შვილის დედასთან უკვე დაშორებული ვიყავი. მან, რა თქმა უნდა, უარი მითხრა, რადგან სხვა უყვარდა.

ჩემი ცხოვრების საყვარელ ქალს ამ ამბიდან 15 წლის მერე შემთხვევით შევხვდი, რესტორანში. ქმართან ერთად იყო. ისეთი ხალისიანი და ბედნიერი ჩანდა, ახლოს მისვლაც ვერ გავბედე.

არაჩვეულებრივი ოჯახი მყავს — ცოლი, ორი შვილი და ულამაზესი შვილიშვილი, რომელსაც ჩემი საყვარელი ქალის სახელი დავარქვი. იმ დღიდან, როცა მე მას პირველად შევხვდი, 40 წელი გავიდა, მაგრამ მე ის ისევე მიყვარს, როგორც ადრე. კი, ცოლიც მიყვარს, მაგრამ ისე ძლიერად არა, როგორც ის.

მასზე ხშირად ვფიქრობ. მინდა, რომ ძალიან ბედნიერი იყოს, ყველაზე ბედნიერი. ჩემთვის ის ყოველთვის იქნება ქალის იდეალი, ჩემი მუზა... ისეთივე ნაზი, ლამაზი და მხიარული, როგორიც 40 წლის წინ იყო.

ჰატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი

„თავს ვერ ვპატიობ, რომ შვილი მოძალადე ყაცის ხელში ჩავაგდე"

ჩემი გოგონა ნამდვილი მონსტრის ხელშია, ქმარი საშინლად სცემს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ სატანჯველში მე ჩავაგდე, მე შევუჩნდი, რომ ცოლად მას გაჰყოლოდა.

ჩემს შვილს სკოლის ასაკიდან ერთი ბიჭი უყვარდა, რომელიც არ მომწონდა. ახლა რომ ვფიქრობ, ვერც კი ვხვდები, იმ ბავშვს რას ვუწუნებდი, მაგრამ ავითვალწუნე. მაღიზიანებდა, ჩემი შვილის გვერდით რომ ვხედავდი. ყველაფერი გავაკეთე, რომ მას არ შეხვედროდა და ეს მოვახერხე კიდეც.

ერთი თანამშრომელი მყავდა, რომელმაც ჩემს გოგონას თვალი დაადგა, ჩემი რძალი უნდა გახდესო. სულ თავის ბიჭზე მელაპარაკებოდა, თავის ოჯახზე. უცნაურია, მაგრამ თითქოს მივეჩვიე იმაზე ფიქრს, რომ ჩემი შვილი მართლაც მათი რძალი უნდა გამხდარიყო. მის შვილს უკვე სასიძოდ აღვიქვამდი. ოჯახში სულ მათზე მქონდა ლაპარაკი. ჩემი გოგონა სტუდენტი რომ გახდა, თანამშრომელი სახლში მესტუმრა და მითხრა, იქნებ ჩვენი შვილების ქორწინებაზე ვიფიქროთ, შენი გოგო უცხო ბიჭებს გაიცნობს, ვინ იცის, ვის გადაეყრება და არ გინდა, ნორმალურ პატრონს ჩააბაროო. მისი ნათქვამი მეც ჭკუაში დამიჯდა. ქმარს და შვილს შევუჩნდი, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებამეთქი. ჩემს გოგონას იმდენი ვეჩიჩინე, სანამ გვირგვინი არ დავადგი თავზე. დამიჯერა და ცოლად ჩემი თანამშრომლის ბიჭს გაჰყვა.



ახლა იმ დღეს ვწყევლი, როცა ასე დავბრმავდი და დავყრუვდი. არადა სხვა თანამშრომელები პირდაპირ მეუბნებოდნენ, მისი ბიჭი არ მოგვწონს, ხშირად ვხედავთ, ქუჩაში როგორ ჩხუბობს, აგრესიულია, ამიტომ კარგად დაფიქრდი, არ შეცდეო. მდიდარი ოჯახი ჰქონდათ და მეგონა, შურის გამო მეუბნებოდნენ, რომ არ უნდოდათ, ჩემი გოგონა კარგ ბედში ჩავარდნილიყო. თურმე ჩემი კეთილისმსურველები იყვნენ, მე კი...

ჩემი სიძე პათოლოგიური ეჭვიანია. თუ დალია, მტრისას, ვერავინ აკავებს. ჩემს გოგონას უმოწყალოდ სცემს. ამას წინათ მათთან ვიყავი სტუმრად. ცოტა ნასვამი მოვიდა. ჩემს შვილს დაქალმა ესემესი გამოუგზავნა. ჩემმა გოგონამ ქმარს წააკითხა, ვისი გამოგზავნილიც იყო, მაგრამ მაინც აუშარდა, გოგოს სახელით გყავს ტელეფონში შენი საყვარელი შეყვანილი, მატყუებო. ეხვეწებოდა, მოდი, დავურეკოთ, დაგალაპარაკებო. ის კი მაინც თავისას გაიძახოდა. ბოლოს მეც არ მომერიდა, ჩემს შვილს დაეტაკა, იატაკაზე დააგდო და წიხლები დაუშინა. თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა. იქვე ჩავიკეცე, ექიმების მოსაბრუნებელი გავხდი. ჩემი შვილი სახლში წამოვიყვანე, მაგრამ ჩემმა ქმარმა გულცივობა გამოიჩინა. იმის ნაცვლად, რომ შვილს მოფერებოდა, წაეჩხუბა. მერე მე დამიწყო ყვირილი, ყველაფერი შენი ბრალია, შენ გაათხოვე, ახლა ორივეს ქუჩაში გაგყრითო. ჩემი შვილი რამდენიმე დღეს გაჩერდა ჩვენთან და მერე ისევ ქმართან დაბრუნდა. მიხვდა, რომ მამამისისგან თანაგრძნობას და დახმარებას ვერ ეღირსებოდა.

ბოლო დროს უცხოეთში წასვლაზე ვფიქრობ. მინდა, ვიმუშაო და ჩემს შვილს ბინა ვუყიდო. წასასვლელი რომ ექნება, იქნებ ქმარს ადვილად დააღწიოს თავი. ჩემს გოგონას თუ მალე არ ვუშველე, შეიძლება ქმარმა მოკლას. ღამეები არ მძინავს, მეშინია, რამე არ დაემართოს. საკუთარ თავს არასოდეს ვაპატიებ, რომ მის ცხოვრებაში ჩავერიე და მოძალადე ქმრის ხელში ჩავაგდე.

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
   1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. **ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„ძალე შვილს გავაჩენ, მე ჯერ თავშესაფარიც არ მაქვს"

ბატონო ამარჯობა! „სარკეს" ყოველთვის ვკითხულობ, ამიტომაც დახმარებისთვის თქვენ მოგმართავთ. ძალიან გთხოვთ, ეს წერილი დაბეჭდეთ. ახლა ადამიანების დახმარება ძალიან მჭირდება.

შეყვარებულისგან ორსულად ვარ, ოქტომბერში ბავშვს ველოდები. ეს დიდი სიხარულია ჩემთვის, თითქოს შევეგუე, მარტოხელა დედა რომ ვიქნები, მაგრამ ძალიან დიდი პრობლემების წინაშე ვარ. ოჯახში ცხრა სული ვცხოვრობთ და ბავშვის გასაზრდელად არანაირი პირობა არ მაქვს. ისიც კი არ ვიცი, მე და ჩემმა პატარამ სად უნდა ვიცხოვროთ, თავშესაფარი არ მაქვს. იქნებ ვინმემ მირჩიოს, სად შეიძლება, რომ მე და ჩემმა შვილმა დროებით მაინც ვიცხოვროთ. გთხოვთ, კეთილ რჩევებს ნუ დაიზარებთ და რედაქციის საშუალებით გამომეხმაურეთ.

„სარკის" მკითხველი

„ასაკით უფროსი მამაკაცები არ შეიყვაროთ!"

მოგესალმებით! ჩემი ამბის მოყოლა ძალიან მომინდა და ამიტომაც მოგმართეთ. მეგონა, ასაკით უფროსმა მამაკაცებმა ქალის სიყვარული და პატივისცემა უკეთ იცოდნენ, ვიდრე პატარა ბიჭებმა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. ჩემს ცხოვრებაშიც გამოჩნდა მამაკაცი, რომელმაც ლამაზი სიტყვებით მომხიბლა. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 15 წელი იყო. როცა ერთად ვიყავით, უცნობებს მისი ქალიშვილი ვეგონე.

მეგონა, მასთან ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ეჭვიანობა დაიწყო, ძალიან ცუდად მექცეოდა. ვარწმუნებდი, რომ მიყვარდა, მაგრამ არ მიჯერებდა. თანდათან მისი ნამდვილი სახე დავინახე, მივხვდი, რომ ჩემი ახალგაზრდობის შურდა. იმდენი მოახერხა, რომ მის მიმართ გრძნობა გამიქრა, დღეს უკვე აღარ მიყვარს.

გარეგნულად გამორჩეული გოგო ვარ და ვნანობ, რომ ჩემს თანატოლ ბიჭებს ის ვამჯობინე. ყველა გოგონას ვურჩევ, ასაკით უფროს მამაკაცებს არ ენდონ. მათი დაპირებებით თავს ნუ მოიტყუებენ.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურება

„ჩემი შვილიც გაიქცა ბიოლოგიურ დედასთან. მაგრამ მალევე უკან დაბრუნდა"

„სარკის" 36-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ჩემი გოგონა ბიოლოგიურ დედასთან გაიქცა". მინდა, ეს ქალი დავამშვიდო და ვუთხრა, რომ არ ინერვიულოს, მისი გოგონა მალე დაუბრუნდება. ამას საკუთარი გამოცდილებით გეუბნები. მეც სხვისი შვილის დედა ვარ. ჩემმა ბიჭმა გარდატეხის ასაკში გაიგო, რომ ნაშვილები იყო. საშინელ დღეში ჩავარდა, რატომღაც ჩემი და ჩემი ქმრის დადანაშაულება დაიწყო, მაგრამ — რაში, მართლა ვერ გავიგეთ. ვერ ვხვდებოდით, რატომ იყო დანაშაული, რომ მიტოვებული ბავშვი გავზარდეთ. ვითომ ტყუილს ვერ გვპატიობდა.

ბოლოს ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რომ ბიოლოგიური დედა ჩვენ თვითონ მოვაძებნინეთ. ჩვენი ბიჭი მასთან გაიქცა. ეს ყველაფერი ძალიან მტკივნეული იყო ჩვენთვის. ჩემი ქმარი ამ ამბავს ლამის შეეწირა. ცოტა ხანში კი თავზე დაგვადგა, ბოდიში მოგვიხადა და გვითხრა, თქვენ ხართ ჩემი მშობლებიო. ახლა ჩვენთან არის და იმაზე თბილად გვექცევა,ვიდრე ადრე. ასე რომ, თქვენც მშვიდად იყავით, თქვენი გოგონა მოვა და პატიებას გთხოვთ.

თქვენი კეთილისმსურველი. „სარკის" ერთგული მკითხველი

ჰეპალინა

PICORRHIZA KURROA: ღვიძლის მეტაბოლური პროცესების გასაუმჯობესებელი, ნაღვლმდენი საშუალება.

PHYLLANTHUS AMARUS: ჰეპატო-პროტექტორი. მადის მომგვრელი, იგი ახდენს უჯრედების მემბრანის სტაბილიზებას. აფერხებს მათ შემდგომ დაშლას და უჯრედებში ჰეპატოტოქსიკური ნივთიერებების შეღწევას.

BOERRHAVAIA DIFFUSA: შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო, ძალების აღმდგენი.

PIPER LOMGUM: ანტიბაქტერიული, მადის მომგვრელი.

ჰეპალინა იცავს ღვიძლს ტოქსინებისა და ინფექციისაგან, აღადგენს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებას, აიოლებს საკვების მონელებას, იცავს ღვიძლის ქსოვილს ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებისაგან. ცილებისა და ფოსფოლიპიდების სინთეზის სტიმულაციით პრეპარატი აჩქარებს დაზიანებული ჰეპატოციტების რეგენერაციას.

დოზირება: ორი კაფსულა დღეში ორჯერ ან ექიმის დანიშნულების მიხედვით. ალკოჰოლის მიღების შემთხვევაში: ალკოჰოლის მიღებამდე ერთი საათით ადრე ორი აბი. დილით უზმოზე ორი აბი ამცირებს ნაბახუსევის სინდრომს.

ჩვენებები: პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ღვიძლის ფუნქციის დარღვევის დროს: ღვიძლის დაავადებების პროფილაქტიკა, ღვიძლის ქრონიკული ანთებითი დაავადებები, სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლის ცხიმოვანი დეგენერაცია, ღვიძლის ალკოჰოლური და ტოქსიკური დაზიანებები, ღვიძლის ციროზის მკურნალობა კომბინირებულ თერაპიაში, ნაბახუსევის სინდრომი.

• გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
• გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

„ტიტანი" გისურვებთ ჯანმრთელობას და ჰარმონიულ ცხოვრებას!

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32

Cyan Magenta Yellow Black

რატომ იყო წინააღმდეგი გუგა კუზანოვის ცოლი ქმრის აცეკვების

ნინო ნადირაძე: „ქმარს ვერავინ წამართმევს!“

გუგა კუზანოვი: „თუ რომელიმე პროფესიონალი მოცეკვავე გამაკრიტიკებს, ამისთვის მზად ვარ“

■ ნინო და გუგა

ესლასტიკური ქირურგი გუგა კუზანოვი თავის შესაძლებლობებს პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებ“-ში მოსინჯავს. ეს გადაწყვეტილება სპონტანურად მიიღო, თუმცა იმედი აქვს, რომ წარმატებას მიაღწევს. მისი მეუღლე ნინო ნადირაძე ქმრის აცეკვების სასტიკი წინააღმდეგი იყო. სხვათა შორის, ამ პროექტში მონაწილეობის მიღებას მასაც სთავაზობდნენ, მაგრამ ექიმი-კარდიოლოგი ვერ დაითანხმეს. ცეკვა მისთვის საინტერესო არ არის, სამაგიეროდ გუგა წარსულში თავის წრეში ბრეიკ დანსისა და როკ ენ როლის კარგ შემსრულებლად ითვლებოდა.

მოკლედ, ცეკვებმა კუზანოვების ოჯახში დისონანსი შეიტანა. გუგას ეშინია, ამ პროექტით მისი საქმე არ დაზარალდეს, მის ცოლს კი ის აფიქრებს, ქმრის ცეკვა-თამაშმა ოჯახურ ბიუჯეტზე ცუდად არ იმოქმედოს.

ნინოს და გუგას ოჯახური ცხოვრება 20 წელს ითვლის. როგორც თავად ირწმუნებიან, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ტიპაჟები არიან, რაც მათ ურთიერთობას უფრო ავსებს.

— ნინო, თქვენ ხომ არ უბიძგეთ გუგას, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავებ“-ში მიეღო მონაწილეობა?

ნინო: არა, რას ამბობთ! თავიდან ისეთი წინააღმდეგი ვიყავი, ვიჩხუბეთ კიდეც, შენი ცეკვის გამო ფინანსები მოგვაკლდება, რა დროს ცეკვა-თამაშია-მეთქი. მერე მივხვდი, რომ შეიძლებოდა ეს ცეკვები გუგასთვის უკეთესიც ყოფილიყო. სულ თავის საქმეზეა გადართული, ამ პროექტით გაერთობა. ფიზიკურად კი დაიტვირთება, მაგრამ კარგი რელაქსაცია იქნება მისთვის. მხოლოდ იმას ვდარდობ, რომ სახსრები აწუხებს და მეშინია, ფიზიკური დატვირთვის შემდეგ მუხლის ტკივილები არ დაეწყოს. სხვათა შორის, წინა სეზონში შემომთავაზეს, რომ მეც მეცეკვა, მაგრამ სასტიკი უარი ვთქვი.

გუგა: ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ პროექტში მივიღო მონაწილეობა. კარგი მოცეკვავე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემზე ვერც იმას იტყვიან, ცეკვა არ იცისო. ერთადერთი, სულ იმაზე ვფიქრობ, რომ ამ ცეკვების გამო ჩემი საქმე არ დაზარალდეს.

ნინო: ხომ იცით, კაცი რომ ასაკში შედის, ახალ შთაბეჭდილებებს და თავგადასავლებს ეძებს. ალბათ გუგას ეს ასაკიც დაუდგა. ვფიქრობ, ეს პროექტი ძალიან გაახალისებს.

— გუგა, ყველაზე მეტად რისი გეშინათ?

გუგა: არაფრის, დარწმუნებული ვარ, რომ ცუდად არ ვიცეკვებ. კარგად ვცეკვავდი როკ ენ როლს, კლასიკური ცეკვებიც მომწონს. ვგიჟდები ბალეტზე და, როგორც კი დრო მაქვს, მაშინვე ოპერის თეატრში მივდივარ.

— წყეულებაზე როცა სართ, გიყვართ ერთად ცეკვა?

ნინო: მე — არა, ძალიან მძიმე ხასიათი მაქვს და დროსტარების მოყვარული ნამდვილად არ გახლავართ. ამ მხრივ, გუგა უფრო ხალისიანია. კორპორატიულ საღამოებზე გუგას დამჯდარს ვერ ნახავთ, არადა გარედან პირიქით ჩანს, თითქოს მე ვარ მხიარული, გუგა — მოქუფრული. წვეულებები მალე მწყინდება, სუფრასთან ჯდომა საერთოდ არ მიყვარს. ცეკვის მიმართ კი ჩემებური დამოკიდებულება მაქვს, ვთვლი, რომ ცეკვა ფლირტის ერთ-ერთი სახეობაა. ვიღაცას რომ ეცეკვები, რაღაცნაირად კეკლუცობ, ეპრანჭები, რაღაცას ანიშნებ. გუგასთან არც ფლირტი მაქვს და არც იმ დონეზე ვეპრანჭები, რომ ეს ცეკვით ავუხსნა. მონადირებული მყავს და აღარ გავისარჯები, რომ ცეკვებით მინიშნებები გავუკეთო. საერთოდ, ცხოვრებაში ტყუილად არაფერს ვაკეთებ, ამიტომ ჩემთვის გუგასთან ცეკვა დროის ტყუილი ფლანგვაა. წვეულებაზე, მირჩევნია, ფხალი ან გოჭის ხორცი გადავიღო და იმის ათვისებაზე ვიფიქრო, ვიდრე ცეკვაზე.

> **ნინო:** „გუგა დიეტაზეა, ღიპი დაიგდო და ბლანჟე მოუშვა. 10 კილოზე მეტი დაიკლო, რადგან შიმშილს ადვილად იტანს“.

— რა შეგრძნება გეუფლებათ, როდესაც თქვენი ქმარი სხვა ქალს ეცეკვება?

ნინო: აი, თქვენ თვითონ გასცემთ ახლა ამ კითხვას პასუხს. სად გინახავთ, ყველაზე „მოგულავე“ კაცები ცეკვავდნენ? ისინი ჩუმ-ჩუმად დაძვრებიან. ყოველთვის მომხრე ვარ, გუგა გახალისდეს, ჩემნაირი უუმური არ იყოს, იცეკვოს და იმღეროს.

— არ ცდილობთ, როგორც თავად უწოდებთ, თქვენს „უუმურ“ ხასიათს უმკურნალოთ?

ნინო: არა, რას ამბობთ! ჩემს თავზე ვგიჟდები, ის ყველანაირი მომწონს. მთელი ცხოვრება ვსწავლობდი და თავს ვიკლავდი, რომ იმისთვის მიმეღწია, რაც დღეს მაქვს. იმ დროს, როცა ჩემი თაობის გოგონები ერთობოდნენ, მე წიგნებიდან თავს არ ვწევდი. ბევრი რამ დავიკელი, რომ დღევანდელი ცხოვრება მომეწყო.

— ნინო, ალბათ გერჩიოთ, წინა სეზონში მიეღო გუგას მონაწილეობა, სანამ თქვენი დაქალი, ია ფარულავა იყო ჟიურის წევრი.

ნინო: ჰო, გვეგონა, რომ წელსაც იქნებოდა და იმედი მქონდა, ია უპატრონებდა და ყველაზე ავი ჟიურის წევრი გუგას „კრიშა“ გახდებოდა. როცა გავიგე, რომ გუგა პროექტში მიიღებდა მონაწილეობას, პირველად იას შევჩივლე, მგონი, ქმარი გამიგიჟდა-მეთქი. დამარწმუნა, გახალისდება, მასზე დადებითად იმოქმედებსო.

— გუგა, ჟიური არ გაშინებთ? ხანდახან ძალიან მკაცრი შეფასებები აქვთ.

გუგა: არა, რადგან მე თვითონაც ეგეთი ვარ. მკაცრი ვარ იმ საქმეში, რაც კარგად ვიცი. ჩემი რეზიდენტებისგან მაქსიმუმს ვითხოვ. თუ რომელიმე პროფესიონალი მოცეკვავე გამაკრიტიკებს, ამისთვის მზად ვარ. შემოვიდნენ საოპერაციოში და მერე ვნახოთ, ვინ ვინ იქნება.

— ნინო, როგორ ფიქრობთ, რა არის აუცილებელი, რომ გუგამ ამ პროექტში გაიმარჯვოს?

ნინო: რა თქმა უნდა, ცეკვის ხარისხი წამყვანია, მაგრამ პირადად ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, კონკურსანტი რამდენად მუშაობს საკუთარ თავზე. წინა სეზონებზე რამდენიმე კონკურსანტი ისე გამოდიოდა, თითქოს მაყურებელს მათი ვალი ჰქონდა. გუგა ყველა საქმეს ძალიან სერიოზულად ეკიდება, ამიტომ მეშინია, ცეკვებშიც სერიოზულად არ გადავარდეს.

— როგორ უდგახართ ქმარს გვერდით, ამ რთული კონკურსისთვის რომ მოემზადოს?

ნინო: არანაირად! დიეტაზეა, ღიპი დაიგდო და ბლანჟე მოუშვა. ყოველთვის მინდოდა, ჩემს ქმარს ბლანჟე ჰქონოდა. ერთხელაც გაიკეთა, წლების წინ და მამამისმა, ივამ რომ დაინახა, ლამის გული შეუწუხდა. მიყვარს, როდესაც მამაკაცს კოხტად აცვია, გამორჩეულია, რაღაც დეტალი აქვს ისეთი, რომელიც მას განსაკუთრებულს ხდის. ამ ზაფხულის ბოლოს თურქეთში დავისვენეთ და იქ გადწყვიტა, ბლანჟე მოეშვა. 10 კილოზე მეტი დაიკლო, რადგან შიმშილს ადვილად იკლავს.

> **გუგა:** „რომ დათვალოთ, ამ კაბინეტში რამდენი ქალი იხდის... მთელი ცხოვრება ქალებში ვარ, მაგრამ ამის გამო პირად ცხოვრებაში პრობლემა არასოდეს შემქმნია.“.

— როგორ ფიქრობთ, თქვენს ქმარს ყველაზე მეტად რა ცეკვა მოუხდება და რა — არა?

ნინო: ვერაფრით წარმომიდგენია გუგა დავლურებსა და კინტაურებში. დანარჩენ ცეკვებში იდეალური იქნება. თუმცა ისიც ვიცი, რომ ბევრს ვიცინებ, რადგან სამეჯლისო ცეკვებში მამაკაცის მოძრაობა ხანდახან ნაზია ან შეიძლება პირიქითაც მოხდეს და სასაცილოდ სულაც არ მქონდეს საქმე.

— იდილიური დასვენება გქონდათ?

ნინო: ეს იყო პირველი დასვენება, როდესაც მე და ჩემს ქმარს არ გვიჩხუბია. ისე კარგად ვიყავით, რომ თბილისში ჩამოსვლაც არ გვინდოდა. ხანდახან ვფიქრობ, ქარიშხლის წინ სიჩუმე რომ იცის, ჩვენ შემთხვევაშიც ასე ხომ არ არის. ჩვენ ვართ ორი ადამიანი, რომელთაც ყველა საკითხზე აბსოლუტურად განსხვავებული აზრები გვაქვს. თურქეთში მურაბა წყვილივით დავისვენეთ. როგორც კი საქართველოს საზღვარი გადმოვჭერით, მაშინვე ჩხუბი დავიწყეთ. ალბათ ყველაზე მეტად იმან გვიშველა, რომ გადავწყვიტეთ, დასვენების დღეებში კონტაქტი არავისთან გვქონოდა, მობილურები და ინტერნეტი გავთიშეთ. ვუყურებდი

Cyan Magenta Yellow Black

თურქულ სერიალს, ვირუჯებოდი და ქმარ-შვილთან ვნებივრობდი.

არ შემიძლია ვისაუბრო თურქეთზე და ერთი უცნაური მომენტი არ გავიხსენო. საკუთარ სახლს ვიშენებთ დიღომში და ამიტომ მთელი ჩვენი ფინანსები მშენებლობაზე მიდის. ამიტომ თურქეთში წასვლის წინ გუგამ მითხრა, ყველაფერი შეგიძლია თქვა, გარდა იმისა, რომ რამე ვიყიდო შენთვის. ხომ იცი, შენს ტანსაცმელს და ფეხსაცმელს სახლი ვეღარ იტევსო. მეც მივეცი პირობა, რომ მაღაზიისკენ არ გავიხედავდი. ერთ-ერთ მაღაზიაში ფეხსაცმელმა შემახედა და... კოლოსალური თანხა ღირდა, იმდენად მომეწონა, ფასის აღქმის უნარი დავკარგე.

— მაინც რა ღირდა?

ნინო: 50%-იანი ფასდაკლება იყო და 2.500 ლარი გამოდიოდა. როგორც კი ფეხსაცმელი ფეხზე მოვისინჯე, გუგა მაღაზიიდან გავიდა. იძულებული ვიყავი, უკან გამოვსულიყავი, მაგრამ მერე ისევ შევედი მაღაზიაში. კიდევ ერთხელ რომ მოვისინჯე ფეხსაცმელი, გამყიდველებმა ჩათვალეს, რომ ვიღებდი და შეფუთვა დაიწყეს. ფულის გადახდის დრო რომ დადგა, გუგა ისევ გაქცეული დამხვდა მაღაზიიდან. ჩემს შვილს შემოვაყვანინე. ვერ წარმოიდგენთ, ფული როგორი სახით გადაიხადა. მაღაზიიდან ძალიან გახარებული, ფეხსაცმელჩახუტებული გამოვედი, გუგა კი სულ იგინებოდა. ისეთი ამინდი წამოვიდა, რომ, მგონი, იმ ფეხსაცმელს თბილისში ვეღარ ჩავიცვამ.

გუგა: ნინოს რამდენი ფეხსაცმელიც უნდა ჰქონდეს, მაინც არ ყოფნის. ყოველთვის ვიცი, რომ მის ფეხსაცმელებში ფულის ხარჯვა უაზრობაა, მაგრამ უარს მაინც ვერ ვეუბნები, რადგან ვიცი, სიამოვნებს.

— ნინო, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ წყვილს აშკარად საფრთხეს უქმნის. ამ პროექტის რამდენიმე მონაწილე შეყვარებულს დაშორდა. ამაზე არ გიფიქრიათ?

ნინო: ჩემნაირ ქალებს ქმრები არ შორდებიან. ჩემი ქმრის სამუშაო ოთახში ტიტველი ქალები დარბიან და არ ვნერვიულობ და რაღა ცეკვის დროს მოხდება რამე? გუგა ვერ გადაიტანს, რომ მის გარეშე ვიყო. მე ისეთი ბრილიანტი ვარ ქმრისთვის, რომ მუდამ თან უნდა ვყავდე. შეიძლება 20-25 წლის ასაკში ინერვიულო, როცა არავინ ხარ, მაგრამ ახლა ასე არ არის.

— თქვენი 20 წლიანი ოჯახის საიდუმლო რაში მდგომარეობს?

ნინო: ერთმანეთს თავს არასოდეს ვაბეზრებთ, დღის განმავლობაში ერთიმეორეს, მაქსიმუმი, ორი საათით ვხვდებით. შემიძლია დავიფიცო, რომ ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა მოსაბეზრებელი არ ყოფილა. არ ვართ ერთმანეთზე დამოკიდებულები, ჩვენი თანაცხოვრება არის ორი დამოუკიდებელი ადამიანის ურთიერთობა. თანაც, ორივე ძალიან ტრადიციული ოჯახის შვილები ვართ, სადაც ოჯახური ღირებულებები ყოველთვის პირველ ადგილზე დგას. მყარი ოჯახი გვაქვს და ყველაზე მეტად მაინც ჩვენი დაშორება უნდათ. ინტერნეტში ერთი ამბავია ატეხილი. მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ გუგა პროექტში მონაწილეობს, ვიღაც მოცლილები წერენ, რომ მაგ მხიარულ ქალს ახლა კი „დაერხვა“, ქმარს რომ „აახევენო“. მინდა, მათ ვუთხრა, რომ ასე არ მოხდება.

— როგორ ფიქრობთ, რატომ ხართ თუნდაც ადამიანების ერთი ჯგუფის სამიზნე?

ნინო: იმიტომ, რომ, რაც უნდა პრობლემა მქონდეს, ამაზე არასოდეს ვლაპარაკობ, სახეზეც ვერავინ შემატყობს, რა მიჭირს.

— ალბათ ერთი მიზეზი ისიც არის, ელიტურ შეკრებებზე ხშირად ჩანხართ, ცნობილია, რომ გიყვართ კარგად ჩაცმა და ამაში ფული არ გაგანებათ.

ნინო: ეს იმიჯიც არასწორია, სადმე, რომელიმე წვეულებაზე მნახეთ მთვრალი, რომ თავზე ვიმხობდი ყველაფერს? ღამის 10 საათის შემდეგ ვერავინ მნახავს კლუბში ან წვეულებაზე. ყველგან თავაზიანობის გამო მივდივარ და რამდენიმე წუთში უკან ვბრუნდები. ის ინტერესები, რაც ასეთ წვეულებებზე აქვთ ხოლმე, მე არ გამაჩნია, არავის ვეძებ, არ მინდა ახალი თავგადასავლები. ყველაზე დიდ სიამოვნებას საქმით ვიღებ,ახლა მთლიანად ჩემი კლინიკის მოწყობით ვარ დაკავებული.

— მაგრამ ძვირფას ნივთებზე ფულის ხარჯვა ხომ ნამდვილად თქვენი სტიქიაა?

ნინო: კი, ეს ჩემი მინუსია, შემიძლია ბოლო თეთრები კარგ ფეხსაცმელში გადავყარო და ამის გამო მთელი თვე საჭმელი არ ვჭამო. კარგი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ბავშვობიდან მიყვარს.

— ალბათ ამის გამო ვერასოდეს იცხოვრებდით მამაკაცთან, ვისაც დაბალი შემოსავალი ექნებოდა.

ნინო: ვერ ავიტან, ქმარი ჩემზე იყოს ჩამოკიდებული. ყველაფერს გავაკეთებდი, ისეთ ადამიანად მექცია, რომელიც ფინანსურად მყარად დადგებოდა. ანუ ჩემ გვერდით რომ სხვა მამაკაცი ყოფილიყო, მისგან მაინც გუგა კუზანოვს შევქმნიდი. გუგა თავიდანვე ასეთი არ ყოფილა, გვერდით მე და მამამისი ვედექით. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ხელი არაფერში შეშლოდა და ყოველთვის წინ ევლო.

— გამოდის, რომ ძვირად შესანახი ცოლი ხართ.

ნინო: კი, მაგრამ კარგია, რომ გვერდით გუგასნაირი მამაკაცი მყავს. ისიც რომ ჩემნაირი იყოს, მაშინ სახლი მარტო ფეხსაცმელებით და ტანსაცმლით მექნებოდა სავსე. ჩემს თვალხარბობას კარგად არეგულირებს.

— კონკურსის ფარგლებში გუგას მოუწევს იცეკვოს რუმბა, რომელსაც სიყვარულის ცეკვას ეძახიან. გული არ დაგწყდებათ, რომ მას თქვენთან ვერ შეასრულებს?

ნინო: 20 წელია გუგა ჩემთან ცეკვავს რუმბას და ერთხელ თუ სხვასთან იცეკვებს, მერე რა! მერწმუნეთ, გუგას ცეკვებზე ნამდვილად არ ვნერვიულობ. არ განვეკუთვნები რომანტიკული ქალების კატეგორიას, ვისთვისაც ცეკვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყოველდღიური ურთიერთობა. მე ყოველდღე მჭირდება ქმრისგან სიყვარულის დამტკიცება. შესაბამისად, სამწუთიანი რუმბით ვერც ერთი კაცი მომხიბლავს.

გუგა: რომ დათვალოთ, ამ კაბინეტში რამდენი ქალი იხდის... მთელი ცხოვრება ქალებში ვარ, მაგრამ ამის გამო პირად ცხოვრებაში პრობლემა არასოდეს შემქმნია.

— ნინოს ერთხელაც არ უეჭვიანია თქვენს პაციენტებზე?

გუგა: არა და არც მე მიეჭვიანია მის პაციენტებზე. ნინო კარდიოლოგია, გული კი უმეტესად მამაკაცებს აწუხებთ... მე და ნინო ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მაგალითად, ნინოს სოფელი არ უყვარს, ასფალტის ქალია. აგარაკზე არასოდეს მომყვება. მე კი მამასთან და ძმასთან ერთად ხშირად დავდივარ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ოფროუდით ვართ გატაცებული. ბუნებრივია, ნინოს არც ეს ესმის. მისი ზოგიერთი გატაცების არც მე მესმის, მაგალითად, შოპინგების სიყვარული. თუ დრო აქვს, შეუძლია ინტერნეტში კაბები ათვალიეროს, გამოიწეროს.

— ანუ, თქვენი აზრით, კარგია, თუ ცოლ-ქმარს ბევრი საერთო არ აქვთ?

გუგა: ჩემი მოსაზრებაა, რომ ორი პლუსი ერთად კარგად არასდროს იქნება. ყოველთვის ამართლებს პლუსი და მინუსი. მე რომ თავიდან ბოლომდე ვიცოდე, ნინო რა ტიპია, რა მისწრაფებები აქვს, ის ჩემთვის წაკითხული წიგნი იქნება და მის მიმართ ინტერესს დავკარგავდი.

— აზრთა სხვადასხვაობას კონფლიქტები და კამათი არ მოჰყვება?

გუგა: ნინოსთან კამათი ყოველთვის საინტერესოა, ძალიან ჭკვიანი და განათლებული ქალია. კამათი კი იმ ადამიანთან არ არის საინტერესო, ვინც ინტელექტუალურად შენზე ბევრად დაბლა დგას.

✓ **ავთო ჩიტიძე**

> **გუგა: „მე რომ თავიდან ბოლომდე ვიცოდე, ნინო რა ტიპია, რა მისწრაფებები აქვს, ის ჩემთვის წაკითხული წიგნი იქნება და მის მიმართ ინტერესს დავკარგავდი“.**

> **ნინო: „კაცი რომ ასაკში შედის, ახალ მთავრეჯდილებებს, თავგადასავლებს ეძებს. ალბათ გუგას ეს ასაკიც დაუდგა. ვფიქრობ, ეს პროექტი გაახალისებს“.**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იძონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების განადგურებით კანონი დაირღვა

ჯახი ჯახიშვილი: „კომისიას ჰეკომენდაციის მიცემის უფლება ჰქონდა და ახა — გადაწყვეტილების მიღების"

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები განადგურებულია. 5 სექტემბერს ინტიმური დეტალების შემცველი 144 ფაილი, რომელიც 181 საათსა და 30 წუთს გრძელდებოდა და 107 დისკზე იყო განთავსებული, გამანადგურებელ აპარატ „შრედერის" საშუალებით მოსპეს. დარჩენილ 26.000 ფაილზე გამოძიება მალე დაიწყება. განადგურების პროცესს შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად „უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის" სამუშაო ჯგუფის წევრებიც ესწრებოდნენ. კადრების განადგურებას კომისიის ერთადერთი წევრი, ჯახი ჯახიშვილი ეწინააღმდეგებოდა. ითხოვდა, რომ ჩანაწერებზე გამოძიება დაწყებულიყო, რასაც გენპროკურორმა განმარტებით უპასუხა.

— ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების გამოძიება თავისთავად ნიშნავს იმას, რომ გამოძიების პროცესში ყველა ის ადამიანი, რომელიც ასახულია ვიდეოფირზე, უნდა გამოიძახო, დაკითხო, დაადგინო იდენტურობა, ჩატარდეს ექსპერტიზა და დადგინდეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არის გამოძიების პროცესში გამოსაკვლევი. ჩვენ წავაწყდით ძალიან დიდ ღირებულებითა კონფლიქტს. წარმოიდგინეთ, ადამიანებს, რომლებიც გამოძახებული არიან სამართალდამცავ ორგანოში და წარმოდგენა არ აქვთ, რაზე ეძახიან, აჩვენებენ საკუთრ თავს და ამის შესახებ იცის გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ — ეს უდაოდ გამოიწვევდა ამ ადამიანების ძალიან დიდ გულისტკივილს, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა. ჯახი ჯახიშვილი კი ამტკიცებს, რომ მისი პოზიცია კანონის მოთხოვნითაა ნაკარნახევი და კომისიას ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა.

ჯახი ჯახიშვილი, ექსპერტი:

— კომისია თავიდან შეიკრიბა ამ მასალების განადგურების მიზნით და მადლობა მინდა გადავუხადო კომისიის წევრებს, რომ მიიღეს ჩემი არგუმენტაცია და იმ 26.000-დან მხოლოდ 144-ის განადგურების გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა იმ 144 მასალის განადგურებაც არ შეიძლებოდა, რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ასეთი ტიპის გადაწყვეტილება კომისიამ მიიღოს. გამოძიებას ასეთი ტიპის მასალებით დამხმარეები და შემკვეთები უნდა დაედგინა. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო დაზარალებული პირების სამართლიანობის აღდგენა, რაც მნიშვნელოვანი ელემენტია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთი ტიპის მასალები შს სამინისტროს თანამშრომლებმა გაიტანეს და გადამალეს, რომ გარკვეული ადამიანების მანიპულირება მოახდინონ. თუ არ დადგინდა, კონკრეტულად ვის ჰქონდა შეხება შს სამინისტროს არქივთან, ვერ დაადგენ, ასეთი ტიპის მასალები სად არის გადამალული. დამეთანხმებით, რომ რიგით პოლიციელს და რაიონის პოლიციის უფროსს ასეთი ტიპის მასალებთან წვდომა არ ჰქონდა. ამას აკეთებდა კონკრეტული დეპარტამენტი, სამმართველო ან განყოფილება, რომელიც ალბათ გასაიდუმლოებული იყო. გარდა ამისა, როცა ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ იყო სისტემური დანაშაული, ამას დამტკიცება უნდა.

— მაგრამ ამისთვის კიდევ 26.000 ფაილი არსებობს, არ ეყოფა?

— მესმის, რომ კომისიაც და საზოგადოების ნაწილიც აპელირებს ამაზე, მაგრამ ისე გამოდის, 10 ადამიანის მკვლელი 2 ადამიანის მკვლელობისთვის გასასამართლო და თქვა, მაინც ხომ დაისაჯაო. ჩვენ ხომ ვთანხმდებით იმაზე, რომ შსს და თავდაცვის სამინისტრო არ უთვალთვალებდა აბსოლუტურად ყველას. იმაზეც ვთანხმდებით, რომ ასეთი ტიპის მასალები არ სჭირდებოდათ ვიღაცის სექსუალური ჟინის დასაკმაყოფილებლად. ეს ყველაფერი საჭირო იყო კონკრეტული ადამიანების მანიპულირებისთვის. მოტივი კი გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

„ივანიშვილთან ჯონსონტაკიით უმჰავლესობა აღბათ დაამტკიცებს ახალ მინისტრთა ჯაბინეტს და ჰრემიერს, მაგრამ, ოცა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში ნავა, ოგორ ფიქრობთ, ჰოლიტიკოსები დასხდებიან და მმვიდად დაუწყებენ უკრებას იმ მთავრობას, ომლის მეთა�იც სხვა იქნება? ბუნებრივია, ახა. ამდენიმე თვეში უმჰავლესობის ნეკრებიც მთავრობის კრიტიკას დაიწყებენ".

გარდა ამისა, როცა ვსაუბრობთ, რომ სისტემური დანაშაული იყო, გამოძიება უნდა გასულიყო უმაღლესი თანამდებობის იმ პირებზე, რომლებმაც შექმნეს ასეთი ტიპის დანაშაულებრივი სისტემა და ამ სისტემის მეშვეობით ახერხებდნენ ხელისუფლებაში ყოფნას. შორს ვარ აზრისგან, რომ ამ ტიპის დანაშაულს ჰყავდა მხოლოდ ორი ავტორი — ქარდავა და კიდევ ვიღაც. 2004-2005 წლებში ქარდავა შსს-ში იმ თანამდებობაზე არ მუშაობდა, რომ მისთვის შესაძლებელი ყოფილიყო ასეთი ტიპის მასალების მოპოვება. გამოდის, რომ ვიღაცამ ჩამოაყალიბა სისტემა და ეს ვიღაც არის მაღალი თანამდებობის პირი. ხშირად გვესმის, ვიცით, დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ მტკიცებულებები არ არსებობ. თუ ასეთი მეთოდებით დავიწყებთ მტკიცებულებების განადგურებას, ბუნებრივია, არ იქნება. ბატონ კბილაშვილს მეც დავეთანხმებოდი, გასაიდუმლოებულად რომ დაებარებინა ეს ხალხი და ეკითხა, თქვენზეა მასალა და ხომ არ გნებავთ, გამოძიება გავაგრძელოთო. თუ ეტყოდნენ, არაო, მაშინ გამოძიებას შეეძლო, მიეღო გადაწყვეტილება და არა — კომისიას. მაგრამ აუცილებლად გამოჩნდებოდნენ აუცილებლად ადამიანები, ვინც მოითხოვდნენ, გამოძიებას დაედგინა, მათ საძინებელში ვინ შეიტანა და დაამონტაჟა კამერა, რადგან ოჯახში ამის გაკეთება მხოლოდ ახლობელს შეუძლია.

საინტერესოა ისიც, რომ ვიდეოთვალი სასტუმროს საძინებელში იყო დამონტაჟებული. იქ კი ვერავინ შეაღწევდა, მეპატრონის ნება რომ არ ყოფილიყო. სავარაუდოდ, ესეც იქნებოდა იძულებით განხორციელებული და თუ იყო დანაშაულებრივი ზეწოლა, ხომ უნდა დაედგინათ? ხომ უნდა ეკითხათ, როგორ მოახერხეს მისი დათანხმება? როცა ვსაუბრობთ, რომ არიან პიროვნებები, რომლებიც ამას აკეთებდნენ, მაგრამ ვერ ვადგენთო, იმ სასტუმროს მეპატრონისგან ზუსტად გაიგებდნენ, ვინ მიდიოდა მათთან, ის საბუთებს აუცილებლად წარადგენდა. დარწმუნებული ვარ, მათ დატოვებული ექნებოდათ საკონტაქტო ნომრები, რომ ცნობილი პიროვნების სასტუმროში მისვლის შემთხვევაში, მათთვის ეცნობებინათ. ასე რომ, ამ მასალების განადგურების შემდეგ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დეტალი ვერ იქნება დადგენილი.

— ითქვა, რომ კანონი კრძალავს ამ ტიპის მასალების შენახვას.

— ოპერატიული კანონი სამძებრო საქმიანობის შესახებ მართლაც კრძალავს ასეთი ტიპის მასალის შენახვას, მაგრამ იმავე კანონის მიზნებში წერია, რომ კანონი ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ არეგულირებს პოლიციელების და სპეცსამსახურის თანამშრომლების საქმიანობას, წესებს, უფლებამოსილების კომპეტენციას და ზღვარს. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ, თუ ოპერატიული მასალის მოპოვების დროს აღმოჩნდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, ეს კადრები გაანადგურეო. მაგრამ, როცა პოლიციელი მიზანმიმართულად ახორციელებს ასეთი მასალების მოპოვებას, ნიშნავს, რომ ის ან პირთა ჯგუფი სჩადის დანაშაულს და დანაშაულის გამოძიება დარეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ეს კოდექსი ადგენს გამოძიების და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს და წერია, რომ საგნის ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგამოძიებო ორგანო, ანუ გამომძიებელი, ხოლო მისი განადგურების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

ამ კომისიის უფლებამოსილება იყო მხოლოდ რეკომენდაცია იმავე სასამართლოსთვის და არა — გადაწყვეტილების მიღება.

— კომისიამ არგუმენტად საერთაშორისო პრაქტიკაც დადო...

— კი, არგუმენტი მართლაც იყო საერთაშორისო პრაქტიკა და ევროსასამართლოს საპრეცედენტო სასამართლოს მაგალითები, მაგრამ, მიუხედავად ჩემი თხოვნისა, არ იქნა და ვერც იქნებოდა წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითი. ძნელია, წარმოვიდგინო, ასეთი ტიპის სისტემური დანაშაულის შემთხვევაში საფრანგეთში ან გერმანიაში ეთქვათ, ვერ გამოვიძიებთ, რადგან პირად ცხოვრებასთან გვაქვს საქმეო.

— გამოდის, რომ კანონი დაარღვიეს კომისიამ?

— ვინაიდან, ასეთი კომისია არც ერთ კანონში წერია, არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და არც იმ კანონში, რომელიც არგულირებს ამ სტილის დანაშაულების გამოძიების წესს, ვფიქრობ, ასეთი გადაწყვეტილების მიღება კომისიის კომპეტენცია არ იყო. ამას კი იმით ხსნიან, რომ ეს იყო ფორსმაჟორული სიტუაცია და პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს. მართლა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, ძალიან ბევრი მასალა ჰქონდათ და, მეორე მხრივ, როცა მინისტრის პირველმა მოადგილემ ასეთი მასალა გამოიყენა პირადი მიზნებისთვის, ამან სამინისტროს და პროკურატურას მოუსპო არგუმენტაცია, რომ შეძლებდნენ, გამოძიების პერიოდში მასალები დაეცვათ.

— ამ ფაქტების განადგურებით დაირღვა თუ არა დაზარალებულის, მსხვერპლის უფლება?

— დაირღვა. ევროპული კონვენციის მერვე მუხლი იცავს ადამიანის პირად ცხოვრებას და თუ დანაშაულებრივი გზით ხდება პირადი ცხოვრების ხელყოფა, სწორედ გამოძიებას უნდა დაედგინა, ვინ დააზარალა ეს ადამიანები. საუბრობენ, რომ უხერხულია ასეთი ადამიანების პროკურატურაში მოყვანა. საპროკურორო საქმიანობის დროს უხერხული ბევრი რამ არის — იგივე პედოფილიის, გაუპატიურების, ძალმომრეობითი დანაშაულებანი... ბევრი საქმე მქონია, სადაც მიჭირდა კითხვების დასმა, მაგრამ საჭირო იყო და ვსვამდი. მართლა მძიმე იყო სამეგრელოში აღმოჩენილი მასალების ნახვა, მაგრამ იმიტომ, რომ მძიმეა, რა ვქნათ, არ გამოვიძიოთ, უარი ვუთხრათ მსხვერპლს უფლებების დაცვაზე და არ დავსაჯოთ დამნაშავე?

„პირდაპირ ჩანს, რომ პრემიერმა ზოგიერთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ამას ითხოვდა ჯონჯუეული ორგანიზაცია, პოლიტიკოსი და შებოჭილი აღმოჩნდა. შესაძლებელია, დაინახა ისიც, რომ ამ გუნდთან ერთად ვერ მიაღწევს იმ მიზნებს, რაც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჰქონდა დაგეგმილი და აღბათ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სექტორიდან უფრო თავისუფალი იქნება მოქმედებებში. შესაძლებელია, დაინახა ისიც, რომ ამ გუნდთან ერთად ვერ მიაღწევს იმ მიზნებს, რაც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჰქონდა დაგეგმილი და აღბათ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სექტორიდან უფრო თავისუფალი იქნება მოქმედებებში."

— არ შეიძლება არ გკითხოთ, ივანიშვილის განცხადება-განმარტებებზე. რამდენად გასაგები იყო თქვენთვის მისი არგუმენტაცია წასვლის შესახებ?

— მესმის ივანიშვილის მოტივები თანამდებობიდან წასვლის თაობაზე. როცა ის მოვიდა ხელისუფლებაში და ჯგუფი შეკრა, სხვა მოლოდინი ჰქონდა. აღმოჩნდა და თვითონაც მიხვდა, რომ უმაღლესი პირის თანამდებობიდან რთულია მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც პიროვნულად ჯდება შენს მოთხოვნებში. როცა ხარ თანამდებობაზე, შებოჭილი ხარ მილიონი ვალდებულებით. პირდაპირ ჩანს, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ამას ითხოვდა რომელიმე ორგანიზაცია, პოლიტიკოსი და თვითონაც შებოჭილი აღმოჩნდა. შესაძლებელია, დაინახა ისიც, რომ ამ გუნდთან ერთად ვერ მიაღწევს იმ მიზნებს, რაც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჰქონდა დაგეგმილი და აღბათ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სექტორიდან უფრო თავისუფალი იქნება მოქმედებებში.

ისე კი, კარგი იდეაა სამოქალაქო სექტორის გაძლიერება. წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ორგანიზაცია და მხოლოდ ისინი ახერხებენ აქტიურობას და სხვა მოკლებულია საშუალებას, განვითარდეს. დღეს ხელისუფლებას არ ჰყავს ოპონენტი და პარლამენტიც დაკომპლექტებულია ორი სახელისუფლებო ძალის მიერ. ერთი ჯგუფი აყენებს საკითხს იმიტომ, რომ მერე მოხდეს მისი ინტერესის გატარება, ანუ ხელისუფლებას აკლია კვალიფიციური კრიტიკა და თვითონ ივანიშვილიც მოკლებულია უფლებას, პრემიერის რანგიდან გააკრიტიკოს ის მთავრობა ან მინისტრი, რომელიც მოიყვანა ხელისუფლებაში. კი მოიყვანა, მაგრამ, დამეთანხმებით, რომ მუშაობის შედეგად შეიძლება აღმოაჩინა, რომ ძალიან ბევრთან შეუძლებელია მუშაობა. ამიტომ სწორია მისი წასვლა საზოგადოებაში თუნდაც იმისთვის, რომ საფუძვლიანი კრიტიკა უზრუნველყოს.

— თვითონ პრემიერი კმაყოფილია მინისტრების მუშაობით.

— მოქმედი პრემიერი წასვლის წინ რატომ იტყვის რაიმე კრიტიკულს? ეს არის დიპლომატიური სვლა. თუ მართლა კარგია, რატომ მიდის იქ, საიდანაც უნდა გააკრიტიკოს ის კარგი? კმაყოფილი რომ იყოს და კრიტიკის საფუძველი არ ჰქონდეს, მაშინ იტყოდა, საერთოდ მივდივარო. მაგრამ საერთოდ არ მიდის, ანუ ბოლომდე არ არის კმაყოფილი.

— შეიძლება პრევენციაც იყოსო, ალბათ გეტყვიან. ისე, მარგველაშვილი გაუმართლებს იმედებს?

— ივანიშვილმა უნდა შეძლოს თანამდებობაზე ისეთი პირების დანიშვნა, რომლებიც ნამდვილად უზრუნველყოფენ სიმშვიდეს ქვეყანაში. ეს არის შსს, პროკურატურა და თავდაცვა. დაგეგმილი ალბათ ასეა — ამ თანამდებობებზე არ უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც არიან ასოცირებული კონკრეტულ პარტიებთან. მარგველაშვილიც ასე შეირჩა.

— მარგველაშვილს მართლა გარანტირებული გამარჯვება აქვს, როგორც ამას ივანიშვილი ფიქრობს?

— არა, ასე არ ვფიქრობ, თუმცა მცდელობა არის, რადგან „ოცნებამ" და ივანიშვილმა გამოხატეს მხარდაჭერა. მაგრამ მაინც ყველაფერი დასრულდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით, რადგან ივანიშვილის წასვლის შემდეგ რთულია დაიჯერო, რომ ეს უმრავლესობა, რომელიც ივანიშვილის პირობებში ვერ ინარჩუნებს ერთიანობას და ხშირ შემთხვევაში პარტიული ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ივანიშვილის ფაქტორი, არ დაიშლება ან რომელიმე პარტიას არ მოუნდება მინისტრთა კაბინეტში მეტი პორტფელი. ივანიშვილთან კონსულტაციით უმრავლესობა ალბათ დაამტკიცებს ახალ მინისტრთა კაბინეტს და პრემიერს, მაგრამ, როცა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში წავა, როგორ ფიქრობთ, პოლიტიკოსები დასხდებიან და ყურებას დაუწყებენ იმ მთავრობას, რომლის მეთაურიც სხვა იქნება? ბუნებრივია, არა. რამდენიმე თვეში უმრავლესობის წევრებიც მთავრობის კრიტიკას დაიწყებენ.

საზოგადოება სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, პირობების გაუმჯობესების და ამ დროს პოლიტიკოსები ისეთ თამაშს თამაშობენ, რაც არ შედის ხალხის ინტერესებში. დღეს ივანიშვილია მკაცრი კრიტიკის შემაკავებელი ფაქტორი, ხალხი მას უწევს ანგარიშს, მაგრამ, როცა არ იქნება, ხალხი გამოვა და მათ გააკრიტიკებს.

აკაკი ბობოხიძე: „მომკალი და, მჯერა, რომ ქართველმა ხალხმა 1 ოქტომბერს გონივრული არჩევანი გააკეთა"

ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის თავზე ბიძინა ივანიშვილი არც პრემიერი იქნება და არც კოალიცია „ქართული ოცნების" ხელმძღვანელი, პოლიტიკიდან მიდის, სამაგიეროდ აპირებს, ეფექტური, პასუხისმგებლობის მქონე, ევროპული ტიპის საზოგადოება ააშენოს. მისი წასვლის სურვილმა ნაციონალები გვარიანად გაახარგაახალისა. ამტკიცებენ, ივანიშვილს „თამაში" პირველივე ტაიმში მობეზრდაო. „სარკე" ნაციონალ აკაკი ბობოხიძეს ესაუბრა.

— ბატონო აკაკი, რამდენად დამაჯერებელი იყო ივანიშვილის არგუმენტები წასვლასთან დაკავშირებით?

— მისი არგუმენტები ნაკლებად მაინტერესებს, რადგან უკვე საჭიროა, რომ წავიდეს. ინვესტორები მოლოდინის რეჟიმში არიან, რა მოჰყვება ივანიშვილის წასვლას — დესტაბილიზაცია თუ შევინარჩუნებთ განვითარების კურსს. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ბიძინა ივანიშვილის წასვლა-არწასვლის საკითხის გარკვევა, მით უფრო დიდხანს გაგრძელდება მოლოდინის რეჟიმი. ჯობდა, არ ეთქვა, წავალო, მაგრამ თქვა. ახლა რომც გამოაცხადოს, არ მივდივარო, ბიზნესმენები ინვესტიციებს მაინც არ განახორციელებენ, რადგან არ ენდობიან ქვეყანას, სადაც პრემიერი დილით ამბობს, მივდივარო, საღამოს კი — ვრჩებიო. კაცი ფეხბურთის სათამაშოდ შემოვიდა მოედანზე და პირველ ტაიმზე გამოაცხადა, თამაში მეზარებაო. ორი თვეა ურეკში ზის და საქართველოს შესახებ ამბებს არათუ არ კითხულობს, ტელევიზორში საინფორმაციოებსაც არ უყურებს. რეიდები მართლა ტარდებოდა თუ არა, ჟურნალისტებს გეკითხებათ პრესკონფერენციაზე. ეს კაცი ქვეყნის მართვაში კარგა ხანია აღარ მონაწილეობს. მაგრამ საქართველოს მოსახლეობას მაინც ჯიუტად უნდა, რომ ის იყოს პრემიერი და მისგან გადმოყრილ მილიონებს ელ-

→18

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ეჭიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

Cyan Magenta Yellow Black

ოდება, მაგრამ — სულ ტყუილად.

— სამაგიეროდ სამოქალაქო სექტორის აუსებას გვპირდება.

— ეგ არის ზუსტად ის, რაც ყველაზე სახიფათოა. იმაზე კი არ ლაპარაკობს, საქველმოქმედო ფონდებს გავაძლიერებ, რითაც საზოგადოებას დავაფინანსებო, ამბობს, მთავრობას გავაკონტროლებო. ბიძინა ივანიშვილმა ერთხელ უკვე დაანახა პოლიტიკურ სპექტრს, რომ შეეძლო ფულით დაემარცხებინა სააკაშვილის მონოლითური ხელისუფლება. ამით პრაქტიკულად გაფრთხილება მისცა მთელ პოლიტიკურ სპექტრს, თუ არ შემითანხმებთ ხანდახან რაღაცეებს, იგივე დაგემართებათო. სამოქალაქო სექტორს თუ დააფინანსებს, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ იმის თქმა, მე თვითონ გადავდივარ სამოქალაქო სექტორშიო, გაუგებარია.

— აქვს პრეტენზია, რომ შექმნა მთავრობა, რომელიც გააგრძელებს ქვეყნის მართვას.

— დაუსვით ივანიშვილს კითხვა, რამდენად ანდობდა ის მარგველაშვილს და კვირიკაშვილს თავის ბიზნესს. რა თქმა უნდა, არ ანდობს. მაშინ ხალხის ბედს რატომ ანდობს ასე იოლად? ეს შეკითხვა დაუსვით და მაშინ გამოჩნდება ბიძინა ივანიშვილის რეალური დამოკიდებულება ხალხის მიმართ.

— ყველა აღიარებს, რომ, მაგალითად, გიორგი მარგველაშვილი ნამდვილად პატიოსანი ადამიანია, თან პარტიული ამბიციების გარეშე.

— პატიოსანი ბებიაჩემიც იყო, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტად არ გამოდგებოდა.

— რა აკლია მარგველაშვილს, რომ კარგი პრეზიდენტი იყოს?

— ზუსტად ის, რაც სჭირდება ქვეყნის პრეზიდენტს — უნარ-ჩვევები, ღირსეულად წარადგინოს ქვეყანა და არ ლაპარაკობდეს, ბიძინასთან შეთანხმებით ვიმუშავებო. პრეზიდენტებთან რომ დაჯდება სასაუბროდ, რა იზამს, ტელეფონს ამოიღებს, მაცადეთ, ბიძინასთან მაქვს შესათანხმებელიო? ჩამოყალიბებული ხედვები უნდა ჰქონდეს და გადაწყვეტილებებსაც ასე უნდა იღებდეს. ბიძინამ რომ ტელეფონი გათიშოს ან ღამის 10 საათზე რომ დაიძინებს, მარგველაშვილი 11 საათზე რას აპირებს, ვისთან შეათანხმებს ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებს?

— ყველა საუბრობს, რომ ის უალტერნატივო კანდიდატია.

— ვისაც უყვარს სამშობლო, ყველას ვეუბნები, წარმოიდგინოს პრეზიდენტად ჯერ მარგველაშვილი და მერე ბაქრაძე და ამის მერე, როგორც ნამუსი უკარნახებს, ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

— ზოგადად დავით ბაქრაძე დადებითი პიროვნებაა, მაგრამ გაკოტრებული ნაციონალური მოძრაობის კანდიდატობა შანსს უკარგავს, პრეზიდენტი გახდეს.

— თუ იმის გამო არ მისცემენ ხმას, რომ ნაციონალია, მერე თავიანთ თავს დააბრალონ ყველა ის პრობლემა, რაც ქვეყანას შეექმნება. ნაციონალების ჯინაზე შეიძლება, რომ უკეთეს მომავალზე თქვა უარი?

— სხვათა შორის, მარგველაშვილს თუ რაღაც პრობლემა შეექმნება, ისევ თქვენი მიზეზით. საზოგადოების რაღაც ნაწილს კოალიციაა არ მოსწონს ნაციონალებთან — სამართლიანობის აღდგენას აფერხებსო.

— არანაირი სამართლიანობის აღდგენა არ შეფერხებულა. ადამიანებს ჰქონდათ მილოდინი, რომ როგორც კი „ოცნება“ არჩევნებს მოიგებდა, ნაციონალებს თვითმმართველობიდან თუ სხვა ადგილებიდან გამოყრიდნენ და კაბინეტებში თვითონ დასხდებოდნენ. არ გაითვალისწინეს, რომ ეს მხოლოდ საპარლამენტო არჩევნები იყო. უსამართლობის განცდა „ოცნების“ წევრებსაც აქვთ და მათი კარგად მესმის. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორია უმადური ადამიანების დამოკიდებულება იმ რიგითი ადამიანების მიმართ, ვინც მათ გაამარჯვებინა. სხვათა შორის, ეს არის ასევე მაგალითი იმისა, თუ რას ითხოვს ეს ხალხი. პატრონიც კი წიხლს ჰკრავს, მაგრამ მაინც მასთან უნდათ ყოფნა. და რატომ? იმიტომ, რომ მისგან ელოდებიან ლუკმას... 1 ოქტომბრის არჩევნები უზარმაზარი მიღწევაა ჩვენი ქვეყნისთვის და თუ ვინმეს ჭკუა ასწავლა 1-მა ოქტომბერმა, ეს ნაცმოძრობაა.

„ჯობდა, ჰიმიეს ახ ეთქვა, ნავალო, მაგრამ თქვა. ახლა ჰომს გამოაცხადოს, ახ მივდივახო, ბიზნესმენები ინვესტიციებს მაინც ახ განახორციელებენ, ადგან ახ ენდობიან ქვეყანას, სადაც ჰიმიეი დილით ამბობს, მივდივახო, საღამოს ჯი — ვჩრებიო. ჯაცი ფეხბუთის სათამაშოდ შემოვიდა მოედანზე და ჰიჩვეი ტაიმზე გამოაცხადა, თამაში მეზახებაო".

„დაუსვით ივანიშვილს ჯითხვა, ჰამდენად ანდობდა ის მაჩგველაშვილს და ჯვიჩიკაშვილს თავის ბიზნესს. ჩა თქმა უნდა, ახ ანდობდა. მაშინ ხალხის ბედს ჩატომ ანდობს ასე იოლად?".

— ვარაუდობენ, რომ „ოცნების“ დაშლის შემთხვევაში რესპუბლიკელები, ირაკლი ალასანიას და ბაქრაძის ფრთა ერთად დაგჯუფდებიან. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

— არანაირი მსგავსი ნაბიჯები არ შეიმჩნევა და არც ამის ინტერესი გვაქვს. ჩვენ გვაქვს ერთი მიზანი — ქვეყანა არ ჩამოვიდეს იმაზე დაბლა, რასაც მივაღწიეთ. შინაგანად ჩვენც განვიცდით დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ საკუთარ თავს იმით ვაიმედებთ, რაღაც შედეგს მაინც ხომ მივაღწიეთ და თუ ესეც თავზე დაგვამხეს და ქვეყანა დაანგრიეს, გამოდის, რომ ამ 10 წლიდან სახელმწიფოს არაფერი დარჩება, გარდა შეცდომებისა და უბედურებისა. არანაირი სურვილი გვაქვს, ჩვენი დაწყებული მშენებლობა გაპარტახდეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი პროდასავლური ორიენტაციის პარტია ჩვენი პარტნიორია ამ ბრძოლაში, მაგრამ, ამ ზოგადი კურსის გარდა, ჩვენ შორის საერთო არაფერია. ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ნამდვილად არ მეპარება ეჭვი ალასანიას და რესპუბლიკელების საგარეო კურსზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საუბრები გვაქვს რაიმე სახის ურთიერთობებზე ან გაერთიანებაზე.

— რას ელით არჩევნებისგან?

— იმედი მაქვს, რომ საქართველო მკვეთრად პროდასავლურ არჩევანს გააკეთებს. ხანგრძლივი გზა გავიარეთ დასავლეთისკენ, უფრო ხანგრძლივი კი წინ გველოდება. ქართველი ხალხი უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ნდობის მოპოვება ძნელია, დაკარგვა — ადვილი. ნდობის მოპოვებას ბევრი დრო დასჭირდება და ჩვენი თაობა ამას ვეღარ მოახერხებს. მერე მომავალ თაობას მოუწევს ჩვენ მიერ გაკვალული გზის ხელახლა გაკვალვა. ჩვენ ვართ განწყობილი ბრძოლისა და შრომისათვის და რა შედეგიც დაიდება, ის იქნება ქართველი ხალხის არჩევანი. შეიძლება ბაქრაძისთვის მართლაც ზიანის მომტანია ნაციონალების კანდიდატის სახელით კენჭისყრა, შეგვეძლო გარკვეული გადათამაშებები გაგვეკეთებინა, მაგრამ ქართველი ხალხის წინაშე პატიოსნად მოვიქეცით. თორემ რა უნდოდა, გავიყვანდით პარტიიდან, გააკეთებდა რაღაც განცხადებას და სინამდვილეში მთლიანად მას მოვახმარდით რესურსს.

მომკალი და, ქართველი კაცის გონიერების მჯერა, იმის მართლა მჯერა, რომ 1 ოქტომბერსაც გონივრული არჩევანი გააკეთა. თუმცა ჯობდა, ქართველ ხალხს ყვითელი ბარათი მოეცა ჩვენთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, პირდაპირ წითელი მოგვცა. ეტყობა, ჩვენი შეცდომებიც ისეთი იყო, ხალხმა პირდაპირ წითელი მოგვცა. თუ მოსახლეობამ „ოცნებას“ ყვითელი ბარათი დროულად არ აჩვენა და გაფრთხილება არ მისცა, მერე მასაც წითელ ბარათს უჩვენებს და ამ ხელისუფლებასაც პანჩურებით გააგდებენ. უკვე ჩანს, რომ ხელისუფლების მოქმედებები არ მოსწონთ, ყოველ შემთხვევაში, მათ დაპირებებსა და ქმედებებს შორის ისეთი განსხვავებაა, როგორც ცა და დედამიწა. ამიტომ ჯობია, დროზე მისცენ გაფრთხილება. კარგი იქნება, თუ არჩევნებში დათო ბაქრაძე გაიმარჯვებს, ხელისუფლებას ამით მისცემენ ყვითელ ბარათს. ეს ქვეყნისთვისაც კარგი იქნება და „ოცნებისთვისაც“. გამოფხიზლდებიან ოცნებიდან და თავს დაანებებენ ანალიზს.

ბიძინას უყვარს ლაპარაკი, რომ ანალიზის უნარი აქვს. მეც ვატყობ, რომ დიდი ხანია ანალიზითაა გართული და საქმეზე რომ არ გადასულა, ისე აპირებს წასვლას. საქართველოზე ოცნებები უფრო ადრე დავიწყეთ, გაცილებით უფრო მაგარი ოცნებები და სურვილებიც მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მაქვს შესაძლებლობა, რეალობად ვაქციო.

Cyan Magenta Yellow Black

მანანა კობახიძე: „ალბათ დავფიქრდები, დავრჩე თუ არა პოლიტიკაში“

«ბიძინა ივანიშვილი პრემიერი არ იქნება, მაგრამ ხელისუფლებას გააკონტროლებს»

როგორი იქნება პოლიტიკური ამინდი, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა? ეს ის კითხვაა, რომელიც ბოლო დღეებში ყველაზე ხშირად ისმევა. ექსპერტები კოალიციის დაშლას და შიდა დაპირისპირებას ვარაუდობენ, „ქართული ოცნების“ წევრები კი თვლიან, რომ მმართველი კოალიცია, სულ ცოტა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე არ დაიშლება. „სარკეს“ პარლამენტის ვიცესპიკერი, უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე ესაუბრა.

— ქალბატონო მანანა, არის მოსაზრება, რომ სამოქალაქო სექტორში ივანიშვილის შესაძლო გადასვლა მისი გარკვეული უკმაყოფილებითაა გამოწვეული საკუთარი გუნდის მიმართ.

— ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას. პრემიერს არსად უთქვამს, მთავრობა ვერ მუშაობს, პირიქით, მან ბოლო პრესკონფერენციაზე დააფიქსირა, რომ მინისტრები საკმაოდ ეფექტურად მუშაობენ. რამე პრეტენზია რომ ჰქონოდა, კანონი აძლევს საშუალებას, შეცვალოს და ასეც მოიქცეოდა. პირდაპირ თქვა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო, არჩევნების გზით ხელისუფლებიდან ნაციონალების გაშვება; მეორე ამოცანა ის არის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს ნორმალურად და ხალხმა აირჩიოს ის კანდიდატი, რომელსაც არ ექნება ავადმყოფური სწრაფვა ხელისუფლებისკენ. ამ კუთხით საუკეთესო კანდიდატი მართლაც გიორგი მარგველაშვილი გახლავთ. მას აქვს ევროპული მენეჯმენტისთვის დამახასიათებელი თვისება იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც დგას დღეს პრეზიდენტის წინაშე. არის საკმაოდ გაწონასწორებული, შეუძლია გუნდთან მუშაობა. „ქართული ოცნების“ მიერ დაკომპლექტებული მთავრობით, ბატონი მარგველაშვილის პრეზიდენტობით და უმრავლესობის ერთობით ნამდვილად გადაიჭრება ის ამოცანები, რაც ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნებზე იქნა გაჟღერებული. რა თქმა უნდა, სირთულეები არის და იქნება, ამაში არაფერია ახალი. საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, სერიოზული პრობლემები დაგვხვდა თითქმის ყველა დარგში, მაგრამ სერიოზული რეფორმები დაიწყო და კოალიცია პასუხისმგებლობას იღებს, რომ ამ 4 წელიწადში, მინიმუმი, რასაც შევპირდით მოსახლეობას, ის შევასრულოთ.

ეს არის ქვეყნის გამოყვანა პრობლემიდან მშვიდობანი გზით. ბატონმა ბიძინამ ჩათვალა, რომ, თუ ეყოლება ნორმალური პრეზიდენტი და მთავრობა, ორიენტირებული ხალხზე და უმრავლესობა, მისი ყოფნა შესაძლებელია სამოქალაქო სექტორში, რათა უფრო მეტად გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება. მეც მგონია, რომ ასე უფრო კარგად დაეხმარება მთავრობასაც, ქველმოქმედებასაც უფრო შეძლებს და ბიზნესსაქმიანობასაც. ასე ბევრად უფრო თავისუფალი იქნება. მთავრობა კი არ უშლის ხელს საქმიანობაში, მაგრამ საჯარო მოხელეს კანონი გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს. იცით, რომ ძალიან დიდ წვლილი აქვს შეტანილი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნასა და ჩამოყალიბებაში — დაწყებული პატრულიდან, დამთავრებული სოფლის სკოლამდე, არც არის ცნობილი, რამდენი რამე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული. მგონია, გააგრძელებს ამ კუთხით საქმიანობას. საკმოდ მკაფიო განაცხადი გააკეთა და რაიმე კითხვის ნიშანი და ქვეტექსტი არის თითიდან გამოწოვილი.

— დაგვიანებულმა სამართლიანობის აღდგენამ საზოგადოების ნაწილი გაგვინაწყენათ ზუსტად არჩევნების წინ და მათაც იქ გადაინაცვლეს, ვინც ამის გაკეთებას ჰპირდება — ანუ ბურჯანაძესთან.

— გააჩნია, რაში ხედავენ სამართლიანობის აღდგენას. თუ ისინი თვლიდნენ, რომ ყველა განაჩენი, რომელიც დადგა 9 წლის

> **„ახ ვაპიჩებ ბუჯანაძის პატიის ჯიტიჯას, ახც მათთან დისკუსიაში შესვლას, თავიანთი საახჩევნო ჯამპანია აქვთ და თუ ისინი თვლიან, ჩომ ამით ჩაინეჩონ ქულები, მათი საქმეა“.**

განმავლობაში და არის ათეულათასობით, გადაიხედებოდა, ეს შეუძლებელია, უტოპიაა. მთელი საჯარო სისტემა პროკურატურად რომ ვაქციოთ, მაინც ვერ შევძლებთ. რაც შეეხება ზოგად მიდგომას, სამართლიანობის აღდგენა არ იყო ამნისტიის გამოცხადება? ბურჯანაძე ახსენეთ და მისი დეიდაშვილის გათავისუფლება მოხდებოდა, ეს რომ არ გაგვეკეთებინა? ბიწაძე რომ ვერ ჩამოდიოდა საქართველოში და რომ ჩამოსულიყო, დაიჭერდნენ და ეს რომ არ მოხდა, არ არის სამართლიანობის აღდგენა? ათასობით ადამიანი გარეთ გამოვუშვით და ამით შეიძლება რისკიც გავზარდეთ, რადგან კრიმინოგენური სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ მაინც გავაკეთეთ, არც ესაა სამართლიანობის აღგენა და არც ის, თუ მაშინ იყო ჩივილი ციხეებში ცოცხებით გაუპატიურებაზე და დღეს რომ დაობენ იმაზე, ტელევიზორი არ აქვს საკანშიო...

ყველაფერი არ შეიძლება 10 თვეში გააკეთო. ხარვეზები არის და ამის შესახებ ბესელიას გუშინაც ვკითხე. 10.000-ზე მეტი განცხადება აქვს განხილული კომიტეტს, როცა მთელი წელი 1.000 განცხადება არ ჰქონდათ ადრე. მისი შესწავლა და რეაგირება არ არის სამართლიანობისთვის ბრძოლა? განსაკუთრებით პრეტენზიები არის პროკურატურის მიმართ და მეც მაქვს პრეტენზია, იმ პროკურორების საკითხზე, რომლებიც იყვნენ შემჩნეული ადამიანების ზეწოლასა თუ კანონის დარღვევაში. მათზე საჩივრები შემოდის და მერე ეს საქმეები ისევ მათ ეწერებათ. ეს კითხვები არის გაგზავნილი და დარწმუნებული ვარ, ამასაც მოვერევით.

უამრავი რამის დასახელება შემიძლია, ყველა მოსწავლე რომ წიგნებს უფასოდ მიიღებს, ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა? ან ის, რომ ყველა მოქალაქე დაზღვეულია? პირადად უამრავი ფაქტი ვიცი, რომ ურთულესი ოპერაციები დაფინანსდა. 5.000 ქალმა უფასოდ

→20

სახსრების გაწმენდა მარილებისაგან ნინუას საუკუნენახევრის ისტორიის მქონე რეცეპტით

დარეჯან ნინუას საგვარეულო რეცეპტი ფოთელებისთვის კარგადაა ცნობილი, მით უფრო — სახსრების ტკივილის განკურნებისთვის, რომელიც იქაურ სინესტეში აქტიურ გამოყენებაში იყო. ეს რეცეპტი, ზოგადად, საუკუნის საოცრებაა! მოგეხსენებათ, სახსრების გაწმენდა მარილებისაგან მედიკამენტების დახმარებით თითქმის ვერ ხერხდება...

დარეჯან ნინუას შთამომავლობა უკვე ათეულობით წელია, თბილისში აგრძელებს ამ ღვთისნიერ საქმეს. წამალი, რომელიც ხერხემლიდან თუ მხრის სახსრიდან მარილების გამოდევნას ახდენს, დასალევია. პროცესი კი 1-2 თვეს გრძელდება პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით. წამლის უნიკალურობას ისიც განსაზღვრავს, რომ ძირითადი პრობლემის მკურნალობის პარალელურად ორგანიზმი სხვა მავნე შლაკებისგანაც თავისუფლდება და იმუნიტეტი მაღლდება.

მარილების გამოდევნის პროცესი ავადმყოფისთვის თვალსაჩინო ხდება, რადგან შარდის ფერი იცვლება, ნალექიანი და ჟანგისფერი ხდება. მკურნალობის ბოლოს პაციენტი 20-30 წლით ახალგაზრდად გრძნობს თავს — აღარ უჭირს ადგომა-დაჯდომა, კიბეზე ასვლა-ჩასვლა.

პროფილაქტიკის მიზნით 3 წლის გასვლის შემდეგ მიზანშეწონილია კურსის გამეორება, რათა მანამდე მიღწეული შედეგი — სპონდილოზის მარილებისგან სახსრების დეფორმაციის, ოსტეოქონდროზისა თუ ართრიტის განკურნება, სტაბილურად შენარჩუნდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში. კურსის ჩატარება მიზანშეწონილია ასევე ჯანმრთელი ორგანიზმისთვის, რათა მომავალში მსგავსი დაავადებები თავიდან იქნას აცილებული.

ნინუას რეცეპტს გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ აქვს, როგორც ეს, სამწუხაროდ, ხშირია სახსრების მედიკამენტოზური მკურნალობის დროს. სახსრების ტკივილების დროებითი მოხსნა ზოგჯერ კუჭის ტკივილისა თუ ფარული სისხლდენის ხარჯზე ხდება, ნინუას რეცეპტი კი სახსრების მარილებისაგან გათავისუფლებას უმტკივნეულოდ გთავაზობთ!

მის.: თევდორე მღვდლის №9 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო). II სართული, *ოლღა ჩოგოვაძე.* მიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა.
☎ 593-43-96-10, 253-84-64, 571-55-76-55

Cyan Magenta Yellow Black

იმშობიარა. ნუთუ ეს 9-10 თვეში, გნებავთ ერთ წელიწადში, ასე მარტივად მისაღწევი იყო? სამართლიანობის აღდგენაა ისიც, რომ იმ ადამიანების ოჯახები, რომლებისთვის არასოდეს უზრუნია სახელმწიფოს, რომლებიც დაიღუპნენ აფხაზეთის ომში... მიიღებენ ჯერ 500 ლარამდე პენსიას და მერე 1000 ლარამდე. ადამიანის სიცოცხლე ნამდვილად არ იზომება თანხით და ბოდიშს ვიხდი ამ ოჯახების წინაშე, მაგრამ ეს რაღაცის დასაწყისი ნამდვილად არის. ეს არის სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს მიდგომა და სამართლიანობისთვის ბრძოლა.

— საზოგადოების რაღაც ნაწილს კი სამართლიანობის აღდგენად სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის გასამართლება მიაჩნია.

— სააკაშვილის მიმართ პასუხისმგებლობა არ არის პრობლემა. პრემიერმა თქვა ცალსახად, რომ არც პრეზიდენტი და არც სხვა უმაღლესი თანამდებობის პირი არ არის დაცული იმისგან, რომ პასუხი არ მოეთხოვოს კონკრეტული დანაშაულისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ამის დრო დადგება საქართველოში, მაგრამ ეს არ არის ჩემი, როგორც დეპუტატის, გადასაწყვეტი. ვის უნდა წაეყენოს ბრალი და ვინ უნდა დაისაჯოს, ეს არის პროკურატურის და სასამართლოს გადასაწყვეტი. შესაბამისად, ჩვენი ვალდებულებაა, ვაკონტროლოთ პროკურატურა და სასამართლო, ადეკვატური რეაგირება იყოს მათი მხრიდან იმ ფაქტებზე, რაც ხდებოდა ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მოხდება. ამიტომ ნუ გაგვაკრიტიკებენ იმაზე, რომ 10 თვეში ვერ გამოვასწორეთ ის,რაც ათწლეულები ინგრეოდა.

თან, მე ამ პრეტენზიებს თუნდაც იმათგან, ვინც გადავიდნენ ბურჯანაძის პარტიაში, ვერ მივიღებ. ძალიან ბევრი გაკეთდა სამართლიანობის აღსადგენად, აღსადგენად კი — არა, მოდით ვთქვათ, დასამკვიდრებლად, რადგან ამ ქვეყანაში სამართლიანობა არასოდეს ყოფილა, არც შევარდნაძის დროს და არც მანამდე. ზვიადის ხელისუფლების დამხობა სამართლიანი იყო? ან შევარდნაძე რომ დამსახურებულ პენსიაზეა, უფრო სწორად, რომ სააკაშვილმა გაუშვა, სამართლიანია? არ ვაპირებ ბურჯანაძის პარტიის კრიტიკას, არც მათთან დისკუსიაში შესვლას, თავიანთი საარჩევნო კამპანია აქვთ და, თუ ისინი თვლიან, რომ ამით ჩაიწერონ ქულები, მათი საქმეა. ჩვენ არ ვაპირებთ, საარჩევნო კამპანია ვაწარმოოთ მათი კრიტიკით.

— ისე, ივანიშვილის განცხადებამ ევრაზიულ კავშირზე, ყველა გააოცა.

— არანაირ ევრაზიულ კავშირში არ შედის საქართველო ან როგორ მოხერხდება, როცა არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს რუსეთთან? ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, კი, ბატონო. ადამიანური ურთიერთობების აღდგენაზე ჩვენ ყოველთვის ვსაუბრობთ. უბრალოდ, როცა რაღაც ხდება, თან შენს მეზობლად, ყველანაირი ინფორმაცია უნდა მოიპოვო და შეისწავლო. ასეც იქნება.

— ყველა იმაზე მსჯელობს, როგორი იქნება კოალიციისთვის ივანიშვილის შემდგომი პერიოდი. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ?

— ივანიშვილი პრემიერი არ იქნება, მაგრამ იქნება მისი მხრიდან კონტროლი ჩვენი ხელისუფლების. წარმომიდგენია, რომ ჩვენი ვალდებულებაა, გუნდი გავაძლიეროთ, პარტია იყოს სტრუქტურულად ჩამოყალიბებული, ადგილებზე გაძლიერებული და კოალიციაში პარტიებთან ურთიერთობები დარეგულირებული. ვფიქრობ, 4 წელი კოალიციას არაფერი ემუქრება. შემდეგ რა მოხდება... მოდით, ასე ვთქათ, მუდმივი არაფერია და შეიძლება მერე კოალიციაც დაიშალოს. ამაში არაფერია კატასტროფული. რა თქმა უნდა, არის შორეული გეგმები და მოკლევადიანი, მაგრამ რაც გავწერეთ 4 წლით, შესრულდება.

„ჩვენი კოალიციიდან ჰომეიმე პარტია ფარული გარიგებაში თუ აღმოჩნდება ნაცმოძრაობასთან, დამერწმუნეთ, მე ვიქნები ის ადამიანი, ვინც ამის თაობაზე ყველაზე მეტს იყვირებს და გააკრიტიკებს იმ პარტიას, ჰომეიც ამას შეეცდება".

— ვარაუდობენ, რომ 4 წელი კი არა, ადგილობრივ არჩევნებამდეც ვერ მიაღწევს კოალიციის ერთობა.

— გახსოვთ, რომ ბატონმა ბიძინამ არ გამორიცხა, პარტიებმა ცალ-ცალკე მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში. შეიძლება უკეთესიც კი იყოს პარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის და ადგილობრივ არჩევნებსაც უფრო სჭირდებოდეს ჩვენი პარტიების მონაწილეობა ცალ-ცალკე, მაგრამ ამ ეტაპზე კოალიციის დაშლის არანაირი საფუძველი არ არის. პარტიების მმართველი გუნდი იმ მოწადინებითაა, რომ უნდა ვიყოთ ერთად. რომელიღაც მუნიციპალიტეტში შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა იყოს, მაგალითად, ჩვენსა და რესპუბლიკელებს შორის, მაგრამ ეს არ არის კატასტროფა და არც გასაკვირია. ჩვენ არ ვაშენებთ ერთნაირად მოაზროვნე ადამიანთა ქვეყანას. თუ ადგილობრივ არჩევნებს ასე დასჭირდა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ, ვიმეორებ, დღევანდელი გადმოსახედიდან, არ ვგეგმავთ ცვლილებებს ერთიანობაში.

— ირაკლი ალასანიას, რესპუბლიკელების და დავით ბაქრაძის პოზიცია ხშირად ერთმანეთს ემთხვევა, რაც გარკვეულ ვარაუდებს აჩენს მათ მომავალ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

— არის რაღაც ღირებულებები, რაშიც მარტო ნაცმოძრაობა და „ოცნება" კი არა, ყველა თანხმდება. მაგალითად, ნატო-ში შესვლა არ არის მხოლოდ ჩვენი გადაწყვეტილება, ეს არის ხალხის არჩევანი და ყველა ხელისუფალი ვალდებულია, ეს გააკეთოს. ის, რომ საქართველო ნატო-ში უნდა იყოს, ამას ბაქრაძეც იტყვის, უსუფაშვილიც და ალასანიაც. ამას არ იტყვის მხოლოდ ის პარტია, რომელიც ნეიტრალიტეტს უჭერს მხარს, მაგალითად, კახა კუკავა. არ ვიცი, რატომ აგორდა ეს ჭორი, უსაფუძვლოა. აწყობს ეს ყველაფერი იმათ, ვინც ჩვენთან არიან კონკურენციაში და ამას იყენებენ, რომ დაანახონ საზოგადოებას, ვითომ რაღაც გარიგებებია. თუკი ეს მოხდება და ჩვენი კოალიციიდან რომელიმე პარტია ფარულ გარიგებაში აღმოჩნდება ნაცმოძრაობასთან, დამერწმუნეთ, მე ვიქნები ის ადამიანი, ვინც ამის თაობაზე ყველაზე მეტს იყვირებს და გააკრიტიკებს იმ პარტიას, რომელიც ამას შეეცდება.

— ყველა ექსპერტი ვარაუდობს, რომ საპარლამენტო არჩევნებს ვერ ავცდებით.

— ბიძინამ თქვა, რომ ეს ციკლი უნდა ჩავიაროთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში. დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილი გაიმარჯვებს, პოლიტიკური გუნდის მიერ დასახული გეგმების შესრულებას არანაირი პრობლემა არ ექნება, რადგან კოაბიტაცია მთავრდება. თუ რამე პრობლემა იყო, ეს იყო მანამდე, გაუთავებელი ვეტოები, ცვლილებები... რაც აფერხებდა უამრავი საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ, როცა პრეზიდენტი იქნება ჩვენი გუნდიდან, არა მგონია, რაიმე პრობლემა იყოს. არც ნაცმოძრაობას აქვს ძველებური ერთობა, ბოლოს 7 ხმა დარჩა სააკაშვილს პარლამენტში და ეს კარგად გამოჩნდა პრეზიდენტის მიერ შემოტანილი კანონპროექტის განხილვისას. ხელისუფლებიდან სააკაშვილის წასვლის შემდეგ კი, არა მგონია, ამ ნარჩენების რიტორიკა საშიში იყოს ჩვენი ქვეყნისთვის ან რაიმე საფრთხეს ქმნიდეს ქვეყნის განვითარებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს გუნდში ეს საკითხი არ დასმულა. თუმცა დათხოვნის შემთხვევაშიც, არანაირი პრობლემა არ არის, ვისაც უნდა, ჩაატარებენ საარჩევნო კამპანიას და ისევ შევლენ პარლამენტში. მე კი არ ვიცი, ალბათ დავფიქრდები, დავრჩე თუ არა პოლიტიკაში. ჩემი მოწოდება დეპუტატობა მაინცდამაინც არ არის. კარგი პროფესია მაქვს და შეიძლება იქ დავბრუნდე ან სულ სხვა საქმე ვაკეთო, მაგრამ იმაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ქართული ოცნება" ისევ გაიმარჯვებს.

„ბატონმა ბიძინამ ჩათვალა, ჰომ, თუ ეყოლება ნოჰმალური პჰეზიდენტი და მთავჰობა, ოჰიენტიჰებული ხალხზე და უმჰავლესობა, მისი ყოფნა შესაძლებელია სამოქალაქო სექტოჰში, ჰათა უფჰო მეტად გააძლიეჰოს სამოქალაქო საზოგადოება. მეც მგონია, ჰომ ასე უფჰო კაჰგად დაეხმაჰება მთავჰობასაც, ქველმოქმედებასაც უფჰო შეძლებს და ბიზნესსაქმიანობასაც".

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

Cyan Magenta Yellow Black

იაშვილის კლინიკაში თურქი ინვესტორი გახსნილი შარვლით დარბოდა?

„ახალგაზრდა ექიმს უთხრა, ჰამდენი გაქვს ხელფასი, ოთახში შემოდი და მე ოჰმაგს გადაგიხდიო"

„ყოველ ღამე მთვრალი მოდის, ყვირის, იგინება, შარვალზე შესაკრავი აქვს გახსნილი და ახალგაზრდა ექთნებს ოთახში ეპატიჟება — მე უფრო მეტს გადაგიხდით, ვიდრე ხელფასი გაქვთო. ექიმებს უკრძალავს ჯვრების ტარებას, მოითხოვა, ხატები ჩამოგვეხსნა" — ასე ახასიათებენ იაშვილის სახელობის კლინიკის ექიმები საავადმყოფოს ახალ მეპატრონეს, წარმოშობით თურქ თექინ ატიქს. თექინ ატიქი ბავშვთა საავადმყოფოში ბოლოს 31 აგვისტოს, ღამის 10 საათზე მივიდა, როგორც ამბობენ, მთვრალი და ყვიროდა, იგინებოდა. ამ ყველაფრის შემდეგ კი კომპიუტერი და ერთ-ერთი ექიმის სათვალე დალეწა. მეორე დღეს საავადმყოფოს ყველა თანამშრომელი კლინიკის ეზოში შეიკრიბა და თექინ ატიქის წინააღმდეგ აქცია გამართა. ამ დღის შემდეგ თურქი ბიზნესმენი საავადმყოფოში აღარ შეუშვიათ.

ატიქი საქართველოში რამდენიმე კლინიკის მფლობელი სულ ახლახან, რამდენიმე კვირის წინ გახდა, მაგრამ ჯერ თანხა არ გადაუხდია. საავადმყოფოები მას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილმა პრეზიდენტმა, გია ნაცვლიშვილმა მიჰყიდა.

თურქეთის საელჩომ ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს თექინ ატიქთან შეხვედრა და სიტუაციაში კარგად გარკვევა სთხოვა. მინისტრმა თურქი ბიზნესმენი სამინისტროში მიიღო. სერგეენკო შეუვალი იყო. მან ატიქს მოსთხოვა ოფიციალური დოკუმენტაციის წარდგენა, რომ ის ნამდვილად თურქულ კომპანია „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპს" წარმოადგენდა, რაზეც ბიზნესმენმა უპასუხა, რომ ასეთი საბუთები ჯერჯერობით არ გააჩნდა.

თურქმა ინვესტორმა მინისტრს ბოდიში მოუხადა იაშვილის კლინიკაში შექმნილი ვითარების გამო. „7 წელია კავკასიის რეგიონში ვმუშაობ, აფრიკაშიც ვეწეოდი საქმიანობას და მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა", — უთხრა მინისტრს თექინ ატიქმა.

ჟურნალისტებს თარჯიმნები ესაუბრებიან, როგორც თექინ ატიქის წარმომადგენლები. ერთ-ერთი მათგანი ალექსანდრე მილაშვილი გახლავთ. ის ყველაფერს იაშვილის კლინიკის ადმინისტრაციას აბრალებს, ამბობს, რომ მინისტრი სერგეენკო შეცდომაში შეიყვანეს და ატიქი უპატიოსნესი ადამიანია. ვერ გეტყვით, რა ლოგიკით, მაგრამ, ბატონი ალექსანდრეს თქმით, ნაციონალების წევრებით დაკომპლექტებულ იაშვილის კლინიკის ადმინისტრაციას თურმე ეშინია, თურქმა ბიზნესმენმა მათ მაგივრად „ქართული ოცნების" წარმომადგენლები არ დანიშნოს.

ალექსანდრე მილაშვილი: ინტერნეტში ნახეთ, რამხელა ორგანიზაციაა „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპი". მსოფლიოში 102 საავადმყოფოს მფლობელი ორგანიზაცია შემოვიდა საქართველოში და ასე უდიერად მოექცნენ. თუ სახელმწიფომ არ მიიღო სწორი გადაწყვეტილება, მაშინ ინვესტიცია არ ჩაიდება და საქართველო ვერ ჩაერთვება უამრავ საავადმყოფოთა ქსელში. თუ სიტუაციას სწორად არ შეაფასებენ და ამ ცრუბრალდებებს არ მოხსნიან, არაფერს ექნება აზრი. თურქებს კიდევ ბევრი ინვესტიცია უნდა განხორციელებინათ, მაგრამ ამის შემდეგ რა იქნება, ვერ გეტყვით.

— დავიჯეროთ, ამდენი ექიმი ტყუის, როცა ამბობს, რომ კომპიუტერი დაამტვრია, ვიღაცას სათვალე გაუტეხა, რომ მთვრალი დადიოდა და ა.შ. იქნებ მართლა აკეთებდა ეს კაცი ამ ყველაფერს?

— ის ნამდვილად დადებითი პიროვნებაა. ერთ ავადმყოფს 40 ათასი დაუგროვდა ვალი და აპატია. იმ ბავშვის მშობლებს დაელაპარაკეთ, როგორი პიროვნებაა. მეორე პაციენტს 60 ათასი დაუგროვდა და მისი მშობელი ბავშვის სანახავად ვერ მოდიოდა — ვალებს მომთხოვენო. მასაც აპატია.

— რას ნიშნავს „აპატია", თვითონ გადაიხადა?

— არა. თუ ეს ინვესტიცია განხორციელდებოდა, ამ ორ ადამიანს ვალს არავინ მოსთხოვდა. ახლა აღარც ინვესტიცია შემოვა, აღარც ახალი ტექნიკა და არც იმ

ალექსანდრე მილაშვილი: „საავადმყოფოს ძველ ადმინისტრაციაში სულ ნაციონალური მოძრაობის ხალხია. მათ ადგილების დაკარგვა არ უნდათ. ცდილობენ, ჰამენაირად ჩიჩქი მოსცხონ ახალ ინვესტორს, რომ მათი ადგილები „ქართული ოცნების" ხალხმა არ დაიკავოს... არ არის გამორიცხული, რომ ეს ხალხი ნაციონალებმა აკაკანყა".

ჭბედურ ადამიანებს ეშველებათ რამე. იაშვილის კლინიკაც ისეთივე დანგრეული და გაუბედურებული იქნება, როგორიც აქამდე იყო. ბავშვები იღუპებიან და ეს ისევ გაგრძელდება, რადგან ახალი ტექნოლოგიებია საჭირო.

— საავადმყოფოს ღირებულება უკვე გადაიხადეს თურქებმა?

— არა, თანხა ანგარიშზე დევს, მაგრამ დაბლოკილია, რადგან საქმის შესასწავლად დრო იყო გამოყოფილი. ქონების ჩამონათვალი ჯერ შემოწმებული არ არის. ის თანხა ხელმისაწვდომი იქნება დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. თურქული კომპანია სამი თვეა ცდილობს სიტუაციის შესწავლას, მაგრამ იაშვილის კლინიკის ადმინისტრაცია სრულ ინფორმაციას არ გვაძლევს.

— მინისტრმა თურქულ მხარეს უსაყვედურა, აქამდე უნდა შეგესწავლათ ქართული კანონები, ქართული გარემოთ.

— არ ვიცი, ბატონ დავით სერგეენკოს რა პოზიცია აქვს, მაგრამ კრაზანების ბუდეს რომ უწოდებს საავადმყოფოს, რომელიც ნამდვილად ხელოვნურად იყო აჯანყებული... ადმინისტრაცია თავიდანვე ხელს გვიშლიდა. არ გვაძლევდნენ იმ საბუთებს, რაც ჩვენ გვჭირდებოდა. ხშირ შემთხვევაში თურქეთში გაგზავნილი დოკუმენტაცია ქართულ ენაზე იყო შედგენილი, მაგალითად, ბიუჯეტის, ბალანსის... ეს სწორია?! როგორც წესი, დოკუმენტაცია ყველგან ინგლისურ ენაზე იგზავნება.

■ იაშვილის კლინიკა

რამ გამოიწვია თეთრხალათიანების პროტესტი

— თექინ ატიქმა მინისტრთან შეხვედრაზე რატომ არაფერი თქვა ამ დეტალების, პრეტენზიების შესახებ?

— იმიტომ, რომ ვიგრძენით, ვიღაცის ხელი მართავს სიტუაციას და არაფრის თქმას ჰქონდა აზრი. მინისტრმა არც მოგვისმინა და თუ არ უნდა თავის ქვეყანაში ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება, მას მოჰკითხეთ! მთლიანად უნდა გაერემონტებინათ შენობა და ინფრასტრუქტურა, 50 მილიონამდე უნდა ჩადებულიყო ამ ყველაფერში. ნახეთ, საავადმყოფოში რა ხდება — ყველგან საჭმლის სუნი ტრიალებს!

— თურქ ინვესტორს ხატების ჩამოხსნა მოუთხოვია საავადმყოფოს კედლებიდან.

— სრული აბსურდი და თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა. ამ ადამიანს უნდოდა არა ყველა ოთახში, არამედ ყველა სართულზე მოეწყო ოთახი-სამლოცველო. რადგან საქართველოში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობენ, შეიძლებოდა სამლოცველოს მოწყობა ასევე ებრაელებისთვის, მუსლიმებისთვის, კათოლიკეებისთვის... ეს პრაქტიკა აქვს ჩვენი ორგანიზაციის სათაო ოფისს. ამ ორგანიზაციას 102 საავადმყოფო აქვს მთელ მსოფლიოში. აფრიკაში, განაშიც კი აქვთ თავიანთი საავადმყოფო. რუსეთშიც შენდება რამდენიმე საავადმყოფო.

— რას ამბობს თექინ ატიქი იმ ბრალდებებზე, რაც მის წინააღმდეგ გაისმის?

— ცრუბრალდებებზე რა უნდა თქვას?!

— შეიძლება ერთმა ან ორმა ადამიანმა იცრუოს, მაგრამ, როცა მთელი საავადმყოფოს კოლექტივი ერთ აზრზეა...

— როგორ ფიქრობთ, არ შეუძლიათ მართონ სიტუაცია?!

→22

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ექიმი. ქალბატონი დეა

Cyan Magenta Yellow Black

— გინდათ თქვათ, რომ ექიმებს ვიღაც მართავს?

— დიახ, ზუსტად ასეა!

— ვინ მართავს?

— საავადმყოფოს ძველ ადმინისტრაციაში სულ ნაციონალური მოძრაობის ხალხია. მათ ადგილების დაკარგვა არ უნდათ. ცდილობენ, რამენაირად ჩირქი მოსცხონ ახალ ინვესტორებს, რომ მათი ადგილები „ქართული ოცნების“ ხალხმა არ დაიკავოს.

— ვერ გაიგე, ახალი მფლობელები ნაციონალების გაშვებას და „ქართული ოცნების“ ხალხის მოყვანას გეგმავდნენ?

— არ არის გამორიცხული, ეს ხალხი ნაციონალებმა ააჯანყეს, რომ ძველი ადმინისტრაციის დათხოვნა არ მომხდარიყო.

— თურქებმა ნაციონალების ერთ-ერთი ცნობადი სახის, გია ნაცვლიშვილისგან არ შეიძინეს ეს საავადმყოფო?

— გია ნაცვლიშვილის საკუთრება იყო, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ის ჯანდაცვის საკითხებში ჩახედული არ არის. კლინიკის ადმინისტრაცია არც მას აწვდიდა ინფორმაციას, რა ხდებოდა საავადმყოფოში. გია ნაცვლიშვილისთვის ჯერ არაფერი გადაგვიხდია. თუ არ დავრწმუნდებით, რომ ქაღალდზე დაწერილი ემთხვევა კლინიკის რეალურ ქონებას, მანამდე არავინ არაფრის ყიდვას აპირებს. ის ექიმი, ვისზეც ამბობენ, რომ თექინმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ამას არ ადასტურებს.

— მისი სათვალე გაუტეხავს.

— არანაირი სათვალე იქ არ ყოფილა, ესეც ადმინისტრაციის მოგონილია. სათვალე რომ გატეხა, ეს ფიზიკური შეურაცხყოფაა? ის ქალი ამბობს, მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენაო. ან სიტყვიერ შეურაცხყოფას როგორ მიაყენებდა, როცა არც ერთი სიტყვა ესმის თურქულად, თექინს კი თარჯიმანი არ ახლდა. ონკოლოგიურ და სხვა საავადმყოფოებშიც უნდა შემოსულიყო თურქული ინვესტიცია, მაგრამ ვიღაცის კერძო ინტერესებმა ეს ყველაფერი დაამუხრუჭა.

— ყველაფერს ნაციონალებს რა ლოგიკით აბრალებთ? ასე რომ იყოს, მინისტრი სერგეენკო, ახალი მთავრობის წარმომადგენელი, რატომღა დაუჭერდა მათ მხარს?

— მინისტრმა მხარი დაუჭირა ეზოში გამოსულ ექიმებს. სერგეენკო შეცდომაშია შეყვანილი. ახალმა ინვესტორმა პირველივე დღეს გამოაცხადა, რომ ადმინისტრაციის შეცვლას არ აპირებდა, მაგრამ, ქართული წესის მიხედვით, როცა მფლობელი იცვლება, ადმინისტრაციასაც ცვლის. სწორედ ამის შეეშინდათ და იმიტომ აჯანყდნენ.

— ბატონი თექინი ალბათ საყვედურსაც მიიღებს სათაო ოფისისგან აქ დატრიალებული ამბების გამო.

— არავითარ შემთხვევაში! ამ პიროვნებას იცნობენ და არ დაიჯერებენ ამ ცილისწამებებს. ამხელა ინვესტიციის განხორციელების უფლება მისცეს და... თქვენც ვერ დაგარწმუნეთ, რომ მას კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია. ამიტომ ამბობთ, საყვედურს ეტყვიანო. არ ეტყვიან! ეს ქართველებმა დავკარგეთ სერიოზული ფინანსური დახმარება.

— მინისტრმაც თქვა და ექიმებიც ადასტურებენ, რომ პრობლემა თექინის პიროვნებაა. ასეთ შემთხვევაში თურქულ კომპანიას ხომ შეუძლია მის მაგივრად სხვა გამოგზავნოს?

— კი, მაგრამ რატომ?! ამ კაცმა განაში ტყვიების ქვეშ ააშენა საავადმყოფო. არაფრის შეშინებია და ქართველების შეეშინდება?! საავადმყოფოში თექინის კაბინეტს კლიტე შეუცვალეს. ახლა ალბათ ელოდებიან, რომ ეს კარს შეამტვრევს და წამოიღებს იქ არსებულ დოკუმენტებს, ხელშეკრულებას. სანამ ქართველები არ მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ ნამდვილად უნდათ ამ ქონების გასხვისება, მანამდე თექინი არაფერს მოიმოქმედებს. თქვენ უბადრუკ წერტილზე ტრიალებთ, გინდათ, დაამტკიცოთ, რომ თექინი დამნაშავეა. შეატრიალეთ სურათი და იფიქრეთ, რომ ეს კაცი უდანაშაულოა და ყველაფერი მოუწყვეს. თავად მიხვალთ დასკვნამდე, თუ ვის ინტერესებში შედიოდა ის, რომ 50 მილიონი დოლარი არ შემოსულიყო საქართველოში.

■ მედპერსონალის აქცია კლინიკასთან

მარინა ფირცხალავა: „დანესებულია საათები, ოცა მნახველებისთვის ჯერინიკაში შესვლა თავისუფალია. თექინმა გასცა ბრძანება, რომ აზერბაიჯანელებს 24 საათის განმავლობაში ჰქონოდათ შესვლის უფლება, ქართველებს — არა... ექიმებს ჯვრების ტარება აუკრძალა! ქალი ვარ და ყარგად ვიცი, როგორ, რა თვალებით უყურებდა პატარა გოგოებს, ექთნებს“.

თექინის თარჯიმანი ვარ და მას ვახლდი ყველა შეხვედრაზე. მხოლოდ ერთხელ არ ვიყავი მის გვერდით, როცა ის მძღოლთან ერთად მივიდა. იმ დღეს კლინიკაში რომ მივიდა, აზერბაიჯანელი პაციენტის მშობლებმა უთხრეს, 8 საათია ბავშვი აქ წევს, დისკი მაქვს მოტანილი, სადაც ტომოგრაფიაა ჩაწერილი და არავინ გამოჩნდა, ვინც ამას ნახავდაო. ბატონი თექინი მივიდა რეანიმატოლოგთან და უთხრა, კომპიუტერი ჩართეთ, შეხედეთ, რა არისო. ექიმმა უთხრა, კომპიუტერი არ მუშაობსო. ბავშვზე შესტკიოდა გული და იმიტომ მოიქცა ასე.

— და კომპიუტერი გატეხა. ეს თავად აღიარა სატელევიზიო კომენტარში.

— კარგად გააანალიზეთ, საქმე აქამდე რატომ მივიდა.

— ინვესტორი სწორედ იმიტომ არის საჭირო, რომ ასეთი დეტალები მოაგვაროს, ტექნიკამაც გამართულად იმუშაოს. არ ფიქრობთ, რომ კომპიუტერი კი არ უნდა გაეტეხა, მაშინვე გამოეცვალა?

— ხელი ჰკრა, თუ გაფუჭებულია, ნაგავში გადააგდეთ, ახალს მე გიყიდითო. გაიგო ეს ვინმემ?! სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს კაცმა თუ ექიმს სათვალე გადაამტვრია, კომპიუტერი გატეხა, ის არც ქვეყნიდან გააგდეს და 100 ლარითაც კი არ დააჯარიმეს, რას ნიშნავს?! პოლიციის ჩანაწერში წერია, რომ ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა. თუმცა, ვიმეორებ, ესეც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან იმ ქალმა თურქული არ იცის. თექინი კი თარჯიმნის გარეშე იყო.

■

რეანიმატოლოგი, რომელმაც თექინ ატიქის რისხვა დაიმსახურა, მარინა ფირცხალავაა. მან იმ დღის დეტალები „სარკესთან“ გაიხსენა.

მარინა ფირცხალავა: ალექსანდრე მილაშვილმა რა იცის, რა მოხდა?! ის იმ მომენტში იქ არ ყოფილა, მაგრამ ტელევიზორს მაინც არ უყურებს, სადაც კარგად აჩვენეს გატეხილი სათვალე, რომელიც ორლარიანი ნამდვილად არ იყო?! ვიგონებ?! ვუჩივლებ ბატონ მილაშვილს და ვნახოთ, რას იზამს. პოლიციის ჩვენებაში წერია, რომ სათვალეც გატეხა, კომპიუტერს, მაგიდას ურტყამდა და ჩახდილი შარვლით იდგა. მეტი რა უნდა ექნა, მაინცდამაინც დაშნა უნდა ამოეღო, რომ შეურაცხყოფად ჩაითვალოს?! პაციენტების მშობლები არიან ამ ყველაფრის მოწმეები.

— თურმე კომპიუტერი არ მუშაობდა, რამაც თექინ ატიქი გაანარისხა.

— კომპიუტერი შესანიშნავად მუშაობდა, უბრალოდ, დისკის ჩასადები არ ჰქონდა. არ აქვს ამ პროცესორს და რა მექნა?! მისი ტვინი სიმთვრალისგან არ მუშაობს და ამას საავადმყოფოს ვიდეოჩანაწერები ადასტურებს. ღამის 10 საათზე მოვიდა საავადმყოფოში და ზუსტად ამ დროს კატასტროფის ცენტრის ბრიგადამ, ექიმმა ირაკლი კალმახელიძემ მოიყვანა პაციენტი, თამარაშვილი, მძიმე კომაში, რომელიც მართვით სუნთქვაზე იყო. როცა პაციენტს ვიბარებდი, თექინი მაშინ შემოვიდა საორდინატოროში. მთვრალი იყო. შარვლის ელვა გახსნილი ჰქონდა, ტუჩებზე ყავა თუ ღვინო ჰქონდა შემხმარი. სასმელის სუნი ასდიოდა. ეს ყველაფერი ჯერ არსად მითქვამს და ახლა ვიტყვი: ახლდა აზერბაიჯანელი მძღოლი, რომელიც თარჯიმნობას უწევდა. თექინი შემოვარდა საორდინატოროში და ყველანაირი წინაპირობის გარეშე ჩხუბი დაიწყო. ირაკლი კალმახელიძე პირველად დაინახა და მის მისამართით ილანძღებოდა. მის თანმხლებს შევეკითხე, რატომ ჩხუბობს-მეთქი. არაფერი მითხრა. ირაკლის წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს კაცი ვინ იყო და მაქსიმალურად შეიკავა თავი, გაეცალა. ვუთხარი, პაციენტი მყავს მისახედი-მეთქი. პაციენტამდე არ მიმიშვა. ხელში მეჭირა პაციენტ თამარაშვილის თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიის დისკი. ის კი ყვიროდა, დისკი ჩართეო. ავუხსენი, დისკის ჩასადები არ აქვს-მეთქი. ყვიროდა, ღრიალებდა, დორბლები ჩემამდე აღწევდა, დედას გვაგინებდა.

— თარჯიმანმა გითარგმნათ გასება?

— „სიქიმბ“ რას ნიშნავს, ამიხსენით მაშინ! „სიქიმბ, სიქიმბ, სიქიმბო“, გაიძახოდა. იქ იყო ხალხი, რომელმაც ამდენი იცოდა. თარჯიმანს ვეუბნებოდი, ვერ უთარგმნი თუ არ უთარგმნი, რომ კომპიუტერს დისკის ჩასადები არ აქვს-მეთქი. ვეუბნებიო, ამბობდა. ხელით ვანიშნე, დისკის ჩასადები არ აქვს-მეთქი. მაგიდას და პროცესორს მუშტებს ურტყამდა. ამას ნეიროქირურგი გია გიგიტაშვილი ესწრებოდა... ამის შემდეგ აიღო კომპიუტერის მონიტორი და ურტყა და ურტყა მაგიდას. გატეხა ექიმ ნინო ბერიძის 500 ლარიანი სათვალე. ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა ცოტა თურქული იცის და მან გვითხრა, ყვირის, ყველას გაგყრითო. ყველამ მივეცით ჩვენება. ამოვიყვანეთ აზერბაიჯანელი პაციენტის დედა, რომელმაც დაუდასტურა პატრულს, რომ სიტყვები, რასაც ის

Cyan Magenta Yellow Black

ყვიროდა, დედის გინებაა.

ამ ყველაფრის შემდეგ ტელეეთერში გააკეთა კომენტარი, ნასვამი არ იყო და იმან გააბრაზა, რომ პაციენტის დისკი სამი დღის განმავლობაში არ იყო გახსნილი. ტელევიზიით ასევე გავიდა კადრი, თუ როგორ გადმოდის მანქანიდან მთვრალი. თამარაშვილის მშობელმა თქვა ასევე ტელევიზიით, რომ იმ წუთის შემოსულები იყვნენ და ეს კაცი არ მაძლევდა საშუალებას, მისი შვილისთვის მიმეხედა.

— აზერბაიჯანელი პაციენტის დისკის გახსნა მოგთხოვათ თუ ქართველის?

— ტყუილია, მოიგონეს! რელიგიით მანიპულირებენ. ჩემს პალატაში იწვა კუჭუხიძე, თამარაშვილი, ფუტკარაძე და დავითაშვი-

ალექსანდრე მილაშვილი: „ვიღაცის ხელი მახთავს სიტუაციას. მინისტრმა არც მოგვისმინა და თუ არ უნდა თავის ქვეყანაში ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება, მას მოჰკითხეთ! მთლიანად უნდა გაეხემონტებინათ შენობა და ინფრასტრუქტურა, 50 მილიონამდე უნდა ჩადებულიყო ამ ყველაფერში“.

ლი. აზერბაიჯანელი პაციენტი არ მყოლია. ეს საქმე იქამდე მივა, რომ ვუჩივლებ, რადგან მუდმივად ჩვენს დისკრედიტაციას ეწევა. ამას არ შევარჩენთ!

— პაციენტი არ ზარალდებოდა, ტომოგრაფიის წაკითხვას რომ ვერ ახერხებდით?

— არა. მე არ ვიყავი ვალდებული, დისკი წამეკითხა. ეს არალიცენზირებული საქმიანობა იქნებოდა. პაციენტის მდგომარეობის შესახებ კონკრეტული დასკვნა კრიტიკული მედიცინის ექიმს უნდა ჰქონდეს. დისკს კითხულობს სპეციალური სამსახური, რომელიც ჩვენს კლინიკაში არსებობს... თექინი მუდმივად მთვრალი მოდიოდა, ცინიკურად იქცეოდა და შარს ეძებდა. ერთ-ერთ ექიმს, რომელიც მეორედ ნახა, უთხრა, შენ კიდევ ცოცხალი ხარო. ეს ექიმი 60 წელს არის გადაცილებული. რა ჰქვია ამას, გამაგებინეთ!

საავადმყოფოში არის დაწესებული საათები, როცა მნახველებისთვის კლინიკაში შესვლა თავისუფალია. გასცა ბრძანება, რომ აზერბაიჯანელებს 24 საათის განმავლობაში ჰქონოდათ შესვლის უფლება, ქართველებს — არა. ექიმებს ჯვრების ტარება აუკრძალა! ქალი ვარ და კარგად ვიცი, როგორ, რა თვალებით უყურებდა პატარა გოგონებს, ექთნებს.

— ამბობენ, თანამშრომლების გაუპატიურებასაც ცდილობდაო.

— კი, ცდილობდა.

■

იაშვილის კლინიკის მთავარი ექიმი ივანე ჩხაიძე ამბობს, რომ თექინ ატიქი, რადგან მომხდარზე პასუხისგებას ვერ გაექცევა, ახლა ცდილობს, პოლიტიკასთან დაკავშირებული განცხადებებით გაიმართლოს თავი.

— ბატონო ივანე, თქვენთან შეთანხმებით გაიყიდა იაშვილის კლინიკა?

— იაშვილის ადმინისტრაციას კლინიკის გაყიდვასთან შეხება არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. დოკუმენტაცია ქართულად გაიგზავნებოდა, თურქულად თუ რუსულად, ადმინისტრაციას არავინ ეკითხებოდა. ნაცვლიშვილმა გაყიდა და არა — ჩვენ. არც ვიცოდით, ეს პროცესი თუ მიმდინარეობდა, როცა ოფიციალურად გაცხადდა, მაშინ გავიგეთ. არც ის ვიცით, როდის და როგორ იყიდა გია ნაცვლიშვილმა ჩვენი კლინიკა. როცა საჯარო რეესტრში დაფიქსირდება, მაშინ ვიგებთ...

ყველგან იმეორებენ, რომ პაციენტის მშობლები 4 დღე ელოდებოდნენ კომპიუტერის დისკის გახსნას და ბატონი თექინი ამან გააბრაზა. ის ადამიანი, ვისზეც ამას ამბობენ, ზუსტად იმ წუთში შემოიყვანა კატასტროფის ბრიგადამ ჩვენს კლინიკაში გორიდან. ისინი თექინს ვერაფრით ეტყოდნენ, რომ 4 დღის განმავლობაში კლინიკაში დისკის წამკითხავი ვერ იპოვეს. ამ ბავშვის მშობელმა მონიტორინგის ჯგუფს და პოლიციას მისცა ჩვენება, რომ იმ წუთში შემოვიდა საავადმყოფოში. მშენებელია ბატონი თექინი და მას იმ დისკის ჩართვა რატომ უნდოდა, ვერ ვიგებ. მისი სიმთვრალე კამერებითაც არის დაფიქსირებული და ამის მოწმეებიც არიან. დღისით არ სვამს, ღამე მიდიოდა კლინიკაში მთვრალი და იქაურობას იკლებდა.

— თექინ ატიქის წარმომადგენელი ამბობს, რომ ნაციონალებისგან დაკომპლექტებულ ადმინისტრაციას ეშინია, რომ მათ გაათავისუფლებენ და თურქი ბიზნესმენის წინააღმდეგ ექიმები სიცრუეს ამბობენ.

— უნდა, პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანოს ეს ყველაფერი. ჯანდაცვის მინისტრიც ნაციონალი ხომ არ გვყავს?! მინისტრს არ აქვს საკუთარი აზრი?!

■

იაშვილის კლინიკის პიარის ხელმძღვანელი, თამუნა ჩეჩელაშვილი ამბობს, რომ, რადგან თექინ ატიქს ფული არ ჰქონდა გადახდილი, მას საავადმყოფოში შესვლის და მართვის უფლება არ გააჩნდა.

თამუნა ჩეჩელაშვილი: მინისტრმა უთხრა, წარმომიდგინეთ, ვინ ხართ, რა ხართ და რა გინდათო. ამის დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. საკითხავია, ვინ არიან. თვითონ თქვა, ჩვენ „უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ ფილიალი კი არ ვიქნებით, ცალკე კომპანიად დავრეგისტრირდებითო. ეს ალექსანდრე მილაშვილი კი მძღოლია და მეტი არაფერი! არ იცის, რას ლაპარაკობს. რა ნაციონალები, რის ნაციონალები?! მინისტრს უთხრა, ფული არ ჩაგვირიცხავს, სათაო ოფისში ელოდებიან, რა გადაწყვეტილებას მივიღებთო. ხატებთან დაკავშირებით კი თავად აღიარა, სტამბოლში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კლინიკის კედლებიდან ხატები ჩამოხსნან.

რელიგიას, პოლიტიკას იყენებენ და ყველაფერს კადრულობენ. ჯერ არ უყიდია, ფული არ გადაუხდია და უკვე მფლობელად თვლიდა თავს. მინისტრმა უთხრა, თუ ჯერ თანხა არ გადაგიხდიათ, რა უფლებით შეხვედით კლინიკაშიო. ეს არც ჩვენ ვიცოდით. პირდაპირ მოვიდა კლინიკაში და განაცხადა, ახალი მფლობელი ვარო. ექიმებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელს არ დალაპარაკებია, გამარჯობათ, მე ესა და ეს ვარო, არ უთქვამს. ღამით კი ნასვამი მიდიოდა საავადმყოფოში და ილანძღებოდა. ახალგაზრდა, უმცროსი ექიმი მოეწონა. ჰკითხა, რამდენი გაქვს ხელფასიო. მერე უთხრა, აგერ შედი ოთახში და ახლავე ორმაგს გადაგიხდიო. ეს ყველაფერი რამდენიმე თანამშრომელმა გაიგონა... ზოგჯერ თარჯიმნები ეუბნებოდნენ, გაჩერდი, არ გინდაო... პედიატრიულ განყოფილებაში, საორდინატოროშიც შეუვარდა გოგონებს შარვალზე ელვაგახსნილი. ყველას, როგორც მონას, ისე ელაპარაკებოდა. გოგონები ისტერიკაში იყვნენ, ასე რომ ხედავდნენ.

„უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპის“ საიტზე შევედით და მათ მხოლოდ და მხოლოდ 7 კლინიკა აქვთ და შვიდივე თურქეთში. საიდან მოიტანა აფრიკა და სხვა ქვეყნები, ვერ გეტყვით. თექინს ჰგონია, აფრიკაშია ან პირველყოფილებთან! პროფესორები, აკადემიკოსები გადარია!

■

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა იაშვილის კლინიკის ხელახლა გასხვისებამდე ცოტა ხნით ადრე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი, გია ნაცვლიშვილი და შპს-ების — „არტესის“ და „ავანტე ჰოსპიტალ მენეჯმენტ გრუპის“ დამფუძნებელი, ზაზა კაპანაძე დაკავა. გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „არტესმა“ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ დაკვეთით, 2009-2012 წლებში საბიუჯეტო დაფინანსებით შეასრულა კალაუბნის, აღმაშენებლის გამზირის, მარჯანიშვილის ქუჩისა და ზაარბრიუკენის მოედნის სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები. რა დროსაც შპს „არტესის“ დამფუძნებელმა ზაზა კაპანაძემ, ამავე საწარმოს არაოფიციალურ დამფუძნებელ გია ნაცვლიშვილთან ერთად, „ძველი ქალაქის განვითარების ფონდის“ იმჟამინდელ ხელმძღვანელ სერგო ქავთარაძის დახმარებით, საბიუჯეტო თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ფიქტიურად გაზარდეს, რითაც ისინი თაღლითურად დაეუფლნენ თბილისის განვითარების ფონდის კუთვნილ 4.052.108 ლარს.

ამ გზებით მოპოვებული თანხებით დაახლოებით წელიწადნახევრის წინ ნაცვლიშვილმა და კაპანაძემ საავადმყოფოები შეიძი-

თამუნა ჩეჩელაშვილი: „ხელიგიას, პოლიტიკას იყენებენ და ყველაფერს ჯადოქრობენ... პედიატრიულ განყოფილებაში, საორდინატოროშიც შეუვარდა გოგონებს შარვლის ელვაგახსნილი. ყველას, როგორც მონას, ისე ელაპარაკებოდა. გოგონები ისტერიკაში იყვნენ, ასე რომ ხედავდნენ“.

ნეს, მათ შორის — იაშვილის კლინიკაც და ასე მოახდინეს უკანონოდ მიღებული შემოსავლების ლეგალიზება. ამ უკანასკნელთა სასამართლო პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, თუმცა ისინი საპროცესო შეთანხმების შედეგად გაათავისუფლეს. ახლა კი, როგორც ჩანს, სასწრაფოდ გადაწყდა მათ ხელთ არსებული საავადმყოფოების გაყიდვა.

გია ნაცვლიშვილმა ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტს უთხრა, რომ იაშვილის კლინიკა აუქციონზე 10.400.000 ლარად შეიძინეს. თურქულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით თავად იყო თურქეთში ჩასული და ამ კონტრაქტზე მუშაობა 4 თვე მიდიოდა. ჯერ თურქებს თანხა არ გადაუხდიათ. დაახლოებით 11.000.000 ლარი მათ 6 თვეში უნდა დაფარონ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

ძმები გულაშვილები თავიანთი ფილმისთვის მთავარ გმირს ეძებენ

■ ძმები — ირაკლი და თორნიკე

ომღერალმა ძმებმა ირაკლი და თორნიკე გულაშვილებმა პროექტ „ახალი ხმის“ წინა სეზონზე ჟიურისა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს. პროექტის დასრულების შემდეგ კი ისინი სცენიდან გაუჩინარდნენ, რადგან სტუდიურ საქმიანობაზე გადაერთვნენ. ირაკლი 23 წლის არის, თორნიკე — 22-ის. მათ ბევრი გეგმა და ოცნება აქვთ. უახლოეს მომავალში კი ფანტასტიკური ჟანრის ფილმის გადაღებას და სხვადასხვა ტიპის მუსიკალური პროდუქტის შექმნას აპირებენ.

„ახალმა ხმამ“ ძმებს პოპულარობა მოუტანა, განსაკუთრებით კი — გოგონებში, მაგრამ ორივეს მკაცრად აქვს გადაწყვეტილი, ქორწინებაზე მაშინ იფიქრონ, როცა საკუთარი შემოსავალი ექნებათ.

— მუსიკალურ სფეროში აქტიურად აღარ ჩანხართ. „ახალ ხმაში“ მიღწეული წარმატება არაფერში გამოიყენეთ?

ირაკლი: სექტემბერს ველოდებოდით. კინომუსიკის მწარმოებელი კომპანია გავაკეთეთ. ბაზარზე ამ ტიპის რამდენიმე კომპანია არსებობს, თუმცა ჩვენ სხვა განხრით მივდივართ.

თორნიკე: მე რეჟისორი ვარ. ინტერნეტით მასტერკლასები გავიარე, ფილმებს ვიღებ. გადაწყვეტილი მაქვს, მძაფრსიუჟეტიანი ფანტასტიკა გადავიღო, რომლის მსგავსიც საქართველოში არ გაკეთებულა. სურათი ქართველ გმირზე იქნება. ირაკლი ერთ-ერთ როლს თამაშობს, მის პერსონაჟს ხურმა ჰქვია. მთავარი გმირის შესარჩევ კასტინგს ვიწყებთ. სხვა საორგანიზაციო საქმეები მოგვარებული გვაქვს.

— ფილმის გადაღება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ვინ აფინანსებს ამ ყველაფერს?

თორნიკე: ჩვენი ფილმი მაღალბიუჯეტიანია. ხარჯების შემცირებას ვცდილობთ, მაგალითად, რეჟისორიც გახლავართ, ოპერატორიც, მემონტაჟეც, ვიზუალურ ეფექტებსაც თავად ვაკეთებ და კინომუსიკასაც მე ვწერ. ეს ყველაფერი ნასწავლი მაქვს და თავს უფლებას ვაძლევ, ყველა სფეროში მოვსინჯო ძალები. ვცდილობთ, მაღალი ხარისხის ფილმი დავდოთ. სპონსორებს მოვძებნით და გადაღებებს დავიწყებთ. „ახალმა ხმამ“ ბევრი რამ მოგვცა, მათ შორის — ისიც, რომ შოუბიზნესში საჭირო ხალხი გავიცანით. რომ იტყვიან, მომღერალი ძმებიო, ყველა ხვდება, რომ ჩვენზეა საუბარი. დათო ფორჩხიძემ აღნიშნა, ბიჭები არამარტო მღერიან, არამედ მუსიკასაც წერენ,

ირაკლი: „ნაჰმატება თავში ახასოდეს აგვივარდება. განა ხას უნდა მივაღწიო ცხოვრებაში, რომ ვიღაცას ზემოდან გადმოვხედო“.

არანჟირებასაც აკეთებენო და ეს ერთგვარი რეკლამა იყო.

— როცა პროექტში მიდიოდით, ალბათ თქვენი მთავარი მიზანიც ეს იყო.

ირაკლი: ამ პროექტით სცენაზე პირველად არ გამოვსულვართ. ამაზე დიდ სცენაზეც ვმდგარვართ გაცილებით პრესტიჟულ ქვეყნებში. უბრალოდ, ჩვენს ქვეყანაში ეს პროექტი პიარისთვის მართლაც კარგი საშუალება იყო.

თორნიკე: გარდა ამისა, დიდი სიამოვნება იყო დათო ფორჩხიძესთან თანამშრომლობა და ბენდთან მუშაობა. ამან ერთგვარი გამოცდილება შეგვძინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერს დიდი სტრესი და ღელვა ახლდა, დღეს ყველაფერი კარგად გვახსენდება. მეორედ რომ შემეძლოს ამ პროექტში შესვლა, უარს არ ვიტყოდი.

ირაკლი: პროექტში ბრმად მივედით. არავის „სასტავში“ გაწევრება არ გვინდოდა და ეს არც გვიცდია. დღევანდელი გადმოსახედიდან ვთვლი, რომ ჩვენი საქმე კარგად გავაკეთეთ.

— საკმაოდ პატარა ასაკში გაგიცნოთ საზოგადოებამ, მერე კარგა ხანს არ ჩანდით. წლების შემდეგ როგორ შეგხვდათ მსმენელი?

თორნიკე: მაშინ პატარა, პუტკუნა ბიჭები ვიყავით, მაგრამ მაინც ყველას ახსოვდა ჩვენი სიმღერები და კლიპები.

— კოლეგებმა როგორ მიგიღეს?

ირაკლი: უფროსმა თაობამ თბილად მიგვიღო. მაია ბარათაშვილთან ვმეგობრობთ, მერაბ სეფაშვილმაც რამდენიმე კონცერტზე დაგვიძახა.

— ამ პროექტის შემდეგ გაიზარდა შემოთავაზებების რიცხვი?

ირაკლი: ერთ-ერთ კლუბში ვმღერით კვირაში ორჯერ და ამ პროექტის დამსახურებაა, რომ დარბაზი ყოველთვის სავსეა. კარგი ანაზღაურებაა და არაფერი გვაქვს საწუწუნო.

თორნიკე: ჩვენს ქვეყანაში არანაირი კონცერტი არ ტარდება, მაგრამ საქველმოქმედო კონცერტებზე ხშირად გვეძახიან და ჩვენც უარს არასოდეს ვამბობთ.

— პოპულარობამ უარყოფითად ხომ არ იმოქმედა თქვენზე?

ირაკლი: წარმატება თავში არასოდეს აგვივარდება. განა, რას უნდა მივაღწიო ცხოვრებაში, რომ ვიღაცას ზემოდან გადმოვხედო.

ირაკლი: მართმადიდებელი ერი ვართ და ჩვენი სარწმუნოება თავმდაბლობისკენ მოგვიწოდებს.

— სიმღერებს ერთად წერთ თუ ცალ-ცალკე?

თორნიკე: შევიკეტებით ოთახში და ერთობლივად ვწერთ, თუმცა არანჟირებას მე ვუკეთებ.

ირაკლი: ხშირად ვკამათობთ კიდეც, მაგრამ ყოველთვის ვთანხმდებით, ხან ერთი ვთმობთ, ხან — მეორე. ვქმნით პოპმუსიკას. ჩვენს სიმღერებს ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენ ვმღერით.

— ყველაფერს თავად აკეთებთ — მუსიკას, არანჟირებას, მონტაჟს, კლიპებს... არ მოიძებნა სანდო პიროვნება, ვინც საქმის ნაწილს მაინც გაგიკეთებდათ?

ირაკლი: დავიღალეთ უაზრო ლოდინით და ფულის ყრით, ამიტომ გადავწყვიტეთ, შემოსავალი დავზოგოთ, თავად გავაკეთოთ სიმღერა და გადავიღოთ კლიპი. ბევრმა „გადაგვაგდო“, დაგვაღალატა. ჩვენ კი ერთმანეთს არ მოვატყუებთ.

თორნიკე: ჩვენს ქვეყანაში სიმღერით ვერც საკუთარ თავს შეინახავ და ვერც — ოჯახს. ხუთმაგი საქმე უნდა გააკეთო, რომ კარგი ჰონორარი და დაფასება მიიღო.

— ახალი კლიპის გადაღებას არ გეგმავთ?

თორნიკე: ალბათ იცით, რომ ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ორი სიმღერის კლიპი გადავიღეთ. ვაპირებთ, თანამშრომლობა გავაგრძელოთ.

— პირად ცხოვრებაშიც ასეთი აქტიურები ხართ?

თორნიკე: სანამ პროექტში მივიდოდით, სოციალურ ქსელში 500 მეგობარი თუ გვყავდა, მერე კი მათი რიცხვი უცბათ 4000-ზე ავიდა. მეტწილად გოგონები არიან.

ირაკლი: ვეცადე, ყველასთვის მეპასუხა, ზოგს პირადად შევხვდი კიდეც, თუმცა ეს იყო მეგობრული ჟესტი. მიმაჩნია, რომ, როცა ამდენი ადამიანი გაფასებს, შენც ადეკვატურად უნდა უპასუხო. ყველას მადლობა გადავუხადე სიყვარულისა და პატივისცემისთვის. ჩემს ცხოვრებაში საყვარელი ქალი არ არსებობს, თავისუფალი ვარ.

თორნიკე: მეც ირაკლივით თავისუფალი ვარ.

— რატომ, წუნიები ხართ?

თორნიკე: ერთნაირი გოგოები არ მოგვწონს. მიუხედავად იმისა, რომ დედმამიშვილები ვართ, აბსოლუტურად სხვადასხვა ხასიათი გვაქვს. მეც და ჩემი ძმაც ზომიერად აზიატები ვართ. ერთს დავამატებ, უცხოელი ქალის ცოლად მოყვანა წარმოუდგენლად მიმაჩნია.

თორნიკე: „ერთნაირი გოგოები არ მოგვწონს. მიუხედავად იმისა, რომ დედმამიშვილები ვართ, აბსოლუტურად სხვადასხვა ხასიათი გვაქვს. მეც და ჩემი ძმაც ზომიერად აზიატები ვართ. ერთს დავამატებ, უცხოელი ქალის ცოლად მოყვანა წარმოუდგენლად მიმაჩნია“.

ირაკლი: ამ ეტაპზე ცოლის მოყვანაზე ლაპარაკი ზედმეტია. იმ კატეგორიის კაცებს არ მივეკუთვნებით, რომ ცოლები ჩვენმა დედ-მამამ არჩინოს. სანამ შესაძლებლობა არ გვექნება, ოჯახებიშევინახოთ, ამ ნაბიჯს არ გადავდგამთ. ჩვენმა მშობლებმა ისედაც ბევრი გააკეთეს ჩვენთვის.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

სალომე ბაკურაძე იოგას ვარჯიშებს იწყებს

ქომღერალი სალომე ბაკურაძე მაყურებელმა ხუჭუჭი, შავი თმით გაიცნო და მას შემდეგ მის გარეგნობაში არაფერი შეცვლილა. ამბობს, რომ საკუთარი სტილი უკვე იპოვა და ექსპერიმენტების პერიოდიც უკან მოიტოვა. თუმცა არ გამორიცხავს, რომ ოდესმე პლასტიკურ ქირურგს მიაკითხოს და გარეგნობაში რაიმეს შეცვლა მოინდომოს. თმა მისი სისუსტეა, ყველაზე მეტი დრო ხვეული თმის დამორჩილებას მიაქვს. თუ ვარცხნილობა მოსწონს, კარგ განწყობაზე დგება და მერე ყველაფერს ხალისით აკეთებს. ფორმაში რომ იყოს, დრო და დრო დიეტების დაცვა უწევს. ახლა კი გადაწყვიტა, უფრო ეფექტურ საშუალებას მიმართოს და აქტიურად ივარჯიშოს.



„ხანდახან თავს დიეტის დარღვევის უფლებას ვაძლევ“

— სალომე, თავდაპირველად თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ გისაუბროთ. უახლოეს მომავალში რას აპირებთ?

— ისევ ვუბრუნდები რადიო „იმედს“, სადაც წამყვანი ვარ და ასევე ახალი სამსახური მაქვს სტუდიაში, რომელიც „კომედი არხის“ ბაზაზეა შექმნილი. იქ ვოკალის პედაგოგი ვარ. სამომავლოდ ახალი სიმღერის ჩაწერას ვაპირებ. მთელი ზაფხული დაკავებული ვიყავი. დასვენება და მუშაობა ერთმანეთს შევუთავსე.

— ზოგიერთი თქვენი კოლეგა მუსიკალურ ტელეპროექტებში იღებს მონაწილეობას იმისთვის, რომ მსმენელს თავი შეახსენოს ან უბრალოდ, სცენის მონატრების სურვილი დაიკმაყოფილოს. თქვენც ხომ არ გისილავთ რომელიმე კონკურსში? მათ უმეტეს, რომ ამის გამოცდილება გაქვთ, პროექტებში „ნუცას სკოლა“, „ჯეოსტარში“ მონაწილეობდით.

— არ ვაპირებ. ყოველთვის ვამბობდი, რომ კონკურსები არ მიყვარს. პროექტი „ჯეოსტარი“ კი სულ სხვა რამ იყო ჩემთვის. აუცილებელი იყო, ეს ნაბიჯი გადამედგა და მონაწილეობა მიმეღო. რომ არა ეს პროექტი, ბევრი წვალება მომიწევდა იმისთვის, რომ ჩემი შემოქმედება მსმენელამდე მიმეტანა. ასე რომ, კონკურსანტი უკვე ვიყავი და კიდევ რამდენ პროექტში შეიძლება მივიღო მონაწილეობა? თან, ვთვლი, რომ დღეს ხალხი ისე აღარ მცნობს, როგორც ჯეოსტარელ სალომე ბაკურაძეს. ჩემი სახელი და გვარი კონკურსის გარეშეც იციან.

— მას შემდეგ, რაც პროექტში გამოჩნდით და ფართო საზოგადოებამ გაგიცნოთ, 5 წელი გავიდა. რა შეიცვალა ამ პერიოდში თქვენს სასცენო იმიჯში?

— იმიჯს საქართველოში ხშირად არ იცვლიან. აქ არ არის ისეთი ბაზარი, რომ ამის საჭიროება იყოს. ვარცხნილობის შეცვლას კი თავად ვერ ვეგუები. ვფიქრობ, რომ სხვანაირად არც მომიხდება. სხვათა შორის, მაკიაჟის სწორად გამოყენება სწორედ „ჯეოსტარში“ ვისწავლე. მაგრამ, რა თქმა უნდა, დღესაც ვერ ვიკეთებ ისე კარგად, როგორც პროფესიონალი ვიზაჟისტების ჯადოსნურ ხელებს გამოსდით. ყველაზე კარგად თმის ვარცხნილობის დაყენება შემიძლია.

„არ გამოვიცხავ, მომავალში პლასტიკის ქირურგსაც მივმართო. ჩემს ასაჯშიც იკეთებენ პლასტიკის ოპერაციებს და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ“.

— დღეს მსოფლიო სცენაზე თამამი, თითქმის ჯულგარული იმიჯია მომგებიანი. საქართველოში ამის საჭიროება არ დგას?

— ჩვენს შოუბიზნესში ეს ნიშა თავისუფალია და შეიძლება საჭიროც არის, ვინმემ თამამი იმიჯი მოირგოს, ეს ადგილი დაიკავოს, მაგრამ გააჩნია შემსრულებელს. არ არის აუცილებელი, სცენაზე ყველამ გაიხადოს, მაგრამ ვინც ამას მოიხდენს, მისი გულშემატკივარი ვიქნები.

— თქვენს გარეგნობასთან დაკავშირებით ცნობადობა რაში გზღუდავთ?

— ყოველთვის ფორმაში უნდა ვიყო. შეიძლება მაკიაჟით არ ვიარო, მაგრამ საკუთარ თავს უფლებას არ მივცემ, შინიდან მოუწესრიგებელი გავიდე. ამაში არ ვგულისხმობ იმას, რომ წიწიბურას საყიდლად გასული ცნობილი ბრენდის სამოსს ვიცვამ. უბრალოდ, უნდა გეტყობოდეს, რომ თავს უვლი.

— ქართულ თუ უცხოურ შოუბიზნესში ალბათ ბევრია ისეთი, ვინც მოგწონთ გარეგნობით, ჩაცმის სტილით... არასოდეს გავჩენიათ სურვილი, ვინმესთვის მიგებაძათ?

— მართლაც ბევრია ისეთი, ვინც მომწონს, მაგრამ არ ჩამოვთვლი. ვთვლი, რომ კარგი რაც არის, უნდა დაინახო, ისწავლო და ეს პროცესი შეიძლება ცხოვრების ბოლომდე გაგრძელდეს. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, როცა ვინმეს კარგ მიგნებას შენც მოირგებ, ოღონდ შენებურად და არა — პირდაპირ. ახლა ასეთი ტენდენციაა, ყველა ერთმანეთს ბაძავს. თუ ვინმე გადაწყვეტს, რომ თმის ბოლოები გაიღიავოს, ყველა იმავეს აკეთებს. შეიძლება შვიდი დაქალიდან შვიდივეს თმის ერთი და იგივე ფერი ჰქონდეს. თუ ჟილეტებია მოდაში, ყველას ის აცვია უნიფორმასავით. ეს მიმბაძველობა ცოტა მაღიზიანებს. მოდის ტენდენციებს მთელ მსოფლიოში ითვალისწინებენ, მაგრამ ინდივიდუალიზმს არ კარგავენ. მეც ძალიან მიყვარს მოდურად ჩაცმა, მაგრამ ერთფეროვნებას ყოველთვის ვერიდები.

— თანაც ალბათ იმაზეც უნდა იფიქრო, მოდური ტენდენციებიდან რა გაითვალისწინო, რა გისდება და რა — არა. ფერებიც სწორად უნდა შეარჩიო.

— გეთანხმებით. ვთვლი, რომ ნებისმიერი სამოსის მორგება შეიძლება, მაგრამ, მაგალითად, ჩემს ხასიათში სპორტულად ჩაცმა არ ზის. რაც შეეხება ფერებს, ვთვლი, რომ ჩემთვის სცენაზე და ზოგადადაც, ნათელი ფერებია მომგებიანი. თუ მთლიანად სამოსი არა, რაიმე დეტალი მაინც უნდა იყოს ნათელი და კაშკაშა.

— რა უნდა იყოს თქვენს გარდერობში აუცილებლად ძვირადღირებული?

— ძალიან მიყვარს, როცა საათი და სათვალე კარგი ხარისხისაა. შეიძლება ჩვეულებრივი მაისური ჩავიცვა, მაგრამ ეს ორი აქსესუარი ნამდვილად კარგი უნდა იყოს.

— თქვენი გემოვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ვინ ითამაშა?

— ჩემს გემოვნებაზე ოჯახის წევრებიდან თუ გარემოცვიდან ალბათ ცოტ-ცოტა ყველამ მოახდინა გავლენა. მათ რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ. დედა ყოველთვის ძალიან მეხმარებოდა. მისი ნაყიდი სამოსი ყოველთვის მომწონს. დედაც, დეიდაც და ჩემი დაც, რომელიც ჩემზე 8 წლით უფროსია, ყოველთვის მაძლევენ რჩევებს გარეგნობასთან დაკავშირებით. მათ ზუსტად იციან, რა უხდებათ და ასევე ზუსტად იციან, მე რა მიხდება. არ მაძლევენ საშუალებას, ჩემი გარეგნობის მიმართ სუბიექტური ვიყო.

„თუ ჩემი ვახცხნილობა ახ მომწონს, ცუდ ხასიათზე ვდგები“.

— ოდესმე პლასტიკურ ქირურგთან მისვლის სურვილი თუ გაგჩენიათ?

— ჩემი გარეგნობით კმაყოფილი ვარ და კონკრეტულად არაფრის შეცვლა მინდა, მაგრამ არ გამოვრიცხავ, მომავალში პლასტიკურ ქირურგსაც მივმართო. ჩემს ასაკშიც იკეთებენ პლასტიკურ ოპერაციებს და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუ, რა თქმა უნდა, ნორმას გადაცილებული არაა.

— სარკის წინ მდგომს ცუდ განწყობაზე რა გაყენებთ?

— თუ ჩემი ვარცხნილობა არ მომწონს და სამოსი დისკომფორტს მიქმნის, ცუდ ხასიათზე ვდგები.

— ზედმეტ კილოგრამებთან ბრძოლისთვის, ფორმის შესანარჩუნებლად რა ნაბიჯებს დგამთ?

— ვარჯიშს სულ ვიწყებ და მერე კალაპოტიდან ვვარდები. მეგობრები იოგაზე სიარულს ვაპირებთ. ფორმაში რომ ვიყო, სხვადასხვა დიეტას მუდმივად ვიცავ, მაგრამ ადამიანი რობოტი არ არის და ხანდახან თავს კვების რეჟიმიდან ამოვარდნის და დიეტის დარღვევის უფლებას ვაძლევ.

✓ მანანა ნოდია

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ელგუჯა ამაშუკელი და ლია სტურუა — ზეცაში გადაწყვეტილი ქორწინება

„ჩემს ქმარზე დარდი მაწერინებს ლექსებს“



მე-20 საუკუნეს ბევრი ლამაზი წყვილი ამშვენებდა, მათ შორის იყვნენ მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და პოეტი ლია სტურუა. ერთმანეთს მაშინ შეხვდნენ, როცა ორივეს უკვე თავისი გზა ჰქონდა ნაპოვნი. ვაჟი 36 წლის იყო, ქალი — 25-ის. მათი ორწლიანი რომანი ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა.

ორმა ხელოვანმა ერთად 35 წელი გაატარა. ქორწინების მრგვალი თარიღი, რომელიც თანაცხოვრების ბოლო წელი აღმოჩნდა, სიყვარულის ქალაქში — პარიზში აღნიშნეს. დაახლოებით ორი თვის შემდეგ ქალბატონი ლია მეორე ნახევრის გარეშე დარჩა. მას მერე უკვე 11 წელი გავიდა და დღემდე იმ ტკივილით აგრძელებს ცხოვრებას, რომელიც ბედმა 2002 წლის 12 მარტს აგემა. ლია სტურუას დასაწერი ახლა უფრო მეტი აქვს. ამბობს, რომ მისი ბოლო წლების პოეზია მთლიანად საყვარელ მეუღლეს ეძღვნება.

პატარა მოქანდაკე ლია სტურუას

— ელგუჯას დედა, ქეთევან ღამბარაშვილი, ძალიან განათლებული, მუსიკალური ქალი იყო. გიტარაზე უკრავდა, მღეროდა. მამა, დავით ამაშუკელი, კეთილშობილი და ვაჟკაცური ადამიანი გახლდათ. ელგუჯას ქანდაკების გაკეთება პირველად ბავშვობაში უცდია. თურმე ბაბუამისი რომ გარდაიცვალა, ქვისგან გამოთალა ბიუსტი და მის საფლავზე დადგა. მისი ძმა, კოტეც, ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, ხატავდა, მღეროდა. კოტეს ძმისთვის რაღაც შეუსწორებია, უთქვამს, ბიუსტი ასეთი კი არა, ასეთი უნდა იყოსო. ელგუჯა გაბრაზებულა და ეს ბიუსტი სულ დაუმტვრევია.

ელგუჯამ სკოლის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა. ჯერ ფერწერის სპეციალობით სწავლობდა. იაკობ ნიკოლაძეს მისთვის უთქვამს, შენგან კარგი მოქანდაკე გამოვაო. ამის მერე ნიკოლოზ კანდელაკის კლასში განაგრძო მუშაობა.

ღრიბული ოთახში დაბადებული „ქართლის დედა“

— ელგუჯას აკადემია ახალი დამთავრებული ჰქონდა, როდესაც თბილისის 1500 წლისთავის აღნიშვნის დროს „ქართლის დედა“ გააკეთა. როგორც მიყვებოდა, იმ დროს თბილისში ბინა არ ჰქონდა (წარმოშობით საჩხერიდან იყო) და ნათესავებთან ცხოვრობდა. რეზო კვესელავას სახლში მუშაობდა, რომელსაც ძალიან პატარა და ცოტათი აყირავებული ოთახი ჰქონია. სწორედ ასეთ პირობებში შეიქმნა „ქართლის დედის“ პროექტი.

ქანდაკება ჯერ პატარა ზომებში გააკეთა, დიდი ვარიანტი კი საავიაციო ქარხანაში ჩამოისხა. ის თვითმფრინავის პრინციპით გაკეთდა ფოლადის ნაჭრებით და სპეციალური ლურსმნებით. ლითონის შიგნით ხის კონსტრუქცია იყო, რომელიც დროთა განმავლობაში დალპებოდა. ელგუჯა ამის გამო სულ წუხდა. უნდოდა, ნამდვილი ქანდაკების პრინციპით ჩამოსხმულიყო. მერე ერთი წელი იმუშავა და თავისი ხელით გააკეთა მრგვალი ქანდაკება. რამდენიმე დღის განმავლობაში ორი „ქართლის დედა“ ერთად იდგა, სანამ ძველის დემონტაჟი მოხდებოდა. ხალხი ყვებოდა, ერთ დღესაც გავიხედეთ და ორი ქანდაკება იდგა, გვეგონა, ჰალუცინაციები დაგვწყოო.

მაღლიან სახელოსნოებში

— ხშირად მიყვებოდა, სახელოსნო როცა არ ჰქონდა, ხან ფარდულებში მუშაობდა, ხან — ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკში, ხან — მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიებში (სანამ მოქმედი ტაძრები გახდებოდა). იხსენებდა, როცა ანჩისხატში ვახტანგ გორგასლის ქანდაკებაზე ვმუშაობდი, ხარაჩოებიდან რამდენჯერმე ჩამოვვარდი, ღმერთმა იმიტომ მიხსნა, რომ ეკლესიაში ვმუშაობდიო.

ელგუჯას მიანდეს ვახტანგ მეფის ქანდაკების შექმნა. მეტეხის ტაძართან ახლოს სპეციალური ფარდული აუშენეს, სადაც მუშაობდა. შემდეგ ცოტა ხნით თბილისიდან გასვლა მოუწია. უკან დაბრუნებულს აღარც ფარდული დახვდა და აღარც — ქანდაკება, რომელიც სანახევროდ ჰქონდა გაკეთებული. თურმე იქვე ახლოს რაღაც მშენებლობა მიმდინარეობდა, მიუყენებიათ ბულდოზერი და ფარდული მტკვარში გადაუგდიათ. ელგუჯა გაგიჟებულა, მაგრამ მერე დაფიქრებულა, იქნებ ეს უკეთესიც არისო. იხსენებდა, უფრო დიდი ენთუზიაზმით შევუდექი საქმეს, ახალი თვალით შევხედე და ვახტანგ მეფის უკეთესი ქანდაკება გავაკეთეო.

„ვეჩასოდეს ვიცხოვრებდი ისეთი ადამიანის გვერდით, რომელიც ჩემს ლექსს ვერ გაიგებდა და ვერც ელგუჯა იცხოვრებდა ისეთი ქალის გვერდით, რომელიც მის შემოქმედებას ვერ ჩასნვდებოდა. მის ფერნჩერას და ქანდაკებებს სიღრმისეულად ვგრძნობდი“.

საბჭოთა ჯრიტიკა

— ვახტანგ მეფის ქანდაკება რომ დაიდგა, ატყდა ერთი ამბავი, ცხენი, რომელზეც მეფეა ამხედრებული, რუსული ჯიშის არისო. ერთხელ ცკ-შიც დაიბარეს და უთხრეს, ცხენის ფეხების კომპოზიციიდან ე.წ. სვასტიკა გამოდისო. „სვასტიკა“ სიცოცხლის სიმბოლოდ არის მიჩნეული და შემდეგ აიტაცეს ის ფაშისტებმა, ამიტომ საქართველოში ჩათვალეს, რომ ეს ცხენი ფაშისტური სიმბოლოს მატარებელი იყო.

ასეთივე ამბავი ატყდა „ქართლის დედის“ ქანდაკებასთან დაკავშირებით. თავისუფლების მოედანზე მაშინ ხომ ლენინის ძეგლი იდგა. ისეთი რაკურსი მოუნახეს, თითქოს ქართლის დედის ხმალი ლენინს თავს სჭრიდა. ეს ყველაფერი საკმაოდ სასაცილო იყო, მაგრამ ამის გამო ელგუჯას სულ მთავრობაში იბარებდნენ. ერთხელ ცკ-ის მდივანმა დაიბარა და უთხრა, სხვაგან გადავიტანოთო. ელგუჯას უთქვამს, კი გადაიტანთ, მაგრამ სადაც უნდა დადგათ, მაინც რაღაცას მოიფიქრებენ, რომ ცილი დამწამონო. ცკ-ში მეტჯერ აღარ დაუბარებიათ.

■ ცოლ-ქმარი — ელგუჯა და ლია. ბათუმი 1987 წ.

■ ლია სტურუა

სიყვარული

— მე და ელგუჯა რომ ერთმანეთს შევხვდით, ეს, როგორც ჩანს, თავიდანვე განსაზღვრული იყო სადღაც, ცაში. მე ასე მივიჩნევ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ორი ნახევრის გამთლიანება ზეციდან, უფლის ნებით ხდება... ერთმანეთი ცნობილი მეცნიერის, მიხეილ კვესელავას (რეფისორ რობიკო სტურუას სიმამრი) ოჯახში გავიცანით. მისი ქალიშვილი, დუდანა (რობიკოს მეუღლე), ჩემი ბავშვობის მეგობარია. ერთხელ მათ ოჯახში სუფრა იყო გაშლილი, ბევრი ცნობილი პიროვნება ესწრებოდა, მათ შორის იყო ელგუჯაც. ერთმანეთი პირველად მაშინ ვნახეთ.

ერთხელ უნივერსიტეტში რაღაც საღამო გაიმართა, სადაც ხელოვნების მუშაკები იყვნენ მიწვეულნი. შემდეგ მაშინდელ რესტორან „თბილისში“ ბანკეტი გაიმართა. იქ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის გვერდით აღმოვჩნდი, რომლის საქციელი და ფლირტიც ძალიან არ მომეწონა. წასვლა დავაპირე, მაგრამ ელგუჯამ მთხოვა დარჩენა. ის კაცი სხვაგან გადასვა, თვითონ კი ჩემ გვერდით დაჯდა. მაშინ ერთმანეთი უკეთ გავიცანით და დამპირდა, როცა შენი პირველი წიგნი გამოვა, მე გაგიფორმებო. მართლაც, ჩემი პირველი კრებული „ხეები ქალაქში“ მალე გამოვიდა და ელგუჯამ არაჩვეულებრივად გააფორმა. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა.

იმ პერიოდში ელგუჯა უკვე ცნობილი პიროვნება იყო. ქალაქში ერთ-ერთი სასურველი სასიძო გახლდათ. სხვადასხვა პრემიები ჰქონდა აღებული და თავისი ცნობილი ძეგლებიც უკვე შექმნილი ჰქონდა. თურმე თაყვანისმცემლების ყურადღებამ იმდენად შეაწუხა, რომ დაიფიცა, ცოლს არასოდეს შევირთავო. მეც ვამბობდი, ჯერ არ გავთხოვდები, ჩემი საქმე მაქვს და ამისთვის არ მცალია-მეთქი.

ერთმანეთის გაცნობის მერე ძალიან მალე ორივემ უარი ვთქვით ჩვენს პრინციპებზე. შეყვარებულები ვიყავით, ერთად დავდიოდით. გაცნობიდან ორ წელში ვიქორწინეთ. ხელი რომ მოვაწერეთ, მე 27 წლის ვიყავი, ელგუჯა — 38-ის. ქორწილი ფაქტობრივად არ გვქონია. ვახტანგ გორგასლის ძეგლის დადგმის დღეს სამთავრობო ბანკეტი გაიმართა. ჩვენი შეუღლების ამბავიც იქ გამოცხადდა და ყველამ მოგვილოცა.

თანამოაზრეები

— სულ მეკითხებოდნენ, როგორია ორი ხელოვანის ერთად ცხოვრებაო. მე ყოველთვის ასეთი პასუხი მქონდა, რომ ეს თან ძნელია და თან — ადვილი. ვერასოდეს ვიცხოვრებდი ისეთი ადამიანის გვერდით, რომელიც ჩემს ლექსს ვერ გაიგებდა და ვერც

Cyan Magenta Yellow Black

ელგუჯა იცხოვრებდა ისეთი ქალის გვერდით, რომელიც მის შემოქმედებას ვერ გაიგებდა. მის ფერწერას და ქანდაკებებს მხოლოდ ზედაპირულად კი არ აღვიქვამდი, სიღრმისეულად ვგრძნობდი. მეუღლეს ჩემთვის ხშირად უთქვამს, ფერწერასაც და ქანდაკებასაც ისე გრძნობ, როგორც ამ საქმის კარგი მცოდნეო. მახსოვს, ერთხელ მოსკოვში ყრილობაზე წავედით. იქაურ მწერალთა კავშირში ევტუშენკო შემხვდა და მკითხა: „ლია, შენ და ელგუჯა ჯერ არ გაყრილხართ? მე და ბელა ახმადულინამ ერთად მხოლოდ ორი წელი გავძელით და თქვენ, ეს ორი ხელოვანი ამდენი ხანი ერთად როგორ ხართ?!“.

რა მნიშვნელობა აქვს, ერთად ორი ხელოვანი იცხოვრებს თუ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი, მთავარი მაინც ურთიერთობა და გაგებაა. სადაც სიყვარული სუფევს, იქ არც დათმობა ჭირს და არც — გაგება. საერთოდ, ცოლქმრულ ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალი უფრო რბილი და დამთმობი იყოს. ჩემი აზრით, სიყვარული ისეთივე ნიჭია, როგორც მწერლობა, მხატვრობა ან სხვა რამე... ელგუჯა რომ გარდაიცვალა, შეურაცხადი ვიყავი. ახლობლები მამშვიდებდნენ, ორმოცი რომ გავა, მერე უფრო მოგეშვებაო. ორმოცი დღის მერე კი არა, ათ წელზე მეტი გავიდა და დღემე არ „მომეშვა“. დრო მკურნალია იმ თვალსაზრისით, რომ სწავლობ საყვარელი ადამიანის გარეშე ცხოვრებას, ემოციების მოთოკვას, ხალხში თავის დაჭერას, მაგრამ დრო ტკივილს არ აქრობს. მისი გარდაცვალებიდან ორი წლის განმავლობაში შავები მეცვა. შინაგანად არ შემეძლო სხვა ფერის ჩაცმა. შემდეგ უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს შევხვდი და მან მითხრა, შვილი გყავს, შვილიშვილი და შავი ტანსაცმელი უნდა გაიხადოო.

ჩემი მეუღლის ავადმყოფობის პერიოდი ძალიან მძიმე იყო ჩემთვის. თავიდან მე ვიყავი ავად, მაგრამ მალე გამოვკეთდი. ელგუჯა ავადმყოფს თან მყვებოდა. მერე თვითონ იყო ცუდად და გვერდიდან არ ვშორდებოდი. დიაბეტი ჰქონდა და ამან მთელი მისი ორგანიზმი მოშალა. ინფარქტი და ინსულტი ორ-ორჯერ დაემართა. ბოლო სამი წელი ცუდად იყო, გული აწუხებდა.

გაჭირვებისა და უშუქობის წლებში ვარაზისხევთან მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობდით. იმ კორპუსში მხოლოდ სახანძრო კიბე იყო. როდესაც სინათლე გაითიშა, მეთორმეტე სართულზე ასვლა-ჩასვლა იმ კიბით გვიწევდა. ელგუჯას ამან სიცოცხლე კიდევ უფრო მოუსწრაფა და მალე პირველი ინფარქტი დაემართა. მეორე ინფარქტი მაშინ განუვითარდა, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ქანდაკებაზე მუშაობდა. ეს ძეგლი ბათუმში უნდა დაედგათ, თუმცა დღემდე არსად დაუდგამთ. ჩემს ქმარს ასეთი თვისება ჰქონდა, ქანდაკებას ოთახის სხვადასხვა კუთხეში დგამდა, რომ შეემოწმებინა, რომელი რაკურსიდან როგორ ჩანდა. უცებ დაავიწყდა, მიკროინფარქტი ახალი გადატანილი რომ ჰქონდა და ეს ორმოცკილოიანი ქანდაკება ასწია. ამის გამო დაავადება გაუმწავავდა და მას მერე ვეღარ გამოკეთდა.

ლექსები — „ძეგლები“ საყვარელ ადამიანს

— ლექსების მიძღვნა დიდად არ მიყვარს. ელგუჯას სიცოცხლეში რამდენიმე ლექსი მივუძღვენი, გარდაცვალების შემდეგ კი — უამრავი. მეორე ნახევრის დაკარგვამ კიდევ მეტი ლექსი დამაწერინა. 35 წელი გვერდით მყავდა საყვარელი ადამიანი, რომელიც ჩემ მიმართ ძალიან ერთგული იყო. როდესაც ვწერ, არ მიყვარს, ვინმე რომ მაკვირდება. ჩემს მეუღლეს კი პირიქით, უყვარდა, როდესაც მუშაობის პროცესში მის გვერდით ვინმე იყო. ერთხელ ზოოპარკში ერთ პატარა ფარდულში მუშაობდა. მეც სულ მასთან ვიყავი. წიგნს ვკითხულობდი, ის კი აქანდაკებდა.

ჩემს ლექსებს პირველად ელგუჯას ვუკითხავდი. მისი აზრი და რეაქციები ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ლიტერატურულ საღამოებზე ხშირად გამოვდივარ, თუმცა დიდად არ მიყვარს ასეთ შეკრებებზე გამოსვლა. ჩემი მეუღლე კი სულ ძალით მიშვებდა. ერთხელ ჭაბუა ამირეჯიბის საღამო იმართებოდა. ამ დროს ელგუჯა საავადმყოფოში იწვა, მეც მის პალატაში ვცხოვრობდი. იქ დამირეკეს, ბატონ ჭაბუას ძალიან უნდა, თქვენც გამოხვიდეთო. მე კატეგორიული უარი ვუთხარი. ელგუჯამ კი მითხრა, თუ გინდა, კარგად გავხდე, წადი, მე კი ტელევიზორით გადევნებ თვალსო.

„ელგუჯას სიცოცხლეში ჰამდენიმე ლექსი მივუძღვენი, გარდაცვალების შემდეგ ჯი — უამრავი. მეორე ნახევრის დაკარგვამ ჯიდევ მეტი ლექსი დამანერინა. 35 წელი გვერდით მყავდა საყვარელი ადამიანი, ჰომელიც ჩემ მიმართ ძალიან ერთგული იყო“.

■ ქმრის მიერ დახატული პორტრეტი

ქმარს ჩემი ქანდაკება არ გაუკეთებია, ერთადერთხელ დამხატა. ეს პორტრეტი ძალიან მიყვარს. თვითონ კი არ მოსწონდა და ამბობდა, უკეთესის დახატვა შეიძლებოდა, მაგრამ მე ხომ პორტრეტისტი არ ვარო. მერე სხვებმა უთხრეს, კარგიაო, თორემ შეიძლება დაეხია კიდეც. ეს პორტრეტი ჩემს სამუშაო ოთახში მიკიდია, ჩარჩოში ჩავსვი და განსაკუთრებით მიყვარს.

ელგუჯას ჩემთვის ყვავილები არასოდეს მოუტანია. ამბობდა, ყვავილებით ქუჩაში როგორ ვიაროო. რესტორნებში, ბანკეტებზე ყველგან დავყვებოდი. იმ დროში ქალები რესტორნებში რატომღაც არ დადიოდნენ. ერთხელ მცხეთაში რესტორანში ვიყავით. გვერდით მაგიდაზე ცნობილი მწერლები ისხდნენ და გაოგნებულები მიყურებდნენ. შემდეგ ერთ-ერთი მოვიდა და გამომელაპარაკა, ახლა ჩემმა ცოლმაც რომ მომთხოვოს რესტორნებში წაყვანა, რა ვქნაო. ელგუჯა თვითონ იყო ასეთი ტიპი, ჩემ გარეშე წასვლა არ უყვარდა. მე არასდროს მესმოდა ისეთი ცოლქმრობის, რომელსაც მხოლოდ ოფიციალური სახე აქვს.

„ელგუჯას ჩემი ქანდაკება ჰა გაუკეთებია, ეჰთადერთხელ დამხატა. ეს პორტრეტი ძალიან მიყვარს. თვითონ კი ჰა მოსწონდა და ამბობდა, უკეთესის დახატვა შეიძლებოდა, მაგრამ მე ხომ პორტრეტისტი ჰა ვარო“.

შთამომავლობა

— ერთი ქალიშვილი და ერთი შვილიშვილი მყავს. ჩემი ქალიშვილიც მხატვარია. ეკა ქორწინებიდან ერთი წლისთავზე შეგვეძინა, ეს ჩვენთვის დიდი სიხარული იყო. ასევე, მე და ჩემი მეუღლე ძალიან ბედნიერები ვიყავით, როდესაც შვილიშვილი ელენე გვეყოლა. ელგუჯამ მისი პორტრეტიც დახატა. ელენე პატარა რომ იყო, ბაბუას ბუგა-ბუგას ეძახდა, ამიტომ ამ ნახატს დააწერა: „ელენეს ბუგა-ბუგასგან“. ჩემი შვილიშვილი 5-6 წლის იყო, ელგუჯა რომ გარდაიცვალა. ელენეს ბაბუ კარგად ახსოვს.

ჩემი ქალიშვილი დედაჩემმა გაზარდა. მის აღზრდაში მეც ვმონაწილეობდი, მაგრამ, რადგანაც მე და ელგუჯა ხშირად ვმოგზაურობდით, ეკა სულ ბებოსთან იყო. ჩვენი თორმეტსართულიანი კორპუსის ერთადერთი ღირსება ის იყო, რომ კარგი მეზობლები გვყავდნენ. სახლის კარს არასოდეს ვკეტავდით, საღამოობით ყველანი ერთად ვისხედით.

ერთხელაც ეკა 16 წლის იქნებოდა და სახლში მისვლა დაგვიანა. დედაჩემთან უნდა დარჩენილიყო. ის იქიდან რეკავდა, ჯერ არ მოსულაო. უკვე ღამის 12 საათი იყო. ჩემი მეუღლე ძალიან აღელდა. თქვა, ჯერ მოვიდეს სახლში, ყურებს ავახევო. ნახევარ საათში ჩვენმა ქალიშვილმა დარეკა, ელგუჯამ კი თბილი ხმით ჰკითხა: „ეკუშ, რას შვრები, როგორ ხარ?“. მეზობლებმა სიცილი დაიწყეს, აკი ყურები უნდა აეხიაო. მამა-შვილს ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. ელგუჯა მას ხშირად აძლევდა რჩევებს ფერწერასთან დაკავშირებით.

ქორწინების 35-ე წლისთავი პარიზში

— ჩვენი ქორწინების 35-ე წლისთავი პარიზში აღვნიშნეთ. იქიდან ჩამოსვლიდან რამდენიმე თვეში კი ელგუჯა გარდაიცვალა. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მას პარიზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში იწვევდნენ. იქ დიდი სახელოსნო იყო და შეეძლო, თავისუფლად ემუშავა. მოსკოვის მხატვართა კავშირიდან ყოველწლიურად ორი თვით პარიზში უშვებდნენ. მეც, რა თქმა უნდა, მივყვებოდი. ეს ის წლები იყო, როდესაც საქართველოში საშინელი პერიოდი იდგა. როგორც კი პარიზში ჩავიდოდით, კარგად ხდებოდა. თბილისში, სანთლის შუქზე გაყინული ხელებით მუშაობა ძალიან ძნელი იყო. პარიზში რომ ჩავიდოდით და სითბოსა და სინათლეს დაინახავდა, უხაროდა, დიდი ენთუზიაზმით ივსებოდა და მაშინვე მუშაობას იწყებდა.

ცხოვრება მეორე ნახევრის გარეშე

— 73 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბოლო ინსულტი რომ დაემართა, კომაში ჩავარდა, აღარაფერი ესმოდა. ტვინის შეშუპება ჰქონდა, მე კი იმედს არ ვკარგავდი. ფიტოთერაპევტის წამლები მივუტანე. საჭმელი ყოველდღე შემქონდა და ზონდით აჭმევდნენ. უკვე უამრავ სისულელეს ვაკეთებდი. ბოლოს ჩემმა ნაცნობმა ნევროპათოლოგმა მიყვირა: ლია, ვერ ხედავ, კაცი ფაქტობრივად მკვდარია, რაღა უნდა აჭამოო...

უკვე მეთერთმეტე წელი დაიწყო, რაც ცხოვრებას ელგუჯას გარეშე ვაგრძელებ. ვცდილობ, უიმისობით გამოწვეული ტკივილი საქმით გადავფარო. ვდარდობ, რომ ჩემ გვერდით აღარ არის და ეს დარდი მაწერინებს ლექსებს. ეს ისეთი მარტოობაა, რომელსაც ვერაფერი ჩაანაცვლებს.

✓ თეონა კენჭიაშვილი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის ადგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ძ-ნი ძეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

„ისე დავთვერი, საწოლში ბიჭთან ერთად აღმოვჩნდი“

15 წლის რომ გავხდი, დაბადების დღე ერთ-ერთ კაფეში გადავიხადე. გადაწყვეტილი მქონდა, იმ დღეს მხოლოდ დაქალები დამეპატიჟა, მაგრამ ასე არ გამოვიდა. მაშინ ერთ ბიჭთან მქონდა ურთიერთობა, ერთმანეთი მოგვწონდა. მითხრა, რომ მასაც უნდოდა, იმ დღეს ჩემ გვერდით ყოფილიყო. მეც უარი ვერ ვუთხარი და დავპატიჟე. გოგონებში თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო, თავისი ძმაკაცი მოიყოლა.

კარგ დროს გავატარებდით, რომ არა სასმელი. ალკოჰოლმა ყველაფერი გააფუჭა. უგონოდ დავთვერი. მე არ მახსოვს, მაგრამ დაქალებმა მიამბეს, რომ ძალიან ბევრი დამილევია და როცა ყველა დაიშალა, დაქალს სახლში არ წავყოლივარ. თურმე ვუთხარი, რომ მეგობარ ბიჭთან ერთად მინდოდა სეირნობა. დაქალიც აღარ შემეწინააღმდეგა და გამიშვა.

თურმე გავითიშე და იმ ბიჭმა თავისი ძმაკაცის სახლში წამიყვანა. მეორე დღეს თვალები რომ გავახილე, იმ ბიჭის გვერდით ერთ საწოლში ვიწექი. ძალიან შემეშინდა, ვერ გავიხსენე, იქ როგორ აღმოვჩნდი. არ მჯეროდა, რომ იმ ღამეს ჩვენ შორის არაფერი მომხდარა. ის ბიჭი თავს იმით იმართლებდა, რომ ცუდად ვიყავი და ჩემს სახლში ვერ წამიყვანდა.

სერიოზული დეპრესია დამეწყო, რადგან ხალხმა ეს ყველაფერი გაიგო და ალაპარაკდა. საჭორაო თემა მივეცი და ისინიც ყველგან ამბობდნენ, რომ ჩვენ შორის რაღაც მოხდა. ამ ამბავმა ჩემი ყოფილი შეყვარებულის ყურამდეც მიაღწია. მასთან დაშორებული კი ვიყავი, მაგრამ მაინც ვუყვარდი. როცა ეს ჭორი შეიტყო, თქვა, ქალიშვილი რომც არ იყოს, მის მიმართ გრძნობა მაინც არ შემეცვლებაო. მისი ეს სიტყვები ძალიან დამეხმარა და ყოფილი შეყვარებულის მიმართ სხვანაირად განვეწყვე, შევურიგდი. თავისი კეთილი მოპყრობით ცუდი პერიოდი გადამატანინა და თავი ძალიან შემაყვარა. მასთან ბედნიერი ვიყავი.

მერე ჩვენ შორის სხვა ადამიანები ჩადგნენ. ჩემს შეყვარებულს ამბავი მიუტანეს, რომ მე სხვაგანაც უგონოდ დავთვერი, ჩემთან ახალგაცნობილი ბიჭი მოვიდა და მაკოცა. ჩემმა შეყვარებულმა ეს ამბავი რომ გაიგო, ძალიან გამიბრაზდა. მითხრა, რომ ბევრი შეცდომა დავუშვი, ჩემ მიმართ პატივისცემა დაკარგა და აღარც ისე ვუყვარდი, როგორც ადრე. მისმა ამ სიტყვებმა გული ძალიან მატკინა. იმ დროს დამშორდა, როცა მართლა უზომოდ შემიყვარდა. ხალხი ჩემზე იმდენს ჭორაობს, რომ ოჯახის წევრებმა შეყვარებულს ჩემთან ურთიერთობა აუკრძალეს.

ის ძალიან მიყვარს, მაგრამ ჩემი სისულელეების გამო მასთან ყოფნის შანსები ამოვწურე.

„სარკის“ მკითხველი

„დედა შეყვარებულთან ურთიერთობას მიკრძალავს“

პირველად 13 წლისას შემიყვარდა. ის ბიჭი ჩემი მეზობელია. ერთად თავს კარგად ვგრძნობდით, მის იქით ვერავის ვხედავდი. მერე კი დედამ ჩვენი ერთად ყოფნის ამბავი გაიგო და ყველაფერი აირია.

საქმე ის არის, რომ იმ ბიჭს ცოტა არეული ოჯახი აქვს. მამა ციხეში იჯდა, სვამს. მშობლებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა არ აქვთ, დედას კი არ უნდა, ასეთი ოჯახის შვილი მიყვარდეს. მასთან შეხვედრა ამიკრძალა, შენი შესაფერისი არ არის, უკეთესს იმსახურებო.

დედამ იმდენი მოახერხა, რომ ერთმანეთს მართლა დაგვაშორა, მაგრამ ცოტა ხნის წინ შევრიგდით და ისევ ერთად ვართ. ყველანაირად ვცდილობ, დედამ ეს ამბავი არ გაიგოს, მაგრამ არ ვიცი, ამას როდემდე მოვახერხებ. ჩემი შეყვარებულის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, ეს არის ის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დედაჩემის მოტყუება მიწევს. არ ვიცი, როგორ გავაგებინო, რომ ძალიან მიყვარს და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია

„ბებიის კონტროლს ვეღარ ვუძლებ“

16 წლის გოგო ვარ, მაგრამ მშობლები თვლიან, რომ უნდა მაკონტროლონ. ვერ ხვდებიან, რომ უკვე საკმაოდ დიდი ვარ და მეტი თავისუფლება მჭირდება. თვითონ მუშაობენ, კონტროლიორად კი ბებია დამიყენეს. ის საშინლად მექცევა, ამიტომ ერთმანეთთან კონფლიქტი ხშირად მომდის. მშობლები კი ყოველთვის მე მამტყუნებენ და ამბობენ, რომ ცუდი შვილი და შვილიშვილი ვარ.

ბებია ჩემს დაქალებს საშინლად ვერ იტანს. მათ დაინახავს თუ არა, სიბრაზისგან წითლდება. გოგონებს დივანზე რომ დავსხამ, მოგვდის და იქ ჯდება ან პირდაპირ ეუბნება, წამოწოლა მინდაო. ლოჯიაშიც არის დივანი და შეუძლია იქ დაწვეს, მაგრამ არა, ჩვენ უნდა შეგვიშალოს ხელი. ჩვენ თუ ლოჯიაში გავალთ, ისიც იქ გამოდის და იმიზეზებს, ტელევიზორის ყურება მინდაო. მოკლედ, მარტო არ გვტოვებს, ამიტომ დაქალებს ჩემთან მოსვლა აღარ სიამოვნებთ. მათთან კი მე არ მიშვებენ და ასეთ საშინელ დღეში ვარ.

ამას წინათ მეგობრები მესტუმრნენ და პირდაპირ ჩემს საძინებელში შევიყვანე. კარი კარგად მოვხურე, რომ ბებია არ შემოსულიყო. მან ჩემი ოთახის შორიახლო დიდხანს იტრიალა, ბოლოს კი შემოვარდა და საწოლიდან წამოგვყარა, ლოგინი უნდა გავამზეურო. ამასაც თუ მოიფიქრებდა, უკვე ვეღარ წარმომედგინა. მეგობრები 5 წუთში წავიდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ ბებიას მათი დანახვა არ გაუხარდა.

ძალიან გავბრაზდი და ბებიაჩემთან სერიოზული ჩხუბი მომივიდა. მან კი ჩემს მშობლებს დაურეკა, თქვენმა შვილმა ღამის მცემოს, მომხედეთ, ცუდად ვარო. ისინიც გაგიჟებულები მოცვივდნენ და მართლა მცემეს. ბებიამ საშინელი ტყუილი იკადრა, მართალია, ყველაფერი ვუთხარი, რასაც მასზე ვფიქრობდი, მაგრამ ხელის აღმართვა არც მიფიქრია და ამას არც არასდროს ვიკადრებდი. მან კი იმდენი გააკეთა, რომ ამხელა გოგო მშობლებმა მცემეს. თანაც დამემუქრნენ, სასკოლოდ არაფერს გიყიდითო. არც არაფერი მჭირდება და საერთოდ, არც სკოლაში სიარული მინდა.

ვიცი, ბებიას რაც უნდა. სულ მეუბნება, შენს მამიდაშვილთან იმეგობრეო. მიუხედავად იმისა, რომ მამიდაშვილიც თითქმის ჩემი ტოლია, მასთან საერთოს ვერ ვპოულობ. მეგობრები იმიტომ არ ჰყავს, რომ თავი ყველაზე კარგი ჰგონია, ყველას ჭორავს. ბებია კი მას აღმერთებს. ამბობს, ასეთი ბავშვი ჯერ არ დაბადებულაო. კარგად ვიცი, რომ ბებიაშვილიშვილი მჭორავენ და ვერ მიტანენ, მაგრამ არა უშავს, მათ სიძულვილს როგორმე ავიტან. ერთი სული მაქვს, სრულწლოვანი გავხდე, სადმე დავიწყო მუშაობა და ჩემს სახლს მოვშორდე.

თქვენი ერთგული მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„მეძავ გოგოსთან დაქალობა არ მინდა“

ჟურნალ „სარკის“ ხშირი მკითხველი ვარ. სხვისი ისტორიების წაკითხვის შემდეგ ჩემი ამბის მოწერა გადავწყვიტე. მეცხრეკლასელი გოგო ვარ. აქამდე ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ახლა ერთი ამბავი ძალიან მაწუხებს — ჩემი საუკეთესო დაქალი, ვისთან ერთადაც პირველი კლასიდან მოვდივარ, ძალიან ცუდად იქცევა. ის ქალიშვილი აღარ არის, მაგრამ მისი პრობლემა მარტო ეს არაა, სულ ვიღაც ბიჭებთან ერთად დადის. ისიც უნდა ითქვას, რომ თვითონ ამას პრობლემად არ თვლის. საყვედურს რომ ვეუბნები, ძალიან მიბრაზდება.

მე და ჩემი დაქალი თავიდან ერთმანეთს კარგად ვუგებდით, ერთიმეორის წინააღმდეგ არასოდეს წავსულვართ. მერე კი ყველაფერი აირია. ვეუბნები, რომ ცუდად იქცევა, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. ბიჭების გამო სკოლასაც კი აცდენდა. ვგრძნობ, რომ მალე მეძავის სახელი დაერქმევა და ცხოვრებას აირევს. ყველანაირად ვცდილობ, ეს არ მოხდეს, მაგრამ არაფერს მიჯერებს.

მე ძალიან ვნერვიულობ, არ მინდა, მეძავი დაქალი მყავდეს. მის გვერდით გავლილს რომ მნახავენ, ყველა იფიქრებს, რომ მეც მისნაირი ვარ. არც ის მინდა, რომ დავკარგო ან ამ სიტუაციაში მივატოვო. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.

მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გაძოხმაურება

„მგონი, დედაჩემს საყვარელი ჰყავს“

ჟურნალ „სარკის“ 36-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „დედა საზღვარგარეთ მუშაობს, მამას კი აქ საყვარელი ჰყავს“. მინდა, ამ გოგონას მსგავსად მეც მოგწეროთ. ერთი პრობლემა მაქვს, რომელსაც ვერავის ვუმხელ.

დავიწყებ იმით, რომ მეც გოგო ვარ, 16 წლის. ერთ-ერთ რაიონში ვცხოვრობ. მამა თბილისში მუშაობს, ნაქირავებ ბინაშია, ამიტომ მასთან საცხოვრებლად ვერ გადავალთ. მე და ჩემი უმცროსი ძმა დედასთან ვართ რაიონში. დედაც მუშაობს, ერთ-ერთ რესტორანში მზარეულს ეხმარება.

ბოლო პერიოდში დედას თავისი თანამშრომელი აცილებს სახლში და თან ყოველდღე. მანქანით მოჰყავს, ზოგჯერ დილითაც აკითხავს და სამსახურში მიჰყავს. დედა ამბობს, სხვა ქალებიც ასე დაჰყავსო, მაგრამ მის მანქანაში სხვა არასოდეს დამინახავს. ერთხელ დედას ტელეფონი მოვიპარე და მესიჯები ვნახე. ვიღაცას სწერდა, ერთი სული მაქვს, როდის გნახავო. ნომერი ვერ დავიმახსოვრე, რომ გადამემოწმებინა, მაგრამ ზუსტად ვიცი, თავის თანამშრომელ კაცს სწერდა.

მგონია, რომ დედას საყვარელი ჰყავს და მამას ატყუებს. მე კი მამა ძალიან მიყვარს და მენატრება. თუ დავრწმუნდი, დედას მართლა ჰყავს ვიღაც, მის გვერდით არ გავჩერდები და მამასთან წავალ. ამ ეჭვებით ცხოვრება საშინელებაა. ზოგჯერ ვფიქრობ, დედას გულახდილად დაველაპარაკო, მაგრამ ვერ ვბედავ.

თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი

„ტყუილად გეშინია, ჰომ სათვალის გამო მეგობრები დაგშორდებიან“

„სარკის“ 32-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „ქუჩაში სათვალით სიარული მრცხვენია“. მინდა, ამ გოგონას გამოვეხმაურო. ჩემო კარგო, მეც ზუსტად შენი ასაკის ვარ და ზოგჯერ წინასწარ მეც ასევე ვშფოთავ ხოლმე. ჩემი აზრით, ტყუილად გეშინია, რომ მეგობრები დაგცინებენ ან დაგშორდებიან. ვერ ვხვდები, სათვალის გამო რატომ უნდა დაგშორდნენ. ეს მხოლოდ შენი შიშებია და მეტი არაფერი. დარწმუნებული ვარ, კლასელები კარგად მოგექცევიან და დაცინვის ნაცვლად გითანაგრძნობენ.

კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა ცუდი კლასელები გყავს, ამის მწარე გამოცდილება მაქვს, მაგრამ სათვალის გამო სიცილს ასეთებიც კი ვერ ატეხენ.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

სენადე

მცენარეული პრეპარატი

შემადგენლობა: თითოეული ტაბლეტი შეიცავს სენას ექსტრაქტს.

ჩვენებები: სენადე ნაჩვენებია მოზრდილებსა და ბავშვებში ყაბზობის დროს.

სიფრთხილის ზომები: სიფრთხილით მიიღეთ ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს.

ხანგრძლივი გამოყენება არაა რეკომენდებული.

ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი: ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში გამოიყენება მხოლოდ სარგებელი რისკის თანაფარდობის შეფასების შემდეგ.

მიღების გზები და დოზირება: ბავშვები: 1-დან 12 წლამდე: 1 ტაბლეტი ძილის წინ, მოზრდილები: 1-3 ტაბლეტი ძილის წინ ან ექიმის რეკომენდაციის მიხედვით.

აფთიაქიდან გაცემის წესი: ურეცეპტოდ

* გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას.
* გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

აფთიაქი TITANI

„ციპლა“ გისურვებთ ჯანმრთელობას და ჰარმონიულ ცხოვრებას!

ქარხანა ციპლა თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32

Cyan Magenta Yellow Black

ანრი ჯოხაძე: „ერთადერთი მომღერალი ვარ, ვინც ჩვენს გაცრეცილ შოუბიზნესს ჟანგბადს აწვდის“

„ევროვიზიაზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან ბევრი ადამიანი გაისვრება“

ომღერალი ანრი ჯოხაძე მალე 33 წლის გახდება. თვლის, რომ ბევრი რამის გაკეთება შეძლო, ბავშვობის ოცნებები რეალობად აქცია და საკუთარი თავისგან წარმატებული მომღერალი შექმნა. თუმცა იყო შეცდომები, წარუმატებელი ნაბიჯებიც, მაგრამ არა— ისეთი, ნერვიულობად უღირდეს. ამბობს, რომ ყოველთვის ზუსტად იცის, ცხოვრებისგან რისი მიღება სურს. ახლა კინოპროდიუსერობით არის დაინტერესებული და დარწმუნებულია, ესეც გამოუვა, უბრალოდ საჭირო მომენტს ელოდება, სურვილი რეალობად აქციოს. მისთვის ყველაზე დიდი ღირებულება ოჯახური ურთიერთობებია. ამ საკითხში ტიპური აზიელი მამაკაცია, რომელიც ქალის დანიშნულებას კარგ დედობაში ხედავს. თავისი ოჯახის დიასახლისი კი ჯერ ვერ იპოვა, ამბობს, რომ ამ ეტაპზე არავინ აინტერესებს.

— ანრი, თქვენს შემოქმედებაში საახლოესო ხომ არ არის, თქვენი უახლოესი გეგმები რას უკავშირდება?

— მეგობარმა შემომთავაზა, ბათუმის ოპერის თეატრში ჩემი პირველი გრანდიოზული სოლო კონცერტი გავაკეთო. ამ საქმეს უახლოეს თვეებში ადგილიდან დავძრავთ და გავაკეთებთ. მთელი ზაფხული ვმუშაობდი, არ დამისვენია. ჩემთვის ყველაზე კარგი დასვენება საქმის კეთებაა. ზღვაზე წამოგორება და მზეზე სხეულის მიფიცხება აბსოლუტური ფუქსავატობაა ჩემთვის.

— ეპატაჟური, სკანდალური — ასე მოგისესხებენ ხშირად. თქვენს სოლო კონცერტზე მოსული მაყურებელი როგორ ანრის იხილავს სცენაზე?

— ეპატაჟია, როცა შენი ქმედებით საზოგადოებას შოკში აგდებ. არ ვთვლი, რომ რამე ისეთი გამიკეთებია, რაც საზოგადოებას შოკში ჩააგდებდა. პირიქით, საზოგადოება ხშირად მე მაგდებს შოკში. არც ის მგონია, სკანდალური ვიყო. თუმცა შეიძლება ვიღაცისთვის ძალიან ზღვარგადასულიც ვარ. ჩემი ქმედებები დადგმული არასოდეს არის. რასაც ვფიქრობ, იმას ვლაპარაკობ და ისე ვიქცევი. ანრი ჯოხაძე საქართველოში იმიტომ არის სკანდალური, რომ... ხომ იცით, უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო...

— ანუ ამბობთ, რომ სკანდალური მომღერალი არ იყო ქართულ შოუბიზნესში და ეს ნაშა თქვენ დაიკავეთ?

— არა, ასე არ ვთვლი. თუმცა ნამდვილად სკანდალურია ჩემი მეორე პოლიტიკური კლიპი „მიეცი“, რომელიც პოლიტიკურ-სექსუალურ ფეტიშიზმზეა. ეს ნამდვილად სკანდალური იყო იმ ქვეყნისთვის, სადაც სექსი არ არსებობს.

— თქვენი შემოქმედების ყველაზე წარმატებულ პერიოდად რას თვლით?

— ბოლო რამდენიმე წელი სულ წარმატების პიკში ვარ. ერთადერთი მომღერალი ვარ, რომელიც ჩვენს გაცრეცილ შოუბიზნესს ჟანგბადს აწვდის. მაშინ, როცა არავინ არაფერს აკეთებს, ანრი ჯოხაძე ახალ სიმღერებს წერს და საუკეთესო კლიპებს იღებს.

— თქვენი აზრით, ქართული ესტრადის განვითარებას რა უშლის ხელს და თქვენ როგორ ახერხებთ „გაცრეცილ“ შოუბიზნესში აქტიურობას?

— საქართველოში ჯერ ვერ განვითარდება ისე შოუბიზნესი, როგორც თუნდაც 12 წლის წინ იყო. მაშინ ხალხს ფინანსურად ასე არ უჭირდა და იმიტომ. ჩვენი პროფესია კი პირდაპირ ხალხის ჯიბეზეა მიბმული. შოუბიზნესი იმიტომ კი არ ჩავარდა, რომ ვიღაც სიმღერებს ვერ წერს, უბრალოდ ხალხს ბილეთის საყიდელი 5 ლარიც არ აქვს. დამიჯერეთ, დღეს უფრო კარგი რაღაცეები იქმნება, ვიდრე წლების წინ.

„ოჯახს რაც შეეხება, ძალიან აზიატი ვარ. ამ დროს შეუვალი, ქამარხანჯლიანი ტიპი ვხდები... ჩემს მეორე ნახევარს ოჯახთან მიმართებაში ჩემნაირი შეხედულებები უნდა ჰქონდეს. ამ საკითხში „ვჭედავ“.

რაც შეეხება ჩემს აქტიურობას, მე არც არასოდეს ვყოფილვარ კონცერტებზე დამოკიდებული. კორპორატიული მიწვევები მაქვს ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან. მასშტაბურ საღამოებზე მიწვევენ და რეალურად ამით ვცხოვრობ. ამავდროულად, მყავს კარგი მეგობრები, რომლებიც სპონსორობას მიწევენ. ბოლო კლიპი ასე გადავიღე. ასე რომ, შემოსავალს არ ვუჩივი.

— ბევრი თქვენი კოლეგა თვლის, რომ ქართულ შოუბიზნესში კრიზისი წინა ხელისუფლებამ შექმნა. მთავრობა ადგენდა სიებს, თუ ვის უნდა ემღერა კონცერტზე და ა.შ.

— ეს ჩემი უიღბლო კოლეგების მოგონილი ზღაპრებია. შენ თუ უნიჭო ხარ, მთავრობა რა შუაშია? მთელ მსოფლიოში ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა ყველას უნდა, ერთ ადგილას შეუძვრეს მთავრობას, მაგრამ გააჩნია, ამას როგორ აკეთებ. ჩვენთან ეს მკვეთრი ფორმებით ხდება. ვისთვის როგორ და რა ფორმით არის მისაღები მთავრობასთან ძმაკაცობა და ვისთვის — როგორ.

„შეცდომები მეც მაქვს დაშვებული, მაგრამ იყო სიტუაციები, სადაც უძლური ვიყავი და ვერაფერს შევცვლიდი. ასეთი იყო ევროვიზიის კონკურსი“.

— თქვენ რომელიმე ხელისუფლების ფავორიტი ყოფილხართ?

— მე ყველგან მყავს მეგობრები. ყველგან მიმღერია და საერთოდ არ მრცხვენია, თუ ნაციონალების მხარდასაჭერ საარჩევნო კონცერტებზე გამოვსულვარ. ეს ჩემი სამუშაოა. იქ ერთი მომღერალიც კი არ მდგარა ტრანსპარანტით, ამა და ამ პოლიტიკურ ძალას მიეცით ხმაო. უფრო მეტიც, იმ მომღერლების 80 პროცენტი მერე ოპოზიციას აძლევდა ხმას. ამაზე ვხალისობდი. მერე რა, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ კონცერტზე უმღერია ვინმეს? მომღერალი თავის საქმეს აკეთებს.

— ბევრმა თქვენმა კოლეგამ რუსეთს მიაშურა. თქვენ არ გიცდიათ უცხოეთში თავის დამკვიდრება?

— ეს არასოდეს მიცდია და არ ვიცი, რატომ. რუსულ შოუბიზნესში მომღერლის ფინანსური შემოსავალი ნამდვილად მომხიბვლელია, მაგრამ იქ წასვლის სურვილი მაინც არ გამჩენია. აქ მომწონს. სულ ვამბობ, რომ მე ქართულად მემღერება.

— რომ შეგეძლოთ, თქვენს კარიერაში რას შეცვლიდით?

— ალბათ რაღაცეებს სხვანაირად გავაკეთებდი. შეცდომები მეც მაქვს დაშვებული, მაგრამ იყო სიტუაციები, სადაც უძლური ვიყავი და ვერაფერს შევცვლიდი. ასეთი იყო თუნდაც ევროვიზიის კონკურსი, მაგრამ ეს ტრაგედია არ ყოფილა. წარუმატებლობაზე ფიქრით არ ვცხოვრობ. ოპტიმისტი ვარ.

— ევროვიზიაზე რა შეცდომა დაუშვით, რომ შეგეძლოთ, რას გამოასწორებდით?

— ამის შესახებ ვერ ვილაპარაკებ, რადგან ბევრი ადამიანი გაისვრება და ეს არ მინდა. ევროვიზიაზე წარუმატებლობის გამო საერთოდ არ მინერვიულია, პირიქით, მეცინებოდა. ერთადერთი ვიყავი, ვინც ქართულ დელეგაციას აწყნარებდა. ევროვიზიაზე როგორ უნდა აიშალო ნერვები?!

— ცოტა ხანში კონკურსი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ იწყება. წინა სეზონზე თქვენც მიიღეთ მონაწილეობა და არცთუ წარმატებულად. ხომ არ ნანობთ, რომ ამ პროექტში

Cyan Magenta Yellow Black

სცადეთ ბედი?

— არა, სანანებელი არაფერია. ამ პროექტში მონაწილეობის მიღება არ მინდოდა, მაგრამ მაშინდელმა პროდიუსერმა, ალინა არველაძემ, პირდაპირ ლოგინიდან გამომათრია და ახალგაღვიძებული წამიყვანა. ვიმეორებ, არ ვნანობ, რადგან გავერთე და ბევრი მეგობარი შევიძინე. ზუსტად ვიცოდი, რომ ვერ კი არა, არ ვიცეკვებდი. ცეკვა შემიძლია, მაგრამ ეს აბსოლუტურად არ არის ჩემი ინტერესის სფერო. მე ვარ ადამიანი, რომელმაც ბავშვობიდან იცის, რა უნდა. ზუსტად ვიცი, რომ ცეკვა არასდროს მომინდება. მიყვარს, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის.

— განსხვავებულად იცვამთ, ერთი პერიოდი ქერად შეღებილი თმით დადიოდით, მოკლედ, შეიძლება ითქვას, არაქართული იმიჯი გაქვთ. როდის ამოლაგნებთ აზიატურ ბუნებას?

— ოჯახს რაც შეეხება, ძალიან აზიატი ვარ. ამ დროს შეუვალი და აბსოლუტურად ქამარხანჯლიანი ტიპი ვხდები. სხვა შემთხვევაში მეტნაკლებად, დოზირებულად აზიატიც ვარ და ევროპელიც.

— საინტერესოა, როგორი მეორე ნახევარი წარმოგიდგენიათ გვერდით.

— ოჯახთან მიმართებაში ჩემნაირი შეხედულებები უნდა ჰქონდეს. ამ საკითხში „ვჭედავ“. ოჯახი ჩემთვის ოქროს ცნებაა, ჩემი ციხესიმაგრეა.

— უფრო კონკრეტულად გვესაუბრეთ თქვენი ღირებულებების შესახებ ოჯახთან დაკავშირებით.

— ჩემთვის ოჯახური ღირებულებაა ერთგულება, ურთიერთგაგება დიდი მეგობრობის ხარჯზე და, რაც მთავრია, ქალი კარგი დედა უნდა იყოს. ეს კი ძალიან იშვიათი შემთხვევაა. მიუხედავად იმისა, რომ „ქართლის დედა“ დაგვყურებს თავზე, დღეს კარგი დედების დეფიციტია საქართველოში. კარგი დედა მხოლოდ რამდენიმე ვიცი და მათ შორისერთი დედაჩემია. შეიძლება ცოლ-ქმარმა ერთმანეთს ვერ გაუგოს, მაგრამ ცუდი დედობა ჩემთვის უპატიებელია.

> **„ქალი კარგი დედა უნდა იყოს. დღეს კი კარგი დედების დეფიციტია საქართველოში. კარგი დედა მხოლოდ რამდენიმე ვიცი და მათ შორის ერთი დედაჩემია“.**

— რის მიხედვით ფასობს ქალი, კარგ დედას ვის უწოდებთ?

— მას, ვინც შვილის სულიერ სამყაროზე ზრუნავს. შვილისთვის მარტო კარგი განათლების მიცემა საკმარისი არაა. ე.წ. კარგი ქართველი დედები სწორედ მაშინ უშვებენ შეცდომას, როცა შვილების პროფესიებზე, მათ მზითევზე ფიქრობენ. ამ დროს კი მათი შვილები სულიერად გამოფიტულები არიან.

— თქვენზე ბევრი ტყუილ-მართალი ვრცელდება, ცოტა ხნის წინ ჯანეტ ქერდიყოშვილთან დაგაწყვილეს. ამ ჭორს საფუძველი ჰქონდა?

— ეს ნამდვილი ჭორია! მე და ჯანეტი ერთ-ერთ საღამოზე ერთ მაგიდასთან მოვხვდით, ისიც — შემთხვევით. მანამდე სხვა საღამოზეც ერთად დაგვინახეს და ჭორის აგორებას მეტი რა უნდა? ჯანეტთან ვმეგობრობ. ასეთი ამბავი ატყდა ვერიკო ტურაშვილთან დაკავშირებითაც და იქამდე წერეს ჩვენი რომანის შესახებ, სანამ არ გაიგეს, რომ ერთმანეთთან ნათელმირონობა გვაკავშირებს.

— კარიერაზე ზრუნვა პირადი ცხოვრების მოწყობაში ხომ არ გაშლით ხელს?

— საერთოდ, გარკვეულწილად კარიერაზე ფიქრი ადამიანს პირად ცხოვრებაში ხელს ნამდვილად უშლის, მაგრამ ჩემ შემთხვევაში ასე არაა. ამ ორ რამეს ისე ვარეგულირებ, ერთმანეთს ხელს არ უშლის.

— არსებობს ვინმე, ვისზეც ახლა ფიქრობთ?

— საერთოდ არავინ მაინტერესებს, არც არავინ ჩანს. ბოლო დროს დავაფიქსირე, რომ სამყარო უინტერესო ხალხით არის სავსე, არამცთუ საუბარი, სექსი არ მოგინდება არავისთან. გამარჯობის თქმის სურვილიც კი არ გაგიჩნდება...

— მალე 33 წლის გახდებით. განვლილ წლებს როგორ შეაფასებდით?

— მე მოვახერხე ის, რომ ვარ ანრი ჯოხაძე. ჩემი კარიერა და ისტორია შევქმენი. არ ვარ ადამიანი, რომელიც ჩერდება, სხვანაირად ცხოვრება არ შემიძლია. დიდი ხანია კინოპროდიუსერობაზე ვფიქრობ და ზუსტად ვიცი, რომ ამასაც გავაკეთებ. შემიძლია იმ მომენტს, როცა ჩემი დრო მოვა, წლები ვუცადო.

✓ მანანა ნოდია

სოფო გელოვანი:

„არ ვიცი, მეორე შვილზე მამამთილი მამშობიარებს თუ არა“

„მე და ნოდიკო ტატიშვილი დუეტად ვეჩ ჩამოვყალიბდით“

ქომღერალ სოფო გელოვანს სამი და-ძმა ჰყავს. კარგად იცის დედმამიშვილის ფასი, ამიტომ უნდა, შვილს, 4 წლის დათას და ან ძმა გაუჩინოს. ევროვიზიის კონკურსიდან დაბრუნებულმა მთელი ზაფხული შვილს მიუძღვნა. პატარა დათაში სიმღერის ნიჭი აღმოაჩინეს, ამიტომ სოფო მას ყოველდღე ამეცადინებს, ამისათვის დროს არ იშურებს. დრო თავისი საქმისთვისაც რჩება. ამბობს, ქართული სიმღერის გადასარჩენად უნდა ვიბრძოლოო და ძველ ქართულ სიმღერებს ეძებს, ახლებურად რომ გააჟღეროს. სცენაზე დგომა, კონცერტები ენატრება, ამ დანაკლისს კი სტუდიაში მუშაობით ივსებს. ოქტომბერში კი ის და ნოდიკო ტატიშვილი გერმანიაში გამემგზავრებიან, სადაც ევროვიზიის ეგიდით გამართულ კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას. სოფოსთან ინტერვიუ სწორედ ევროვიზიაზე საუბრით დავიწყეთ.

> **„ჩვენს ქვეყანაში ტონცერტები არ ტარდება, ყველაფერი გაჩერებულია და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, სტუდიაში შევიჯეტო და ახალი ალბერტული შევადგინო“.**

— სოფო, ევროვიზიის კონკურსიდან უკვე საკმაო ხანია გასული იმისათვის, რომ თქვენი გამოსვლა ახლებურად შეაფასოთ. როგორ ფიქრობთ, რა შანსები გქონდათ და რა ვერ გამოიყენეთ?

— ჩვენს გამოსვლას დღესაც დადებითად ვაფასებ, ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. მე და ნოდიკომ ბევრი რამ ვნახეთ, ვისწავლეთ და რაღაცეები სხვანაირად აღვიქვით. ყველაფერს რომ თავი დავანებობთ, მთელმა მსოფლიომ, მილიონობით ადამიანმა გვიყურა. დღემდე მომდის შეტყობინებები, →32

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩვენი სიმღერის ქავერებს გვიგზავნიან. ჩემი და ნოდიკოს სიმღერა აფრიკაში შავკანიანი მომღერლების დუეტმა ჩაწერა, აფრიკულად მღერიან, მათი ვერსია ძალიან საინტერესოა. მე და ნოდიკო ოქტომბრის ბოლოს გერმანიაში წავალთ, ევროვიზიის ეგიდით კონცერტი ტარდება, სადაც ჩვენც გამოვალთ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ დუეტში უკეთესად გამოგდით მღერა?

— არა, მე და ნოდიკო სოლო მომღერლებად ვრჩებით. როგორც დუეტი, ვერ ჩამოვყალიბდით, თუმცა საზღვარგარეთ ერთად მოგვიწევს გამოსვლა.

— საქართველოში თუ გაქვთ სცენაზე დგომის საშუალება?

— ჩვენს ქვეყანაში კონცერტები არ ტარდება, ყველაფერი გაჩერებულია და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. არ ვიცი, ეს პოლიტიკურმა ფონმა განაპირობა თუ სხვა რამემ, მაგრამ რეალობა ასეთია. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, სტუდიაში შევიკეტო და ახალი რეპერტუარი შევადგინო. ვცდილობ, საკუთარ თავზე ვიმუშაო და ახალი პროდუქტი შევქმნა.

— ვისი სიმღერებით აპირებთ თქვენი რეპერტუარის გამდიდრებას?

— სულ ახალ-ახალი სიმღერების ძიებაში ვარ. ვერ გეტყვით, ჩემამდე არ აღწევს

„სულ ახალ-ახალი სიმღერების ძიებაში ვარ. ვერ გეტყვით, ჩემამდე არ აღწევს ჯარგი ახალი სიმღერა თუ მე ვარ წუნია, მაგრამ.... ძველ სიმღერებს ვქექავ და ახალი ინტერპრეტაციით ვწერ."

კარგი ახალი სიმღერა თუ მე ვარ წუნია, მაგრამ.... ძველ სიმღერებს ვქექავ და ახალი ინტერპრეტაციით ვწერ. ახლა ოთხ ახალ სიმღერაზე ვმუშაობ.

— საბოლოოდ რომელი ჟანრის მომღერლად ჩამოყალიბდით?

— მე უფრო კლასიკურ პოპს ვმღერი. ზოგჯერ ენერგიული სიმღერების მოთხოვნაა, მაგრამ ჩემი მუსიკა ცოტა სხვა რაღაცაა. ნიჭიერი თაობა მოდის, უცხოურ სიმღერებს კარგად მღერიან, მაგრამ ქართული იკარგება. მე კი ვიბრძვი, რომ წინ სწორედ ქართულმა წამოიწიოს. მინდა, ჩემმა შვილმა ქართული სიმღერა იცოდეს და თუ ჩვენ არ ვიმღერებთ, მომავალ თაობას არ ეცოდინება. ჩემი ოცნებაა, ბევრი კარგი, ღირებული ქართული სიმღერა შეიქმნას.

— ქართულ შოუბიზნესში იგრძნობა კონკურენცია?

— ყველა სფეროში არსებობს კონკურენცია და არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. მე თვითონ არავის ვეჯიბრები, ჩემი ხაზით მივდივარ. ყველა ჩემს კოლეგას ვგულშემატკივრობ და მათგან რაღაც ახალს რომ მოვისმენ, გულით მიხარია.

— კოლეგისგან ისეთი შეფასება თუ მოგისმენიათ, რამაც გული გატკინათ?

— არა, ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ წლების განმავლობაში დიდი გულისტკენა არ მქონია.

— თქვენი ოჯახური ცხოვრება როგორ მიდის?

— 7 წელია, რაც ლანდიების რძალი ვარ. ჩემი მამამთილი, დავითი, ცნობილი გინეკოლოგია. ჩემი მეუღლე, ნოდიც, გინეკოლოგი გახლავთ. ჩვენ ერთ დიდ ოჯახში ვცხოვრობთ და ვერც წარმომიდგენია ჩემს ქმართან ერთად მარტო ცხოვრება. სტუმართმოყვარე, ტრადიციულ ქართულ ოჯახში გავიზარდე, ოთხი დედმამიშვილი ვართ. ჩვენს სახლში ყოველთვის ბევრი ხალხი ტრიალებდა. ღმერთს მადლობა, რომ ისეთივე ტრადიციულ ქართულ ოჯახში მოვხვდი, როგორშიც ჩამოვყალიბდი... ჩემი და ნოდის ცხოვრებაში რამდენიმე ეტაპი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ერთმანეთი გვიყვარს და დღემდე ერთად ბედნიერად მოვდივართ.

„ჩემი ძმა მედავითნეა, ჩემი ქმარი — სტიქარსანი. ჩვენი ოჯახი ყოველთვის მოიწმენე იყო, მაგრამ, როცა ჩემმა ძმამ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო, ამან ჩვენი რწმენა კიდევ მეტად გააღრმავა".

— თქვენს და-ძმებზე გვიამბეთ, რას აკეთებენ, რა ინტერესები აქვთ.

— მყავს უფროსი ძმა, აკაკი გელოვანი, რომელიც ჩემი სიამაყეა. ერთმანეთს ძალიან გვამსგავსებენ. აკაკის შემდეგ მე დავიბადე, შემდეგ — გვანცა, რომელსაც ჩემს სასწრაფო დახმარებას ვეძახი. ის გერმანული ენის სპეციალისტია და ახლა ბერლინშია სასწავლებლად. გვანცას შემდეგ ჩვენს ოჯახს კიდევ ერთი დიდი საჩუქარი ერგო წილად და ანო დაიბადა. ის 7 წლისაა და ამბობენ, რომ ჩემი ასლია. მას ბალეტი იზიდავს და არ გამოვრიცხავ, რომ ბალერინა გახდეს. ანო და ჩემი შვილი, დათა, მეგობრობენ, უერთმანეთოდ არ შეუძლიათ. ხანდახან ანო ჩემს შვილს ეტყვის ხოლმე, დეიდა გენაცვალოსო...

„დათას ბებიამ და ბაბუამ შენიშვნა მომცეს, ხომ ხედავ, შენს შვილს სიმღერის ნიჭი აქვს, დასვი და ამეცადინეო. შემცხვა და ყოველდღე ვამღერებ. ახლა მასში ამ ნიჭს ვერ ვამჩნევდი და გული მწყდებოდა".

წლების წინ აკაკიმ მეგობრებთან ერთად წყლულეთში (თბილისის შემოგარენში) ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები აღმოაჩინა. მას შემდეგ იქ ყოველ კვირას დადიან და თავიანთი ხელით აშენებენ ტაძარს. აკაკიმ იმდენად მოინდომა, რომ იმავე ეკლესიაში გალობს კიდეც. ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. მეგონა, სმენაც კი არ ჰქონდა და პეტერბურგიდან როცა დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ მღეროდა. მითხრა, შენ მაკომპლექსებდი და აქამდე ამიტომ ვერ ვბედავდი სიმღერასო. იმ ტაძარში წირვა-ლოცვას ყოველ კვირადღეს ვესწრებით, ჩემი ძმა მედავითნეა, ნოდი — სტიქაროსანი. ეკლესიაში დათაც დაგვყავს. ჩვენი ოჯახი ყოველთვის მორწმუნე იყო, მაგრამ, რაც აკაკიმ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო, ჩვენი რწმენა კიდევ მეტად გაღრმავდა. მშობლები დიდ სიყვარულსა და სითბოში გვზრდიდნენ. მამა ისტორიკოსია და ამავე დროს — იურისტი. დედა დიასახლისია, მან მთელი ცხოვრება შვილებს შემოგვწირა.

— თქვენი შვილისთვის როგორი დედა ხართ, მასთან დიდ დროს ატარებთ?

— დათა 4 წლის არის. ეს ზაფხული თავიდან ბოლომდე შვილს დავუთმე. სიმღერა უყვარს. დათას ბებიამ და ბაბუამ შენიშვნა მომცეს, ხომ ხედავ, სიმღერის ნიჭი აქვს, დასვი და ამეცადინეო. შემრცხვა და ყოველდღე ვუზივარ, ვამღერებ. ადრე მასში ამ ნიჭს ვერ ვამჩნევდი და გული მწყდებოდა. საბედნიეროდ, ახლა დათაც ამღერდა. ის კარგი ზნის, ძალიან მგრძნობიარე ბავშვია. ამას წინათ დილით მოვიდა და მითხრა, შესანიშნავი დედა ხარო. როცა სახლში არ ვარ, პატარა ასაკის მიუხედავად, ამას შეგნებულად ეკიდება. ბებია-ბაბუები ძალიან უყვარს.

— დედა ალბათ ბევრ რჩევას გაძლევთ შვილის აღზრდასთან დაკავშირებით. მან ხომ ოთხი შვილი გაზარდა.

— აღზრდის მეთოდები მე და დედას ერთნაირი გვაქვს. მაგალითად, მას არასდროს უყვარდა ჩემი შექება და დათას არც მე ვაქებ.

— მეორე შვილის გაჩენას არ აპირებთ?

— ნამდვილად დროა, რომ დათას და ან ძმა ჰყავდეს. ოჯახის წევრებსაც ვამჩნევ, რომ უნდათ, შვილი გავაჩინო.

— გინეკოლოგად მამამთილს ხომ არ აიყვანთ?

— არ ვიცი, მეორე შვილზე ჩემს მამამთილთან მომიწევს თუ არა მშობიარობა, მაგრამ ერთს გეტყვით — ჩემი დედამთილი მამამთილმა ამშობიარა.

— ცხოვრებაში რა ოცნება ჯერ შეასრულეთ, იმედგაცრუებები გქონდათ?

— არა, მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის, რაც გამაჩნია. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ საჩუქრად დათას მივიჩნევ, დანარჩენი ყველაფერი ყოფითია. რაც შეეხება კარიერას, ბევრი კარგი პერიოდი მახსენდება — სოლო კონცერტი პეტერბურგში, კონკურსები, რომლებშიც წარმატება მოვიპოვე და ვიცი, რომ წინ კიდევ ბევრი სასიამოვნო დღე მელის.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

ნიკა ლომიძე: „უნდა ვაღიაროთ, რომ „მაესტროზე“ კარგი გადაცემა ვერ გავაკეთეთ და ამიტომაც დაიხურა“

„მე და ნანიკო ხაზარაძე სიხარულით დავიშალეთ“

ტელესახე ნიკა ლომიძე ეკრანიდან კვლავ გაუჩინარდა, მაგრამ — დროებით. ამბობს, რომ ისევ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში გამოჩნდება, სადაც გასართობ შოუს წაიყვანს. თვლის, რომ გადაცემა „შუადღე“, რომელიც ნანიკო ხაზარაძესთან ერთად მიჰყავდა, ისეთი არ იყო, როგორიც წარმოედგინა. ამიტომ მისი დახურვის გამო დიდად არ უნერვიულა, უფრო მეტიც, ეს გადაწყვეტილება ტელევიზიის ხელმძღვანელებთან ერთად თავად მიიღო. ნიკა ერთ-ერთი სარეკლამო კომპანიის ხელმძღვანელი და „მაესტროს“ არტდირექტორია. მისი საქმე 24 საათიან მუშაობას მოითხოვს, მაგრამ დრო ოჯახისთვის მაინც ყოველთვის რჩება. 11 წელია, ის და თეა გობეჯიშვილი ცოლ-ქმარი არიან. მათი საერთო შვილი, ნიტა, მალე 10 წლის გახდება. ის უკვე პოპულარული გოგონაა, სპექტაკლებსა და ფილმებში იწვევენ, რითიც მამიკო ძალიან ამაყობს.

„ბრანდიოზული გადაცემისთვის ვემზადებით. ქართულ ტელესივრცეში უპრეცედენტო შოუს გავაკეთებთ“.

— ნიკა, რატომ დაიხურა „მაესტროზე“ თქვენი გადაცემა? რეიტინგი არ ჰქონდა?

— თქვენ წარმოიდგინეთ, რეიტინგი ჰქონდა. ჩვენ თვითონვე ვიყავით უკმაყოფილონი, რადგან იმ გადაცემით ახალი არაფერი გვითქვამს. ბევრ არხზეა შუადღის გადაცემა და ჩვენი მათგან არაფრით განსხვავდებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ახალი ვერაფერი გავაკეთეთ. მოკლედ, არ იყო ის, რაც ჩვენ გვინდოდა.

— პრობლემა ისიც ხომ არ იყო, რომ თქვენ და ნანიკო ხაზარაძეს ერთად მუშაობა არ გამოგიყიდათ?

— არა, ნანიკოს და ნიკას თავიდან „შეთამაშება“ ძალიან მარტივად მოხდა, ერთმანეთთან კონტაქტი ჩვენ არასდროს გაგვიწყვეტია, ჩვენ შორის მეგობრობა არასდროს დაკარგულა. „ტოროლები“ კი აღარ განმეორდება, რადგან ის იყო პირველი ახალი სიტყვა ქართულ ტელესივრცეში. მაშინ ჩვენც პატარები ვიყავით, თავში გვიქროდა, ვაფრენდით... თუმცა არც ახლა მიჭირს გაფრენა. რომ გითხრათ, მთლად დალაგებული ვარ-მეთქი, მართალი არ ვიქნები (იცინის). ჩვენი ეს ბოლო გადაცემა „ტოროლებისგან“ აბსოლუტურად განსხვავდებოდა, სულ სხვა ფორმატის იყო, მაგრამ, ისევ ვიმეორებ, ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. ზედმეტად სტანდარტული აღმოჩნდა, არც სათანადო თემები გვქონდა, რომ გაგვეფრინა. ძალიან მძიმე სოციალურ თემებთან მოგვიწია შეხება. მე და ნანიკო „საკაიფოდ“, სიხარულით დავიშალეთ. ძალიან გაგვიხარდა, რომ გადაცემა დაიხურა. ტელევიზიაში ყველანი ერთად დავსხედით და ეს გადაწყვეტილება მივიღეთ. „მაესტრო“ ერთი დიდი ოჯახია, იქ ცალმხრივად არავინ არაფერს წყვეტს. წლების წინ კი, როცა „ტოროლები“ დაიხურა და „მაესტროც“ გაქრა ტელესივრციდან, ჩვენი დაშლა მართლა მტკივნეული იყო. ყველამ კარგად იცის, იმ დროს „მაესტრო“ რატომ გაქრა ტელესივრციდან და, იმედია, მსგავსი რამ არასდროს განმეორდება.

— ნანიკო ტელეკომპანია „იმედზე“ გადავიდა, თქვენ რას აპირებთ?

— ნანიკო გადარეულია „იმედზე“. ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ის გარემო, სადაც მუშაობდა, ძალიან მოსწონდა. ახლა კი დაუბრუნდა იმ ადგილს, სადაც თავს კარგად გრძნობს. მან მიიღო გადაწყვეტილება, არ დაეკარგა დრო და სხვა ტელეკომპანიაში წასულიყო. რაც შეეხება ჩემს წამყვანობას, ამ მხრივ, უახლოეს მომავალში არაფერი იქნება, მაგრამ გრანდიოზული გადაცემისთვის ვემზადებით. ქართულ ტელესივრცეში უპრეცედენტო შოუს გავაკეთებთ. საუბარია გასართობ პროექტზე, მეტს არაფერს გეტყვით, დაგველოდეთ.

— ანუ ისევ „მაესტროზე“ რჩებით?

— ჩემი და „მაესტროს“ თანამშრომლობა ერთხელ უკვე შეწყდა, რაც არ მომწონდა. ვფიქრობ, რადგან კვლავ დავბრუნდი ოჯახში, სადაც გავიზარდე, ბევრი ვისწავლე და გამოცდილება დავაგროვე, ეს ურთიერთობა აღარ უნდა შეწყდეს.

— ზოგი ძალიან მტკივნეულად აღიქვამს ტელეეკრანიდან გაუჩინარებას. თქვენ ეს არ გიჭირთ?

— მე — არა. სიმართლე ცუდად კი გამომივა, მაგრამ ამის გამო მართლაც ემართებათ დეპრესია იმ ადამიანებს, რომლებსაც დორბლი სდით იმაზე, რომ ეთერში ისხდნენ. უდიდეს მსახიობს, რამაზ ჩხიკვაძეს, როცა კომპლიმენტს ეუბნებოდნენ, ყოველთვის რცხვენოდა, არასოდეს ამბობდა, რომ ვარსკვლავი იყო. ახლა კი ზოგიერთებს მართლა ვარსკვლავი ჰგონიათ თავი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტელეეთერი სერიოზული ნარკოტიკია, სულ გინდა, რომ იქ მუშაობდე.

— ახლა რას საქმიანობთ? რა არის თქვენი შემოსავლის წყარო?

— სარეკლამო კომპანიაში ვმუშაობ და ეს არის ჩემი ძირითადი საქმე. ვიღებთ სარეკლამო კლიპებს, ვაწყობთ ივენთებს... სხვათა შორის, „მაესტროს“ ვიზუალურ მხარეზე ჩვენი კომპანია ზრუნავს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, „მაესტროს“ არტდირექტორი ვარ და მის ვიზუალს მე უნდა მივხედო. 24 საათი ვმუშაობ და არავინ იცის, სახლში როდის შევდივარ, როდის ვიძინებ.

— ოჯახის წევრები როგორ ეგუებიან თქვენს ასეთ რთულ სამუშაო გრაფიკს?

— ვცდილობ, ოჯახსაც დიდი დრო დავუთმო. შვილთან განსაკუთრებით ყურადღებიანი ვარ, რადგან ჩემზე ისტერიკა სჭირს, ძალიან ვუყვარვარ. თეა ახლა საქართველოში არ არის და ნიტას ჩემთან ერთად სძინავს. მე და თეა უკვე 11 წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ. ერთმანეთი ისევე გვიყვარს, როგორც 11 წლის წინ. ცოლქმრობაში არ არსებობს კრიზისი, როდესაც არის სიყვარული. მოკლედ, ჩვენს ოჯახში ყველაფერი კარგად არის, ვგიჟდები ჩემს გოგოებზე — თეასა და ნიტაზე და ვართ სიამტკბილობაში.

— ნიტა ქართველმა მაყურებელმა უკვე გაიცნო ფილმით „ცელქი ბავშვები“. კიდევ ხომ არ აკავებენ რაიმე როლში?

— ნიტას ცხოვრებაში ბევრი საინტერესო სიახლეა. როგორც ვიცი, ფილმ „ცელქი ბავშვების“ მეორე სერიის გადაღება იგეგმება, ასევე დათო დოიაშვილი დგამს სპექტაკლს, სადაც ჩემს გოგოს კვლავ დააკავებს. ნიტა 22 სექტემბერს 10 წლის ხდება, ის ჩემზე უარესად აფრენს. ტანმოვარჯიშეა. დღეში 4 საათი ვარჯიშობს. ამის ფონზე, არ ვიცი, სკოლისთვის როგორ მოიცლის. კარგად სწავლობს, მაგრამ, როგორც ყველა ბავშვს, მასაც ბევრი ჩიჩინი სჭირდება. ნიტა ხან თეას ჰგავს, ხან — მე. მე უფრო ნიჭით, სითბოთი და სილამაზით მგავს. ჩვენს ცხოვრებაში ნიტამ ყველაფერი შეცვალა, ჩემს ყველაზე დიდ მიღწევად ნიტას არსებობა მიმაჩნია.

„მე და თეას ეითმანეთი ისევე გვიყვარს, როგორც 11 წლის წინ. ცოლქმრობაში არ არსებობს კრიზისი, როდესაც არის სიყვარული. გვიჟდები ჩემს გოგოებზე — თეასა და ნიტაზე და ვართ სიამტკბილობაში“.

✓ ლანა კიკნაძე

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გაპირდებათ...

ჩაბერა ხლება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black

ნინი ცნობილაძეს ტანსაცმელს მამა ურჩევს

„კარგი სამოსის და კოსმეტიკისთვის ფულის მოსაგროვებლად ვიშიმშილებ კიდეც“

ახალგაზრდა მომღერალი ნინი ცნობილაძე ჩაცმის საკითხებში სულ რამდენიმე ადამიანს ენდობა, მათ შორის — მამას. მის გარდერობში ბევრია მამის შერჩეული სამოსი. პროექტ „ახალ ხმაშიც“ რამდენჯერმე ეცვა მისი ნაყიდი ტანსაცმელი. უყვარს თავისუფალი, თინეიჯერული სტილი, იცვამს სადად, ზოგჯერ კი ქუჩაში ძმის მაისურებითაც დადის. თავის მოსაწონ ტანსაცმელს უცხოეთში ყიდულობს, თბილისურ მაღაზიებში არც ხარისხი მოსწონს და არც — ფასები. თვლის, რომ საქართველოში ხალხს ატყუებენ და იაფფასიან სამოსს ძალიან ძვირად ყიდიან.

— ნინი, ყოველდღიურ ჩაცმულობაში რომელ სტილს ანიჭებთ უპირატესობას?

— მიყვარს, როცა მოხერხებული ტანსაცმელი მაცვია. ჩემი ძმის მაისურებითაც დავდივარ. ისე უბრალოდ მაცვია ხოლმე, რომ ერთხელ სადღაც ვიყავი და მკითხეს, აქვე ცხოვრობო. ეგონათ, რომ გვერდით სახლიდან ვიყავი გამოსული. ზედმეტად მოწესრიგებული არ ვარ. თუ სადმე განსაკუთრებულ ადგილას მივდივარ, ჩაცმაზე მაშინ ვზრუნავ.

— სამოსის არჩევისას რას აქცევთ ყურადღებას — ფასს, ხარისხს...

— ბრენდს! მირჩევნია, ერთი მქონდეს და კარგი, ვიდრე ათასი და უბრალო. ადრე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მაგრამ ახლა ყურადღებას ვაქცევ.

— დროთა განმავლობაში გემოვნება შეგეცვალათ?

— ადრე ჩემს სტილში არ ვიყავი გარკვეული და არც მოდურ ჟურნალებს ვათვალიერებდი. ეს საკითხები არ მაინტერესებდა, რადგან ქალაბიჭა ვიყავი. ახლა კი უკვე ჩემი სტილი მაქვს. გემოვნებიან ადამიანებს ძალიან ვაფასებ.

— ვინ მიგაჩნიათ ყველაზე გემოვნებიან ადამიანად?

— ნანი ბრეგვაძე ჩემთვის ძალიან გემოვნებიანი ქალია. ბავშვობიდან ვგიჟდები სარა ჯესიკა პარკერზე. სადმე რომ დავინახო, შეიძლება დავუჩოქო. ჩემთვის ყველაზე ლამაზი ქალია და ძალიან მაგრად იცვამს. მამაჩემი მოცეკვავე იყო და სულ საზღვარგარეთ დადიოდა გასტროლებზე. მას ყოველთვის ფანტასტიკურად ეცვა. საქართველოში საერთოდ რომ არ იყო ფერადი პიჯაკები, მამა მაშინ იცვამდა. მის გემოვნებას იმდენად ვენდობი, რაც უნდა იყიდოს ჩემთვის, ყველაფერი მომწონს და სიამოვნებით ვიცვამ. შანსი არაა, ისეთი რაღაც შემირჩიოს, რომ არ მომეწონოს. სხვათა შორის, „ახალ ხმაშიც“ მეცვა მისი ნაჩუქარი ტანსაცმელი. ყველა მეკითხებოდა, სად იყიდეო. ვეუბნებოდი, მამამ იყიდა ჩემთვის-მეთქი და ძალიან უკვირდათ.

„ახალი ტანსაცმელი ჰომ მაცვია, მგონია, ყველაზე ლამაზი ვარ“.

— თქვენს გარდერობში რა ფერები ჭარბობს?

— ფერად სამოსზე ვგიჟდები. შეიძლება, რომ ყველას შავი ტანსაცმელი ეცვას? ამის გამო სულ ვჩხუბობ. ვერასოდეს ვიმუშავებ ისეთ ადგილას, სადაც შავ-თეთრ ფერებში ჩაცმა დამჭირდება. იყო პერიოდი, როცა სხვადასხვა ბანკებში სტაჟირებას გავდიოდი, მაგრამ მივხვდი, რომ იქ ვერ გავძლებდი. ჩემი მეგობრები მუშაობენ ბანკში და ერთხელ მათთან ისეთ ჭრელ ტანსაცმელში მივედი, ყველამ მე დამიწყო ყურება.

— ფერებს თამამად ახამებთ ერთმანეთთან თუ ამ დროს სიფრთხილეს იჩენთ?

— თამამად ვახამებ, მაგრამ გარკვეულ წესებს ვითვალისწინებ. მაგალითად, სტაფილოსფერი მწვანესთან არ უნდა ჩაიცვა. ერთ ან ორ ფერში არასოდეს ვიცვამ, 3-4 ფერს ვუხამებ ერთმანეთს.

„ძალიან მომწონს, ქალი ჰომ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე დგას, მაგრამ ეს მაშინ, თუ უხდება და ჯანგი სიჰელიც იცის“.

— სამოსის შეკერვა უფრო მოსახერხებელია თქვენთვის თუ მაღაზიებში შეძენა?

— ტანსაცმელს მხოლოდ მაშინ ვიკერავ, როცა, მაგალითად, ქორწილში მივდივარ. მეზარება მოზომვებზე სიარული, ამიტომ მაღაზიებში ყიდვა მირჩევნია.

— სამოსში ფული არასოდეს გენანებათ?

— არც სამოსში და არც — კოსმეტიკაში. ოღონდ კარგი სამოსი და კოსმეტიკა შევიძინო და შემიძლია ერთი კვირა ვიშიმშილო. ალბათ ყველა გოგო ასეა. თუ ღამაზად გამოიყურები, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია. სწორედ ამიტომ ჩემს წონასაც ყოველთვის ვაკონტროლებ. მართალია, დიდად არასოდეს ვიმატებ, მაგრამ პურს მაინც არ ვჭამ, სამი წელია პურზე უარი ვთქვი. თავიდან გამიჭირდა, მაგრამ მერე მივეჩვიე. ყველა მეხვეწება, პური ვჭამო, მაგრამ ვეღარ ვჭამ. არც ტკბილეული მიყვარს დიდად, მაგრამ, თუ მომინდა, შეიძლება ღამის 5 საათზე ისე გავგიჟდე, რომ გავიდე და ვიყიდო.

— სასცენო სამოსს რის მიხედვით არჩევთ, მთავარ ყურადღებას რას აქცევთ?

— სცენაზე კომფორტული სამოსის ჩაცმა ძალიან მნიშვნელოვანია. ერთ-ერთ კონცერტზე ძალიან ღამაზი კაბა და ფეხსაცმელი მეცვა, ეს ყველამ აღნიშნა, მაგრამ იმ დღეს იმ სამოსისთვის საერთოდ არ ვიყავი მზად და სიმღერაში საშინლად შემეშალა ხელი. მას შემდეგ ვთქვი, რომ სცენაზე არასოდეს ჩავიცვამ ისეთ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს

„აქამდე მოღის საკითხები ჰომ მაინტერესებდა, ჰადგან ქალაბიჭა ვიყავი. ახლა კი უკვე ჩემი სტილი მაქვს — ჰახალგაზჰიდული, ცოტა თინეიჯეჰული“.

Cyan Magenta Yellow Black

და ისეთ ვიწრო კაბას, როგორიც მაშინ მეცვა. გაშეშებული ვიდექი და ვერ ვინძრეოდი. მაყურებლის წინაშე რომ გადიხარ, ისედაც ნერვიულობ, თან სიმღერაზე ფიქრობ და ამ დროს ჩაცმაზე ყურადღების გადატანა ზედმეტია.

— სცენისთვის სპეციალურად იკერავთ სამოსს თუ თქვენი გარდერობიდან არჩევთ?

— ჩემს გარდერობს ვიყენებ. საქართველოში ტანსაცმლის ყიდვა არ მიყვარს, გარდერობს ძირითადად საზღვარგარეთ ვაახლებ. თბილისში რომელ მაღაზიაშიც უნდა შეხვიდე, სულ ერთი და იგივე რაღაცეებია და თან უკვე მოძველებული კოლექციები. კაბა, რომელშიც საზღვარგარეთ 25 ფუნტი მივეცი, თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში 300 ლარზე მეტი ღირდა. ყოველთვის მიმართლებს და როცა საზღვარგარეთ მივდივარ, მაღაზიებში ფასდაკლებები მხვდება. ის ბრენდები, რაც აქ ძალიან ძვირია, იქ იაფია. უცხოეთში მართლა ფასდაკლებებია და აქ რა ხდება? ხალხს ატყუებენ.

„ნონას ყოველთვის ვაჯონტხოლებ. მახთალია, დიდად ახასოდეს ვიმატებ, მაგრამ ჰუსს მაინც ახ ვჭამ. სამი ნელია ჰუსზე უახი ვთქვი".

— სხვა რა გზაა, ყველას ხომ არ აქვს საზღვარგარეთ საყიდლებზე საარულის საშუალება?

— თქვენ გგონიათ, მე მაქვს ამის საშუალება? ახლახან ინგლისში ვიყავი, მაგრამ იქ წასვლა „ახალი ხმის" პრიზად მერგო. სულ მინდა, ახალი სამოსი მეცვას, მაგრამ ზოგჯერ ამის საშუალება არ არის. ახალი ტანსაცმელი რომ მაცვია, მგონია, ყველაზე ლამაზი ვარ. ერთი და იმავე სამოსის ბევრჯერ ჩაცმა არ მიყვარს და საერთოდაც, ტანსაცმელი ძალიან მალე მბეზრდება, მერე კი სხვებს ვჩუქნი.

— საყიდლებზე მარტო გიყვართ საარული?

— არა, ვისაც ჩემნაირი გემოვნება აქვს, მასთან ერთად მიყვარს საარული. ვფიქრობ, ნორმალური გემოვნება მაქვს და სხვისი რჩევა დიდად არც მჭირდება. ცუდად არასოდეს ჩამიცვამს და ჩემთვის უგემოვნო არასოდეს უწოდებიათ.

— „ახალ ხმაში" თქვენი გემოვნებით არჩევდით ტანსაცმელს თუ კონკურსანტებს დიზაინერი გაცმევდათ?

— ერთ-ერთ მაღაზიაში უნდა ჩაგვეცვა, მაგრამ მე იქიდან ვერაფერს ვირჩევდი. ნატო დუმბაძე დამეხმარა სამოსის შერჩევაში. ზოგი მისი გარდერობიდან შევარჩიეთ, ძალიან მაგარი გემოვნება აქვს.

— ბრმა კასტინგზე ჟიურის ყურადღება მაშინვე მიიქცია თქვენმა ბრჭყვიალა კუდებმა, ყველამ მოგაწონათ. თვლით, რომ ფეხსაცმელი ჩაცმულობაში მნიშვნელოვანია?

— ჩაცმულობაში ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი ფეხსაცმელები და ჩანთები ძალიან მიყვარს, მაგრამ სწორედ ასე ვგიჟდები კაბაზეც და კოსმეტიკაზეც. ძალიან მომწონს, ქალი რომ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე დგას, მაგრამ ეს მაშინ, თუ უხდება და კარგი სიარულიც იცის. მეზიზღება, 15-20 სანტიმეტრიანი ქუსლებით რომ დადიან.

— არის ისეთი სტილი, რომელსაც ვერ ირგებთ?

— ზედმეტად ქალური სტილი არ მიხდება. ასე რომ ჩავიცვა, ძალიან სასაცილო გამოვჩნდები. ახალგაზრდული, ცოტა თინეიჯერული სტილი მომწონს.

— გატყობთ, რომ არ გიყვართ სამოსის აქსესუარებით გადატვირთვა, დიდად არც სამკაულები გიყვარებათ. ასეა?

— მართალი ხართ, აქსესუარების ყოველდღიური ხმარება ძალიან მიშლის ნერვებს. რაც შეეხება სამკაულებს, პატარა საყურეებს და ჩემს საყვარელ საათს თუ გავიკეთებ. ვერ ვიტან და მაღიზიანებს, როცა ბევრ სამკაულს ერთად აისხამენ ხოლმე. განსაკუთრებული აქსესუარები მაქვს, რომლებსაც ასევე განსაკუთრებულ დღეებში ვიყენებ.

— როგორი ჩაცმული ბიჭები მოგწონთ?

— ბიჭს კარგი ბრენდის სამოსი უნდა ეცვას. სჯობს, ყოველდღე ერთი და იმავე ეცვას და იყოს ბრენდი, ვიდრე სხვადასხვა, მაგრამ მოდღლეზილი მაისურები. მათზე ქეჟუალი მომწონს — ჯინსები, მაისურები, პერანგები. ვერ ვიტან, ბიჭს დილიდან ღამემდე სათვალე რომ უკეთია. რატომ უნდა გეკეთოს სათვალე მაშინ, როცა საჭირო არაა? ეს არ მესმის. ალბათ იმ სათვალეებიან ტიპებს ბაძავენ, რომლებსაც ტელევიზიით ხშირად აჩვენებენ. ვგიჟდები ძველმოდურ ბიჭებზე.

„ბიჭებზე ქეჟეალი მომწონს — ჯინსები, მაისურები, პერანგები. ვგიჟდები ძველმოდურ ბიჭებზე, გოგოს ჰატივს ხომ სცემენ, მისი ფასი იციან".

— ძველმოდური ბიჭი როგორია?

— აი, ისეთები, გოგოს პატივს რომ სცემენ, მისი ფასი იციან, მათთან რომ არ იგინებიან. ჯენტლმენი ბიჭები მომწონს, ნორმალურად აღზრდილები და განათლებულები. დღეს კი ასეთ ბიჭებს ძველმოდურს ეძახიან. ცანცარა ტიპები არ მიყვარს.

✓ ქეთი დინოშვილი

ასპარეზი

რისი ეშინია ქართველ ფალავანს

„ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ გამოჩენილა ქალი, ხომელიც სხვანაირად დამაფიქრებდა"

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია. ფინალურ დაპირისპირებაში ჩვენმა სპორტსმენებმა რუსეთის ნაკრები 3:2 დაამარცხეს და ბრაზილიაში მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტული მოიპოვეს. გადამწყვეტი შეხვედრა ადამ ოქრუაშვილსა და რუსეთის წარმომადგენელს შორის შედგა, სადაც ქართველმა მოჭიდავემ გაიმარჯვა.

ადამი 24 წლისაა. სპორტსმენების ოჯახში გაიზარდა. მისი მამა, დიმიტრი ოქროუაშვილი, ყოფილი სპორტსმენია, ძიუდოისტი. ადამის უმცროსი ძმა, ვახტანგიც მოჭიდავეა, მაგრამ ის აზერბაიჯანის სახელით ასპარეზობს.

ადამმა ძალიან რთული სპორტული გზა გაიარა. ერთი პერიოდი ჭიდაობისთვის თავის დანებებაც კი გადაწყვიტა, რადგან საყვარელი საქმით თავის რჩენა არ შეეძლო, მის ოჯახს კი ძალიან უჭირდა. საბოლოოდ ჭიდაობას მაინც ვერ უღალატა და დიდი შრომის ფასად წარმატებაც მოიპოვა. სპორტსმენის გული ჯერჯერობით თავისუფალია, ამბობს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ კარიერაზე ფიქრობს და სხვა რამისთვის დრო არ რჩება.

— ადამ, მსოფლიო ჩემპიონობას გილოცავთ! მართლაც რთულ ბრძოლაში გაიმარჯვეთ.

— წელს მსოფლიო ჩემპიონატი უძლიერესი შემადგენლობით გაიმართა. შევხვდით საფრანგეთის, მონღოლეთის ნაკრებებს, ფინალში გადასასვლელად უზბეკეთის გუნდს მოვუგეთ. ყველაზე რთული კი რუსეთის ნაკრებთან ბრძოლა იყო, ფინალში მათ წარმომადგენელს შევხვდი და მოვიგე. მადლობელი ვარ იმ ბიჭების, ვინც ჩემ გვერდით იდგნენ და დაუზოგავად იბრძოდნენ მოსაგებად. წლევანდელ ჩემპიონატზე წავაგე კიდეც, რაც ძალიან →36

OXFORD HOUSE

დარეგისტრირდი OXFORD HOUSE-ში

18 სექტემბრამდე ზოგადი ინგლისურის კურსზე და ისარგებლე 45%-იანი ფასდაკლებით, გადაიხადე თვეში 55 ლარი!

სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო New English File პროგრამით. აღნიშნული კურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია 4 ძირითადი უნარის – მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის – გაუმჯობესებაზე. ასევე გთავაზობთ TOEFL, IELTS, FCE, ბიზნესინგლისურის და აბიტურიენტის მოსამზადებელ პროგრამას.

იყავი წარმატებული ოქსფორდელი და გაეცანი ზაფრე ლონდონში Williams College-ში.

მის.: თბილისი, რ. თაბუკაშვილის №1.
ტელ.: 0790-115-115; (+995 32) 2-99-56-76.
Oxfordhousecentre@gmail.com
www.oxford.ge
https://www.facebook.com/oxford.ge

Cyan Magenta Yellow Black

დიდი ტკივილია ჩემთვის. როცა აცნობიერებ, რომ გულშემატკივარი შენგან მაქსიმუმს ელოდება და ამ დროს მინიმუმსაც ვერ აჩვენებ, ტკივილი გაუსაძლისი ხდება. ძალიან განვიცდი იმ წაგებას და ალბათ ეს გრძნობა დიდხანს გამყვება.

— როცა აგებთ, რა გაძლევთ ძალას, რომ ისევ მონდომებით იყარჯიშოთ?

— პირადი და გუნდური ასპარეზობები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. პირად ჩათვლაში რომ ვაგებ, ვცდილობ, კარგად გავიაზრო, რატომ დავმარცხდი, რა იყო ამის მიზეზი, ყველა დეტალს მწვრთნელთან ერთად ვუღრმავდები და ამის შემდეგ ისევ ვარჯიშს ვიწყებ. როცა გუნდურ შეჯიბრში ვაგებთ, შემიძლია ვთქვა, რომ ამაზე დიდი ტკივილი ჩემთვის არაფერია, მაგრამ ძალას მაძლევს ჩემი ქართველობა, ქართული სისხლი. ყოველთვის მინდა, დავამტკიცო, რომ ჩემი ქვეყანა ყველაზე მაგარია. სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, როცა ერი გაფასებს. ბიჭებს ერთად რომ გვხედავენ, ამბობენ, ესენი ის ბიჭები არიან, ჩვენ რომ გვასახელესო. ყველაზე ლამაზი და დიდებული გრძნობაა, როცა ქართველი ხალხი გქომაგობს და მათგან დაფასებას გრძნობ.

■ ადამი მსოფლიო ჩემპიონატზე

„როცა ჩემპიონატზე ჩვენმა ბიჭებმა მოიგეს და ჩემი დრო მოვიდა, სხვა გზა აღარ მქონდა, აუცილებლად უნდა მომეგო. იმხელა მუხტს ვგრძნობდი, ვერ აგიხსნით. საქართველოსთვის ყველაფერი ღირს... როცა შენი ქვეყნის დროშა ყველაზე ზემოთაა ანეული, სასნაული ემოციაა".

— ფინალი რომ მოიგეთ, მკერდზე ირტყამდით მჯიღს, სადაც საქართველოს დროშა გესახატათ. გეტყობოდათ, რომ თქვენი გამარჯვება ქართველ ერს მიუძღვენით.

— კი, ასე იყო. როცა ჩვენმა ბიჭებმა მოიგეს და ჩემი დრო მოვიდა, სხვა გზა აღარ მქონდა, აუცილებლად უნდა მომეგო. იმხელა მუხტს ვგრძნობდი, ვერ აგიხსნით. საქართველოსთვის ყველაფერი ღირს.

— რა ასაკში დაინტერესდით ჭიდაობით?

— პირველკლასელმა დავიწყე ვარჯიში, მაგრამ მერე ტვინის შერყევა მივიღე და სპორტს დროებით შევეშვი. მაშინ მეუბნებოდნენ, რომ აღარასოდეს უნდა მევარჯიშა. მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როცა მამამ ისევ შემიყვანა ჭიდაობაზე. მაშინ არ ვფიქრობდი, რომ შეჯიბრებებში მივიღებდი მონაწილეობას, სამოყვარულო დონზე ვვარჯიშობდი. მერე კი დაინახეს, რომ ძლიერი სპორტსმენი ვიყავი, სხვებზე ცოტა უკეთესად ვჭიდაობდი. ამის შემდეგ სერიოზულად დავიწყე ვარჯიში და აქამდე მოვედი.

— როგორც ჩანს, მამის სურვილი იყო, მოჭიდავე გამხდარიყავით. მასზეც გვიამბეთ.

— მამა, დიმიტრი ოქრუაშვილი, ძიუდოისტი გახლდათ და სწორედ მისი სურვილია, ამ სფეროში ვიყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოში არ მეგულება ადამიანი, მასავით უყვარდეს ძიუდო. მეც ამ სპორტში ვარ და ჩემი ძმაც, მაგრამ მამას სულ სხვანაირად უყვარს ეს საქმე. ჩემს განვითარებასა და სპორტსმენად ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის.

— ალბათ ხშირად გაძლევთ პროფესიულ რჩევებს.

— რა თქმა უნდა. იყო დრო, როცა მავარჯიშებდა, მითითებებს მაძლევდა. ის ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია. მის თვალს ვერაფერს გამოაპარებ.

— თქვენი ძმა სად ჭიდაობს?

— ჩემი ძმა, ვახტანგი, აზერბაიჯანის ნაკრების სახელით ასპარეზობს. ის დედის გვარზეა — ბითიევი. რაღაც მიზეზების გამო იქ ცხოვრობს. ერთ წონით კატეგორიაში ვვარჯიშობთ. ხშირად გამოდის შეჯიბრებებზე და სულ იმის შიში მაქვს, მოწინააღმდეგედ ჩემი ძმა არ შემხვდეს, არ მინდა მასთან ჭიდაობა. 5 წლით უმცროსია ჩემზე. ერთად გავიზარდეთ, გვიჭიდავია კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ ვარჯიში იყო. არ მინდა, შეჯიბრზე ჩემი მოწინააღმდეგე ვახტანგი იყოს.

— თქვენი ძმა აზერბაიჯანის სახელით რატომ ასპარეზობს ან იქ რატომ ცხოვრობს?

— მიზეზებზე ლაპარაკისგან თავს შევიკავებ. ისე მოხდა, რომ გადავწყვიტეთ, იქ წასულიყო.

— სპორტსმენმა ამ შედეგს რომ მიაღწიოს, გახდეს ჩემპიონი, დიდი შრომაა საჭირო. არც თქვენი სპორტული გზა იქნებოდა იოლი გასავლელი.

— მართლაც ძალიან რთული გზა გამოვიარე და წინ კიდევ ბევრი დაბრკოლება იქნება. მატერიალური თვალსაზრისით, ბევრი პრობლემა მქონდა. იყო ისეთი მომენტიც, როცა ვფიქრობდი, სპორტისთვის თავი დამენებებინა. ძალიან გვიჭირდა, ძალიან მცირე ხელფასი მქონდა, ოჯახს ვერ ვარჩენდი. ამიტომ გადავწყვიტე, ისეთი საქმე გამომენახა, რითიც ოჯახს შევინახავდი. ბიძამ, ირაკლი ქავთარაძემ, მთხოვა, ერთი წელი კიდევ ივარჯიშე, თავი არ დაანებოო. მასთან ვცხოვრობდი, ყოველ დილით მივყავდი სავარჯიშოდ. ერთი წლის თავზე კი უკვე კარგი შედეგები ვაჩვენე. არ ვიცი, ჩემნაირი ბიძა ვინმეს თუ ჰყავს. მისი უზომოდ მადლიერი ვარ.

— არასოდეს გიფიქრიათ ქვეყნის დატოვებაზე? ეს ხომ თქვენს მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა.

— არა. თუ ქართველი სპორტსმენი სხვა ქვეყანაში წავიდა, იცოდეთ, ის იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. არავის უხარია სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობა.

— ანუ თქვენი ძმაც იძულებულია, აზერბაიჯანის სახელით გამოვიდეს?

— ასეა. საქართველოს დროშის ქვეშ ჭიდაობა უდიდესი ბედნიერებაა. როცა შენი ქვეყნის დროშა ყველაზე ზემოთაა აწეული, ეს სასწაული ემოციაა. თუ სპორტსმენს არ გაუჭირდა, ამ შეგრძნებას არაფერზე გაცვლის.

— თქვენი ძმა მომავალში მაინც თუ აპირებს საქართველოს სახელით ასპარეზობას?

— ეს ისეთი რთული თემაა, თავს შევიკავებ საუბრისგან.

— ცოლის შერთვაზე არ ფიქრობთ?

— ჯერჯერობით — არა. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, მომავალში მეტს მივაღწიო და ამით ჩემი გულშემატკივრები, ჩემი საქართველო გავახარო. მინდა, ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე გამოვიყენო.

— ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერში ცოლი, შვილები ხელს შეგიშლიან?

— ძალიან რთულია, როცა მეუღლე გყავს და სულ შეჯიბრებებზე, შეკრებებზე გიწევს ყოფნა, მეუღლისთვის კი ველარ იცლი. სპორტში ან ხარ, ან — არა. ბევრ სპორტსმენს აქვს ოჯახი, მაგრამ ძალიან რთულია, როცა დღეში სამჯერ ვარჯიშობ, სახლში კი ისეთი დაღლილი ბრუნდები, ერთი სული გაქვს, დაიძინო. ეს ჩემი ყოველდღიურობაა. საყვარელ ადამიანს დიდი ყურადღება სჭირდება, ჩემი საქმე კი ამის საშუალებას არ მომცემს.

— იქნებ ადვილად შეეგუოს თქვენს ასეთ რეჟიმს და ხელიც კი შეგიწყოთ.

— ალბათ ასეთი გოგოებიც არსებობენ, არ ვიცი... ძალიან რთულია საყვარელი ადამიანი ორი თვე არ ნახო. მე კი ხშირად მიწევს საქართველოდან თვეობით წასვლა... თუმცა შეიძლება ჩემს ცხოვრებაში ჯერ არც ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც ამ გადაწყვეტილებას შემაცვლევინებდა, სხვანაირად დამაფიქრებდა.

— საკმაოდ რთულ რეჟიმში ცხოვრობთ. განტვირთვას, დასვენებას როდის ახერხებთ?

— ასეთ რეჟიმში ცხოვრება ძალიან ძნელია, მაგრამ აუცილებელია, მით უმეტეს, მაშინ, როცა შეჯიბრებისთვის ემზადები. ძილის, კვების განრიგი უნდა დავიცვა. წლის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ჭიქა ალკოჰოლური სასმელი დავლიო, მეტი არა. როცა თავისუფალი დრო მაქვს, მეგობრებთან ვარ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. უმეტეს დროს საზღვარგარეთ ვატარებ. ნაკრების წევრები სულ ერთად ვართ, ერთად ვხალისობთ. ასე რომ, განტვირთვასაც ვახერხებთ. ახლა ცოტა ხანი დავისვენებთ, შემდეგ კი ისევ შევიკრიბებით, ვარჯიშები დაიწყება.

„ჩემი ძმა, ვახტანგი, აზერბაიჯანის ნაკრების სახელით ასპარეზობს. ის დედის გვარზეა — ბითიევი. ხშირად გამოდის შეჯიბრებებზე და სულ იმის შიში მაქვს, მოწინააღმდეგედ ჩემი ძმა არ შემხვდეს, არ მინდა მასთან ჭიდაობა".

— გიფიქრიათ იმაზე, მამასაკით ჭიდაობას თავს რომ დაანებებთ, რას გააკეთებთ?

— არა, ამაზე არასოდეს მიფიქრია. მამა სპორტის შესახებ დღემდე ყველაფერს კითხულობს, ამ საქმეში თავიდან ბოლომდეა ჩაფლული. მე და მამა ერთად ვცხოვრობთ და სულ აკონტროლებს, რა მჭირდება, როგორ ვიკვებები, როგორ ვვარჯიშობ. ყველა მითითებას ის მაძლევს. ვცდილობ, მისი რჩევები ყოველთვის გავითვალისწინო.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

ახალგაზრდა ბაიკერი მეგობრის შეცდომას კინაღამ ემსხვერპლა

„ბაბუაჩემი 80 წლისაა და დღემდე მოტოთი დადის“

23 წლის მორაგბე გიორგი ცქიტიშვილი ბაიკერობის სიყვარულმა ბევრ ხიფათს გადაჰყარა, მაგრამ მას მაინც ვერ შეელია. ერთი წლის წინ დიღმის გზაზე მეგობრებთან ერთად მოტოთი სეირნობისას ავარიაში მოყვა. დამცავი ჩაფხუტი და სამოსი რომ არა, სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. ერთი თვის წინ კი მოტომ უმტყუნა და ისევ სიკვდილს ჩახედა თვალებში. გიორგიმ ჩვენთან საუბარი სწორედ ამ შემთხვევის გახსენებით დაიწყო:

— დაახლოებით ერთი თვის წინ ბაიკერების ჯგუფი სასეირნოდ წავედით. მანამდე ძრავში ზეთის შესაცვლელად სახელოსნოში შევიარე. ზეთის შეცვლის დროს უმნიშვნელო დეტალი დაზიანდა, საიდანაც ზეთი გამოდის. ხელოსანმა შემომთავაზა, მოტო დამეტოვებინა, მაგრამ ვთხოვე, დროებით ისე შეეკეთებინა, რომ იმ დღეს მესეირნა. მეორე დღეს სახელოსნოში არ მივედი. ვიფიქრე, მერე გავაკეთებინებ-მეთქი, ეს ყველაფერი უმნიშვნელოდ ჩავთვალე. ღამის 4 საათი იყო, 280 კმ სიჩქარით მივდიოდი და უცებ მოტო ვეღარ დავიმორჩილე! ის დაწყევლილი ნაწილი ისევ გაძვრა და მთელი ცხელი ზეთი უკანა საბურავზე დაესხა. მოტოს გაუხედნავი მუსტანგივით ვერ ვიმორჩილებდი. ვიცოდი, თუ წავიქცეოდი, ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი, სიკვდილს თვალებში ჩავხედე. დიდი სისწრაფით ვმოძრაობდი და ასეთ დროს უცებ გაჩერება ძნელია, თან, რაც უფრო ვამუხრუჭებდი, მოტო მით უფრო დაუმორჩილებელი ხდებოდა. მოკლედ, რის ვაი-ვაგლახით გავჩერდი. მთელი სხეული მიკანკალებდა.

— გიორგი, ბაიკერებს მძღოლები გადანაშაულებენ, ცუდად დადიან, საავარიო სიტუაციებს ქმნიანო. მართლაც ბევრი შემთხვევაა, როცა ბაიკერმა საკუთარი თავიც საფრთხეში ჩაიგდო და არც სხვის სიცოცხლეს გაუფრთხილდა.

— გეთანხმებით, ზოგი მართლა არანორმალურად დადის და ასეთები სიცოცხლესაც მალე ასრულებენ. ბაიკერების ჯგუფი ხშირად ერთად ვსეირნობთ. ვისთან ერთადაც მე დავდივარ, მათ თავში არ უქრით. არანორმალურად სიარული ჯგუფში ყველასთვის საშიშია. ჩემ წინ მიმავალი ბაიკერი თუ დაიმტვრა, მეც დავიმტვრევი. სულ ვცდილობ, დღისით მოტოთი არ ვისეირნო. თუ აუცილებლობა მოითხოვს, ნელაც დავდივარ და ამ დროს რისკიც ნაკლებია.

— მიუხედავად ამისა, ერთი წლის წინ მძიმე ავარიაში მაინც მოყევით. ამ შემთხვევაზეც გვაამბეთ.

— დიღმის გზაზე რამდენიმე ბაიკერი ვსეირნობდით. ერთი ახალბედა სიჩქარეს ცოტა გაუთამამდა. იმ მომენტში გზაზე მანქანა იდგა, რომელსაც რამდენიმე ადამიანი აწვებოდა, ფარებიც ჩამქრალი ჰქონდათ და გზას ასე კვეთდნენ. მეგობარმა ეს ვერ შეამჩნია, მოტო ვეღარ დაიმორჩილა და დაეჯახა. ვინც იმ მანქანას აწვებოდნენ, დაბნეულები აქეთ-იქით გაიფანტნენ. მოტო ერთს დაეჯახა კიდეც, ოღონდ ის მსუბუქად დაშავდა.

— თქვენ რა დაგემართათ, როგორ დაშავდით?

— მე და ჩემი მეგობარი თითქმის გვერდიგვერდ მივდიოდით, მეც მაღალი სიჩქარით მივქროდი. მეგობარმა უცებ დაამუხრუჭა და მანქანას შეეჯახა. ბაიკი გვერდით რომ გადავარდა, მე დამეჯახა. მოტოდან ძირს დავეცი და ასფალტზე დაახლოებით 20 მეტრი ვიხოხიალე. ეკიპირებული ვიყავი, ჩაფხუტი, ხერხემლის, იდაყვების, ხელების, მუხლების დამცავი მეკეთა და სწორედ ამან გადამარჩინა. დაჟეჟილობები მივიღე, ცხვირზეც პრობლემა მქონდა, მაგრამ საგანგაშო არაფერი. რაც მეცვა, გადასაყრელი გახდა. წარმოიდგინეთ, 20 მეტრს რომ იხოხიალებ, სამოსს რა დაემართებოდა.

— ნამდვილად გაგიმართლათ, რომ ცოცხალი გადარჩით.

— კი, ასეა. საერთოდ, როცა მოტოზე ზიხარ, ყველაფერი გამართლებაზეა. შეიძლება დამცავი სამოსიც გეცვას, დაბალი სიჩქარით მოძრაობდე, მაგრამ წაიქცე, ჩაფხუტი მოგძვრეს, თავი დაარტყა და დაიღუპო. იმ დღეს კი იქ მყოფებს ყველას გაგვიმართლა. სათანადოდ ეკიპირებული რომ არ ვყოფილიყავი, სიკვდილის შანსიც დიდი იქნებოდა და თუ გადავრჩებოდი, დღეს ალბათ ინვალიდის ეტლში ვიჯდებოდი.

— იმ მომენტში იფიქრეთ, რომ შეიძლებოდა მომკვდარიყავით?

— კი. მეშინოდა, უკან მომავალი რომელიმე მოტო არ დამჯახებოდა. ასეთ დროს შეიძლება, შენივე მოტოც დაგეცეს. მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ ძალიან მაგარ რაღაცას გადავურჩი. გამიმართლა, რომ წინ არც მანქანა იყო და არც — ვინმე ქვეითი. შეიძლებოდა წინ რამე ყოფილიყო, ასფალტზე გასრიალების ნაცვლად იმას შევსკდომოდი და მაშინ კი ვეღარაფერი მიშველიდა.

— თქვენი მეგობარი მძიმედ დაშავდა?

— მეგობარს ფეხი მოტყდა, მხარი ამოუვარდა. მე თითქმის მთელი ტანი დაბეჟილი მქონდა, კისერი მტკიოდა. გარეგნულად არაფერი მეტყობოდა, მაგრამ ექიმებს ეშინოდათ, შინაგანი ორგანოები ხომ არ მქონდა დაზიანებული. საბედნიეროდ, ამასაც გადავურჩი.

> **„ის დანყევლილი ნაწილი ისევ გაძვრა და მთელი ცხელი ზეთი უკანა საბურავზე დაესხა. მოტოს გაუხედნავი მუსტანგივით ვეღ ვიმორჩილებდი. ვიცოდი, თუ ნავიქცეოდი, ცოცხალი ვეღ გადავრჩებოდი, ჰაც უფრო ვამუხრუჭებდი, მოტო მით უფრო დაუმორჩილებელი ხდებოდა...“.**

— რამდენი წელია, რაც მოტოზე ზიხართ?

— მოტო ბავშვობიდან მიყვარს. ბაბუაჩემი, ზაქარია ცქიტიშვილი ძველი მოტომრბოლელია, 80 წლისაა და დღემდე სამსახურში მოტოთი დადის. მისი ახალგაზრდა ძმა სწორედ მოტოს შეეწირა, შვილები ობლად დარჩა. ამიტომ ბაბუა მოტოსადმი ჩემს სიყვარულს რომ ხედავდა, ცოტა ეშინოდა. მოტოს თვითონაც ვერ შეეშვა, რადგან ამით თუ მოიწამლები, თავს ვერასოდეს დაანებებ. დაახლოებით 10 წლის ვიყავი, ბაბუამ მე და ჩემს ძმას მოპედი რომ გვიყიდა, მაგრამ ჩემმა ძმამ მალე მიატოვა მოტოზე ჯდომა. ბაბუას რაც შეეხება, ჩემს უბანში

> **„მოტოდან გადმოვვარდი და ასფალტზე დაახლოებით 20 მეტრი ვიხოხიალე. ჩაფხუტი, ხერხემლის, იდაყვების, ხელების, მუხლების დამცავი მეკეთა და სწორედ ამან გადამარჩინა“.**

მასზე ლეგენდები დადის. მოტო ახალი ნაყიდი მყავდა, ბაბუას ვთხოვე, გაევლო და გაესინჯა, როგორი იყო. რომ დაბრუნდა, მითხრა, ძალიან მაგარიაო. სამსახურში რომ მივდიოდი, შუქნიშანთან, გაჩერებაზე ხალხი გაოგნებული იდგა, მომცვივდნენ, ბაბუაშენი, ამ ხნის კაცი ხომ არ გაგიჟდაო. 200 მეტრის მანძილზე ცალ ბორბალზე უვლია.

— ოჯახის წევრები თქვენ გამო არ ნერვიულობენ?

— ეს ისეთი სიამოვნებაა, ვერაფერს შეადარებთ. ყველაზე უარყოფითი ამ სიამოვნებას ის აქვს, რომ შეიძლება ძალიან მაგარი მეგობარი გამოგაკლდეს, ან თავადაც დაიღუპო. ცხოვრება ასეთია, ამას ვერ გაექცევი. ახლახანაც გამოგვაკლდა ერთი ბაიკერი. ჩემები თავიდან ნერვიულობდნენ, მაგრამ უკვე შეეგუვნენ. მორაგბე ვარ, პირველ ღიგაში ვთამაშობ და სახლში ჰგონიათ, რომ ეს დაზიანებები რაგბის გამო მაქვს.

— არ მიწყინოთ, მაგრამ მგონია, რომ ბაიკერები სიცოცხლეს არ უფრთხილდებით.

— იცით, რა არის? ეგოისტი ვარ, სხვაზე არ ვფიქრობ. ეს სიამოვნება იმ ადამიანების ნერვიულობის ფასად მიჯდება, ვისაც მე ვუყვარვარ. მინახავს გარდაცვლილი მეგობრების ოჯახის წევრების მდგომარეობა. მათი შემხედვარე წარმოვიდგენ ხოლმე, მე რომ რაღაც მომსვლოდა, ჩემები როგორ იქნებოდნენ. იმ ავარიის შემდეგ მოტო ცოტა ხანი გვერდზე გადავდე, მაგრამ მერე ისევ დავუბრუნდი. ბევრი მეგობარი გამომაკლდა, ბევრი ცუდი რამ ვნახე, მაგრამ მაინც ვერ ვეშვები.

✓ ეკა ლემონჯავა

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ასმათ ტყაბლაძე პირადმა ტრაგედიამ ფრთხილ მძღოლად აქცია

„დღემდე მახსოვს ჯოტე მახარაძის სიტყვები — „ახ იჩქაროთ!"

ესახიობი ასმათ ტყაბლაძე საჭეს მაშინ მიუჯდა, როცა თბილისში ძალიან ცოტა მანქანა მოძრაობდა, ქალ მძღოლს კი იშვიათად თუ სადმე ნახავდით. ქერა ქალის დანახვაზე მამაკაცი მძღოლები ქალბატონ ასმათს უკან მისდევდნენ, რომ მისი სახე დაენახათ. ერთ-ერთი ცნობისმოყვარე ამის გამო ავარიაშიც კი მოყვა. ახლა მსახიობს მამაკაცი მძღოლები თავიანთი თავხედობით და აგრესიით აკვირვებენ. ზოგჯერ საჭესთან მოკალათებული ქალებიც ანერვიულებენ, მაგრამ მათთვის ჭკუის სწავლება არასოდეს ეზარება. ქალბატონმა ასმათმა მძღოლობის 34 წლიან გამოცდილებაზე„სარკესთან" ისაუბრა.

— ქალბატონო ასმათ, რამდენი ხანია, რაც საჭესთან ზიხართ?

— მანქანას 1979 წლიდან ვმართავ. მაშინ ქალებს საჭესთან იშვიათად თუ შენიშნავდით. მსახიობი ქალებიდან ავტომობილი მე, სოფიკო ჭიაურელს და ქეთევან კიკნაძეს გვყავდა. სოფიკო ძალიან თავქარიანი და გაბედული მძღოლი იყო, მოძრაობის არანაირ წესს არ იცავდა. მე თავიდანვე მშვიდი მძღოლი ვიყავი. ჩემი პირველი მანქანა „ჟიგული" იყო, რომელიც ბიძამ მაჩუქა.

— ახალბედა მძღოლს ქალაქში მოძრაობა არ გიჭირდათ?

— პატარა „გახახუნ-გამოხახუნება" მქონდა, მაგრამ სერიოზული ავარია არ მომსვლია. ჩემი შეყვარებული ავარიაში გარდაიცვალა, ვიცი, ეს ტკივილი რაც არის და ამიტომაც ვარ მშვიდი მძღოლი. თავიდან ჩემი ძმა მეჯდა ხოლმე გვერდით. ერთხელაც თეატრში სპექტაკლზე მაგვიანდებოდა, ჩემი ძმა არ ჩანდა, ისეთ ადგილას ვცხოვრობდი, ტაქსი არ დადიოდა. გავრისკე და საჭესთან მარტო დავჯექი. იმ დღემ იმხელა გამბედაობა შემმატა, ერთი კვირის შემდეგ მანქანით დუშეთში ჩავედი. მძღოლობა კი დავიწყე, მაგრამ გზაში ხან ვინ გამომეკიდებოდა, ხან — ვინ. ქერა თმას რომ ხედავდნენ, ჩემი სახე აინტერესებდათ და მომსდევდნენ. ერთხელ ერთი ბიჭი ჩემს ყურებაში რაღაცას დაეჯახა. მეორე წელს უკვე აფხაზეთში ჩასვლაც გავბედე.

— მოძრაობის წესები მაშინაც ასეთი მკაცრი იყო?

— ზოგჯერ მოძრაობის წესებს ვარღვევდი, მაგრამ არ მახსოვს, ინსპექტორს ჩემთვის ფული მოეთხოვა ან ცუდად დამლაპარაკებოდა. ქალებთან განსაკუთრებული ჯენტლმენობით გამოირჩეოდნენ. მახსოვს, თეატრში იაპონურ პიესაში ვთამაშობდი. იაპონელს ცოტა მაინც რომ დავმსგავსებოდი, მკვეთრი გრიმი გამიკეთეს, თმაც სხვანაირად მქონდა. სპექტაკლი რომ დასრულდა, წყალი არ მოდიოდა, პირი ვერ დავიბანე და შუაღამისას იმ გრიმით წამოვედი სახლში. გადამავიწყდა, რომ საჭესთან გრიმით ვიჯექი. ინსპექტორმა გამაჩერა და გაკვირვებულმა დამიწყო ყურება, მერე მეორეც მოვიდა და ის უარესად მომაშტერდა, ვერ მივხვდი, რას მიყურებდნენ. საიდან მოდიხართო, მკითხეს. გაბრაზებულმა ვუპასუხე, სამსახურიდან-მეთქი. ჩამაცივდნენ, ამ შუაღამისას რომელი სამსახურიდან მოდიხართო. შევეკამათე, ბოლოს კი ბოდიშის მოხდით მკითხეს, სად მუშაობთო. რომ გაიგეს, მსახიობი ვიყავი, გამიღიმეს და გამიშვეს. მერე გამახსენდა, რომ გრიმით ვიჯექი და მათი გაოცება ამან გამოიწვია.

— ახლა რაგვარი ურთიერთობა გაქვთ პატრულთან?

— ვერ ვიტყვი, რომ პატრული ჩემ მიმართ ლმობიერებით გამოირჩევა. სერიალით „ჩემი ცოლის დაქალები" ძალიან პოპულარული გავხდი და მცნობენ. ამას წინათ ქუჩა გადაკეტილი დამხვდა, არადა 30 მეტრი მქონდა გასავლელი. შევეხვეწე, შემიშვით-მეთქი. ერთმა პატრულმა უარი მითხრა, მეორე კი შეეპასუხა, შენ ტელევიზორს არ უყურებ, პატარა მანძილი აქვს გასავლელი, გაუშვიო. რა თქმა უნდა, ყურადღება ძალიან მესიამოვნა. რამდენჯერმე პატრულს ცუდადაც შევეპასუხე. ერთ-ერთ უბანში ერთი სახლიდან მეორეში მივდიოდი, რამდენიმე მეტრი იყო დაშორება და ღვედი აღარ გავიკეთე. პატრულმა გამაჩერა და არაფრით მომისმინა. მაშინ კი მაგრად შევუტიე, არაფერი დავაკელი. მითხრა, კამერა გიღებთო. ვუპასუხე, ზუსტად ამიტომაც გეუბნებით, მინდა, კამერამ თქვენი საქციელი გადაიღოს-მეთქი. ერთხელ ღამით გამაჩერეს და მითხრეს, ნასვამი ხარ და ჩაბერე, უნდა შეგამოწმოთო. ამხელა ქალს რომ ამას ეუბნებიან, კარგი საქციელი არაა.

— ტესტირება გთხოვეთ თუ შეეწინააღმდეგეთ პატრულს?

— რა თქმა უნდა, შევეწინააღმდეგე. ვუთხარი, აპარატში არასოდეს ჩამიბერავს, არ ვიცი, ეს როგორ კეთდება, ჯერ თქვენ ჩაბერეთ-მეთქი. გაკვირვებულებმა შემომხედეს. მერე მეორე თანამშრომელი გადმოვიდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ალბათ მიცნო... ინსპექტორები ისე ცოტა ფულს ართმევდნენ მძღოლებს, დღევანდელ ჯარიმებს არც შეედრება. ახლა 10 ლარიანმა ჯარიმამ შეიძლება მძღოლს სახლი გაყიდვინოს. ხომ შეიძლება გადახდა დაგავიწყდეს და ჯარიმა ასმაგად რატომ უნდა გექცეს?

„აღჩე საჭესთან ახ ვბილნსიტყვაობდი, მაგრამ ახლა ზოგი ისეთ ჩაღაცას აკეთებს, ჩომ ჯაჩაგე ვაგინებ. მაგრამ ჩა ენაზე ვიგინები, ახ გაინტეჩესებთ? სომხეჩაგ! ქაჩთული გინება ახ მომწონს!".

— პატრული რა შემთხვევაში გაჯარიმებთ?

— მობილურზე საუბრისთვის, ღვედს თუ არ გადავიჭერ და სხვა მსუბუქი დარღვევებისთვის. შუქნიშანზე თუ წითელი ანთია, არასოდეს გავივლი, ეს ჩვევაში მაქვს გადასული.

— მამაკაცები ქალი მძღოლების მიმართ მანცდამაინც დიდი სიმპათიით არ გამოირჩევიან. თქვენ თუ ვიგრძნიათ მათგან აგრესია?

— კი, როგორ არა! 2-3-ჯერ საბურთალოზე, „გეპეი"-სთან, წრეზე ვიღაცეები დამეჯახნენ. იქ მოხვევა ხშირად მიწევს და შესანიშნავად ვიცი, ავარიის შემთხვევაში ვინ არის დამნაშავე. ერთხელ შემოვუხვიე და არ დამარტყა ჯიპმა? მანქანას კაცი მართავდა. ვუთხარი, რა ქენი, ავტომობილი რატომ დამიტვრიე-მეთქი. მან კი აქეთ დამადანაშაულა. ავუხსენი, პატრული რომ მოვიდოდა, მას დაადანაშაულებდა, ჯარიმას გადაახდევინებდა და ჩემს მანქანასაც გააკეთებინებდა, ამიტომ ჯობდა, ერთმანეთში მოგველაპარაკა, მაგრამ მაინც შემეწინააღმდეგა. როცა კაცმა მძღოლმა იცის, დამნაშავეა და თავის დაძვრენას ცდილობს, ეს უკვე არაკაცური საქციელია. იმ მძღოლს ვუთხარი, თუ მე ვარ დამნაშავე, ორმაგად გადაგიხდი და თუ არა, მაშინ, იცოდე, უზნეო, უსინდისო კაცი ხარ-მეთქი. მოვიდა პატრული და უთხრა, ვიდეოჩანაწერის ნახვა არც გვინდა, ახლავე გეტყვით, რომ დამნაშავე ხარო. 250 ლარიანი ჯარიმაც გადაიხადა, 500 ლარი მე მომცა და თავისი მანქანაც გააკეთა.

— ქალ მძღოლს არ შეუჩნია თქვენთვის აგრესიული სიტუაცია?

— კი, ასეთი შემთხვევაც ყოფილა და შე სულელო ქალო-მეთქი, მიყვირია კიდეც. ქალი მძღოლები ძალიან ჩქარობენ. კოტე მახარაძე და ზურაბ ლაფერაძე არაჩვეულებრივ მძღოლებად ითვლებოდნენ. ორივე ამტკიცებდა, რაც უნდა იჩქაროთ, ძალიან ცოტას, მაქსიმუმი, 5-10 წუთს მოიგებთო. ისინი ისეთი ადამიანები და მძღოლები იყვნენ, რომ უნდა დაგეჯერებინა. კოტე მახარაძის სიტყვები — „არ უნდა იჩქაროთ!" — დღემდე მახსოვს, გონებაში მაქვს ჩარჩენილი. ადრე საჭესთან არ ვბილწსიტყვაობდი, მაგრამ ახლა ზოგი ისეთ რაღაცას აკეთებს, ისე ვმწარდები ხოლმე, რომ კარგად ვაგინებ. მაგრამ რა ენაზე ვიგინები, არ გაინტერესებთ? სომხურად! ქართული გინება არ მომწონს!

— თქვენს ავტომობილზეც გვაამბეთ. რამდენი ხანია, რაც „ტოიოტა ლენდ კრუიზერს" მართავთ ან ჯიპი რატომ შეარჩიეთ?

— უკვე ოთხი წელია, რაც ეს მანქანა მყავს, ჩემთვის მეხუთე ავტომობილია. აქამდე ყველა ჩემი ავტომობილი სედანი იყო. მეგობრებმა რომ მკითხეს, ჯიპი რად გინდაო, ვუპასუხე, ყველა ზემოდან მიყურებს და ეს მეც მინდა-მეთქი. ერთი დღის განმავლობაში ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სხვაგან ვიჯექი, ორ-სამ დღეში კი უკვე მივეჩვიე. მექანიკიდან ავტომატიკაზე რომ გადავჯექი, ხელი ავტომატურად სიჩქარის გადამრთველი კოლოფისკენ გამირბოდა. ჩემი მანქანა მექანიკური მართვისაც არის და ავტომატურისაც, მაგრამ უკვე ავტომატური მართვით სარგებლობა მირჩევნია. სულ ვამბობდი, ორკარიან მანქანას არასოდეს ვიყიდი-მეთქი, მაგრამ ეს ავტომობილი ისე აქეს, უარი ვეღარ ვთქვი. სულ ახალი გამოვიყვანე განვადებით და ძალიან კმაყოფილი ვარ. სად აღარ დავდივარ! დუშეთის რაიონში, მთებშიც ვყოფილვარ!

— უფრთხილდებით მანქანას?

— ყველაზე მეტად რასაც ვუფრთხილდები, ეს სავალი ნაწილებია, ხმა ოდნავ მაინც თუ არ მომეწონა, მაშინვე ხელოსანთან მიმყავს.

— მანქანის ნაწილებში ერკვევთ?

— კი. ჩემს „08"-ს ძალიან სუსტი ელექტროგაყვანილობა ჰქონდა და ხშირად ქრებოდა. ისე ხდებოდა, რომ მაშინდელი ცკ-ის გენერალური მდივნის, ჯუმბერ პატიაშვილის ესკორტს ხშირად ვხვდებოდი, ჩემი მანქანა კი ზუსტად იმ დროს ჩერდებოდა და აღარ იქოქებოდა. სულ იმის ფიქრში ვიყავი, პატიაშვილი ჩემზე რას იტყოდა. ერთხელ თეატრიდან გამოვედი და თან ვიღაცას ვუყვებოდი, ჩემი მანქანა სულელია, მაინცდამაინც პატიაშვილზე აქვს ალერგია-მეთქი. ეს ვთქვი თუ არა, ყვირილი ატყდა, გზა გაათავისუფლეთო და... ჩემი მანქანა ისევ ვერ დავქოქე. ბოლოს ხელოსანმა მასწავლა, ბენზინის ჭუჭყისგან ესა და ეს ნაწილი იჭედება და ქინძისთავით რომ გაწმენდ, დაიქოქებაო. ამან მართლაც უშველა. ერთ დღესაც ბორჯომში ჩემნაირ მანქანას 20 კაცი ეხვია გარშემო, ვერ ქოქავდნენ. მივედი და ვთქვი, მიმიშვით-მეთქი. კი ჩაეცინათ, მაგრამ ის ნაწილი რომ მოვხსენი და გავწმინდე, მანქანა დაიქოქა. უნდა გენახათ, როგორი ტაში დამიკრეს. მადლობა ღმერთს, ჩემს ახალ მანქანას ჯერ მხოლოდ ზეთის გამოცვლა და ბენზინის ჩასხმა სჭირდება.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black



■ ბიონსე და ჯეი ზი

ბიონსემ დაბადების დღე იახტაზე აღნიშნა

4 სექტემბერს მომღერალ ბიონსეს 32 წელი შეუსრულდა. როგორც ჩანს, დღეისათვის ყველაზე მაღალანაზღაურებად ვარსკვლავს დაბადების დღის დიდი მასშტაბებით გადახდა არ უყვარს. მას საოჯახო დღესასწაულები უფრო მოსწონს. ეს დღეც ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარა.

წვეულების ადგილი იტალია და თეთრი იახტა იყო, რომელიც მისივე სახელობისაა. მის გვერდით იყვნენ ქმარი, ჯეი ზი, ქალიშვილი — ბლიუ აივი და უახლოესი მეგობრები. საერთო ჯამში, ეს დღე მხიარული ოჯახური თავყრილობა გამოვიდა.

ბიონსე მთელი დღე მშვენივრად ერთობოდა, ქმარს სახალისო ფოტოებსაც უღებდა. მომღერლის ცხოვრებაში ახლა დასვენების ეტაპია. ქმართან ერთად რამდენიმე დღე იბიცაზე გაატარა, დაბადების დღის შემდეგ კი ცოტა ხნით ოჯახთან ერთად იტალიის კუნძულ სტრომბოლიზე გაჩერდა.

— ქმარ-შვილთან ურთიერთობა ყოველთვის მაკლია და ამიტომ მინდა, ჩემი დამსახურებული შვებულება მხოლოდ მათ გარემოცვაში გავატარო, — ამბობდა ცოტა ხნის წინ მომღერალი ერთ-ერთ ინტერვიუში.

სკარლეტ იოჰანსონი თხოვდება



■ სკარლეტ იოჰანსონი საქმროსთან ერთად

ჰოლივუდის ვარსკვლავი სკარლეტ იოჰანსონი ქორწილისათვის ემზადება. მისი რჩეული ფრანგი ჟურნალისტი რომენ დორიაკია. ცოტა ხნის წინ რომენმა საყვარელ ქალს არტ-დეკოს სტილში გაკეთებული ბეჭედი მიართვა და ცოლობა სთხოვა. საპატარძლომაც უარი არ თქვა და ნიშნობაც შედგა. ახლახან სკარლეტი იტალიას ესტუმრა, სადაც ფოტოობიექტივების წინ პოზირებისას აქცენტს ბრილიანტისთვლიან ნიშნობის ბეჭედზე აკეთებდა.

ვენეციის კინოფესტივალზე იოჰანსონი დორიაკთან ერთად გამოჩნდა. ფესტივალის ფარგლებში მსახიობის ახალი ფილმის, „ტყავის ქვეშ“ პრემიერა შედგა. წითელ ხალიჩაზე ჰოლივუდის ვარსკვლავი ბრწყინავდა.

მოსალოდნელი ქორწილი წლის ბოლოსთვის იგეგმება. შეგახსენებთ, რომ პირველ ქმართან, მსახიობ რაიან რეინოლდსთან გაყრის შემდეგ სკარლეტი კიდევ ერთხელ გათხოვების წინააღმდეგი იყო.

— მომწონს ქორწინება და ოჯახი, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ოდესმე მეორედ ამ ნაბიჯს გადავდგამ“, — ამბობდა ერთი წლის წინ მსახიობი.

ახლა კი იოჰანსონი საკუთარ სოციალურ ქსელში წერს, რომ ყველაზე მაგარი ქორწილი ექნება.

მოდური სამოსის ფერი მუდამ ახალივით ბრწყინვალეა!

ახალი **Perwoll Brilliant** ბრწყინვალედ უმკლავდება მოდური ტანსაცმლის დელიკატურ რეცხვას. **ფერის აღდგენის ეფექტის** წყალობით ის აახლებს თქვენი საყვარელი ფერადი, შავი და თეთრი სამოსის ხასხასა ფერებს. ახლა ყოველი გარეცხვის შემდეგ მათი ფერი ახალივით ბრწყინვალეა!

Henkel
ჰენკელი

კლინტ ისტვუდმა ახალი რომანი გააჩაღა



■ კლინტ ისტვუდი და ერიკა ტომლინსონ-ფიშერი

ყველა შოკირებული იყო, როდესაც ერთი თვის წინ გამჟღავნდა, რომ 83 წლის რეჟისორი და მსახიობი კლინტ ისტვუდი ცოლს ეყრებოდა. ამას მეორე არანაკლებ შოკისმომგვრელი ამბავი მოჰყვა — გაყრის მიზეზი თურმე ისტვუდის ახალი სიყვარულია.

რაც გაყრის ამბავი გახმაურდა, მას შემდეგ კლინტს გვერდიდან არ მოშორებია 42 წლის ერიკა ტომლინსონ-ფიშერი. აღმოჩნდა, რომ ერიკას ქმარი, რომელსაც ის 2012 წელს დაშორდა, კლინტ ისტვუდის ცოლის, დინა როუზის ახლო მეგობარი იყო. ერიკამ და კლინტმა ერთმანეთი ამა წლის დასაწყისში გაიცნეს. მათი რომანი კი გაზაფხულზე დაიწყო. როგორც ერთ-ერთი ტაბლოიდი წერს, ამ ისტორიას ძალიან უცნაური დასაწყისი ჰქონდა.

— თურმე ერიკა ქმარს ეჭვიანობის გამო გაეყარა. ის დარწმუნებული იყო, რომ მის ქმარს რომანი ჰქონდა ისტვუდის ცოლთან. გაყრის შემდეგ კი ისტვუდს დაურეკა და თავისი ეჭვები გაანდო. კლინტმა შეხვედრა სთხოვა და ერიკა პირველივე ნახვისას შეუყვარდა, — წერია სტატიაში.

ყოფილი ქმრის ახალ სასიყვარულო ისტორიას 48 წლის დინა როუზიც გამოეხმაურა:

— ჩემთვის უსიამოვნოა იმ ფოტოების ყურება, სადაც კლინტი ამ ქალთან ერთადაა. მოუთმენლად ველი, როდის დაიწყება ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი. მიუხედავად ყველაფრისა, ყოველთვის ვიტყვი, რომ კლინტ ისტვუდი კარგი და კეთილი ადამიანია, მაგრამ, როგორც ქმარს, მინუსები ჰქონდა.

მონიკა ბელუჩი გაყრის მიზეზებზე ალაპარაკდა

ევროპული კინოს ერთ-ერთი ვარსკვლავური წყვილი მონიკა ბელუჩი და ვენსან კასელი გაიყარნენ. მონიკა მოსალოდნელი დაშორების შესახებ ბოლოდროინდელ ინტერვიუებში ხშირად საუბრობდა:

— ვერ ვიტყვი, რა იქნება მომავალში. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნებოდი, მე და ვენსანი ყოველთვის ერთად რომ ვიყოთ, მაგრამ ამისი აღარ მჯერა. ვერასოდეს იქნები დარწმუნებული მომავალში, რომელიც ურთიერთობებს ეხება. მაგრამ ჩვენ გყავს შვილები და მათ მიმართ სიყვარული სამუდამოა.



■ ვენსან კასელი და მონიკა ბელუჩი

გაყრის მიზეზებზე მონიკა თავად ალაპარაკდა. აღმოჩნდა, რომ ის არ ენდობოდა ქმარს.

— თავიდანვე ვერ მივხვდი, ამ კაცის გვერდით მინდოდა თუ არა ცხოვრება. ვენსანი მიმზიდველი მამაკაცი იყო, მაგრამ ამავდროულად მის მიმართ ნდობა არ მქონდა. დღემდე არ ვიცი, რატომ დავიწყეთ ერთად ცხოვრება. მე ის არ ამირჩევია, ყველაფერი თავისთავად მოხდა, — ამბობს მონიკა, თუმცა ყოფილ ქმარზე მაინც სიყვარულით ლაპარაკობს, — ეს კაცი ძალიან სექსუალურია და მის მიმართ ლტოლვა ყოველთვის მექნება. უბრალოდ, ჩვენ მომავალი არ გვაქვს და ეს ორივემ კარგად ვიცით!

ბეპანთენი
მალამო

დაიცავით ბავშვის ყანი პრობლემებისგან!

- გამოიყენება ბავშვებში გამოყენებისა და საფენისმიერი დერმატიტის სამკურნალოდ, ასევე ყოველდღიური მოვლისათვის
- ეფექტურია დედებში ძუძუს დვრილებზე ნახეთქების საპროფილაქტიკოდ და სამკურნალოდ
- უზრუნველყოფს ყანის საფარველისა და ნახეთქების როგორც მკურნალობას, ასევე პროფილაქტიკას

გამოშვების ფორმა: 5% მალამო ტუბში 30 გ
მოქმედი ნივთიერება: დექსპანთენოლი (B5 პროვიტამინი)

150 Years
Science For A Better Life
BAYER

მწარმოებელი: **Bayer Consumer Care AG (Switzerland)**
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ბალმეინი – „ერთი არაბული ღამე“

ქოდა

„ბალმეინი“ ვარსკვლავების საყვარელი ბრენდია, ამიტომ მისი თითოეული სეზონური კოლექციის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი არსებობს. 2013-2014 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია ბალმეინის მოდის სახლის კრეატიულმა დირექტორმა ოლივიე რუსტანმა წარმოადგინა, სახელწოდებით „ერთი არაბული ღამე“.

კოლექცია ცნობილი მულტფილმის, „ალადინის“ პერსონაჟების კოსტიუმების ასოციაციას იწვევდა. მოშიშვლებული მხრები, განიერი ქამრები და აღმოსავლური სტილის ფართო შარვლები. დიდი აქცენტი იყო გაკეთებული აქსესუარებზე, განსაკუთრებით — საყურეებზე, რომლებიც უზარმაზარი ჭაღის დეტალებს მოგაგონებდათ.

ხათუნა ხოფერია: „დელის აეროპორტში ღამის 4 საათზე სერიოზული შიში ვჭამე“

„ჩინეთიდან შოკირებული ჩამოვედი!“

ყოფილ დეპუტატ ხათუნა ხოფერიას მოგზაურობაზე დაუსრულებლად შეუძლია ლაპარაკი. წლების განმავლობაში მსოფლიოს უამრავი ქვეყანა მოიარა და შთაბეჭდილებებიც დაუგროვდა, მაგრამ ყველაზე მეტად საქართველოს კუთხე-კუნჭულების გახსენება უყვარს. ამბობს, უცხოეთში მიღებული ემოციები იმასთან ახლოსაც ვერ მოვა, რაც საქართველოში მაქვს განცდილიო. სამოგზაუროდ ყოველთვის ერთი პატარა ჩანთით მიდის, რადგან ზუსტად იცის, რომ უცხო ქალაქში შოპინგს ვერსად გაექცევა. მისთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი შვილი, ბექა ხოფერიაა. ტრადიციად აქვს შაბათ-კვირას საქართველოს ტაძრებისა და სალოცავების მოლოცვა. ქალბატონი ხათუნა ერთადერთი ქალია, ვინც 1997 წელს კვირიკეს სალოცავში შეუშვეს.

— ქალბატონო ხათუნა, გიყვართ მოგზაურობა?

— ძალიან მიყვარს. ეს პროცესი მთლიანად სულიერ განწყობასთანაა დაკავშირებული. მიყვარს, როცა მოგზაურობისგან მაქსიმალურ ესთეტიკურ სიამოვნებას ვიღებ და ჩემს მეხსიერებაში ისტორიასთან და ღირსშესანიშნაობებთან დაკავშირებულ ფაქტებს ვაგროვებ.

— რას გიტოვებთ თითოეული მოგზაურობა?

— ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი — ესპანეთი, იტალია, ამერიკა, ჩინეთი, ეგვიპტე, ისრაელი... უამრავი ღირსშესანიშნავი დღეები დარჩა ჩემს მეხსიერებაში და ძილის წინ ხშირად მახსენდება. ემოციურ ტალღაზე გაუდის არქიტექტურა რომ ამოგიტივტივდება ან კიდევ პირველად ავტობუსიდან პირამიდა რომ დავინახე, საოცარი შეგრძნება იყო! რომ მივდიოდით, სუსტი ქარი ქროდა. პირამიდები ხომ უდაბნოშია, ამიტომ ჰაერი გამჭვირვალე კი არა, ბუნდოვანი იყო. ფანჯარასთან ვიჯექი, გზაში ჩამეძინა და რომ გამომეღვიძა და ბინდბუნდში დაკვირვება დავიწყე, მთა მეუცხოვა, ასეთი მთა არსად მინახავს. უცებ გავაცნობიერე, რომ მთა კი არა, პირამიდა იყო, რომელიც ფილმებსა და სურათებში მქონდა ნანახი. მსოფლიოს უზარმაზარი საოცრება ჩემთვის მართლაც საოცრება აღმოჩნდა! ეს განცდა ხშირად მახსენდება. მე მაინც ვეცდები, მხოლოდ უცხოეთზე არ გელაპარაკოთ, მინდა, ჩემს სამშობლოში მოგზაურობაზეც გიამბოთ.

— საქართველოშიც ბევრს მოგზაურობთ?

— რა თქმა უნდა. უცხოეთში მოგზაურობა კარგია, მაგრამ პირადად ჩემთვის იმ ემოციასთან ახლოსაც ვერ მოვა, რაც საქართველოში მაქვს განცდილი. შემიძლია ვთქვა, რომ პილიგრიმი ვარ. საქართველოს სალოცავების 60% მაინც მომილოცავს. ჩემს მეგობართან, ნანა გოგიჩაიშვილთან და მის მეუღლესთან ერთად ყოველ შაბათ-კვირას შესაწირი და ფულადი დახმარება მიგვქონდა და სხვადასხვა კუთხის მოსალოცად მივდიოდით. 13 ასურელი მამიდან 9-ის საფლავზე ვარ ნამყოფი და კანდელის ზეთიც მაქვს წამოღებული. ვფიქრობ, პილიგრიმული მნიშვნელობით, საქართველო ნომერი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში იერუსალიმის შემდეგ. ასეთი ძველი სალოცავები სხვაგან არსად მეგულება.

სვანეთი განუმეორებელია. კვირიკეს სალოცავში პირველად 1997 წელს ავედი და, როგორი გასაკვირიც იყოს იყოს, ტაძარში შემიშვეს. 15 წლის შემდეგ იქ ისევ ავედი და ის პიროვნება შემხვდა, რომელიც მაშინ ვნახე. გავესაუბრე და გამიხსენა. მაშინ შესაწირად ციკანი მყავდა აყვანილი, ვერცხლში და ოქროში ჩასმული წმინდა მარიამის ხატიც ავაბრძანე. ამ ადამიანმა, რომელსაც 15 წლის შემდეგ ისევ შევხვდი, იმ მოძღვართან მიმიყვანა, წლების წინ ტაძარში ჩემთან ერთად რომ შეუშვეს. მამა გიორგი სხვა მამებს მიუბრუნდა და უთხრა, რომ გეუბნებოდით, 1997 წელს ამ ტაძარში ლოცვა ნავიკითხე-მეთქი და არ მიჯერებდით, აგერ, ქალბატონ ხათუნასთან ერთად ვიყავიო. კვირიკეზე უკვე წირვა-ლოცვა მიმდინარეობს, დღეს იქ შესვლა პრობლემას აღარ წარმოადგენს, 1997 წელს კი არც სამღვდელოებას უშვებდნენ და არც ქალებს. მე ვიყავი პირველი ქალი, ვისაც კვირიკეს სალოცავში შესვლის უფლება მისცეს.

„ამეჩიჯას ჩემზე ახანაირი შთაბეჭდილება აქვს მოუხდენია. ახაფეი აქვს ისეთი, რაც მოგზაურობის დროს ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენს. აქ გააჩნია თავისი არქიტექტურა, ეროვნულობა, თუნდაც სკვერებში ან ხელოვნებაში გამოხატული“.

— როგორ ფიქრობთ, ასე რატომ მოხდა?

— წმინდა მამამ მითხრა, შენ სხვანაირად მოდიოდიო. კილომეტრნახევარი ციკანს ბაწრით მივათრევდი. უშგულში ჭელიძეების საოცარ ოჯახში ორჯერ ვარ ნამყოფი. მათი სახლის კარს რომ გამოაღებთ, შხარა ჩანს. დილის 7 საათზე თავიდან ბოლომდე გაშიშვლებული შხარა მაქვს ნანახი. ჩემ თვალწინ ჩაეფლო ნისლში, მარტო წვერსღა თუ დაინახავდით. ივერი ჭელიძესთან ერთად ქვემო სვანეთით დავბრუნდით. მანქანა გავაჩერეთ და აილამას მთა დავინახე. იმ ემოციას, რაც დამეუფლა, დედამიწის ზურგზე ვერაფერი შეედრება! ხელები გავშალე, ყვიროდი და ვტიროდი! მეცოდება ადამიანი, ვისაც აილამა არ აქვს ნანახი და ჭელიძეების სახლის კარიდან გამთენიისას შხარასთვის არ შეუხედავს. ვისაც ეს არ აქვს ნანახი, ვერასოდეს მიხვდება, რამხელა ბედნიერებაა, იყო ქართველი. კვირიკეზე ღამის ლოცვას რომ დაესწრები, ცასთან და ვარსკვლავებთან იმდენად ახლოს ხარ, კუთხეში უნდა დადგე და ღმერთს ელაპარაკო, ზუსტად იცი, რომ გისმენს. იქ ცაც იმდენად დაბლაა, რომ ღმერთთან ერთად მარტო რჩები. ახლა უკვე

„იმ გრძნობას, რაც აილამაზე დამეუფლა, დედამიწის ზურგზე ვერაფერი შეედრება! ხელები გავშალე, ყვიროდი და ვტიროდი!.. ვისაც ეს არ აქვს ნანახი, ვერასოდეს მიხვდება, რამხელა ბედნიერებაა, იყო ქართველი“.

დიდი ხანია, ვერსად ვახერხებ წასვლას. ამ ზაფხულს მხოლოდ სტამბულში ვიყავი, ეს უფრო საქმიანი ვიზიტი იყო და ემოციურად ნაკლებად დატვირთული დავბრუნდი.

— სტამბულში პირველად იყავით?

— არა, რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. აია სოფია შემიძლია გამოვყო. ძველი სტამბული ძალიან საინტერესოა, იქაური თიხის ნაკეთობები ძალიან მიყვარს და რამდენიმე ჩამოვიტანე კიდეც. სადაც უნდა მოვხვდე, იქიდან სამახსოვრო ნივთი ყოველთვის მომაქვს. ერთი პერიოდი ვცდილობდი, სადაც ჩავიდოდი, ქუდი მეყიდა, რაც ჩემთვის კუთხურობასთან და ეროვნულობასთან ასოცირდება. ქუდში ბევრი რამაა ჩადებული. ყირგიზული, ყაზახური და ჩინურიდან დაწყებული, უამრავი ქუდი მაქვს. მახსოვს, ერთხელ ბაქოში გასვლა ვერ მოვახერხე, არჩევნების პერიოდი იყო და არაფერი მუშაობდა. დელეგაციის წევრებს, რომლებიც იქ დაგვხვდნენ, თავსაბურავს ვთხოვდი. აზერბაიჯანიდან ისე ვერ წამოვიდოდი, ჩემი ქუდების კოლექციისთვის რაიმე არ წამომეღო. აბრეშუმის ულამაზესი, მელნისფერი შარფი მომართვეს, რომელიც მათთვის დამახასიათებელი ორნამენტებით იყო დამშვენებული. ძვირფასი ქვებით გაწყობილი ხავერდის ქუდიც მაჩუქეს. ქუდების გარდა, საფერფლეების წამოღებასაც ვცდილობ.

— ქალები მაღაზიებს გულგრილად ვერ ჩაუვლიან ხოლმე. თქვენც გიყვართ საზღვარგარეთ შოპინგი?

— რა თქმა უნდა. სანამ შვილიშვილები მეყოლებოდა, სულ შვილებისთვის ვყიდულობდი სამოსს. ახლა შვილიშვილებისთვის ვიძენ უამრავ რამეს. საოცრად პრანჭია დედამთილი მყავდა და საზღვარგარეთ მისთვის საყიდლებზე ცალკე მივდიოდი. ვერ გეტყვით, რომ ჩემთვის განსაკუთრებულად ბევრ ტანსაცმელს ვყიდულობ. მხოლოდ ჩანთას და ფეხსაცმელს ვერ ავუვლი გვერდს. მთელი დღე გასული რომ ხარ, ფეხები გეღლება. დილით დაბალქუსლიანი ფეხსაცმლით რომ გავიდოდი, ფეხი რომ დამეღლებოდა, შევდიოდი მაღაზიაში და მაღალ ან საშუალოქუსლიან ფეხსაცმელს ვყიდულობდი. მეორე დღეს თუ საშუალოქუსლიანით გავ- →44

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

დიოდი, მერე „ბალეტკებს“ ვყიდულობდი. ბოლოს ისე გამოდიოდა, რომ 4-5 წყვილი ახალი ფეხსაცმელი ჩამომქონდა.

მახსოვს, ვაშინგტონში ისე მტკიოდა ფეხი, მთელი ჯგუფი შევაწუხე. მე და ჩემი მეგობარი შესვენების დროს სირბილით წავედით და თეთრი „ბალეტკები“ ვიყიდე, რომელიც ახლაც მაქვს შენახული. ამის გამო, სადაც უნდა წავიდე, ბევრი ფეხსაცმელი არსად მიმაქვს. ასევე არასოდეს მიმაქვს სავარცხელი და კბილის ჯაგრისი. სადაც ჩავდივარ, პირველ რიგში, ამ ნივთებს ვყიდულობ.

— ოკეანეც გადაგილახავთ. პირველად რიდის მოხვედით ამერიკაში?

— ამერიკაში პირველად 1997 წელს ვიყავი. ჩვენთან ერთად მაშინ გიორგი მარგველაშვილიც იმყოფებოდა. ბზიგნევ ბზეჟინსკის პირადად შევხვდი. ვაშინგტონში, ქალაქგარეთ ვილაში, სასიამოვნო ვახშამი გვქონდა მის ცოლ-შვილთან ერთად. ამერიკას ჩემზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. არაფერი აქვს ისეთი, რაც მოგზაურობის დროს ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენს. არ გააჩნია თავისი არქიტექტურა, ეროვნულობა, თუნდაც სკვერებში ან ხელოვნებაში გამოხატული. ვაშინგტონის არტ მუზეუმში რომ წავედი, ამერიკელი მხატვარი არ დამრჩენია მეხსიერებაში, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ იმპრესიონისტების ფანტასტიკური ნამუშევრები ვნახე და ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ეს ყოველივე ორიგინალში ჩემი თვალით ვიხილე. ძალიან მომეწონა ბოსტონი, ეს სტუდენტური ქალაქი აბსოლუტურად განსხვავებულია თავისი სულისკვეთებით, ჩაცმულობითა და ღამის ცხოვრებით. ოკეანის პირას არის „ქვინს მარკეტი“, სადაც ძალიან კარგი ატმოსფეროა, ბენდები უკრავენ. რაღაცნაირი, ემოციაგამოცლილი ხალხია, პირადად მე მათთან საერთო ენის გამონახვა მიჭირს. მათი გახსნილი ღიმილით ნათქვამი „ჰაი“ არაფრისმთქმელია, რადგან უცებ გული რომ წაგივიდეს და დაეცე, გადაგაბიჯებენ და გაივლიან. ასე რომ, ამერიკისა და ამერიკელების მიმართ აღფრთოვანებას ვერ გამოვხატავ.

■ მლეთაში

— არსებობს ქვეყანა, საიდანაც განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?

— ჩინეთიდან სრულიად შოკირებული ჩამოვედი. ჰონგ კონგის საზღვართან ვიყავი, ქალაქ შენჯენში, სადაც 22-ე საუკუნე ვნახე.

„ჰონგ კონგის ქალაქ შენჯენში 22-ე საუკუნე ვნახე... გავაზივით მოქნეული ქალაქია, ისეთი ქუჩები და არქიტექტურაა... სასტუმრო, სადაც ვცხოვრობდით, სერიოზული ფანტაზიის ნაყოფი იყო. აბსოლუტურად ცარიელი, ძალიან მაღალი ჭერი მხოლოდ ძვირფასი კოლონებით, საიდანაც ჩანჩქერი ჩამოდიოდა და ხმა გესმოდა, ეს ჩანჩქერი ჰოლში როგორ ეცემოდა. შენჯენში არტ საღამო ჩატარდა, თეატრალიზებული ცეკვები გაიმართა და ისეთი ლამაზი კოსტიუმები ეცვათ, ისეთი სილამაზე იყო... გიორგი თარგამაძე ვერ დავსვი, მთელი საღამო ფეხზე დამდგარი უკრავდა ტაშს.

— უცხოეთში კურიოზულ სიტუაციაში არასოდეს მოხვედრილხართ?

— მახსოვს, 1997 წელს კონგრესში უმრავლესობის ლიდერთან შეხვედრა გვქონდა. ამ ადამიანმა კარგად იცოდა, რა ხდებოდა კავკასიაში და იმაზე აპელირებდა, რომ ჩვენთან ჩრდილოვანი ეკონომიკა ძალიან მაღალი, 50-60%-ია, რის გამოც საქართველოს ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება გაგვიჭირდებოდა. გიორგი მარგველაშვილს ვთხოვე, მისთვის ეკითხა, ჩრდილოვანი ეკონომიკის რა პროცენტია ამერიკაში. გვიპასუხა, ჩვენთან ჩრდილოვანი ეკონომიკა არ არისო. ისევ გიორგის ვათქმევინე, თქვენი პასუხი ერთ სიტუაციას ძალიან მაგონებს, როცა რუსეთ-ამერიკას შორის ტელეხიდი ჩატარდა და რუსეთს სექსთან დაკავშირებული შეკითხვა დაუსვეს, უპასუხეს, ჩვენთან სექსი არ არისო, ეს გამახსენდა-მეთქი. უმრავლესობის ლიდერს ამის მოსმენაზე სიცილი აუვარდა და გვითხრა, რა თქმა უნდა, ჩვენთან 15-20% ალბათ ჩრდილოვანი ეკონომიკაა. მოკლედ, ჩემს შენიშვნაზე კარგად იხალისა.

„უცხოეთში მოგზაურობა ჯაჭვია, მაგრამ პიროდად ჩემთვის იმ ემოციასთან ახლოსაც ვერ მოვა, რაც საქართველოში მაქვს განცდილი“.

— ოდესმე უცხო ქალაქში გზა თუ აგრეკვიათ და დაკარგულხართ?

— არასოდეს. ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა სერიოზული შიში ვჭამე. ღამის 4 საათზე მოსკოვიდან დელიში მარტო ჩავფრინდი, სადაც გაერო-ს ეგიდით დეპუტატ ქალთა შეხვედრა ტარდებოდა. ვიცოდი, რომ აეროპორტში უნდა დამხვედროდნენ, მაგრამ არავინ დამხვდა. პატარა ჩანთით ვიყავი ჩასული, ავიღე ეს ჩანთა, გარეთ გამოვედი და... სერიოზულად შემეშინდა. ასეთი აეროპორტი არსად მინახავს, უფრო სენაკის რკინიგზის სადგურს ჰგავდა. გარეთ გამოვედი და მივხვდი, რომ გამოსვლა არ შეიძლებოდა. შიგნით რაღაც ჯიხური იდგა. გამყიდველს ვუთხარი, რომ ტაქსი მესაჭიროებოდა. გამომიძახეს ტაქსი, გამომაცილეს, ჩავჯექი და გამახსენდა, სადაც მივდიოდი, ის მისამართი არ ვიცოდი. ამოვქექე ჩანთა, ვიპოვე რაღაც ფურცელი, სადაც ეწერა სადილის დრო სასტუმრო „რედისონის“ რესტორანში და იქითკენ გავემართე. ვიფიქრე, სასტუმროში ნომერს ავიღებ და, როცა იქნება, ხომ მოვა შეხვედრის ხალხი-მეთქი.

მიმღებში ჩემი დიპლომატიური პასპორტი გავუწოდე და აღმოჩნდა, რომ, როგორც დიპლომატს, სასტუმროს ნომერზე 50%-იანი ფასდაკლება მეკუთვნოდა, რამაც ძალიან გამაკვირვა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ჩემი დელეგაციაც იქ იმყოფებოდა და გადავრჩი. ტაქსი ვიქირავე და მაშინვე ლოტოსის სალოცავის სანახავად წავედი. დელიში გული იმაზე დამწყდა, რომ ეროვნულ მუზეუმში ვიყავი და იქ არაფერი ხდებოდა, მგონი, არასოდეს დაუფინანსებიათ. ინდოეთის მუზეუმსა და კულტურას რომ არ მიხედავ, გულდასაწყვეტია. ეს დიდი ხნის წინ მოხდა, ახლა შეიძლება ყველაფერი გამოსწორდა.

— ვინ არის თქვენთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი?

— სულ სხვადასხვა ხალხთან მიწევდა მოგზაურობა, მაგრამ ყველაზე კომფორტული თანამგზავრი მაინც ჩემი შვილი ბექაა. მასთან კინკლაობა გამორიცხულია, მით უმეტეს, მოგზაურობის დროს. ერთი-ორჯერ თუ გაექცევა ქალებისკენ თვალი, თორემ დანარჩენი ყველაფერზე მომყვება. თურქეთში დასასვენებლად სულ ერთად დავდიოდით. ახალგაზრდები ღამით დისკოთეკაზე რომ მიდიოდნენ გასართობად, ბექა თავზე დამადგებოდა და დისკოთეკაზე მასთან ერთად წასვლას მთხოვდა. ჩვენ შორის ასაკობრივ სხვაობას ვერ გრძნობს, მთლიანად ჩემთან ერთად არის. საყიდლებზეც კი დამყვება. კომფორტული ადამიანია, თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში.

— უცხო ქვეყნის სამზარეულო რამდენად გაინტერესებთ?

— ასე თუ ისე, სადაც ჩავდივარ, რესტორნებში წასვლა მიწევს. ინდური სამზარეულოთი შოკირებული ვიყავი. ჩვენს სასტუმროს 6 რესტორანი ჰქონდა, ყოველ ღამით ჩავდიოდი. ქართველი არავინ მეგულებოდა, დელეგაციაში მხოლოდ ერთი რუსი იყო. დელიში ღამით სასეირნოდ ვერ გავიდოდი და რაღაც ხომ უნდა მეკეთებინა? ამიტომ ჩემი გართობა რესტორანში ყოფნა იყო, თანაც მარტო. ინდური რესტორნის მუსიკა ისეთი მხიარულია, ცეკვა მოგინდებათ. რამდენიმე საღამო შეიძლება იჯდე დებილივით, მაგრამ მერე უკვე ავიჭერი. ოფიციანტი ასაკოვანი, წარმოსადეგი კაცი იყო. ვთხოვე, ცეკვა მინდა-მეთქი. ამიხსნა, რომ ფორმა ეცვა და მისთვის ცეკვა არ შეიძლებოდა, მაგრამ ცოტა ხანში მოვიდა — თავიდან ჩალმა მოეხადა და ფორმა გამოეცვალა. ერთი ცეკვა შევასრულეთ და მერე ისევ ფორმა ჩაიცვა.

ინდური სამზარეულო ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით მჟავეულობა, გადავდექი ჭკუიდან! პატარ-პატარა წიწაკები, პომიდვრები, ნივრები, ხახვები... ჩვენ როგორც ვამჟავებთ, ზუსტად ისეთი გახლდათ, უბრალოდ ნიგვზით იყო შენელებული. რუსული სამზარეულოც ძალიან მიყვარს. რუსულს ბევრ რამეს ვაკეთებ — კომბოსტოს ღვეზელი, ბურახი, ყველაფერი ჩემი დედამთილისგან ვისწავლე.

— თვითმფრინავი კომფორტული ტრანსპორტია თქვენთვის?

— ვერ გეტყვით, რომ თვითმფრინავი ჩემთვის კომფორტულია. დიდხანს ჯდომა არასასიამოვნო პროცესია. კროსვორდი ან სუდოკუ მიმაქვს და ვერთობი. თუ დამეძინა, ეს დიდი ბედნიერებაა, ოღონდ დასაძინებელ აბებს არ ვსვამ, რადგან დამამშვიდებელი ყველაზე დიდი სტრესის პირობებშიც არ დამილევია. ერთადერთხელ დავლიე თვითმფრინავში ალკოჰოლი და ყურები ისე დამიგუბდა... ჩემი ქმარი მაშინ აეროპორტის საბაჟოს უფროსის მოადგილე იყო, დამხვდა და ტრაპიდან მხარზე გადაკიდებული ჩამომიყვანა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ქურდბაცაცა მაიმუნები და ჭრელაჭრელა პეპლები — კუალა ლუმპურის სავიზიტო ბარათი

კუალა ლუმპური სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის შუაგულში მდებარე მალაიზიის კუნძულების დედაქალაქი, მისი კულტურული და ფინანსური ცენტრია. ქვეყნის ყველაზე ხალხმრავალი ქალაქი მალაკის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდინარეების კლანგისა და გომბაკის შესართავთან მდებარეობს.

მრავალფეროვანი კულტურის, სტუმართმოყვარე ხალხის, ეგზოტიკური სამზარეულოს, ტრადიციული ნაგებობებისა და თანამედროვე ცათამბჯენების ქალაქი ტურისტები ძირითადად ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან სტუმრობენ, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც კუალა ლუმპურის სანახავად მსოფლიოს მეორე ბოლოდან მიეშურებიან.

კლიმატი

რასაც კუალა ლუმპურში ყველაზე მკაფიოდ იგრძნობთ, ეს ტროპიკული კლიმატია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში თითქმის უცვლელია. იქ მხოლოდ ერთი სეზონია — ზაფხული. წლის საშუალო ტემპერატურა კი 35-40 გრადუსამდე მერყეობს.

ასეთ კლიმატს ქვეყნის ადგილმდებარეობა განაპირობებს, რომელიც ზუსტად ეკვატორზეა და შესაბამისად, გაზაფხული, შემოდგომა და ზამთარი იქ არ არსებობს. მაისიდან ოქტომბრამდე მშრალი პერიოდია, ნოემბრიდან მარტამდე კი ხშირია წვიმები.

ენა

უძველესი დროიდან მოყოლებული, კუალა ლუმპურის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, ოფიციალურ ენას მალაიური წარმოადგენს. მალაიზიელები ერთობ კონტაქტურები არიან. ბევრმა კარგად იცის ინგლისური, ასე რომ, მათთან საერთო ენის გამონახვა არ უნდა გაგიჭირდეთ.

ინგლისურის შემდეგ პოპულარულია ჩინური და ინდური ენები, რომელთა დიალექტებზე მოსაუბრეებსაც მრავალად შეხვდებით.

რელიგია

კუალა ლუმპურის მოსახლეობის 53% სუნიტი მუსლიმია, საერთოდ კი, მალაიზიაში რელიგიის თავისუფლებაა და იქ ერთმანეთის გვერდით დგას მეჩეთი, ინდური ტაძარი, ბუდისტური პაგოდა და ქრისტიანული ეკლესია.

ფული

მალაიზიის ეროვნულ ვალუტას რინგიტი წარმოადგენს. 1 რინგიტში 100 სენი შედის. 1 დოლარი კი 3,8 რინგიტის ტოლფასია. უცხოურ ვალუტას, როგორც წესი, ბანკებში უფრო მაღალი კურსით გადაახურდავებთ, ვიდრე ქუჩაში. ქვეყანაში შესვლა-გასვლისას 1000 დოლარზე ან 10 000 რინგიტზე მეტი ჯიბეში არ უნდა გქონდეთ.

რაც შეეხება სხვა ვალუტით სარგებლობას, ეს დედაქალაქში არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. რესტორნებსა და სასტუმროებში გადახდა, უმეტეს შემთხვევაში, დოლარებით ხდება. რაც შეეხება საკრედიტო ბარათებს, მათ გამოყენებას ბაზრობების გარდა ყველგან შეძლებთ.

კუალა ლუმპურში ყველაფერი ძალიან იაფია. აქ თქვენ ნახავთ ყველა სახის სავაჭრო ცენტრს — ტანსაცმლის, სამკაულის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავტომობილის და ა.შ. თითოეული მათგანისთვის ცალკეა სავაჭრო ცენტრი აშენებული, რაც საკმაოდ გაგიადვილებთ სასურველი ნივთის შეძენას.

გადაადგილება

კუალა ლუმპურის საერთაშორისო აეროპორტი ქალაქიდან 50 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და შიდა ფრენებსაც აქტიურად ემსახურება. ქალაქის ცენტრამდე მისვლა ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით შეგიძლიათ, მათ შორის — მატარებლითაც. სუბენგის სახელობის აეროპორტი კი მხოლოდ შიდა ფრენებს ემსახურება. მიუხედავად ამისა, ყოველთვის გადატვირთულია.

მეზობელი ქვეყნებიდან კუალა ლუმპურის მიმართულებით ყოველდღიურად სრულდება ავტობუსისა და მატარებლის რეისები. რაც შეეხება ქვეყნის რკინიგზას, მსოფლიოში ყველაზე შთამბეჭდავი და განსხვავებულია.

კუალა ლუმპურს ზღვა არ ესაზღვრება და არც საკუთარი პორტი აქვს, ამიტომ, თუ გემით მგზავრობა გსურთ, ჯერ დედაქალაქიდან 40 კილომეტრში მდებარე ქალაქ-პორტ კლანგში მოგიწევთ ჩასვლა და შემდეგ ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით დედაქალაქში გამგზავრება.

ქალაქში გადაადგილებისათვის ავტობუსი და ტაქსი ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია. ტაქსით 1 კილომეტრის გავლა 2 რინგიტი ღირს. მანქანის დაქირავება კიდევ ერთი კარგი საშუალება, მაგრამ შედარებით ძვირი სიამოვნებაა. ქალაქში სეირნობისას აუცილებლად შენიშნავთ უამრავ მოპედს და მოტოციკლს. დედაქალაქში ისინი ძალზე პოპულარული სატრანსპორტო საშუალებებია.

საზოგადოება

მალაიზიის ეროვნული სამზარეულო სამ ნაწილად იყოფა — მალაიზიური, ჩინური და ინდური. შესაბამისად, დედაქალაქში მრავლადაა ამ ქვეყნების რესტორნები. კერძების უმრავლესობა ზღვის პროდუქტებით მზადდება. მათ შორის ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი თევზია. თუ კუალა ლუმპურში ყოფნისას ადგილობრივებმა გველისაგან მომზადებული კერძების წვეულებაზე მიგიპატიჟეს, ჩათვალეთ, რომ უდიდეს პატივს გცემენ.

დედაქალაქში ძირითადად მაღალი ხარისხის საჭმელს ამზადებენ, ფასები კი საკმაოდ დაბალია. ზღვის პროდუქტების შემდეგ ყველაზე დიდი პოპულარობით ხორცი სარგებლობს, რომელსაც შეწვის გარდა ყველანაირად ამზადებენ. შემწვარი ხორცი მათ რელიგიურ მრწამსს სასტიკად ეწინააღმდეგება.

ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია როტი ჯალა და ნასი ნგანგი, რომელთა დაგემოვნებას ნებისმიერ რესტორანში 10 დოლარად შეძლებთ. პირველი თევზით მზადდება, მეორე კი ცხვრის მოხარშული ხორცითა და სანელებლებით.

მალაიზიური საჭმელები ტკბილია, რადგან ძირითადად ქოქოსის რძით მზადდება.

ყველაზე მოთხოვნადი არაალკოჰოლური სასმელი ყავაა. ყავახანები თავშეყრის ყველაზე პოპულარულ ადგილებად ითვლება. იქ ყავასთან ერთად უგემრიელეს დესერტს როფი კანაისაც მოგართმევენ, რომელიც თაფლით, ქოქოსის რძით და სხვადასხვა სანელებლებით მზადდება.

თუ ეგზოტიკური საჭმელი, ზღვის პროდუქტები და ტროპიკული ხილი გიყვართ, აუცილებლად უნდა მიაშუროთ ძველ კუალა ლუმპურში არსებულ სპეციალურ ქუჩას, რომელიც თქვენთვის სამოთხე იქნება. იქ უამრავი სახეობის საჭმელს ნახავთ, მათ შორის ჩინურ, მალაიზიურ და ვიეტნამურ ნაციონალურ კერძებსაც.

ღირსშესანიშნაობები

დედაქალაქი მდიდარია კულტურული ძეგლებით, ცათამბჯენებით და სხვა ღირსშესანიშნაობებით. გირჩევთ, ქალაქის დათვალიერება მისი გარეუბნით დაიწყოთ, რადგან სწორედ აქ ნახავთ ისტორიულ მუზეუმებს, სხვადასხვა კულტურულ ძეგლსა და ძველ სასახლეებს.

ერთ-ერთი სანახაობა, სადაც კუალა ლუმპურში ყოფნისას აუცილებლად უნდა წახვიდეთ, ბატუს მღვიმეებია. იქ უამრავი ტაძარია განთავსებული და ინდოელებისთვის წმინდა ადგილია. მღვიმის მთავარ კარიბჭესთან მისასვლელად 272-ზე მეტი საფეხური უნდა აიაროთ. აქ ნახავთ ბუდას ქანდაკებას, რომელიც სიდიდით მთელ მსოფლიოშია ცნობილი. გაითვალისწინეთ, რომ ამ ტერიტორიაზე უხვად არიან ქურდბაცაცა მაიმუნები. მოერიდეთ მათთან კონტაქტს და გაუფრთხილდით ჯიბეებს.

დედაქალაქის ცენტრი — ახალი კუალა ლუმპური ნამდვილი ლაბირინთია დიდი შენობებით, უამრავი სავაჭრო ცენტრით, კაფეებითა და სასტუმროებით. თუ ადგილობრივი მეგზური არ გყავთ, თავისუფლად შეიძლება, ქალაქის ქუჩებში დაიკარგოთ.

გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ ქალაქის ცენტრში მდებარე თვინთაუერი, რომელიც კუალა ლუმპურის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა — ორი 88 სართულიანი სრულიად იდენტური შენობა, რომელსაც ერთი პატარა ხიდი აერთიანებს. იგი ქალაქში ყველაზე მაღალი ცათამბჯენია. შიგნით განთავსებულია სავაჭრო ცენტრები, ოფისები და კაფე-ბარები. 2004 წლამდე თვინთაუერი მსოფლიოში ყველაზე მაღალ შენობად ითვლებოდა.

კუალა ლუმპურში კაფეებისა და ბარების ძირითადი ნაწილი საღამოს 10 საათისთვის იხურება, მაგრამ კუალა ლუმპურის ძველ უბანში არის ერთი ქუჩა, სადაც ღამის ცხოვრება 5 საათამდე გრძელდება.

არ შეიძლება კუალა ლუმპურში ჩასულებმა არ მოინახულოთ პეპლების პარკი, სადაც ულამაზესი შეფერილობის 6 ათასამდე სახეობის პეპლის ფარფატით დატკბებით.

ესაფეთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით კუალა ლუმპური საკმაოდ დაცული ქალაქია. მიუხედავად ამისა, ტურისტების თავშეყრის ადგილებში ხშირია ძარცვა. თუ შარში გაეხვიეთ, მომხდარიდან არაუგვიანეს ნახევარ საათში პოლიციას უნდა აცნობოთ.

ადგილობრივების ცხოვრებაში რელიგია უმთავრეს როლს თამაშობს, ამიტომ რელიგიური მრწამსის უპატივცემლობას და შეურაცხყოფას არაფრით გაპატიებენ. სახლებში და მეჩეთებში ფეხზე უნდა გაიხადოთ. არ შეიძლება მარცხენა ხელით საჭმლის აღება და რამის მიწოდება, ამით ადგილობრივებს შეურაცხყოფას მიაყენებთ. ასევე არ მიუთითოთ რაღაცაზე საჩვენებელი თითით. ამისათვის ცერა თითი გამოიყენეთ.

როგორც ტაილანდში, ასევე მალაიზიაში არ არის მიღებული ადამიანის თავზე შეხება. ასე რომ, მოერიდეთ ადგილობრივი ბავშვებისთვის თავზე ხელის გადასმას. სასმელს თუ შემოგთავაზებენ, უარს ნუ ეტყვით, ამით მასპინძელს აწყენინებთ. სუსტი სქესის წარმომადგენლები გარეთ ძირითადად თავსაფრებითა და გრძელი კაბებით გამოდიან. ქუჩაში შემხვედრ მოხუცებს აუცილებლად თავის დახრით მიესალმეთ, ეს ძალიან ესიამოვნებათ.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — მალაიზია;
დედაქალაქი — კუალა ლუმპური;
მოსახლეობა — 1.627.172;
ფართობი — 348 კვ.კმ;
ოფიციალური ენა — მალაიური;
ოფიციალური ვალუტა — რინგიტი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მშობლების შეცდომის გამო დასჯილი შვილები

„ცოლად ჯინალამ ბიოლოგიის ძმას გავყევი"

ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი რაღაცეები ხდება, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენ. ზოგიერთი რამ მხოლოდ საპნის ოპერებში თუ გვაქვს ნანახი. ასეთი აღმოჩნდა ჩვენი რესპონდენტის, სალომეს ცხოვრება. ის ბედნიერ ოჯახში გაიზარდა, ხალისიანი და ღამაზი ყოფა ჰქონდა. შემდეგ ერთი კარგი ბიჭი შეუყვარდა და ამით ხარობდა. დაქორწინებასაც გეგმავდნენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ისეთი საიდუმლო შეიტყო, ყველაფერი თავდაყირა დადგა — შეყვარებული ბიჭი მისი ბიოლოგიური ძმა აღმოჩნდა. ახალგაზრდა და მშვენიერი ქალის ცხოვრება ერთ დიდ, გადაულახავ ტყუილს დაემსგავსა, ბედნიერი ყოფა მუდმივ სატანჯველად, ღამის ამქვეყნიურ ჯოჯოხეთად ექცა...

სალომე:

— დედა ჟურნალისტი მყავდა, მამა — ეკონომისტი. პაპის დანატოვარ დიდ კერძო სახლში ვცხოვრობდით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები დაკავებულები იყვნენ, ჩვენს სახლში სტუმარი არ ილეოდა. მამა ცოტა ფიცხი და სულსწრაფი კაცი იყო, სამაგიეროდ, დედა მყავდა მშვიდობისმოყვარე და დინჯი. ერთმანეთს ავსებდნენ. ჰუმანურ, ხალისიან და ბედნიერ გარემოში გავიზარდე. ჩემს მშობლებს უნდოდათ, ბევრი შვილი ჰყოლოდათ, მაგრამ დედას ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა და ოპერაციის დროს საშვილოსნო ამოკვეთეს. ასე რომ, დედისერთა დავრჩი.

ჩვენს მეზობლად ერთი კარჩაკეტილი ოჯახი ცხოვრობდა. ერთი ღობე გვყოფდა. ოჯახის დიასახლისი, ლიანა, გულდახურული, მაგრამ სასიამოვნო ქალი იყო. ქმარი, სახელად ჯემალი, კი საშინლად უჟმური გახლდათ, მასთან მისალმებაც არ მოგინდებოდა. ისეთი როხროხა იყო, რომ ყვიროდა, მთელ ქუჩას ესმოდა. სასმელსაც ეტანებოდა. სიმთვრალეში განსაკუთრებით ენამყრალი და აუტანელი ხდებოდა. ბავშვობიდან მისი შიში მქონდა, მათი ჭიშკრის სიახლოვეს არ ვჩერდებოდი. ერთი შვილი ჰყავდათ, ოთო, ჩემზე ორი წლით უმცროსი. ნორმალურად არც ვიცნობდი. გარეთ არ უშვებდნენ, უბანს არ აკარებდნენ. სკოლაშიც ქალაქის ცენტრში დაჰყავდათ. ჩოგბურთზე ატარებდნენ და, როგორც ვიცი, წარმატებები ჰქონდა. მამამისს არ ჰგავდა არც ფიზიკურად და არც ხასიათით — ყოველმხრივ ნათელი ბიჭი იყო.

— ბოლოს თქვენი და მათი ოჯახის ბედი გადაიკვეთა?

— ერთხელ ჯემალმა არყისგან ინტოქსიკაცია მიიღო. ექიმებმა ვერ გადაარჩინეს. იმქვეყნად წასულზე ასე არ უნდა ვლაპარაკობდე, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ოჯახმა ამოისუნთქა. ჭირის დღეებში მათ ნათესავები არ გაეკარნენ, მეზობლები დაუდგნენ გვერდში და ლიანას ქმარი დაასაფლავებინეს. განსაკუთრებით დედაჩემმა იაქტიურა — ბუნებით ასეთი ქალია, ყველას გულშემატკივარი და თანამგრძნობი. მას შემდეგ დაიწყო მათი სიახლოვე. აღმოჩნდა, რომ ლიანა არც იმდენად ჩაკეტილი ქალი იყო, როგორც ეს ქმრის სიცოცხლეში ჩანდა. ეტყობა, მაშინ მეუღლის თამაშის წესებს მიჰყვებოდა. ოთოც ძალიან საყვარელი და თბილი ბავშვი გახლდათ, სულაც არ იყო ისეთი უკარება, როგორ შთაბეჭდილებასაც ტოვებდა. ვერ ვიტყვი, რომ მასთან ძალიან დავმეგობრდი. ბავშვებში ორი წლით სხვაობაც კი ბევრს ნიშნავს. როგორც პატარას, ისე ვუყურებდი — მე სხვა ინტერესები მქონდა.

16 წლის რომ ვიყავი, ჩვენს ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. ჩემს დაბადების დღეს აღვნიშნავდით, 40 კაციანი სუფრა გვქონდა. კლასელებიც მოვიპატიჟე. მამა რაიონში იყო წასული და იმ დღეს უნდა დაბრუნებულიყო. შებინდდა და კიდევ არ ჩანდა. 9 საათზე დაგვირეკეს, გარდაიცვალაო. ინფარქტი მიიღო და საჭირო დახმარება დროზე ვერ აღმოუჩინეს. საშინელება იყო... გაჩენის დღეს ვიწყევლიდი. მთელი სუფრა გლოვობდა. მას შემდეგ დაბადების დღე არ გადამიხდია...

„თუმცა მამა დედას ღალატობდა და მეზობლის ცოლთან ჰქონდა ჰომანი. ლიანა ტირიდა, ეს ახალგაზრდული შეცდომა იყო, მამაშენი შემიყვარდა და ოთო იმ სიყვარულის ნაყოფია, ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია და დამინდეთ. მეხვეწებოდა, სიმართლე არავისთვის მეთქვა, მით უფრო — ოთოსთვის და დედაჩემისთვის".

მამის დაკარგვამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. ერთბაშად გავიზარდე, თითქოს დავბერდი. მანამდე სიკვდილზე არ მიფიქრია. ცხოვრებასა და იმ თემებზე დავფიქრდი, რაც 16 წლის მოზარდისთვის ნაადრევია, ამიტომ ძალიან დავითრგუნე. ოთომ საოცრად თანამგრძნო. ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და 14 წლის ბიჭი დიდი კაცივით მესაუბრებოდა — თურმე არც იმდენად პატარა ყოფილა, როგორც მეგონა. თანაც ეს ტკივილი მასაც გადატანილი ჰქონდა და უფრო კარგად ესმოდა ჩემი, ვიდრე ჩემს მეგობრებს. ასე დავუახლოვდით ერთმანეთს.

— თქვენი საყვარული აქედან ჩაასახა?

— ოთო 20 წლის იყო, მე — 22-ის, საყვარულში რომ გამომიტყდა. ყველაფერი ასე დაიწყო: ჩემს სახლში უნივერსიტეტის დამთავრებას აღვნიშნავდით ჯგუფელები, ათნი ვიყავით. ოთოც მოვიპატიჟე, როგორც მეგობარი. ღამაზად შეფუთული რომანტიკული შინაარსის სამშვენისი მაჩუქა ბარათით, რომელზეც მოლოცვის ტექსტი ლექსად ეწერა. გოგოების თანდასწრებით გავხსენი. ერთ ჩემს ჯგუფელს, ბესოს, მოვწონდი. გოგოებს ეგონათ, მისი მოძღვნილი იყო. რომ ვუთხარი, რა ბესო, ოთომ მაჩუქა-მეთქი, გაუკვირდათ, თაყვანისმცემლისგან გვეგონაო. ერთმა ისიც მითხრა, მაგ ბიჭს უყვარხარ და ვერ მიმხვდარხარო. მართალი გითხრათ, მათ სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე... საღამოს მუსიკა ჩავრთე და ცეკვა დავიწყეთ. ბესომ საცეკვაოდ გამიწვია, ცოტა ნასვამი იყო და რაღაც სასიყვარულო სიტყვებს მეჩურჩულებოდა. ასე იცოდა ხოლმე, როცა დალევდა, სიფხიზლეში კი ძალიან მორიდებული იყო. ამიტომ, როგორც ყოველთვის, იმ საღამოსაც მის ქცევას მნიშვნელობა არ მივანიჭე. ოთომ კი გვერდზე გაიყვანა და წაკამათდნენ. მერე ქუჩაში გავიდნენ. გავეკიდეთ და გავაშველეთ... ბესო წავიდა და ჩვენც მალე დავიშალეთ. ოთომ ის ღამე გაათენა — ჯერ იყო და, სახლში არ შედიოდა. მერე თავის ოთახში მთელი ღამე შუქი ენთო.

— ოთოზე ალბათ საწყენი დარჩებოდით, საღამო რომ ჩაგიშალათ.

— ძალიან გაბრაზებული ვიყავი, ჩემს ოჯახში თავი როგორ ვერ შეიკავა-მეთქი. მეორე დღეს პასუხი მოვთხოვე, ავუხსენი, რომ თავისი საქციელით მე მომაყენა შეურაცხყოფა. არ ვიცოდი, თუ ის ბიჭი შენთვის ასე ძვირფასი იყოო, მიპასუხა და ბოდიში მომიხადა, სულ ცახცახებდა. ბესო მხოლოდ ჩემი ჯგუფელია, სხვა არავინ, გუშინ კი ჩემი სტუმარი იყო და ყველა სტუმარი ჩემთვის ძვირფასია-მეთქი, მივუგე. შენთან ურთიერთობაში ზედმეტი მოუვიდა და ვერ ვაპატიეო, ამიხსნა. თავს იმის უფლებას რატომ აძლევ, რომ ჩემი და ჩემი ჯგუფელის ურთიერთობაში ჩაერიო-მეთქი, გავუბრაზდი. შენ მიმართ სხვა სიახლოვეს ვგრძნობ და, როგორც უნდა გამიწყრე, ზედმეტს არავის გავაბედვინებო. კარგა ხანს გაბრაზებული ვიყავი, მაგას ვინ ეკითხება-მეთქი, ვფიქრობდი.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ლიანამ დედაჩემს შესჩივლა, ვერ გავიგე, ჩემს შვილს რა სჭირს, რაღაცას ძალიან დარდობს, მაგრამ არაფერს მეუბნებაო. დედამ იმ ამბის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან მაშინ რაიონში იყო წასული. დაიწყეს კვლევა... დედას ვუთხარი, ოთომ ორი ჭიქა დალია, ჩემს ჯგუფელებს მამლაყინწასავით გაეჭიმა და არ ვპატიობ-მეთქი. დედამ მირჩია, დამთმობი ვყოფილიყავი, თუნდაც ლიანა დეიდას ხათრით — ეგ ერთი შვილი ჰყავს და სანთელივით მისჩერებია, ცოდოა, ნუ ანერვიულებთ, თანაც ოთოს ეგ ერთი შეეშალა, სხვა მხრივ ხომ კარგი ბიჭიაო.

— დედის რჩევა გაითვალისწინეთ?

— გულში ბრაზის დიდხანს შენახვა არ მჩვევია და ეს წყენაც ღრუბელივით გადამეყარა. ოთოსთან ურთიერთობა განვაახლე. უფრო დამიახლოვდა, ჩემ მიმართ გრძნობას ამჟღავნებდა. თანდათან სიყვარული მეც გამიჩნდა. მართალია, ოთო ჩემზე უმცროსი იყო, მაგრამ თავისი კაცური თვისებებით ბევრ მოწიფულ მამაკაცს სჯობდა. მისით აღფრთოვანებული ვიყავი.

თავიდან ჩვენი სიყვარულის დამალვას ვცდილობდით, გარშემომყოფების მერიდებოდა, ბავშვობის მეგობარი, თანაც ასაკით უმცროსი რომ შემიყვარდა. დედაჩემს მახვილი თვალი აქვს და ეს ამბავი არ გამოჰპარვია, მაგრამ კატეგორიულად ვიუ-

Cyan Magenta Yellow Black

არე, გამუღავნების მომერიდა. მაშინ დედამ ლიანას უთხრა, ჩვენს შვილებს, მგონი, ერთმანეთის მიმართ გრძნობა გაუჩნდათ და გვიმალავენო. ლიანა გაფითრდა, რას ამბობ, და-ძმასავით არიან ერთმანეთთან, ეგ როგორ შეიძლებაო. დედა მისი რეაქციით გაკვირვებული დარჩა.

შემდეგ ლიანამ თავის შვილს გამოჰკითხა და ოთომაც გულწრფელად უთხრა, მალე დავქორწინდებითო. ეგონა, დედას გაახარებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ლიანას

„ეჰთ ნამში ძმაც დავჯაჰგე და შეყვაჰებეღიც... ოთოს სიმაჰთღეს ვეჰ გავუმხეღდი — შეიძღებოდა ტჰაგედია დატჰიაღებეღიყო. ჯობდა, ღიანას თავის ღჰოზე ეთქვა შვიღისთვის სიმაჰთღე. აჰც მე დამენგჰეოდა ცხოვჰება და აჰც ოთოს, ეჰთმანეთს დაძმობას მაინც გავუნევდით, აჰ დავჯაჰგავდით".

გული წაუვიდა და სასწრაფო დახმარებას გამოუძახეს. დედამ იფიქრა, ლიანას ჩემი ქალიშვილი რძლად არ უნდაო და ძალიან ნაწყენი დარჩა. ლიანა კი იმიზეზებდა, ოთო ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, არც მამა უმაგრებს ზურგს და რა დროს მისი ცოლიაო.

— **დედამისის ამგვარმა დამოკიდებულებამ ოთოზე ზეგავლენა იქონია?**

— ოთო დედას დიდ პატივს სცემდა, მაგრამ ჩემს მიტოვებას არ აპირებდა და არც მოცდა უნდოდა. მეუბნებოდა, გავიპაროთ, დედა კი დროთა განმავლობაში შეგვირიგდებაო. ლამის დამითანხმა... ერთ საღამოს, ოთო შინ რომ არ იყო, ღიანამ დამიბარა და საშინელება მითხრა. ცოცხალი თუ დავრჩებოდი, არ მეგონა.

— **თუ შეიძლება, დეტალურად გვიამბეთ, რა გითხრათ.**

— ერთხანს დუმდა, ლაპარაკის დაწყება უჭირდა. თვალებში ვერ მიყურებდა. მერე ძალა მოიკრიბა და მომმართა, რასაც გეტყვი, ჩვენ შორის საიდუმლოდ დარჩეს, ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია, რომ გამუღავნდეს, დავიღუპებიო. გაოცებით შევყურებდი, რა საიდუმლო აქვს ისეთი, ან მაინცდამაინც მე რატომ მიმხელს-მეთქი. ბოლოს მითხრა, რასაც გეტყვი, ძალიან მტკივნეული იქნება, ოთო შენი ბიოლოგიური ძმააო.

— **ადვილი წარმოსადგენია, რა დაგეშმართებოდათ.**

— ჩემი განცდების გადმოცემით თავს არ შეგაწყენთ... თავიდან არ დავუჯერე, ძალიან გავმწარდი და ვუთხარი, თუ ვერ მიტანთ და ჩვენი ერთად ყოფნა არ გინდათ, პირდაპირ მითხარით, ქალური ხრიკები რა საჭიროა, ან ეგ რამ მოგაფიქრებინათ, როგორ კადრულობთ-მეთქი. შემდეგ თავისი სიმართლის დასადასტურებლად საგულდაგულოდ შეფუთული პატარა ყუთი მოიტანა, რომელშიც მამაჩემის ხელნაწერი სასიყვარულო ბარათი და ახალგაზრდობაში მასთან ერთად გადაღებული ორი ფოტო იდო.

თურმე მამა დედას ღალატობდა და მეზობლის ცოლთან ჰქონდა რომანი. ეს ჩემს წარმოსახვას აღემატებოდა — საშინლად შეძრწუნებული დავრჩი. ღიანა ტიროდა და პატიებას მთხოვდა, ეს ახალგაზრდული შეცდომა იყო, ჩვენი შეხვედრები დიდხანს არ გაგრძელებულა, მამაშენი ძალიან შემიყვარდა და ოთო იმ სიყვარულის ნაყოფიო. მეხვეწებოდა, არავისთვის მეთქვა, მით უფრო — ოთოსთვის და დედაჩემისთვის, არც მამის პატივისცემა დამეკარგა, ასეთი რამ ნებისმიერი კაცის ცხოვრებაში შეიძლება მოხდესო. თითქოს კრიჭა შემეკრა, ვერაფერს ვპასუხობდი. შოკში ვიყავი.

— **ამ შემაძრწუნებელი ცნობის შემდეგ თქვენი ურთიერთობა ოთოსთან როგორ, რა ფორმით გაგრძელდა?**

— არ გაგრძელებულა, შეწყდა. ერთ წამში ძმაც დავკარგე და შეყვარებულიც. ოთოსგან თავი შორს დავიჭირე. ერთი კვირით სოფელში წავედი მეგობართან ერთად. რომ ჩამოვედი, მუშაობა დავიწყე და საცხოვრებლად მამიდასთან გადავედი, რომლის ბინაც ჩემს სამსახურთან ახლოს იყო. ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ ვცდილობდი, არ შემემჩნია. სულ ამაზე ვფიქრობდი. მამაჩემს ვერ ვპატიობდი. რაც უფრო ვეძებდი ოთოში მამას თვისებებს, მით მეტად ვპოულობდი. თურმე როგორ ჰგავდა და ვერაფერს ვხვდებოდი. ფიზიკური მსგავსებაც აღმოვაჩინე.

— **ოთოს რა უთხარით, თქვენი ასეთი ცვლილება როგორ აუხსენით?**

— ვუთხარი, რომ მოსაფიქრებლად დრო და მარტო ყოფნა მჭირდებოდა. სიმართლეს ვერ გავუმხელდი, შეიძლებოდა ტრაგედია დატრიალებულიყო. ჯობდა, ღიანას თავის დროზე ეთქვა შვილისთვის სიმართლე, სანამ შევუყვარდებოდი.

— **ადრე რომ გაეგო, თქვენი აზრით, ოთო დედას აპატიებდა?**

— შეგნებული ბიჭია, შეიძლება ეპატიებინა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, არც მე დამენგრეოდა ცხოვრება და არც ოთოს, ერთმანეთს დაძმობას მაინც გავუწევდით, არ დავკარგავდით.

— **ოთო დაკარგეთ?**

— არ მეშვებოდა, შეხვედრებს მთხოვდა, გაპარვას მაძალებდა. იძულებული გავხდი, რადიკალური ზომისთვის მიმემართა.

— **რა გააკეთეთ?**

— ყველასთვის მოულოდნელად ბესოს მივთხოვდი. ამით ოთოსთან ურთიერთობას საბოლოოდ დავუსვი წერტილი. ოთომ და დედამისმა სახლი გაყიდეს და სხვა უბანში გადავიდნენ საცხოვრებლად. ოთო ღიანასთან მუდმივ უსიამოვნებაში იყო, როგორც ჩანს, მას ადანაშაულებდა ჩვენს დაშორებაში. სამი წლის შემდეგ კი საზღვარგარეთ წავიდა და იქ დარჩა. ცოლი არ მოუყვანია.

— **როგორც ჩანს, ჯერ თქვენ შეიქელით ქმართან ოჯახური ურთიერთობის აწყობა.**

— ბესო წესიერი და კეთილშობილი ადამიანია, პატივს ვცემ, მაგრამ მისი შეყვარება ვერაფრით შევძელი. მუდმივი ტანჯვის რეჟიმში ვცხოვრობ. ფაქტობრივად ქმართან შვილის გამო ვარ. ბავშვობიდან ბევრ შვილზე ვოცნებობდი, მაგრამ ერთზე მეტი არ გავაჩინე, ვინაიდან ცალი ფეხი გასაქცევად მქონდა გამზადებული. ჩვენი ბავშვი 12 წლისაა, დედაც ძალიან უყვარს და მამაც. შვილს თავგზას ვერ ავუბნევ და ოჯახს ვერ დავანგრევ. მარტო ცხოვრებაც გამიჭირდება. თანაც მეშინია, ოთო არ მომიბრუნდეს. ჩემს ძველ მეგობარს შეხვედრია უცხოეთში

„ეჰთ დიდ ტყუიღში ვცხოვჰობ, ჰომეღსაც ფაჰდა ვეჰასღჰოს აეხღება. აჰ ვიცი, ჰოგოჰ გავაგჰძეღო ცხოვჰება... სუღ ვფიქჰობ და ვეჰ გამიჰკვევია: მშობღების ცოდვის გამო შვიღები ჰატომ დავისაჯეთ, თანაც ასე მწაჰედ და სასტიკად".

და მისთვის უთქვამს — რომ ვიცოდე, სალოქმართან უბედურია, თავის შვილთან ერთად წამოვიყვანდი და ცხოვრებას თავიდან დავიწყებდით, ყველაფრის მიუხედავად, დღემდე მიყვარსო.

ერთ დიდ ტყუილში ვცხოვრობ, რომელსაც ფარდა ვერასოდეს აეხდება. არ ვიცი, როგორ გავაგრძელო ცხოვრება. ყველგან მიკერებული ღიმილით დავდივარ — ბედნიერი, ცხოვრებით კმაყოფილი ქალის როლს ვთამაშობ. სულ ვფიქრობ და ვერ გამირკვევია: მშობლების ცოდვის გამო შვილები რატომ დავისაჯეთ, თანაც ასე მწარედ და სასტიკად. ჩვენ ხომ უცოდველები და გულწრფელები ვიყავით, პრაქტიკულად არაფერი დაგვიშავებია. როდისღა უნდა მოვიპოვოთ სიმშვიდე?

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ პირველი საკრედიტო ბარათი „ამერიკან ექსპრესმა“ 1951 წელს გამოუშვა. მაშინ 200 ბარათი დაბეჭდეს, რომელთა გამოყენება მხოლოდ ნიუ იორკის 27 რესტორანში იყო შესაძლებელი.

❖ ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, სანამ ანკესებსა და სხვა მოწყობილობებს გამოიგონებდნენ, ჩინეთში საკმაოდ ორიგინალური მეთოდით თევზაობდნენ, რომელსაც დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროშიც გამოიყენებენ. ამ მეთოდის მთავარი კომპონენტი ფრინველია, რომელსაც ჩვამა ჰქვია და ანკესისმაგვარი ნისკარტი აქვს.

❖ ყველაზე პატარა ქალაქი მსოფლიოში ალვინია. იგი აშშ-ში, სამხრეთ კაროლინაში მდებარეობს და მასში სულ 10 კაცი ცხოვრობს.

❖ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოა ჩინეთი 1 მილიარდ 300 მილიონზე მეტი მცხოვრებით.

❖ მსოფლიოში ყველაზე პატარა ადამიანები პიგმეები არიან, რომლებიც აფრიკაში ცხოვრობენ, მდინარე კონგოს აუზში. პიგმეი მამაკაცის სიმაღლე საშუალოდ 144-150 სმ-ია, ხოლო ქალები მათზე დაბლები არიან.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

შორს თვალის ირგვლივ ნაოჭები!

თვალებით სრული სიმართლის გაგება შეიძლება ქალის არამხოლოდ ასაკისა და ჯანმრთელობის, ასევე მისი უძილო ღამეების შესახებაც. ქუთუთოს კანზე დაბერების პირველი ნიშნები — ნაოჭები სწრაფად ჩნდება. თვალების ირგვლივ კანი ნაზი და მგრძნობიარეა, დაახლოებით 10-ჯერ უფრო თხელია სახის სხვა ნაწილების კანთან შედარებით. აქ ცხიმის ჯირკვლები თითქმის საერთოდ არ არის, ამიტომ ქუთუთოს კანი უფრო ხშირად შრება და მასზე ღარები ჩნდება.

როგორ მოვატყუოთ დრო და მიმიკური ნაოჭების ბადე დავმალოთ, სანამ ისინი უფრო ღრმა ნაოჭებად არ ქცეულან? ისწავლეთ, თვალის ირგვლივ კანს ყოველდღიურად მოუაროთ და შინაური პროცედურებიდან მალე სიამოვნებას მიიღებთ.

რა თქმა უნდა, ყოველთვის არ შეგვიძლია, კანი იდეალური პირობებით უზრუნველვყოთ: ყოველდღე კარგად გამოვიძინოთ, არასდროს ვიტიროთ, კვირაში ერთხელ კოსმეტოლოგთან ვიაროთ, მაგრამ არსებობს რამდენიმე მარტივი რეკომენდაცია, რომელთა შესრულება აბსოლუტურად ყველას შეუძლია.

რით დავიწყოთ? რა თქმა უნდა, გასუფთავებით. ღამით კანზე დეკორატიული კოსმეტიკა არასდროს დაიტოვოთ. მას შეშუპების პროვოცირება შეუძლია. თვალების ირგვლივ ზონის დემაკიაჟისთვის ბევრი კოსმეტიკური საშუალება (რძე, ნაღები, ზეთი და ა.შ.) არსებობს. შეარჩიეთ, რომელიც მოგწონთ. სასურველია მათ შემადგენლობაში შედიოდეს მცენარეული ექსტრაქტები, ვიტამინები E და C. მაკიაჟი ბამბის დისკით მოიშორეთ, კოსმეტიკის ნარჩენები — ბამბის ჩხირით. ნაზი კანი არ გაწელოთ და არ დასრისოთ.

სასარგებლო კვება

თვალების ირგვლივ კანის დატენიანება (კანის ტიპის მიუხედავად) საჭიროა როგორც დილით, ასევე საღამოს.

20-დან 30 წლამდე გამოიყენეთ ეთერზეთების მსუბუქი გელი. 30 წლის შემდეგ გადადით ჰიალურონოვის მჟავის, აloეს, A და E ვიტამინების შემცველობის კრემებზე. მოწიფული კანისთვის გამოდგება ანტიმჟანგავების, ნატურალური ზეთების, კოლაგენისა და ელასტინის შემცველი საშუალებები.

კრემის წასმას თან დაურთეთ მასაჟი: თითების ბალიშების მსუბუქი ტყაპუნით საფეთქლებიდან ცხვირის მიმართულებით. ის სისხლის მიკროცირკულაციასა და ლიმფის დინებას აუმჯობესებს, რაც ხელს უშლის შეშუპებისა და ჩალურჯების აღმოცენებას.

შინაური ხერხები

თაფლის სიამოვნება

თითო კოვზი თაფლი და არაჟანი, ერთი კვერცხის გული ერთმანეთს აურიეთ. ნიღაბი თვალის ირგვლივ კანზე 15 წუთი დაიტოვეთ, შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ქორფა კიტრი

კიტრი წვრილად გახეხეთ. 1 სუფრის კოვზ ფაფას 1 ჩაის კოვზი მაგარი ჩაის ახალდაყენებული ნაყენი და 2-3 წვეთი თხევადი, ოდნავ შემთბარი თაფლი დაუმატეთ. მიღებული მასა ორ ფენა მარლის ხელსახოცში გადაიტანეთ და თვალებზე 20 წუთი დაიდეთ. შემდეგ ქუთუთოები თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

ვაშლის პიურე

ერთი ვაშლი წვრილად გახეხეთ, 1 სუფრის კოვზი არაჟანი და 1/2 ჩაის კოვზი თაფლი დაუმატეთ. ასევე შეგიძლიათ 5 წვეთი კვლიავის წვენი ჩაუმატოთ. ნიღაბი თვალების ირგვლივ კანზე 15-20 წუთი დაიტოვეთ. შემდეგ ოთახის ტემპერატურის წყლით ჩამოიბანეთ.

ჟელატინის კოსმეტიკა

ეს ნატურალური პროდუქტი კოლაგენის გადამუშავებით მიიღება. კოლაგენი ძვირფასი ცილაა, რომელიც კანის, თმისა და ფრჩხილებისთვის აუცილებელია. მის გარეშე ნაადრევი სიბერე დგება, ამიტომ საჭიროა, ჟელატინი შინაურ კოსმეტიკაში გამოიყენოთ.

საკვები ჟელატინი 80% ცილაა. პროდუქტი ასევე შეიცავს ფოსფორს, გოგირდს, კალციუმს. დანარჩენი შემადგენელია ცხიმები და ნახშირწყლები.

ჟელატინი კანს არბილებს, მსუბუქად ათეთრებს, რეგულარულად გამოყენებისას კანზე ზედაპირულ ნაოჭებს ასწორებს, ასაკობრივ პიგმენტულ ლაქებს ნაკლებად შესამჩნევს ხდის. დადებითად მოქმედებს კანის ცილურ და ამინომჟავურ ცვლაზე, სისხლის მიმოქცევას აძლიერებს. აგრეთვე მოშვებულ ღაბაბს და ლოყებს ჭიმავს, სახის გადღაბნილ, არამკაფიო ოვალის კორექტირებას ახდენს.

თმისა და ფრჩხილების გასამაგრებლად აუცილებელია ჟელატინი საკვებშიც გამოიყენოთ. ხილითა და კენკრით ყველანაირი ჟელე, ლაბასხმული მოამზადეთ. მაშინ ორგანიზმი ფრჩხილებისა და თმისთვის აუცილებელ „სამშენებლო მასალას“ — პროტეინებს მიიღებს.

ჟელატინი მყესებსა და იოგებს ამაგრებს, ცხიმების გახლეჩას აჩქარებს, წონაში დაკლებას ეხმარება.

თმის ღამინიჰება სახლის პირობებში

დაგჭირდებათ: 1 სუფრის კოვზი ჟელატინი, 3 სუფრის კოვზი ცხელი წყალი, 1/2 სუფრის კოვზი ბალზამი თმისთვის.

ჟელატინი მინის ჯამში ჩაუშვით, ცხელი წყალი დაუმატეთ და სრულ გახსნამდე ურიეთ (ერთგვაროვანი მასა უნდა მიიღოთ).

სანამ გაგრილდება, თავი დაიბანეთ, თმაზე ბალზამი წაისვით, წყალი გადაივლეთ და მსუბუქად გაიშრეთ (მაგრამ არა ფენით). ჟელატინის ნარევში თმის ბალზამი ჩაუმატეთ, აურიეთ და თმის ძირებიდან 2 სმ-ის დაცილებით ნარევი თმაზე თანაბრად დაიდეთ. ჯერ ცელოფანი დაიფარეთ, ზემოდან პირსახოცი. 30-40 წუთის შემდეგ ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ასეთი პროცედურა სასარგებლოა კვირაში ერთხელ ჩაიტაროთ.

ნაოჭების საწინააღმდეგო ჟელატინის ჯიქი

1 ჩაის კოვზი ჟელატინი, 0,5 ჭიქა წყალი, 3 სუფრის კოვზი თაფლი, 100 მგ გლიცერინი და 1 გრამი (დანის წვერი) სალიცილის მჟავა ერთმანეთს აურიეთ. ჭურჭელი ნარევით ცხელ წყალში მოათავსეთ და მანამ ურიეთ, სანამ მასა ერთგვაროვანი არ გახდება. ნარევიანი ჭურჭელი წყლიდან ამოიღეთ, თან განუწყვეტლივ ურიეთ ჟელესმაგვარი კრემის მიღებამდე. კრემი ყოველდღიურად, დაძინებამდე 2 საათით ადრე სახეზე წაისვით და 2 საათი დაიტოვეთ. ნარჩენები, რომლებიც კანმა არ შეიწოვა, ხელსახოცით მოიცილეთ. კრემი მაცივარში შეინახეთ. ასეთი რაოდენობა ერთი თვე გეყოფათ. ქილიდან იმდენი კრემი ამოიღეთ, რაც ერთ ჯერზე დაგჭირდებათ, ცოტა შეათბეთ და კანზე დაიდეთ.

ბოშა ქალის სილამაზის საიდუმლო

ბოშა ქალები ლამაზები არიან. ამბობენ, რომ მათ იციან რიტუალები, რომლებიც ახალგაზრდობის შენარჩუნებას ეხმარება.

მათ რბილ და ხავერდოვან კანზე ლეგენდები დადის. ცნობილია, რომ კანის სილამაზისა და ახალგაზრდობისთვის ქალები წყაროს გრილ წყალს იყენებენ. ამ წყლით გარიურაჟზე ბანაობენ.

ბოშა ქალის ლიფტინგ-ნიღაბი: ერთი კვერცხის ცილა ათქვიფეთ. ნიღაბი სახესა და დეკოლტეს მიდამოზე დაიდეთ. 20 წუთის შემდეგ, როგორც კი კანის მსუბუქი მოჭიმვის შეგრძნება გაჩნდება, ხელსახოცით მოიცილეთ და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

აბრეშუმივით და ხშირი თმა ბოშა ქალის სიამაყის საგანია. კვირაში ერთხელ თმისთვის ასეთ გადასავლებს იყენებენ. 1 სუფრის კოვზი 90%-იანი ძმარი და 8 სუფრის კოვზი წყალი (უმჯობესია გამლღვალი) აურიეთ. თმაზე წაისვით და დაივარცხნეთ. ამის შემდეგ თმა ბუნებრივი გზით გაიშრეთ.

თმის ზრდისთვისბოშები ალუბლის ქერქის მაგარ ნაყენს იყენებენ. რამდენიმე სუფრის კოვზ წვრილად დაქუცმაცებულ ქერქს ერთ ჭიქა მდუღარეს ასხამენ. 5-7 საათი დგამენ. შემდეგ წურავენ. მიღებულ სითხეს თავის დაბანამდე 30 წუთით ადრე, თმის ძირებში იზელენ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

პატარებმა ბაღში რომ არ იტირონ

ბავშვის ცხოვრებაში საბავშვო ბაღში წასვლის პერიოდი მნიშვნელოვანი ეტაპია როგორც ემოციურად, ისე ფსიქოლოგიურადაც. ამიტომ, მანამ შვილს საბავშვო ბაღში მიიყვანთ, საჭიროა მისი წინასწარ შემზადება. მოდით, ერთად განვიხილოთ საკითხები, რომლებსაც მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, როცა შვილი ბაღში მიჰყავთ.

1. სასურველია, ყველაფერი ლამაზად აღუწეროთ. მოუყევით, რა უნდა აკეთოს მთელი დღის განმავლობაში, რამდენჯერ უნდა ჭამოს, დაიძინოს, ითამაშოს და, რაც მთავარია, უნდა დაუჯეროს მასწავლებელს. მისთვის გასაგებ ენაზე აუხსენით, რომ აუცილებელია დისციპლინა და ბაღის რეჟიმის დაცვა.

არავითარ შემთხვევაში შეაშინოთ პატარა საბავშვო ბაღით, არ უთხრათ, რომ თუ ცუდად მოიქცევა, ბაღში დატოვებთ და სახლში აღარ წამოიყვანთ. ეს დაუშვებელია!

2. საბავშვო ბაღზე მაქსიმალურად პოზიტიური ინფორმაცია მიაწოდეთ, ოღონდ არავითარ შემთხვევაში მოატყუოთ, რათა ბავშვი გაწბილებული არ დარჩეს. ასწავლეთ, რომ ბაღში ყველა ბავშვს აქვს თავისი კარადა, საკუთარი ჭურჭელი, ლოგინი და ა.შ.

3. ეცადეთ, საბავშვო ბაღის რეკლამირება ზედმეტი არ მოგივიდეთ. პატარას იმაზე მეტის მოლოდინი არ ჰქონდეს, ვიდრე რეალურად დახვდება, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება იმედი გაუცრუვდეს და ბაღში სიარული აღარ მოუნდეს.

აუცილებელია, თავიდანვე მკაფიოდ განუმარტოთ, რომ სავალდებულოა, ბაღში ყველა ბავშვმა დაიცვას წესრიგი, სხვაგვარად მასწავლებელი შენიშვნას მისცემს.

4. პატარასთვის სტიმული იქნება, თუ ბაღში წასასვლელად ახალ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს უყიდით. ასეთი სპეციალური სამზადისი საბავშვო ბაღში წასვლის პროცესს სადღესასწაულო ელფერს შესძენს, რაც პატარებს ძალიან უხარიათ.

5. კარგი იქნება, თუ თქვენ მიერ შერჩეული ბაღი სახლთან ახლოს იქნება და რეგულარულად სიარულამდე იქ რამდენჯერმე სტუმრად მიიყვანთ, დაინტერესებთ ბაღის ეზოთი, სათამაშოებით. მზად იყავით იმისთვისაც, რომ პატარა შეიძლება ნაკლებად აღფრთოვანდეს, რადგან თავიდან ამ ყველაფერს ეჭვის თვალით შეხედავს.

6. როგორც წესი, საყვარელი სათამაშოები პატარებს ეხმარება, საბავშვო ბაღს ადვილად შეეგუონ. მიეცით მას უფლება, საყვარელი სათამაშო ბაღში წაიღოს.

7. თუ თქვენი შვილი ჯერ კიდევ წოვს მატყუარას ან პამპერსს ხმარობს, არ ღირს, ამას ერთბაშად გადააჩვიოთ. ეს სტრესს გაუძლიერებს. ჯობია, თუ ამ ყველაფერს ნელ-ნელა, ეტაპობრივად გადააჩვევთ პედაგოგების დახმარებით.

8. ბავშვების დიდი ნაწილი რატომღაც საბავშვო ბაღში შუადღის ძილს აპროტესტებს. თუ თქვენი შვილიც მათ კატეგორიას მიეკუთვნება, საჭიროა იფიქროთ იმაზე, რითი შეიძლება ამ პერიოდში ის დაკავდეს. ნელ-ნელა სიტუაციას შეეჩვევა და ბაღში დაძინების პროცესიც აღარ იქნება პრობლემური.

9. საბავშვო ბაღში ადაპტაციის პერიოდში მნიშვნელოვანია, მინიმუმამდე დაიყვანოთ პატარას ნერვული სისტემის გაღიზიანება. კარგი იქნება, თუ გამოსასვლელ დღეებში მას სხვადასხვა ადგილების მოსანახულებლად წაიყვანთ, რათა ახალი შთაბეჭდილებები მიიღოს. ატარეთ თეატრში, ცირკში, მუზეუმში, ხშირად წაუკითხეთ საყვარელი ზღაპრები და ა.შ.

10. საბავშვო ბაღში მიყვანამდე აუცილებელია პატარას გაკაჟება და ორგანიზმის გაძლიერება. მიმართეთ კვალიფიციურ პედიატრს, რომელიც გადაწყვეტს, კონკრეტულად თქვენი შვილისთვის რისი გაკეთებაა საჭირო.

თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი შვილი საბავშვო ბაღში არ იტირებს და მისთვის იქაური გარემო სტრესული არ იქნება.

როგორ ფორმირდება ბავშვის მეხსიერება

როგორ მუშაობს და ფორმირდება ბავშვის მახსოვრობის მექანიზმი? შეიძლება, პატარამ დაივიწყოს დედიკო, თუ მას დიდხანს ვერ ნახავს? პატარების მეხსიერებასთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს, რომელთაგან ბევრი სინამდვილეს არ შეესაბამება. მოდით, გავარკვიოთ, რა არის მართალი და რა — მითი.

1. 3 წლამდე ბავშვი ყველაფერს ადვილად ივიწყებს, მაგალითად, თუ დედა 2-3 თვე ვერ ნახა, ის დაავიწყდება.

სინამდვილე: ბავშვის მეხსიერება ამორჩევითი და ემოციურია, ამიტომ შეუძლებელია, 2-3 თვის განმავლობაში პატარას დედა დაავიწყდეს, რადგან დედა მის ცხოვრებაში პირველი ემოციური სტიმულია.

ისეც ხდება, რომ ბავშვები დედასთან ხანგრძლივი განშორების შემდეგ მასზე ნაწყენდებიან და პროტესტის ნიშნად უარს ამბობენ მასთან სიახლოვეზე, ანუ არ ეკარებიან. ამ შემთხვევაში პატარას საქციელი განპირობებულია არა იმით, რომ დედიკო დაავიწყდა, არამედ პროტესტის გრძნობით.

2. ადამიანების დიდ ნაწილს არ ახსოვს თავისი ცხოვრება 3-4 და ხშირად 5 წლის ასაკამდეც კი.

სინამდვილე: ბავშვობის წლების რთულად გახსენება და მისი ფრაგმენტებად აღდგენა ჩამოუყალიბებელი ნერვული სისტემის შედეგია. დაახლოებით 7 წლის ასაკისათვის ბავშვების ნერვული სისტემა უკვე ჩამოყალიბებულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 4-5 წლამდე პატარებს არ აქვთ მოვლენების ანალიზისა და შეფასების უნარი, ამიტომ იმახსოვრებენ ისეთ ეპიზოდებს, რომლებმაც მათზე განსაკუთრებული ემოციური გავლენა იქონიეს.

3. ბავშვის მეხსიერება საბოლოოდ ფორმირდება სკოლის ასაკის პერიოდისთვის, ამიტომ მანამდე მეხსიერების მასტიმულირებელი ვარჯიშები საჭირო არ არის.

სინამდვილე: 3 თვის ასაკიდან ჩვილის მეხსიერება ნელ-ნელა აქტიურდება. მისი გავარჯიშება სასურველია და ამისათვის საუკეთესოა თამაშები, სათამაშოები, რომლებიც პატარას გონებისა და მოტორიკის განვითარება-ჩამოყალიბებისათვისაა განკუთვნილი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს 5-7 წლამდე პერიოდს. სკოლის ასაკიდან უკვე მუშაობას იწყებს შემოქმედებითი მეხსიერება — ბავშვს შეუძლია დაიმახსოვროს მისთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია.

იმისათვის, რომ ბავშვს კარგი მეხსიერება და აზროვნების უნარი ჰქონდეს, სასურველია, სკოლაში მიყვანამდე ასწავლოთ ლექსები. ეს კარგია არამარტო მეხსიერებისთვის, არამედ პატარა რითმსაც იმახსოვრებს.

4. ბავშვებს უკეთესი მეხსიერება აქვთ, ვიდრე უფროსებს.

სინამდვილე: ბავშვებისა და უფროსების მეხსიერება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნადაა განსხვავებული. პატარები იოლად და სწრაფად იმახსოვრებენ მიღებულ ინფორმაციას, მაგრამ ასევე სწრაფად ივიწყებენ, რადგან ბევრი რამის დამახსოვრება მათ ჯერ კიდევ არ სჭირდებათ, რასაც ვერ ვიტყვით უფროსებზე. ამის გათვალისწინებით, პატარებისა და უფროსების მახსოვრობის შედარება არასწორია.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

გიგა ტაბიძეს სიამაყემ საყვარელი ქალი დააკარგვინა

„გვეხდით ისეთი გოგო უნდა მყავდეს, ხომ ყველა მამაჯაცს ჩემი შეშურდეს"

ოუმორისტ გიგა ტაბიძეს სულ ორჯერ უყვარდა. ამბობს, რომ ამ ურთიერთობებში შეცდომები თავად დაუშვა და საყვარელ ქალებთან დაშორების მიზეზიც სწორედ ეს გახდა. შეყვარებული გიგა თურმე რამდენადაც ყურადღებიანია, იმდენად ეჭვიანიც გახლავთ. შეიძლება შეყვარებულს უმიზეზოდაც ეჩხუბოს, თავისი დანაშაული კი მის ფანჯრებთან სერენადით ან ორიგინალური სიურპრიზით გამოისყიდოს. 23 წლის იუმორისტი თაყვანისმცემელი გოგონების რიცხვს არ უჩივის. მათი რაოდენობა გიგას პოპულარობის პარალელურად იზრდება. არ მალავს, რომ ყველას ეპრანჭება და მათ პაემანსაც ხშირად უნიშნავს, მაგრამ სერიოზულ ურთიერთობებზე ჯერჯერობით არ ფიქრობს.

— გიგა, თქვენს ცხოვრებაში არ გამოჩნდა საყვარელი ქალი?

— ამ ეტაპზე სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს, თავისუფალი ვარ. ნამდვილი სიყვარული სულ ორჯერ მეწვია, ორივე სიყვარული სტუდენტობის პერიოდს მახსენებს, მაგრამ ამ ურთიერთობებზე საუბარი არ მინდა, არ მსიამოვნებს.

— მათთან დაშორების მიზეზი რა გახდა?

— საკუთარ თავს ვადანაშაულებ ყველაფერში. პირველ შეყვარებულს რომ დავშორდი, მივხვდი, რომ მართლა მიყვარდა.

— აღარ სცადეთ მასთან დაბრუნება?

— არა, რადგან იმ მომენტში სიამაყეს ვერ ვძლიე. ჩვეულებრივ ურთიერთობებში ამაყი არ ვარ, შემიძლია ხშირად წავიდე დათმობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე მოხდა.

— ახლა როგორი გოგონები იქცევენ თქვენს ყურადღებას?

— ქალი ძალიან მომხიბვლელი, მიმზიდველი და ყველასათვის სასურველი უნდა იყოს. ჩემ გვერდით ისეთი გოგო უნდა იდგეს, ყველა მამაკაცს ჩემი შეშურდეს. ამის ამბიცია ნამდვილად მაქვს. ქალი განათლებული უნდა იყოს. ერთმანეთის გაგება უნდა შეგვეძლოს. ისეთ გოგოს ვერ ავიტან, რომელსაც ჩემს ხუმრობაზე რეაქცია არ ექნება.

— გოგოსთან ურთიერთობის წამოწყებაში რამდენად გეხმარებათ იუმორი?

— იუმორი ყველაფერში მეხმარება და მათ შორის ქალთან ურთიერთობის წამოწყებაშიც. როდესაც შენს ხუმრობაზე გოგოს შესაბამისი რეაქცია აქვს, ჩათვალეთ, რომ ურთიერთობა შედგა. იუმორის ზღვარის დაცვა ნებისმიერ დროს საჭიროა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, იუმორი სიცანცარეში ხშირად გადამსვლია და ამ დროს საკუთარ თავს ვაჩერებ ხოლმე.

— ვიცი, რომ ეკრანზე გამოჩენის შემდეგ თქვენი თაყვანისმცემელი გოგონების რიცხვი გაიზარდა. როგორ გამოხატავენ თქვენდამი სიმპათიას?

— ვერ უარვყოფ, რომ თაყვანისმცემელი გოგონების რიცხვმა იმატა. სიმპათიას კი სხვადასხვანაირად გამოხატავენ, „ფეისბუქზეც" მწერენ და ქუჩაშიც მცნობენ, მიღიმიან და თვალს მაყოლებენ. მეც ანალოგიურად ვიქცევი, ვუღიმი, თვალს ვუკრავ და ვეპრანჭები. მათი ასეთი ყურადღება ძალიან მომწონს. გოგონები ძირითადად გაცნობის მიზნით მწერენ, ზოგიერთს შევხვედრივარ კიდეც.

„ქალი განათლებული უნდა იყოს. ერთმანეთის გაგება უნდა შეგვეძლოს. ისეთ გოგოს ვერ ავიტან, ხომელსაც ჩემს ხუმრობაზე ხეაქცია აი ექნება".

— მერე თქვენი მოხიბვლა ვერაფერს შეძლო?

— ამ ეტაპზე არასერიოზული ურთიერთობებით შემოვიფარგლები. ყველა გოგო მომწონს, ვისაც ვხვდები. თუმცა ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, გოგო ფოტოებზე ძალიან მომწონებია, შეხვედრის შემდეგ კი მასზე აბსოლუტურად სხვანაირი წარმოდგენა შემქმნია.

— გოგონები როდის გიცრუებენ იმედებს?

— პირველ რიგში, ხელოვნურობა არ მომწონს. ადამიანი სინამდვილეში როგორიც არის, ისეთი უნდა დარჩეს. გოგო რაღაცის წარმოჩენას რომ ცდილობს და რეალურად ისეთი არ არის, ჩემთვის უინტერესო ხდება. ურთიერთობაში აქტიური გოგონები არასოდეს მხიბლავდა და ახლაც ასეა.

— ფიქრობთ, რომ ურთიერთობებში კაცია წამყვანი ფიგურა?

— კი, ურთიერთობაში მამაკაცს რაღაც ხომ უნდა დაუტოვო? ალბათ ყველა ბიჭს შეხვედრია აქტიური გოგო და არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ, როგორც კი ქალს ასეთ რაღაცას ვამჩნევ, მის მიმართ ინტერესს მაშინვე ვკარგავ. არ მომწონს, როცა გოგო ყველაფრის მიმართ ინიციატივას იჩენს. ვფიქრობ, რომ მე უნდა ვიყო ის ადამიანი, რომელიც ურთიერთობას წარუძღვება. მერე უკვე, როცა ურთიერთობა შედგება, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა. კიდევ რაც არ მიყვარს, ეს ტყუილია.

„აი მომწონს, ოცა გოგო ყველაფერის მიმართ ინიციატივას იჩენს. მე უნდა ვიყო ის ადამიანი, ხომელიც უთიეთობას წაუძღვება".

— მშვენიერი სექსის ტყუილის მსხვერპლი გამხდარხართ?

— როგორ არა! ახლა კი სულ ფრთხილად ვარ. გოგო შეიძლება სიმართლესაც მეუბნებოდეს, მაგრამ სულ მგონია, რომ მატყუებს. მათ უკვე რთულად ვენდობი და ახლა, როცა ურთიერთობას ვიწყებ, უფრო დაკვირვებული ვარ.

— როგორი ხართ, როცა გიყვართ?

— აუტანელი ვხდები! იცით, როგორი აუტანელი ვარ? ხანდახან მსიამოვნებს, რომ მას რაღაცაზე ვეჩხუბები. როცა მიყვარს, ხანდახან ვიღაცაზე უაზროდ ვეჭვიანობ. საყვარელი ქალისთვის ათას სიგიჟეს ჩავდივარ!

— მაგალითად, რა შეიძლება ჩადადინოთ მისთვის?

— ბანალური რაღაცეებით დაწყებული ორიგინალურით დამთავრებული, შემიძლია ყველაფერი ჩავიდინო. მაგალითად, ფიალით ხელში მის სახლთან ვიმღერო, მის აივანზე პარაშუტით დავეშვა. ერთხელ ჩემი მეორე შეყვარებული თურქეთში დასასვენებლად იყო წასული. ღამით ვისაუბრეთ, დილით კი თავზე დავადექი. ამის შესახებ არაფერი იცოდა. მის სასტუმროს ძლივს მივაგენი და რომ დამინახა, თვალებს არ უჯერებდა, იქაური მცხოვრები ვეგონე, რომელიც თურმე მე მგავდა. როცა შეყვარებული ვარ, საჩუქრების კეთებაც მიყვარს, მაგრამ უფრო სადღესასწაულო დღეებში.

„ჯერჯერობით ცოლის მოყვანას აი ვაპირებ, მაგრამ, თუ დიდი სიყვარული მენვია და ძლიერ გრძნობებში გადავვარდი, აღბათ ამ ნაბიჯსაც გადავდგამ".

— ისეთ ასაკში ხართ, ალბათ მშობლები დაოჯახებასაც გთხოვენ. ცოლის მოყვანაზე არ ფიქრობთ?

— ამ თემით შეწუხებული არ ვარ, თუმცა დედას განსაკუთრებულად უნდა, რომ ცოლი მოვიყვანო. 23 წელი ის ასაკია, როცა ცხოვრებაში კიდევ ბევრი რამის გაკეთება გინდა. მეორე ნახევარი რომ გყავს, რაღაც-რაღაცეებს ერიდები და ვერ რისკავ. ჯერჯერობით ცოლის მოყვანას არ ვაპირებ, მაგრამ, თუ დიდი სიყვარული მეწვია და ძლიერ გრძნობებში გადავვარდი, ალბათ ამ ნაბიჯსაც გადავდგამ.

— თავისუფალ ურთიერთობებზე რა აზრის ხართ?

— ჩემს შეყვარებულთან ქორწინებამდე სექსი აუცილებლად უნდა მქონდეს. ქალის პატიოსნებას მისი ქალწულობით არ განვსაზღვრავ. თუ შემიყვარდა, უცხოელსაც მოვიყვან ცოლად და არაქალიშვილსაც. ჩემთვის ეს პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს. ქართველი გოგოები ურთიერთობაში კომპლექსიანები არიან, ბევრი რაღაცის გაკეთება უნდათ და მხოლოდ იმის გამო არ აკეთებენ, რომ ამას ქართული ტრადიცია კრძალავს.

— საქმიანი, რეალიზებული ქალები რამდენად მისაღებია თქვენთვის, თუ გარჩევნიათ, მხოლოდ ოჯახის მოვლაზე იყოს გადართული?

— არ მომეწონება, მხოლოდ საქმეზე გადაერთოს და ოჯახი მეორე პლანზე გადასწიოს. თუმცა, თუ მეყვარება, ალბათ საქმიან ქალსაც შევეგუები.

— რა პროფესიის ქალს ვერ შეეგუებოდით ოჯახში ან პირიქით?

— პოლიციელს ვერ ავიტანდი. არ მომეწონება, ჩემი მეუღლე დამნაშავეებს დასდევდეს და ისროდეს. მამაკაცური ქალები არ მომწონს, ისე, ნაზი პოლიციელებიც ხომ არსებობენ? მაგრამ არა, მაინც ვერ შევეგუებოდი. ქალი პოლიციის ფორმაში ძალიან სექსუალური და მიმზიდველია, მაგრამ ჩემ გვერდით ასეთს ვერ ავიტანდი. წარმოიდგინეთ, მე სახლში ვიყო წამოწოლილი და ჩემი ცოლი იარაღით ვიღაცეებს დასდევდეს... ასეთი არ მინდა. სამაგიეროდ, კარგი იქნება, თუ იუმორისტი ცოლი მეყოლება, ერთმანეთს უფრო გავუგებთ.

— როგორ ჩაცმულ ქალებს აყოლებთ თვალს?

— მომწონს, კლასიკურად რომ იცვამენ, მაგრამ არა — ყოველდღიურად. ისეთი ტანსაცმელი მომწონს, რომელიც ქალის ფორმებს კარგად გამოკვეთს. ჩემი აზრით, კლასიკური სტილი მათ უფრო დახვეწილს ხდის.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

ინგლისურმა კლუბებმა სატრანსფერო რეკორდი დაამყარეს

ინგლისის პრემიერლიგის კლუბებმა, მათ მიერ ერთ სატრანსფერო პერიოდში დახარჯული თანხების მიხედვით, სატრანსფერო რეკორდი დაამყარეს.

მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისისთვის ინგლისურმა კლუბებმა ტრანსფერებში, საერთო ჯამში, 515 მილიონი ფუნტი სტერლინგი დახარჯეს. მანამდე რეკორდული თანხა 500 მილიონ ფუნტს შეადგენდა (2008 წელი).

სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ ახალი ფეხბურთელების შესაძენად ყველაზე მეტი ლონდონის „ტოტენჰემმა“ დახარჯა — 96 მილიონი ფუნტი სტერლინგი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლონდონელებმა თითქმის აინაზღაურეს მათ მიერ ტრანსფერებზე დახარჯული თანხა მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალს“ 100 მილიონ ევროდ გარეტ ბეილი მიჰყიდეს.

სატრანსფერო ფანჯრის დროს ინგლისური კლუბებიდან ყველაზე პასიურები „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ლონდონის „არსენალი“ იყვნენ.

ინგლისური კლუბების ასეთ აქტიურობას სატრანსფერო ბაზარზე ინგლისის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირებიდან მიღებულ თანხებს უკავშირებენ. 2012 წლის ივნისში ინგლისის პრემიერლიგამ თავისი მატჩების ტრანსლირებაზე შეთანხმება გააფორმა კომპანიებთან SKy If British Telecom, რომლის საერთო თანხამ 3,018 მილიარდი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

კრიშტიანუ რონალდუ გაანაწყენეს

■ კრიშტიანუ რონალდუ

როგორც მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელმა თავდამსხმელმა კრიშტიანუ რონალდუმ განაცხადა, საშინლად გაბრაზდა, როდესაც შეიტყო, რომ კლუბმა გერმანიის ნაკრების მოთამაშე მესუთ ოზილი ლონდონის კლუბ „არსენალს“ მიჰყიდა.

პორტუგალიელი თავდამსხმელის თქმით, გერმანელი ფეხბურთელი მოედანზე მას ყველაზე კარგად უგებდა. რონალდუმ ასევე განაცხადა, რომ არ ესმის, როგორ შეეძლო „რეალს“, თავიდან მოეშორებინა ისეთი მოთამაშე, როგორიც მესუთ ოზილია, რომელსაც შეუძლია, მარტომ გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

მადრიდელმა კლუბმა მესუთ ოზილი სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მიჰყიდა „არსენალს“ 45 მილიონ ევროდ. ინგლისურ კლუბში გერმანელი ნახევარმცველი წელიწადში 7 მილიონ ევროს მიიღებს, „სამეფო კლუბში“ კი მისი შემოსავალი წელიწადში 5 მილიონს აღწევდა.

კრიშტიანუ რონალდუ და მესუთ ოზილი მადრიდის „რეალში“ 2010 წლიდან თამაშობდნენ. ამ დროის განმავლობაში პორტუგალიელმა გერმანელი ნახევარმცველის გადაცემების წყალობით 27 გოლი გაიტანა. ასე რომ, ოზილი კრიშტიანუსთვის საუკეთესო ასისტენტი იყო მთელი მისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში.

რონალდუს 17 გოლი „რეალის“ ფრანგი ფორვარდის ქარიმ ბენზემას გადაცემით აქვს გატანილი, ამ მხრივ მესამე ადგილზე კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი რაიან გიგზია, რომელმაც პორტუგალიელს 16 საგოლე გადაცემა გაუკეთა.

უსეინ ბოლტი 2016 წელს სპორტიდან წავა

■ უსეინ ბოლტი

ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უსეინ ბოლტმა განაცხადა, რომ სპორტულ კარიერას 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების შემდეგ დაასრულებს.

— ვფიქრობ, რომ 2016 წლის ოლიმპიური თამაშები შესანიშნავი მომენტი იქნება აქტიური სპორტიდან წასასვლელად სპრინტში ამდენი ხნის დომინირების შემდეგ, — აღნიშნა იამაიკელმა სპრინტერმა.

მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონმა ასევე განაცხადა, რომ 2014 წელს იგი ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას გეგმავს 200 მეტრ დისტანციაზე გარბენში, ასევე იმავე წელს თანამეგობრობის თამაშებში გამარჯვებას, რომელიც გლაზგოში გაიმართება.

მიმდინარე წლის აგვისტოში ბოლტმა 3 ოქროს მედალი მოიგო მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა. ახლა იამაიკელი სპრინტერი ბელგიელი მორბენლის, ივო მან დამის ხსოვნის პატივსაცემად გამართულ შეჯიბრში აპირებს გამოსვლას.

შეგახსენებთ, რომ ბოლტს ეკუთვნის მსოფლიოს ამჟამინდელი რეკორდი 100 მეტრ (9,58 წამი) და 200 მეტრ (19,19 წამი) დისტანციაზე გარბენში. მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს მედლების გარდა იამაიკელის ანგარიშზე 2 ვერცხლის მედალიცაა.

მოურინიუს შვილი ლონდონურ კლუბში ითამაშებს

ცნობილი პორტუგალიელი მწვრთნელის, ლონდონის „ჩელსის“ დამრიგებლის, ჟოზე მოურინიუს შვილმა ჟოზე მარიო მოურინიუმ ლონდონურ კლუბ „ფულემთან“ გააფორმა კონტრაქტი. მოურინიუ უმცროსი, რომელიც მეკარის პოზიციაზე თამაშობს, „ფულემის“ იუნიორთა გუნდში ჩაირიცხა. ამ გუნდში 14 წლის და ზევით ასაკის მოთამაშეები ასპარეზობენ.

■ ჟოზე მოურინიუ

ჟოზე მარიო მოურინიუ პაპის, ფელიქს მოურინიუს გზას დაადგა, რომელიც ასევე მეკარედ თამაშობდა. „ფულემში“ გადასვლამდე მოურინიუ უმცროსი ესპანურ კლუბ „კანილიასის“ ახალგაზრდულ გუნდში გამოდიოდა.

ჟოზე მარიო მოურინიუ 2000 წელსაა დაბადებული. ცნობილ მწვრთნელსა და მის ცოლს უფროსი გოგონა, 17 წლის მატილდაც ჰყავთ.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ეს იცოდით?

❖ ყველაზე ჭუჭყიანი ქალაქი მსოფლიოში კლივლენდია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოს შტატში მდებარეობს. იქ ყოველწლიურად 50 ტონა ჭვარტლი ილექება.

❖ 1976 წელს, როდესაც ლოს ანჯელესის ექიმები გაიფიცნენ, ქალაქში სიკვდილიანობა 18%-ით შემცირდა.

❖ დღეისათვის მოქმედი დროშებიდან ყველაზე ძველი დანიური დროშაა.

❖ ამერიკის 21-ე პრეზიდენტს, ჩესტერ არტურს, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გარდერობში ზუსტად 100 შარვალი ჰქონდა.

❖ ამერიკის პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნს თავზე მუდამ მაღალი ცილინდრი ეხურა. ქუდის შიგნით პრეზიდენტი წერილებს, კანონპროექტებსა და ჩანაწერებს ინახავდა.

❖ რუსი ბოლშევიკების ბელადის — ლენინის და მისი ცოლის, ნადეჟდა კრუპსკაიას საქორწინო ბეჭდები სპილენძის ხუთკაპიკიანისაგან იყო გამოჭედილი.

❖ როცა ინგლისის სამეფო გვირგვინის მემკვიდრე პრინცი ჩარლზი კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობდა, მასთან ერთად ლექციებს ესწრებოდა მისი პირადი მცველიც, რომელმაც, კემბრიჯის უნივერსიტეტის კანონების თანახმად, ჩააბარა სადიპლომო გამოცდები, პრინცზე მეტი ქულაც მოიპოვა და დიპლომიც აიღო.

❖ მაროკოელ სულთან ისმაილს მსოფლიოში ყველაზე ბევრი შვილი ჰყავს — 548 ბიჭი და 340 გოგო.

Cyan Magenta Yellow Black

ყველაფერი გამოგვივა! – როგორ მოვიქცეთ, როცა გვაკვირდებიან

ალბათ არაერთხელ გინახავთ, ნანატრ ოლიმპიალაზე როგორ ჩაფლავებულან ფიგურისტები, რომლებიც რთულ ილეთებს ყოველთვის წარმატებით ასრულებდნენ. ან კიდევ, როგორც წესი, საფირმო კერძი სწორედ მაშინ არ გამოგვდის, როდესაც ფრიად პატივსაცემ სტუმრებს ველოდებით...

მსგავს გამოვლინებებს ფსიქოლოგიაში ვიზიტ-ეფექტს ანუ თანდასწრების ეფექტს უწოდებენ. შეიძლება თუ არა ამ გამოვლენის დაძლევა და შეუცდომლად მოქმედება იმის გამო, რომ ჩვენგან ყველა ბრწყინვალე წარმატებას ელის? სრულიად დასაშვებია.

პეიფექციონიზმის თამაში

ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ იმის შიში, სხვების თვალში სასაცილო, უცნაური, დამარცხებული არ აღმოჩნდეს, უბრალოდ აშეშებს და ელემენტარულის შესრულების უნარს ართმევს.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი საქმის ხელოვანი ხართ, რომელსაც სხვებს ასწავლით. რასაც აკეთებთ, კარგად კი არა, საუკეთესოდ გამოგდით.

ეითი მსახიობის თეატრი

თუ უბრალო და იოლი საქმე მაყურებლის წინაშე არ გამოგდით, მის შესრულებაზე სწორედ გარშემომყოფების დაჟინებული ყურადღების ქვეშ ივარჯიშეთ.

თავისთავად ცხადია, სტუმრებს იმისთვის არ მოიწვევთ, რომ მათი თანდასწრებით „ნაპოლეონი“ ოცჯერ გამოაცხოთ. სამაგიეროდ, მისი მომზადებისას პროცესის დემონსტრირების გათამაშება შეგიძლიათ. წარმოიდგინეთ, რომ სატელევიზიო კულინარიულ შოუში მონაწილეობთ, სადაც მილიონიანი აუდიტორიის წინაშე ყოველ თქვენს ნაბიჯზე კომენტარის გაკეთება გიწევთ. ეცადეთ, როლში მაქსიმალურად შეხვიდეთ, რათა მსგავსი რეალური სიტუაცია თქვენთვის ნაცნობი იყოს.

ღუზას ვუშვებთ

გაიხსენეთ შეგრძნება, როდესაც მოცემული საქმე წარმატებით შეასრულეთ ან მშვიდ ვითარებაში სპეციალურად ასრულებთ. დაიმახსოვრეთ ბრწყინვალე შედეგით განმტკიცებული თავის რწმენა და სიხარულის განცდა (ეს არის თქვენი „ღუზა“). თუ მდიდარი ფანტაზია გაქვთ, ეს ემოციები ყოველთვის რაიმე სახით, ფორმით წარმოიდგინეთ, როდესაც იმავეს შესრულება ისევ მოგიწევთ. ხოლო, თუ წარმოსახვის უნართან პრობლემები გაქვთ, ე.წ. სიტუაციური თილისმა შეიძინეთ. ეს შეიძლება იყოს ყველაფერი, რაც გნებავთ. მათ რიცხვში ინსტრუმენტი, „ლამაზი ნემსი“, ან, ვთქვათ, „ბედნიერი“ ფეხსაცმელი, რომლის ჩაცმას თქვენთვის ყოველთვის წარმატება მოაქვს.

აბსტრაქცია

თუ რაღაც საქმის შესრულებისას ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, ეცადეთ, მიმდინარე მოვლენები უგულებელყოთ.

შეწყვიტეთ ნერვიულობა და წუხილი („ყველა მე მიყურებს!“, „ახლა ყველა დაინახავს ჩემს ჩაფლავებას!“), ასევე თავზე ცუდის მიწერა-მიზიდვა („ახლა, როგორც ყოველთვის, არაფერი გამომივა ან ყველაფერი უწესოდ მოხდება!“). სიმშვიდე შეინარჩუნეთ. რასაც აკეთებთ, მხოლოდ თქვენთვის აკეთებთ და არა იმისთვის, რომ შეგაფასონ.

გულახდილობა

სანამ გარშემომყოფების თვალწინ რთულ მანევრს შეუდგებით, გულწრფელად აღიარეთ: „ძალიან ვღელავ. როგორც წესი, კარგად არ გამომდის, როდესაც ვიღაც მიყურებს, მისმენს ან შედეგს ელოდება“. ნახავთ, გაგიგებენ და მხარსაც დაგიჭერენ. ხოლო, როდესაც ადამიანი დახმარებას გრძნობს, მას მეორე სუნთქვა ეხსნება, იდეები თავისით ჩნდება და საქმეც ეწყობა, ლაგდება. არ მოგერიდოთ თქვენი მღელვარების აღიარების და მაშინ არაფერზე მოგიწევთ ნერვიულობა.

მტკიცებულებები

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომლებსაც ეთანხმებით და აუცილებლობის შემთხვევაში თქვენთვის გულში ან ხმამაღლა წარმოთქვით.

„ყველაფერი შესანიშნავად გამომივა, თუნდაც მთელმა მსოფლიომ მიცქიროს!“.

„საშინელი არაფერი მოხდება, თუ რაღაც არ გამომივა“.

„ყველას აქვს შეცდომის დაშვების უფლება და მისი გამოსწორების შესაძლებლობა“.

„ადამიანების ყურადღება დამატებითი სტიმულია იმისთვის, რომ ყველაფერი შესანიშნავად გააკეთო“.

„არაფერზე ვინერვიულებ, ვინაიდან ამ საქმეში პროფესიონალი ვარ და მაშინაც კი, თუ რაღაც ისე ვერ მოხდება, ამ სიტუაციიდან გამოსვლას ადვილად შევძლებ“.

რატომ ვეხმარებით სხვებს

დღეს ქველმოქმედება მოდაშია. ყოველწლიურად იზრდება ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა ფონდების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ. დახმარებას ესწრაფიან არამხოლოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ასევე უბრალო ადამიანები. რა უბიძგებთ ამისაკენ?

ადამიანი სოციალური არსებაა და გარშემომყოფთა დახმარება სისხლში გვაქვს. ასე რომ, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ერთხელ მაინც ჩაიდინა ქველმოქმედება.

კეთილი საქმის მოტივები

პროფესიონალი ქველმოქმედები იმათზე შესამჩნევად ცოტაა, ვინც ამას ეპიზოდურად აკეთებს. რა აიძულებთ მეცენატებს, ფილანტროპია თავიანთი ცხოვრების ნაწილად აქციონ? პასუხი მარტივია.

1. რეპუტაცია. ქველმოქმედება კეთილი და პატიოსანი ადამიანის აუცილებელი იმიჯის შექმნაში ეხმარებათ. პიროვნებები, რომლებსაც მილიონების შეწირვა შეუძლიათ, ასეთ იმიჯს ხშირად საჭიროებენ. ასე რომ, მათთვის პროფესიული ქველმოქმედება არსებითად საკუთარ ბრენდში ჩადებული ინვესტიციაა.

2. თვითშეფასება. გვსურს, ვიყოთ კარგები არა იმდენად გარშემომყოფთა თვალში, რამდენადაც საკუთარში. იმის გაგება, რომ სწორად მოვიქეცით, განწყობას აუმჯობესებს, ვინაიდან თავს პატივისცემის ღირსად ვთვლით.

3. დანაშაულის გრძნობა. ყოველთვის როდი გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ცუდი ქცევები გამოვასწოროთ, ცხოვრებაში კი ბევრია ისეთი, რაზეც ვნანობთ. ასეთ სიტუაციაში ქველმოქმედება კარგი საშუალებაა თავის პატივისცემის აღსადგენად და საკუთარი მარცხის კეთილი საქმეებით კომპენსირებისთვის. ცნობილია შემთხვევები, როდესაც მკვლელები და მოძალადეები თავგამოდებული ქველმოქმედნი ხდებიან.

4. საკუთარი ტკივილი. პრობლემებში ზედმეტად ჩაღრმავება ბევრისთვის ნიშანდობლივი თვისებაა. ხშირად საკუთარი ფიქრებით თავს დეპრესიაში ვიგდებთ. საოცარია, მაგრამ სხვისი პრობლემები საკუთარის დავიწყებაში გვეხმარება.

5. ეკონომია. ნუ გაგიკვირდებათ. დიახ, არსებობენ ასეთი ანგარებიანი „დამხმარეებიც“. მათ მიერ საჩუქრად გაცემულმა თანხამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს გადასახადი. ასე რომ, აფრიკელი ბავშვებისთვის გაღებული მილიონები მეცენატს საშუალებას აძლევს, თვითმფრინავიც კი შეიძინოს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

დახმარება ნაწოლების დროს

ამწუხაროდ, მწოლიარე ავადმყოფებში ნაწოლები (წყლულები) ხშირად გვხვდება. ის თითქმის ყოველთვის ჩნდება, თუ ყოველდღიურ ჰიგიენას საჭირო ყურადღებას არ დაუთმობთ. მუდმივი წოლისგან ქსოვილებში სისხლის მიმოქცევა ირღვევა, რასაც შეუძლია, სხეულის სხვადასხვა ნაწილების კვდომაც კი გამოიწვიოს.

ნაწოლების მკურნალობა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მათი თავიდან აცილება. ნაწოლებთან ბრძოლის საკმაოდ ეფექტური მეთოდები და ხალხური საშუალებები არსებობს. ისინი მწოლიარე ავადმყოფს ეხმარებიან, თავი უფრო კომფორტულად იგრძნოს.

პირველ რიგში, განუხრელად უნდა დაიცვათ ავადმყოფის მოვლის წესები. რეგულარულად შეუცვალეთ სხეულს მდგომარეობა, მასაჟი გაუკეთეთ და დაზილეთ.

თეთრეული და საცვლები რბილი ქსოვილის უნდა იყოს, საკერებლების, ღილებისა და უხეში ნაკერების გარეშე. ასევე საჭიროა კანის დამუშავება ქსოვილებში მიკროცირკულაციის გამაუმჯობესებელი შემადგენლობით.

1. პროფილაქტიკისა და უკვე გაჩენილი ნაწოლების სამკურნალოდ ჩვეულებრივ გამოიყენება ქაფურის სპირტი, 5-10%-იანი მანგანუმის ზეჟანგის ხსნარი, ასევე კალენდულას ყვავილების ნაყენი.

2. კანის ანთების გასაქრობად და წყლულების მოსაშუშებლად რეკომენდებულია მუხის ქერქის, თავსისხლას, კულმუხოს ნახარში. მომზადების წესი: 2 სუფრის კოვზი ნედლეული 0,5 ლიტრ წყალში 15 წუთი ადუღეთ. 2 საათი დადგით, გაწურეთ. გამოიყენეთ სველი საფენების სახით და მოსაბანად.

3. თუ ნაწოლები დიდხანს არ შუშდება, მაშინ ქაცვის, ასკილის თესლები ან მცენარე კრაზანას სამკურნალო ზეთები მოსინჯეთ. დაზიანებულ ადგილებს დღეში 3-4-ჯერ წაუსვით.

4. სასარგებლოა კანის პრობლემური ნაწილების კვარცის ლამპით დასხივება.

შეიყვარეთ გაღივებული მარცვლები

20 წლის წინ გაღივებული მარცვლებითა და მათი ღივით მკურნალობა მეტად პოპულარული იყო, მაგრამ ის ტალღა მინელდა და სულ ტყუილუბრალოდ. გამაჯანსაღებელი კურსის პერიოდულად ჩატარება მთელ ორგანიზმს სასარგებლოდ წაადგება.

გაღივებულ ხორბალს აშკარად გამოხატული სამკურნალო თვისებები გააჩნია. მისი დახმარებით ორგანიზმის ისეთი კუნჭულები სუფთავდება, რომლებსაც სხვა საშუალებებით ვერ მიუდგებით.

ლობიოს ღივი ბევრ კალიუმს შეიცავს, ამიტომ ათეროსკლეროზისა და გულის რიტმის დარღვევების დროს იყენებენ.

გაღივებული პარკოსნები შესანიშნავი შარდმდენი საშუალებაა.

ჭვავი და მისი ღივი სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტის დროს — ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაციას ეხმარება, ასევე ორგანიზმიდან ტოქსინები გამოაქვს.

გაღივებული სოია ტვინის ფუნქციას აუმჯობესებს, გაღიზიანებას ხსნის და ძილს აწესრიგებს.

სიმინდის ღივი კიბოს უჯრედების ზრდას აბრკოლებს.

გაღივებულ წიწიბურას ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს პოლიართრიტის, ლიმფური სისტემის დაავადებების დროს.

როგორ დავამშვიდოთ გული

თუ გული რიტმიდან მუდამ ამოვარდნილია, პირველ რიგში, საჭიროა ამის ხელშემწყობი დაავადებების მკურნალობა. ასეთ სნეულებებს მიეკუთვნება კარდიოსკლეროზი, რევმატიზმი, ნევროზი, შაქრიანი დიაბეტი და სხვა. ხალხური მედიცინის არსენალში ბევრი ეფექტური საშუალებაა, რომლებიც გულის რიტმის გათანაბრებას ხელს უწყობენ და გულის კუნთს ამაგრებენ.

კუნელის ყვავილების ნაყენი (სააფთიაქო პრეპარატი) გამოიყენება ტაქიკარდიის (გულისცემის აჩქარება) დროს, 30-40 წვეთი დღეში 3-ჯერ.

ტაქიკარდიის, გულის მიდამოში ტკივილისა და დისკომფორტისგან გასათავისუფლებლად ერთ-ერთი ნაცადი საშუალება ადონისის (ცხვირისტეხელა) ნახარშია. მომზადების წესი: 300 მლ წყალი ადუღებამდე მიჰყავთ, 1 სუფრის კოვზ გამხმარ ბალახს უმატებენ, 3 წუთი დაბალ ცეცხლზე ადუღებენ, 20 წუთი დგამენ და წურავენ. 1 სუფრის კოვზს დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე იღებენ. მკურნალობენ კურსობით, არაუმეტეს 12-14 დღე.

გახშირებული გულისცემის დროს კარგი სამკურნალო საშუალებაა წნორის ყვავილედის ნაყენი. 2 სუფრის კოვზ გამხმარ ნედლეულს თერმოსში ათავსებენ, 300 მლ მდუღარეს ასხამენ, 1 საათი დგამენ, შემდეგ წურავენ. 1 სუფრის კოვზს დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე იღებენ. მკურნალობის კურსი 2 კვირაა. შესვენება 1 კვირა.

გულის დამამშვიდებელი ძლიერი საშუალებაა ტყის დედაფუტკარას ნაყენი. მომზადების წესი: 1 სუფრის კოვზ გამხმარ ბალახს 300 მლ მდუღარეს ასხამენ, 1 საათი აჩერებენ და წურავენ. 1 სუფრის კოვზ ნაყენს დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე იღებენ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

პირიდან ცუდი სუნის მიზეზი აღმოჩენილია



სტომატოლოგების, მიკრობიოლოგებისა და ფიზიოლოგების ერთობლივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პირიდან ცუდი სუნის მიზეზი შემთხვევათა 90%-ში ენაა, რომელიც ბაქტერიების ვრცელი ინკუბატორია. შემდეგ მოდის პირის ღრუს სიმშრალე, მედიკამენტები, კბილების და ზოგიერთი დაავადება (მაგალითად, შაქრიანი დიაბეტი).

პირიდან ცუდი სუნის გაქრობის ყველაზე მარტივ საშუალებად მიჩნეულია ჩვეულებრივი ჰიგიენა: კბილებისა და ენის დღეში არანაკლებ 2-ჯერ გაწმენდა და ასევე ანტიბაქტერიული ელექსირის გამოვლება.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

64 წლის ქალმა კუბიდან ფლორიდამდე გაცურა

64 წლის ამერიკელმა დაიანა ნაიადმა ფლორიდის სრუტე 53 საათში გადაცურა. ის პირველია, ვინც კუბიდან ფლორიდამდე 177 კილომეტრიანი მანძილი ზვიგენებისაგან დამცავი მოწყობილობის გარეშე დაფარა.

რეკორდსმენ ქალს ნავით 35 კაციანი გუნდი აცილებდა. დაიანამ მანამდე 4-ჯერ სცადა ამ დისტანციის დაფარვა, მაგრამ უშედეგოდ. მოცურავეს ფლორიდის სანაპიროზე ასობით ქომაგი დახვდა, მოგვიანებით კი გამარჯვება აშშ-ის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამაც მიულოცა.

11 კილოიანი ჰამბუჩგეჩი

ლონდონის ერთ-ერთი რესტორნის მფლობელებმა, დეივ კოსარმა და ჯასტინ მინიმ, მზარეულებს ბრიტანეთში ყველაზე დიდ ჰამბურგერი დაამზადებინეს. 11 კილოგრამიანი ჰამბურგერი 25 000 კალორიას შეიცავს.

ექვსმა პროფესიონალმა მზარეულმა ყველაზე დიდი ჰამბურგერი რესტორნის გახსნის წლისთავს მიუძღვნა. მის მოსამზადებლად ზუსტად 150 ფუნტის ღირებულების ინგრედიენტები გამოიყენეს. დეივი და ჯასტინი ყველაზე დიდი ჰამბურგერით რესტორნის მუდმივ კლიენტებს გაუმასპინძლდნენ.

მსოფლიოში ყველაზე პატარა პილოტი 5 წლისაა

გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე პატარა პილოტი 5 წლის ჩინელი ბიჭუნა, ხე იდე, მეტსახელად დოდო გახდა. მას, როგორც პილოტს, გამოცდა ქალაქ ნანკინის ზოოპარკის თავზე მოუწყვეს. ბიჭუნა თვითმფრინავს 35 წუთის განმავლობაში ინსტრუქტორის დაუხმარებლად მართავდა.

მამამ 5 წლის დოდოსათვის პროფესიონალი მწვრთნელი აიყვანა, რომელსაც 5000 დოლარი გადაუხადა. მამის განმარტებით, პატარას სასურველი შედეგის მისაღწევად საკმაოდ დიდი შრომა დასჭირდა.

ოჯახმა ჩაძირული განძი აღმოაჩინა

შმიტების ოჯახმა ფლორიდის სანაპიროზე 300.000 დოლარის ღირებულების ოქროს მონეტები და სხვა ნივთები აღმოაჩინა. განძი მე-18 საუკუნით თარიღდება და ის ესპანურ გემზე იყო, რომელიც 300 წლის წინ ჩაიძირა.

ისტორიული მონაცემებით ცნობილია, რომ გემზე 4,5 მილიონი დოლარის ღირებულების ოქრო ინახებოდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ნაწილია აღმოჩენილი.

რიკ შმიტი და მისი მეუღლე, ლიზა, ორ შვილთან ერთად წლებია, განძის ძიებით არიან დაკავებულები. ფლორიდის შტატის კანონმდებლობის მიხედვით, ისტორიული განძის 20% შტატის ხელისუფლებას გადაეცემა და სხვადასხვა მუზეუმებში გადანაწილდება, დანარჩენი 80% კი შმიტებს დარჩებათ.

ოქრო ქოლესტერინის ნაცვლად

ჩვენ ადრე ვწერდით, რომ დუბაიში დაიწყო აქცია „ოქრო ქოლესტერინის ნაცვლად“, რომელიც დღესაც წარმატებით მიმდინარეობს. ჭარბწონიანი ადამიანების დაჯილდოების პირველი ცერემონიაც უკვე გაიმართა და ის რამაზანს დაემთხვა. სამ გამარჯვებულს, რომლებმაც ერთი თვის განმავლობაში ყველაზე მეტი დაიკლეს წონაში, 6 ათასი დოლარი ღირებულების ოქროს მონეტები გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ დუბაის გამგეობის ეს აქცია მართლაც ეფექტური აღმოჩნდა — ბევრმა, ვინც მანამდე ჯანმრთელობას ყურადღებას არ აქცევდა, დიეტის დაცვა და ვარჯიში დაიწყო.

ბრმა ბაიკერმა რეკორდი დაამყარა

შოტლანდიელი მოტოციკლისტი სტიუარტ განი 11 წლის წინ საშინელ ავარიაში მოყვა და წელს ქვემოთ მოწყდა. სტიუარტი ეტლში ჯდომას ვერ შეეგუა და შეუპოვრად იტარებდა ჯანმრთელობის აღსადგენ სამკურნალო პროცედურებს. წლების შემდეგ შედეგსაც მიაღწია და ისევ მოტოციკლს მოაჯდა.

სამწუხაროდ, ერთი წლის წინ სტიუარტი სრულიად დაბრმავდა. საკვირველი კი ის გახლავთ, რომ ცოტა ხნის წინ მან „მოტოციკლის ყველაზე სწრაფი ბრმა მძღოლის“ ტიტული მოიპოვა. ბაიკერმა 267,4 კმ/სთ განავითარა, რაც მსოფლიო მასშტაბით რეკორდული მაჩვენებელია.

Cyan Magenta Yellow Black

8 წელი მამლის სიკვდილის მოლოდინში

ბრიტანეთში, ბერკშირის საგრაფოში მცხოვრები ფერმერი ქალი, 38 წლის კლერ ლენონი იძულებულია, 8 წელიწადი ელოდოს მამლის სიკვდილს, რომელმაც მას ბრილიანტისთვლიანი საყურე ჩამოგლიჯა და გადაყლაპა. ეს ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ქალმა მამალი სურათის გადასაღებად მხარზე შემოისვა.

საყურის ღირებულება 300 ფუნტია. კლერი მზად იყო, ფრინველი დაეკლა, მაგრამ მისმა 6 წლის გოგონამ, მიამ, ამაზე სასტიკი უარი განაცხადა.

ფერმერმა დახმარებისათვის ვეტერინარს მიმართა, რომელმაც აუწყა, რომ მამალი ოპერაციას ვერ გადაიტანდა. მისივე მტკიცებით, ფრინველმა შეიძლება 8 წელი იცოცხლოს. ეს დიდი დროა, მით უმეტეს, შეიძლება მამალი ბრილიანტისთვლიან საყურესთან ერთად დაიკარგოს კიდეც, მაგრამ შვილის გამო ფერმერი მზადაა, მამალი არ დაკლას და მის ბუნებრივ სიკვდილს დაელოდოს.

ყველაზე საშიში ატრაქციონი

ნიუ ჯერსის გასართობ პარკში 2014 წელს მსოფლიოში ყველაზე მაღალ და ამავდროულად ყველაზე საშიშ ატრაქციონს გახსნიან. მისი სიმაღლე 126 მეტრი იქნება (დაახლოებით 40 სართულიანი შენობის სიმაღლე). გართობის მოყვარულები ატრაქციონის უმაღლესი წერტილიდან 90 კმ/სთ სიჩქარით დაეშვებიან.

თხა ეტლით გადაადგილდება

ჩინეთის ქალაქ ტიანძინის ზოოპარკის ბინადარი თხა უჩვეულოდ გადაადგილდება. ზოოპარკის ადმინისტრაციამ მისთვის სპეციალური ეტლი შექმნა, რომლის დახმარებითაც ცხოველი მოძრაობს.

საქმე ის გახლავთ, რომ თხამ და ზოოპარკის ბინადარმა პონიმ იჩხუბეს. თხას ხერხემალი დაუზიანდა და წამოდგომასაც კი ვერ ახერხებდა. ჯერჯერობით უცნობია, აპირებს თუ არა ტიანძინის ზოოპარკი ეტლიანი ცხოველის დიდხანს შენახვას.

მოსიყვარულე ქმარმა ცოლს 55 000 კაბა უყიდა

კალიფორნიაში მცხოვრები პოლ ბროკმანის ცოლის, მარგოს განცხადებით, მას მსოფლიოში ყველაზე მოსიყვარულე ქმარი ჰყავს. როგორც გაირკვა, 56 წლიანი თანაცხოვრების განმავლობაში პოლმა საყვარელ ცოლს 55 000 კაბა უყიდა.

ახალგაზრდობაში წყვილი ყოველ კვირადღეს საცეკვაოდ მიდიოდა და მარგოს ყოველ ჯერზე ახალი კაბა ეცვა. ქალი საყიდლებზე არასოდეს დადის, რადგან ქმრის გემოვნებას ბოლომდე ენდობა. პოლის თქმით, მარგოს კოლექციაში ყველაზე ძვირადღირებული კაბა 300 დოლარიანია. ამ 55 000 კაბიდან ზოგიერთი მარგოს დღემდე არ ჩაუცვამს.

ჯაცს ბარბის 6000 თოჯინა აქვს

სინგაპურელი ჩენ იენია ბარბის თოჯინების მსოფლიოში უდიდესი კოლექციის მფლობელია. ჩენს თოჯინების შეგროვება საკმაოდ დიდი თანხა უჯდება, მაგრამ არ ნანობს.

თავისი კოლექციის გამო მამაკაცს პირად ცხოვრებაშიც შეექმნა პრობლემები — მისმა არც ერთმა მეგობარმა გოგონამ არ ისურვა ამდენ თოჯინასთან ერთად ცხოვრება, მაგრამ ბარბის თაყვანისმცემელი გატაცებაზე უარს არ ამბობს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 6000 თოჯინა აქვს, შეჩერებას არ აპირებს და კოლექციის გაზრდას გეგმავს.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კოლეგები ამრეზით ხომ არ გიყურებენ?

1. ბანკეტზე შეფის გვერდით დაჯდებით თუ ნებისმიერთან?
ა) შეფის გვერდით — 5
ბ) ბანკეტებზე სიარული არ მიყვარს — 0
გ) ვისთანაც მოვხვდები, იმასთან დავჯდები — 7

2. დავალებები ერთდროულად მოგცათ უშუალო უფროსმაც და ორგანიზაციის შეფმაც, როგორ მოიქცევით?
ა) თანამიმდევრობით გავაკეთებ — 0
ბ) შეფს მოვეთათბირები — 7
გ) შევეცდები, დავალებას თავი ავარიდო — 3

3. როგორ მოიქცევით, თუ საქმეს საჭირო დროში ვერ ამთავრებთ?
ა) ხელმძღვანელობას შევატყობინებ — 7
ბ) ღამეებს გავათენებ და მაინც მოვასწრებ — 3
გ) არ ვინერვიულებ — 0

4. რას მოიმოქმედებთ, თუ კოლეგასთან კონფლიქტი მოგივიდათ?
ა) სამუდამოდ გავებუტები — 3
ბ) ყურადღებას არ მივაქცევ — 7
გ) შევეცდები, ურთიერთობა გავარკვიო და კონფლიქტი მოვაგვარო — 0

5. რას იზამთ, თუ გაიგეთ, რომ დირექტორსა და მის მდივანს შორის რომანია?
ა) კოლეგებს მოვუყვები — 0
ბ) საიდუმლოდ შევინახავ — 3
გ) ყურადღებას არ მივაქცევ, ეს ჩემი საქმე არაა — 7

6. თქვენი აზრით, რა არის აუცილებელი წარმატებული კარიერისთვის?
ა) შრომა, ცოდნა და ინტელექტი — 7
ბ) გავლენიანი მფარველი — 2
გ) პირადი შარმი — 1

7. რა თემაზე ესაუბრებით კოლეგებს?
ა) ოჯახურ პრობლემებზე — 3
ბ) ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე — 0
გ) პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე... — 7

8. ახალ სამსახურში მკაცრი დრესკოდია, როგორ მოიქცევით?
ა) გავარკვევ, ეს მართლა აუცილებელია თუ არა — 7
ბ) წესებს დავემორჩილები — 3
გ) ყურადღებას არ მივაქცევ და ისე ვივლი, როგორც მომწონს — 0

9. ფირმა, სადაც მუშაობთ, კოტრდება, რას იზამთ?
ა) მუშაობას ჩვეულებრივად გავაგრძელებ — 0
ბ) ფირმის მომავალზე დავიწყებ ზრუნვას — 7
გ) ახალი სამსახურის ძებნას დავიწყებ — 3

10. როგორ მოიქცევით, თუ უფროსმა თქვენი ნამუშევარი დაიწუნა, თანაც არაფერი განგიმარტათ?
ა) მიზეზს კოლეგებს შევეკითხები, იქნებ მათ იცოდნენ რამე — 3
ბ) უფროსს დაჟინებით მოსთხოვთ, მიზეზი აგიხსნათ — 7
გ) არაფერსაც არ იზამთ — 0

შედეგები:

1-21 ქულა — საქმიან ეტიკეტს კარგად ვერ ფლობთ. თავშეუკავებელი ხართ და ჭირვეული ბავშვივით იქცევით. ამის გამო ბევრ კოლეგას გულზე არ ეხატებით.

22-48 ქულა — კოლეგებთან ურთიერთობისას საჭირო ტონის პოვნას ახერხებთ. ხშირად საქმიან ურთიერთობებს მეგობრულით ანაცვლებთ. რთულ სიტუაციაში კი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებთ, რაც ეგოისტის იმიჯს გიქმნით. ამის გამო ზოგი კოლეგა ამრეზით გიყურებთ.

49-70 ქულა — ყოველთვის ღირსეულად იქცევით. პირდაპირიცხართ და დელიკატურიც. თქვენი ტაქტის წყალობით, კოლეგები მაშინაც კი პატივისცემით გეპყრობიან, როცა მათ შენიშვნას აძლევთ. ჭორებს ყურადღებას არ აქცევთ. არაჩვეულებრივი სპეციალისტი და ადამიანი ბრძანდებით.

ალერგია ხომ არ მოგეპარათ?

1. ოჯახში ალერგიული ადამიანები გყავთ?
ა) მშობლები — 6
ბ) მხოლოდ დედა (ან მამა) — 4
გ) ნათესავები — 2
დ) არა — 0

2. გაწუხებთ სურდო, ცხვირიდან გამონადენი ხომ არ გაქვთ?

ა) ხშირად — 6
ბ) გაზაფხულზე ან ზაფხულში — 4
გ) წელიწადის ცივ პერიოდებში — 2
დ) არა — 0

3. ცხვირით სუნთქვა გიჭირთ?
ა) არა — 0
ბ) დიახ — 2

4. ცემინების შეტევები აღგენიშნებათ?
ა) დიახ, განსაკუთრებით დახურულ სივრცეში — 4
ბ) გაზაფხულსა და ზაფხულში ან სუფთა ჰაერზე ყოფნისას — 2
გ) თითქმის არასოდეს — 0

5. კონიუნქტივიტი ხშირად გაწუხებთ, კაშკაშა სინათლის მიმართ მგრძნობიარე ხართ?
ა) დიახ — 4
ბ) გაზაფხულსა და ზაფხულზე — 2
გ) არა — 0

6. შინაურ ცხოველებთან კონტაქტის შემდეგ დისკომფორტის შეგრძნება გაქვთ?
ა) არა — 0
ბ) დიახ — 4

7. რომელიმე საკვები პროდუქტის მიმართ ზემგრძნობიარე ხომ არ ხართ?
ა) არა — 0
ბ) ხანდახან — 2
გ) დიახ — 4

შედეგები:

0-6 ქულა — ალერგიისადმი მიდრეკილ ადამიანთა კატეგორიას არ მიეკუთვნებით, მაგრამ, თუ ტესტის პირველ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გაეცით, გამორიცხული არ არის, რომ თქვენი ორგანიზმი ალერგიისადმი წინასწარგანწყობილი იყოს. ასეთ შემთხვევაში ალერგენების შემოტევამ შესაძლოა გართულებები გამოიწვიოს.

7-12 ქულა — ალერგიის განვითარების რისკი მაღალი გაქვთ. აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება, რომელ საკვებ პროდუქტზე გაქვთ მომატებული მგრძნობელობა და რომელი გაძლევთ ალერგიას. ისინი რაციონიდან აუცილებლად უნდა გამორიცხოთ.

12 ქულაზე მეტი — ალერგია სერიოზულად გაწუხებთ. თუ აქამდე არ მიგიმართავთ ექიმისათვის, დროა, სასწრაფოდ დაუკავშირდეთ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

	3		6				7	
1					9			4
		5			2	9		
		7		3				
	8	9			6	1		
6			5	7				9
	2		8			5		
		1			7		8	3
	4							2

№ 2

3					6			8
	4			1			7	
		5	2			9		
7							9	2
	8			5		3		
		9	7		4			1
		7		2	9			
	6				3		5	
1			8					4

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

ადვილია თქვენი შეშინება?

1. სახლში მარტო ხართ და უცებ გაურკვეველი ხმაური გესმით, რას მოიმოქმედებთ?

ა) იქ მიხვალთ, საიდანაც ხმაური შემოგესმათ და გაარკვევთ, რა ხდება — 2

ბ) ხმაურს ყურადღებას არ მიაქცევთ — 1

გ) მაშინვე ტელეფონით დახმარებას ითხოვთ — 3

2. გვიან ღამით სახლში ბრუნდებით, გრძნობთ, რომ ვიღაც უკან მოგყვებათ, როგორ მოიქცევით?

ა) ნაბიჯს შეანელებთ და დაიცდით, სანამ უცნობი გაივლის — 1

ბ) ნაბიჯს აუჩქარებთ, რათა სადარბაზოში სწრაფად შეხვიდეთ — 3

გ) ახლომდებარე მაღაზიაში შეხვალთ, სადაც ხალხმრავლობაა — 2

3. ამბობენ, შავი კატის გადარბენა ცუდს ნიშნავსო, ეთანხმებით ამ აზრს?

ა) დიახ — 3

ბ) სისულელეა — 2

გ) მინიშნებებს ყოველთვის აქცევთ ყურადღებას — 1

4. რა შეგრძნება გაქვთ ექიმთან მისვლის წინ?

ა) ვღელავ, რას მეტყვის ექიმი, ცუდი რამე არ მჭირდეს — 3

ბ) რაც მოსახდენია, აუცილებლად მოხდება — 2

გ) ექიმთან თამამად მიხვალთ და გაესაუბრებით — 1

5. ჯუნგლებში სამოგზაუროდ წასვლა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?

ა) ზღვაზე წასვლა გირჩევნიათ — 2

ბ) თუ კარგი კომპანიაა, რატომაც არა? — 1

გ) უარს იტყვით, ასეთი ეგზოტიკური ადგილები არ გსიამოვნებთ — 3

6. დაძინებამდე...

ა) აანალიზებთ გასული დღის მოვლენებს — 2

ბ) ნატრობთ, სასიამოვნო სიზმარი ნახოთ — 1

გ) სახლში გულდასმით შეამოწმებთ ყველაფერს — 3

7. რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ტელევიზიიდან ავიაკატასტროფის შესახებ ინფორმაციას იგებთ?

ა) გიხარიათ, რომ იმ თვითმფრინავში თქვენ არ იჯექით — 3

ბ) დაღუპულები გეცოდებათ — 1

გ) საშინლად განიცდით — 2

შედეგები:

7-11 ქულა — გირჩევნიათ, ცხოვრებას მხიარულ ფერებში უყუროთ. უშიშარი ბრძანდებით, მაგრამ, გახსოვდეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ცოტა წინდახედულების გამოჩენა არ გაწყენთ.

12-16 ქულა — ემოციებს მშვენივრად აკონტროლებთ. უსიამოვნებები თქვენზე ზეგავლენას არ ახდენს. ახლობლები და ნაცნობები რჩევის საკითხავად სწორედ თქვენთან მოდიან.

17-21 ქულა — ფრთხილი ხართ, რადგან ყველაფრის გეშინიათ. კარგად დაფიქრდით, რა დროს ვარდებით პანიკაში და რა გთრგუნავთ. ალბათ ასეთი ზედმეტი სიფრთხილე საჭირო არცაა და ცხოვრებასაც ტყუილად ირთულებთ.

რომელი ქალი ხართ ბანქოს დასტაში?

1. ვინ ხართ ზოდიაქოს ნიშნით?

ა) ვერძი — 4

ბ) კურო — 2

გ) ტყუპები — 6

დ) კირჩხიბი — 8

ე) ლომი — 4

ვ) ქალწული — 2

ზ) სასწორი — 6

თ) მორიელი —8

ი) მშვილდოსანი — 4

კ) თხის რქა — 2

ლ) მერწყული — 6

მ) თევზები — 8

2. როგორი ტემპერამენტის ბრძანდებით?

ა) სანგვინიკი — 4

ბ) ქოლერიკი — 2

გ) ფლეგმატიკი — 6

დ) მელანქოლიკი — 8

3. წელიწადის რომელ დროს შეადარებდით თავს?

ა) გაზაფხულს — 4

ბ) ზაფხულს — 2

გ) შემოდგომას — 6

დ) ზამთარს — 8

4. რომელი მხარე ხართ?

ა) დასავლეთი — 2

ბ) აღმოსავლეთი — 4

გ) ჩრდილოეთი — 8

დ) სამხრეთი — 6

5. რისკენ ისწრაფვით?

ა) განათლებისა და კარიერისკენ — 6

ბ) ქველმოქმედებისა და საზოგადოების დახმარებისკენ — 2

გ) დამოუკიდებლობისა და სიამოვნებისკენ — 8

დ) სიყვარულისა და ხელოვნებისკენ — 4

შედეგები:

10-17 ქულა — აგურის ქალი

შუა საუკუნებში საფრანგეთში ბანქოს დასტაში აგურის ქალს ბიბლიური რაქილის სახე ჰქონდა. თანამედროვე სიმბოლიკით ის კეთილშობილების განსახიერებაა. კეთილი და სამართლიანი ბრძანდებით, ყოველგვარ სნობიზმს მოკლებული. ყოველთვის ინარჩუნებთ სიამაყეს და თავდაჭერას, რაც დიდგვაროვანთა ოჯახების წარმომადგენლებს ახასიათებდათ. მეოცნებე ხართ, თქვენი განაწყენება ადვილია. საკუთარი სულის სილამაზეს ყველას როდი აჩვენებთ, მაგრამ თქვენნაირი არასოდეს დარჩება მარტო, თუ ეს თავად არ სურს.

18-25 ქულა — გულის ქალი

შუა საუკუნებში საფრანგეთში ბანქოს დასტაში გულის ქალს ბიბლიური ივდითის სახე ჰქონდა. თანამედროვე სიმბოლიკით კი ის სიყვარულს განასახიერებს. ემოციებითა და გრძნობებით აღსავსე ბრძანდებით. სიყვარულისა და ხელოვნებისთვის ხართ შექმნილი, ყოველ შემთხვევაში, თქვენი ემოციის შადრევანს გონების ძახილით ნამდვილად ვერავინ შეაჩერებს.

26-32 ქულა — ჯვრის ქალი

შუა საუკუნებში საფრანგეთში ბანქოს დასტაში ჯვრის ქალს ძველბერძნული მითების გმირის, არგიას სახე ჰქონდა. თანამედროვე სიმბოლიკით კი ის სიბრძნეს განასახიერებს. თავისუფალი ნატურის, ცოტა ძალაუფლების მოყვარული ქალბატონი ბრძანდებით. თქვენი სიმშვიდე და მოვლენების გვერდიდან ხედვა არასოდეს მოგცემთ უფლებას, ლედი მაკბეტს დაემსგავსოთ. ცივს ნამდვილად ვერ გიწოდებთ, მაგრამ თქვენი გონება ყოველთვის მზადაა, დააცხროს ვნებები და საღად განსჯის უნარი არ დაკარგოს.

33-40 ქულა — ყვავის ქალი

შუა საუკუნებში საფრანგეთში ბანქოს დასტაში ყვავის ქალს ძველბერძნული ქალღმერთის, ათენას სახე ჰქონდა. თანამედროვე სიმბოლიკით კი ის მზაკვარს, ვერაგს განასახიერებს. საშიში ხართ, არასოდეს არავინ იცის, რას უნდა ელოდეს თქვენგან. ის ადამიანი ხართ, ვისი საიდუმლოს ამოცნობა არც ისე ადვილია. არასოდეს კარგავთ საღად განსჯის უნარს და მიწა ფეხქვეშ არასოდეს გეცლებათ, რადგან ინტუიცია და გათვლის უნარი თქვენში იდეალურადაა შერწყმული.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ჯანმრთელობა ცისარტყელას ფერებში

ჯერ კიდევ უძველეს დროში ადამიანებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ფერი გავლენას ახდენს თვითშეგრძნებასა და განწყობაზე. ავიცენა ფერებით მკურნალობდა ჩუტყვავილას, ქუნთრუშას, წითელას და კანის ზოგიერთ დაავადებას. შემონახული წყაროების თანახმად, დედოფალი ნეფერტიტი ნაირფერ კოსმეტიკურ ზეთს იყენებდა. დარწმუნებული იყო, რომ წითელი და მწვანე ფერები მის სილამაზეზე სასიკეთოდ აისახებოდა.

ევროპაში ფერების ზემოქმედების სამკურნალო ეფექტის შესწავლა ფრანგმა ექიმებმა დაიწყეს მე-19 საუკუნის შუა წლებში. დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ფერებით მკურნალობა ევროპასა და ამერიკაში მედიცინის ერთ-ერთი მძლავრად განვითარებადი მიმართულებაა. დიეტოლოგები ავადმყოფებს ფერად მენიუს უნიშნავენ, რათა სასარგებლო ნივთიერებების მაქსიმალური რაოდენობა მიიღონ. ყოველდღიურად საჭიროა განსხვავებული ფერის პროდუქტების ჭამა. რაც უფრო მრავალფეროვანია სადილი, მისგან მით მეტ სარგებლობას მიიღებთ.

წითელი

ტყუილად არ ითვლება ყველაზე ძლიერ და ბიოლოგიურად აქტიურად ცისარტყელას ყველა ფერს შორის. წითელი გულისცემას აჩქარებს, სხეულის ტემპერატურას ამაღლებს, გაცვლით პროცესებს აძლიერებს. სტრესის მოხსნასა და დაღლის დაძლევას ეხმარება. გარდა ამისა, წითელი ფერით წარმატებით მკურნალობენ კანის დაავადებებს (მაგალითად, ეგზემას), ასევე წითელას, ქუნთრუშას და სხვა სნეულებებს, რომლებსაც გამონაყარი ახასიათებთ. მაგრამ ვინც ჰიპერტონიით, ტაქიკარდიით ან მომატებული ნერვული აგზნებადობით იტანჯება, სპეციალისტები ურჩევენ, წითელი ნარინჯისფერით შეცვალონ.

ნარინჯისფერი

ეს ფერი მოდუნებას, დეპრესიას ეწინააღმდეგება, არტერიული წნევის მომატების გარეშე გულის მუშაობას ასტიმულირებს. ნარინჯისფერი გამოიყენება ფილტვების, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, შარდ-სასქესო და ენდოკრინული სისტემების დაავადებების, აგრეთვე უნაყოფობის დროს. ხოლო ალერგიის, ნეიროდერმიტისა და ნერვული აშლილობებისას ნარინჯისფერით სარგებლობა რეკომენდებული არ არის.

ყვითელი

ინტელექტის ფერადაა მიჩნეული. ნერვულ სისტემას ამაგრებს, დაძაბული გონებრივი მუშაობის დროს ყურადღების კონცენტრაციას ეხმარება, დეპრესიული მდგომარეობისა და მელანქოლიის დაძლევას ხელს უწყობს. მეცნიერებმა შენიშნეს, რომ მძიმე ცხოვრებისეულ მომენტებში, ინტუიციის კარნახით, ბევრი რუხ და ყავისფერ სამოსს ემიჯნება და ყვითელზე გადადის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადრე ამ ფერის მიმართ სრულიად გულგრილნი იყვნენ. ყვითელი სასიკეთოდ მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, კუჭსა და ელენთაზე, მაგრამ მეტისმეტად კაშკაშა ყვითელი მავნეა თვალის დაავადებების, ზედა სასუნთქი გზებისა და ნერვული გადაღლის დროს.

მწვანე

მწვანე ჭეშმარიტი ექიმია — გულისა და ფილტვების მუშაობის ჰარმონიზებას ახდენს, თავის ტკივილს ხსნის, ღვიძლის ფუნქციონირებას აუმჯობესებს, სისხლის წნევას აწესრიგებს, ნერვებს ამშვიდებს. ამიტომაა, რომ ტყეში ან მინდორში, ხეებსა და ბალახებს შორის თავს შესანიშნავად ვგრძნობთ. მწვანეს უკუჩვენება პრაქტიკულად არ აქვს და ჯანმთელობაზე მისი სასიკეთო გავლენა ფასდაუდებელია.

ცისფერი

სისხლის წნევის დაწევას ეხმარება, სისხლდენას აჩერებს, იშიასისა და კუჭის წყლულის დროს ტკივილს ამცირებს. ცისფერი შარდის შეუკავებლობის დროს ეხმარება. კარგად მოქმედებს ცენტრალური ნერვული სისტემებისა და ნივთიერებათა ცვლის დაავადებების დროს, გაციებას ამარცხებს და მაღალ ტემპერატურას დაბლა სწევს. მაგრამ, თუ დაბალი წნევა ან ვესტიბულარული აპარატის დაავადებები გაქვთ, ცისფერით გატაცება არ ღირს.

ლურჯი

იმუნურ სისტემას ასტიმულირებს, სისხლძარღვებს ატონიზირებს, დიარეის დაძლევას ეხმარება, ნერვულ სისტემას ადუნებს და ამშვიდებს, გარდა ამისა, ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება აქვს და თვალის დაავადებების დროს ეხმარება. ლურჯ ფერს იყენებენ ვარიკოზული და ტროფიკული წყლულის, ინფიცირებული ჭრილობების, ძვლებისა და სახსრების ტუბერკულოზის, ეგზემის, გამელოტებისა და ფურუნკულოზის სამკურნალოდ. მაგრამ ამ ფერის სიჭარბემ შეიძლება დაღლა და დეპრესია გამოიწვიოს. ჰიპოტონიის (დაბალი წნევა) დროს ლურჯი ფერი ცისფერით ან მწვანით შეცვალეთ.

იასამნისფერი

ტვინის მუშაობას ასტიმულირებს, იმუნიტეტს ამაღლებს და მთელ ორგანიზმზე გამაახალგაზრდავებელ ეფექტს ახდენს. შეუცვლელია ანთებითი პროცესების, კანის დაავადებებისა და ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევების სამკურნალოდ. ამასთან, იასამნისფერი მეტად ცბიერი ფერია. მისმა სიჭარბემ შეიძლება დეპრესია გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ ეს ტონი ბავშვების სამკურნალოდ არ გამოიყენება.

ფერების თერაპია ჩინურად

ამ ქვეყნის მკურნალები ადამიანის შინაგან ორგანოებს გარკვეულ ფერებთან აიგივებენ. მათი წარმოდგენით, ღვიძლი ღია მწვანეა, გული — წითელი, ფილტვები — თეთრი, ხოლო ელენთა და კუჭქვეშა ჯირკვალი — ყვითელი.

აღმოსავლელი ექიმები ირწმუნებიან, რომ ენერგეტიკული ბალანსის დარღვევა ნებისმიერი დაავადების აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზთაგანია. ამ დროს ორგანოები ფერთა ვიბრაციას იცვლიან და მათთვის უჩვეულო ფერს იძენენ. ზოგჯერ ამის დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც შესაძლებელია. მაგალითად, თრომბის წარმოქმნისკენ მიდრეკილების დროს სისხლი მუქდება, ხოლო სისხლნაკლულობის დროს პირიქით, ღია ვარდისფერი ხდება. დაავადებების მიხედვით, ნაღვლის შეფერილობაც იცვლება მუქი მწვანიდან მუქ ყავისფრამდე ან მწვანემდე.

საინტერესო ფაქტი

ფსიქოლოგები თვლიან, რომ განსაზღვრული ფერის მიმართ სიყვარული ადამიანის ხასიათს ავლენს. ფლეგმატიკები თეთრ ფერს ამჯობინებენ, მელანქოლიკები — შავს, სანგვინიკები — წითელს, ქოლერიკები — ყვითელს. მეცნიერთა მტკიცებით, ფერი გავლენას ახდენს არამხოლოდ ფსიქიკაზე, ასევე ფიზიოლოგიაზეც.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

რძე დიაბეტიანებისთვის

ძროხის რძის სარგებლობის შესახებ ყველამ იცის. ინდუსები მას ტყუილად არ უწოდებენ „თეთრ სისხლს“. ეს პროდუქტი პრაქტიკულად ყველა აუცილებელ ნივთიერებას შეიცავს, რაც ორგანიზმს ესაჭიროება. მასში ბევრია კბილებისა და ძვლებისთვის აუცილებელი კალციუმი, ამიტომ რძის პროდუქტები აუცილებელია როგორც პატარების, ასევე უფროსებისთვისაც ოსტეოპოროზისგან თავდასაცავად.

ახლახან ამერიკელმა მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ყოველდღიურად 3-4 ჭიქა რძის დალევა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს 15%-ით ამცირებს. საქმე ისაა, რომ ამ პროდუქტის შემადგენელი კალციუმი დაD ვიტამინი ჰორმონ ინსულინის გამომუშავებაში მონაწილეობს.

Cyan Magenta Yellow Black

გვპასუხობს ექიმი



— ვარ 24 წლის. ორი წელია ყელზე ჯირკვალი გამომეზარდა, არ მტკივა. ხელის დადებისას თითქოს დიდდება. რა ვქნა, ვის მივმართო? შეიძლება სახლის პირობებში მკურნალობა?

— ჯირკვალი ძირითადად ლიმფური ხასიათისაა. მის გადიდებას ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებები იწვევს, მათ შორის — ეს შეიძლება იყოს ანთებითი პროცესიც, ინფექციური და თვითონ ლიმფური კვანძის დაავადებაც. პირველ რიგში, გაიკეთეთ სისხლის საერთო ანალიზი, თუ რაიმე ცვლილება არ გაქვთ, ნუ დამშვიდდებით, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. თვითნებურად ვიტამინების მიღებას არ გირჩევთ.

— პოლინოზი იკურნება?

— პოლინოზი ანუ „თივის ცხელება“ ალერგიული დაავადებაა, რომელსაც სხვადასხვა მცენარის მტვერი იწვევს. იგი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე შეიძლება გაგრძელდეს. პოლინოზის სამკურნალოდ საჭიროა ალერგოლოგს მიმართოთ. დღეს არსებული ანტიალერგიული მედიკამენტები მდგომარეობას აუცილებლად შეგიმსუბუქებთ. თუ სეზონურად მკურნალობას ჩაიტარებთ, შედეგი აუცილებლად გექნებათ.

— სიმსუქნე მემკვიდრული ხასიათისაა?

— ჯერჯერობით არავის აღმოუჩენია სიმსუქნისა და სიგამხდრის გენები. თუმცა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ, თუ მშობელთაგან ერთ-ერთი მსუქანია, 40-50% არსებობს შესაძლებლობა, რომ ბავშვი მსუქანი იქნება, თუ ორივე მშობელი ჭარბწონიანია, ბავშვს სიმსუქნისაკენ 70-80% მიდრეკილება ექნება. გამხდარი მშობლების 7-8%-ს ყავს მსუქანი შვილები. სიმსუქნის ჩამოყალიბებაში ბევრი ფაქტორი იღებს მონაწილეობას. წონის მატების დროს უნდა გაირკვეს მისი გამომწვევი მიზეზი და მკურნალობაც შესაბამისად უნდა ჩატარდეს.

— მაქვს ცხამიანი კანი. მასწავლეს ყურძნის ნიღაბი. მოუხდება თუ არა ჩემს კანს? ვარ 18 წლის.

— ყურძენი კანს ტენს მატებს და შესაბამისად, უფრო ელასტიკურს ხდის. ყურძნის წვენი უხდება თითქმის ყველა ტიპის სახის კანს, მაგრამ მაინც გამომშრალი კანისთვის არის ეფექტური.

— რამდენიმე წელია კანზე გამიჩნდა იარა, რომელიც პერიოდულად შემახსენებს თავს, მექავება, მოფხანას შემდეგ კანი მიღიზიანდება. იარა მხოლოდ ერთ ადგილას მაქვს, მითხრეს, სოკოვანი დაავადებაო, ვიმკურნალე, მაწუხებს ერთი კონკრეტული უბანი.

— უმჯობესია მიმართოთ დერმატოლოგს. შეიძლება თქვენ ნეიროდერმატიტი გჭირთ. ნეიროდერმატიტს ახლავს ქავილი, განაკაწრები, კანის გასქელება, ფერის შეცვლა. იგი ძირითადად ნერვული სისტემის, ენდოკრინოლოგიური დაავადებების, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლისას ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ალერგიულ მდგომარეობას. ნეიროდერმატიტი ძირითადად მუხლქვეშ და იდაყვის ფოსოებში, კისერზე ჩნდება. ქავილი ღამით ძლიერდება. ექიმი-დერმატოლოგი მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად შესაბამის დიეტასაც დაგინიშნავთ.

— შეიძლება თუ არა ფეხმძიმე ქალის ზღვაზე დასვენება?

— შეიძლება, თუ ექიმი ნებას დაგრთავთ, თუ ფეხმძიმობა ნორმალურად მიმდინარეობს. მაგრამ მაინც გირჩევთ, ნუ დაწვებით მზეზე დიდხანს და წყალშიც დიდხანს ნუ გაჩერდებით, რადგან დაფიქსირებულია, რომ ორსულობის ნაადრევი შეწყვეტის მიზეზი ზღვაზე გავრცელებული ინფექციები ხდება.

— რითი ვუმკურნალო რადიკულიტს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღარ შეშაწუხოს.

— პირველ რიგში, დაწექით მაგარ საწოლზე, მიიღეთ ბე ჯგუფის ვიტამინები. არ დაიდოთ ცხელი სათბური მტკივან ადგილზე, ტკივილს გაგიძლიერებთ. ერთმანეთში აურიეთ თაფლი და საავიაციო ნავთი, თანაბარი რაოდენობით (ერთმანეთს მძიმედ ერევა) დაიდეთ მტკივან ადგილზე, შეიხვიეთ ჯერ პერგამენტით, შემდეგ თხელი „ცელოფანს“ პარკი დაიფინეთ და გაიჩერეთ, მინიმუმი, ორი დღე და ღამე. შვებას აუცილებლად იგრძნობთ. ოღონდ ამ დროს უმჯობესია, იწვეთ.

— ყოველდღიურად შეიძლება ვალოკორდინის სმა?

— ვალოკორდინი დამაწყნარებელი, სუსტი სედატიური საშუალებაა. იგი დამაწყნარებლად მოქმედებს მომატებული აგზნების დროს, გულის კუნთის გადატვირთვის დროს. ვალოკორდინი ერთი შეხედვით უწყინარი წვეთებია, მაგრამ მისი მიღება მაინც ექიმის დანიშნულების მიხედვით უნდა მოხდეს. ხანგრძლივი გამოყენებისას შეიძლება პრეპარატის მიმართ დამოკიდებული გახდეთ. არ მიიღოთ ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის მძიმე დარღვევების დროს. ხშირი გამოყენების შემთხვევაში კი შეიძლება ყურადღების მოდუნება გამოიწვიოს, ამიტომ მისი მიღება საჭესთან ყოფნის დროს სასურველი არ არის.

— ჩემს შვილს აღმოაჩნდა კანის სოკოვანი დაავადება, ყველანაირ წესებს ვიცავთ, რომ არ გადმოგვედოს. როგორ უნდა მოხდეს აბაზანის სრული დეზინფექცია, რომ ბოლომდე თავი დავაზღვიოთ?

— კანის სოკოვანი დაავადება გადამდებია, ამიტომ დიდი სიფრთხილე გმართებთ. აბაზანის სადეზინფექციოდ ყველაზე ეფექტურია ერთ-ერთი მარტივი მეთოდი: აბაზანას ყველა ადგილას მოაყარეთ ნებისმიერი სარეცხი საშუალება, შემდეგ ზემოდან ქლორი მოასხით, დატოვეთ ნახევარი საათი, შემდეგ კი უხეში ჯაგრისით მოხეხეთ და გამდინარე წყალი დიდხანს გადაავლეთ.

— ბავშვობიდან მაწუხებს ჯიბლიბო. ზოგჯერ ორივე თვალზე გამომდის. რა ვქნა?

— ჯიბლიბო ყველა ასაკში შეიძლება გაჩნდეს. ქუთუთოს გარკვეულ არეში იჩენს თავს სიწითლე, შემდეგ ვითარდება ჩირქგროვა. ავადმყოფს აწუხებს ქუთუთოს ტკივილი. შეიძლება სხეულის ტემპერატურამ მოიმატოს. არასწორი მკურნალობის შედეგად შეიძლება ინფექცია შორს წავიდეს და გართულდეს. ჯიბლიბოს არ უყვარს მშრალი სითბო, ამიტომ წინათ მტკივან ქუთუთოზე მოხარშულ, ნაჭუჭიან კვერცხს იდებდნენ. საჭიროა სპეციალური მალამოების ხმარება.

— როგორ მოვუვარო მშრალ თმას?

— მშრალი თმა ზოგჯერ ქერტლის გაჩენის მიზეზი ხდება. ზოგი დერმატოლოგი მიიჩნევს, რომ მშრალი თმა კვირაში ერთხელ უნდა დაიბანო, რაც ძალიან შემაწუხებელი ხდება. უმჯობესია, იხმაროთ მშრალი თმისთვის განკუთვნილი სპეციალური შამპუნები და ბალზამები. ორ კვირაში ერთხელ თმაში შეიზილეთ აბუსალათინის ზეთი. ნახევარი საათის შემდეგ ჩვეულებრივი წესით დაიბანეთ.

— რამდენიმე კვირაა შარდვა გაძნელებული მაქვს, რას მირჩევთ?

— გაძნელებული შარდვა თირკმლის ან შარდ-სასქესო გზის დაავადებათა გამოვლენის ნიშანია. უროლოგის კონსულტაცია აუცილებლად დაგჭირდებათ, მანამდე კი დღეში 5-ჯერ ნახევარი ჭიქა ჭარხლის ან სტაფილოს წვენი მიიღეთ რძესთან ერთად.

ნახევარი კილოგრამი ოხრახუში კარგად გარეცხეთ, შემდეგ მდუღარე წყალი გადაავლეთ. ჩააწყვეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და იმდენი რძე დაასხით, რომ ოხრახუში დაიფაროს, წამოადუღეთ რძის გასქელებამდე. დღეში რამდენჯერმე მიიღეთ სუფრის კოვზით.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

სიტყვა-ჯოდი

1	2	3	4	5	6

ღვინო (სვარსულად), ქეიფი (ჟარგონი)

1. ... ბესინჯერი; 2. ხეთების ქალღმერთი; 3. პატარა ზომის კენგურუ; 4. ხვეწნა, ვედრება; 5. სითბოს მოყვარული მარადმწვანე ხე; 6. ტყის მსხალი; 7. ... კატანი; 8. მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი; 9. ბრჭყალი; 10. ჩეხი ტენორი და ლოტბარი, რომელიც ბოლოს საქართველოში მოღვაწეობდა; 11. ლოტოს მსგავსი აზარტული თამაში; 12. „... ერგასის დღე“; 13. უმუნდშტუკო პაპიროსი; 14. მდინარის პირას გამომდინარე წყარო; 15. მტაცებელი ცხოველი; 16. პურის გარეთა სქელი მხარე; 17. ასო ფ-ს სახელი; 18. ბუნებრივი საღებავი; 19. ... გარდნერი; 20. მსგავსება საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს შორის; 21. პატარა წვრილფრთიანი სისხლისმწოველი მწერი; 22. ძველრომაელთა გრძელი, თეთრი წამოსასხამი; 23. ჯადოსნურ ლამპართან დაკავშირებული ზღაპრის პერსონაჟი; 24. გარეული ვირი; 25. მამალი ცხვარი; 26. მღვიმე წყალტუბოს ზონაში; 27. ქართველი ყაჩაღი; 28. საყანედ გაკაფული ტყე; 29. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 30. საშარდე ბუშტის ანთება; 31. უარყოფის ნაწილაკი; 32. მსხლის ჯიში; 33. თასი, საიდანაც საიდუმლო სერობაზე ქრისტე ღვინოს სვამდა; 34. ნატვრისთვალი, რომელსაც თითქოს გველი ინახავს; 35. მიცემითი ბრუნვის თანდებული; 36. ხის ან რკინის წვეტიანი ღერო მწვადის შესაწვავად; 37. შემოკლებული სიტყვა ძველ ხელნაწერებში სათანადო მინიშნებით; 38. ... ფიცჯერალდი; 39. გადამდნარი კარაქი; 40. წონის ერთეული; 41. ბედი; 42. მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპი; 43. უფროსი, მეთაური სვანეთში; 44. სწორი აღქმის დარღვევა; 45. საგნის მონახაზი, კონტური; 46. ფილიპინების დედაქალაქი; 47. წიგნის, რვეულის კიდე, არშია; 48. ქალთა ცეკვა; 49. ყვავილი; 50. ბიბლიური პერსონაჟი; 51. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 52. ვირის ნაშიერი; 53. სვერთველში; 54. სოფელი ლენტეხის რაიონში; 55. ნაზი კოცნა; 56. ქალიშვილო ინგლისურად; 57. ელექტროდენის წინაღობის ერთეული; 58. ... პაჩინო; 59. დახრილობის კუთხის გასაზომი გეოდეზიური იარაღი; 60. ქალიშვილის ან დის ქმარი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოდიანი სკანვორდის პასუხები

1. პური; 2. იარლიყი; 3. ალეკ; 4. კალა; 5. არენა; 6. ალამი; 7. რეტი; 8. ჯოან; 9. მინდია; 10. მარინა; 11. სიესტა; 12. სტოქსი; 13. ენა; 14. აგორა; 15. მანჭკვალა; 16. ლიანა; 17. ნისაგმი; 18. აარე; 19. პანიკა; 20. ომარვა; 21. ნეგო; 2. ლექსო; 23. ერა; 24. იურმალა; 25. ატრია; 26. ეი; 27. ხაჭო; 28. ემუ; 29. გარი; 30. მიაუ; 31. მი; 32. ნურიევი; 33. ქვა; 34. ნანული; 35. ვაიდა. 36. აია; 37. ნესვი; 38. კანიონი; 39. ივ; 40. აგნოზია; 41. რუ; 42. ჭიჭიკო; 43. მყინვარწვერი; 44. ლემა; 45. კივი; 46. ვიგვამი; 47. სენაკი; 48. პიკანტური; 49. რევანში; 50. არვე; 51. აკრი; 52. კარნავალი; 53. თრომბი; 54. ალ; 55. მანგო; 56. პა; 57. პუმა; 58. პლისე; 59. სიმი; 60. ლას; 61. წერილი; 62. მისის; 63. ფრე.**სურათებზე:** კორტნი ოქსი; კაროლინა კასტინგი; ჰიზერ გრემი; სელმა ბლერი.

ჯოდი: ყვანჭი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ჭადრაკის ფიგურა
2. ქოჩრიანი თუთიყუში
3. ჰო, დიახ
4. „... თუთაშხია“
5. ბატონო ინგლისურად
6. მუსიკალური წყობა
7. რაიონული ცენტრი
8. ანგარიშის გასწორება ძალადობით
9. მიჯნა, საზღვარი
10. ... ლონგორია
11. ძმა რუსულად
12. სოფელი რაჭაში
13. ერთეული ვექტორი
14. ხეებით დაფარული ადგილი
15. სისუსტე, უღონობა
16. „და ... მუსიკა“
17. აღმოსავლეთი
18. უნგრელი მსახიობი ქალი
19. სახელმწიფო აზიაში
20. სათათბირო ორგანო
21. იაპონური თეატრი
22. იუპიტერის თანამგზავრი

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ნო; 2. ბუ; 3. სილვანა; 4. კოტიტა; 5. გაი; 6. ეზო; 7. კაა; 8. გარანტია; 9. მიიო; 10. ლისაბონი; 11. „მუმუ“; 12. ოი; 13. სოია; 14. მახვილაძე; 15. ტუბა; 16. სუმო; 17. ტანი; 18. ადაჯო; 19. აგოგიკა; 20. აგა; 21. ეკიუ; 22. უხა; 23. ანანკე; 24. ვა; 25. ლი; 26 ძე. **სურათებზე:** ტიტა. ზამბახი. გვირილა; მიხაკი.

Cyan Magenta Yellow Black

სასარგებლო საკმაზი

ბომიდვრისა და კიტრის ყველაზე ჩვეულებრივი სალათა კულინარიული ხელოვნების შედევრად იქცევა, თუ რაიმე განსაკუთრებულით შეაზავებთ.

ქორფა ხილისა და ბოსტნეულის სეზონზე სალათა ჩვენი ყოველდღიური სუფრის საპატიო სტუმარია. ეს კერძი შეიძლება მომზადდეს ნატურალური საკმაზის გარეშე, თუმცა ხშირად სწორედ ის წარმოაჩენს სალათის ყველა ინგრედიენტის გემოს ახლებურად.

მაიონეზი

სალათების ყველაზე პოპულარული და ამავდროულად მაღალკალორიული საკმაზია. რა აღარ არის მასში: ცხიმი და ნახშირწყლები, საღებავები, დამატკბობლები და ა.შ. ასეთ გემრიელზე უარის თქმა რთულია და მაინც, თქვენს ფიგურასა და კუჭს გაუფრთხილდით. როგორ? არსებობს რამდენიმე საშუალება.

შეიძინეთ მაიონეზი, რომლის ცხიმიანობა 50%-ზე ნაკლებია.

რეცეპტი: 4 კვერცხის გული, 1 სუფრის კოვზი მდოგვი, ცოტა მარილი და პილპილი ათქვიფეთ. მიღებულ ნარევს 150 მლ ზეითუნის ზეთი წვეთობით ნელა დაუმატეთ და სოუსის ათქვეფა გააგრძელეთ. როგორც კი ნარევი შესქელებას დაიწყებს, ზეთი შეგიძლიათ წვრილი ჭავლით ჩაუშვათ. სოუსი ერთგვაროვანი გახდა და ჭურჭლის კედლებს სცილდება? მასში 2 სუფრის კოვზი ღვინის ძმარი (3%-იანი) ჩაუმატეთ და მაიონეზი აურიეთ. დაახლოებით 350 გრამი უნდა გამოვიდეს. გათეთრდება და უფრო თხევადი გახდება. მაიონეზი მაცივარში არაუმეტეს 3 დღე ინახება.

შენიშვნა: კვერცხი და მცენარეული ზეთი ერთნაირი ოთახის ტემპერატურის უნდა იყოს.

ზეითუნის ზეთი

იდეალური საკმაზია ბოსტნეულის სალათისთვის. ის კერძს არამხოლოდ განსაკუთრებულ გემოს აძლევს, ასევე ზოგადად ჩვენს ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს.

1. ამ ზეთში არსებული მონონაჯერი ცხიმების (ძალიან სასარგებლოა გულისთვის) წყალობით, ცუდი ქოლესტერინის დონე მცირდება და კარგის მაღლდება.

2. ზეითუნის ზეთის შემადგენლობაში შედის ანტიმჟანგავები, რომლებიც ორგანიზმის დაბერების პროცესს ანელებენ. ასე რომ, სალათა ზეითუნის ზეთით არამხოლოდ უბრალო კერძი, ასევე მუდმივი ახალგაზრდობის წყაროცაა.

3. დღეში ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი დალიეთ და კუჭი, ნაწლავები, კუჭქვეშა ჯირკვალი, ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი მადლობას გეტყვით.

მზესუმზირის ზეთი

ვიტამინებს, მინერალებსა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს. ამ ზეთის დღიური ნორმა 15-20 გრამია. სალათის შესაკმაზად უპირატესობა არარაფინირებულ მზესუმზირის ზეთს მიანიჭეთ.

ხრაჟანი, იოგურტი, ჯეფირი

ყველა კარგია, ვინაიდან ბიფიდობაქტერიებს შეიცავენ, რომლებიც უჯრედისების გადამუშავებას ეხმარებიან. თუ ჭარბი წონის პრობლემა გაქვთ, დიეტოლოგები გირჩევთ, სწორედ რძის აღნიშნული მჟავე პროდუქტები გამოიყენოთ — მაიონეზთან და მცენარეულ ზეთთან შედარებით ნაკლებად კალორიულია.

ლავანდა – იასამნისფერი სასწაული

საკმარისია, ამ მცენარის არომატი ერთხელ შეისუნთქოთ და მერე ვერასდროს დაივიწყებთ. თქმულების მიხედვით, სამოთხიდან გაძევებულ ადამსა და ევას ღმერთმა სამკურნალო ბალახები როზმარინი და ლავანდა აჩუქა, რათა მიწიერი ცხოვრების სიმძიმე გაადვილებოდათ: როზმარინი — გამბედაობისთვის, ლავანდა — სულიერი ტკბობისთვის.

ჰარმონიის არომატი

ლავანდის სამშობლოდ კანარის კუნძულები და ინდოეთი ითვლება. ამ არომატული მცენარის სამკურნალოდ გამოყენება პირველებმა რომაელებმა დაიწყეს. ლავანდის ზეთს სხეულზე ისვამდნენ, თავი გადამდები დაავადებებისგან რომ დაეცვათ, ხოლო მისი ნაყენით აბაზანებს იღებდნენ. საყოფაცხოვრებოდ ლავანდის წყალი გამოიყენება. შეგიძლიათ სამოსს, თეთრეულს, ფარდებს აპკუროთ. არომატი მთელ სახლს სასიამოვნო სურნელით აავსებს.

ფიტორეცეპტი: მინის ქილაში ლავანდის ქორფა ყვავილები ჩაუშვით და არაყი პირამდე დაასხით. რაც მეტია ყვავილი, არომატი მით უფრო გაჯერებულია. თავსახური დააფარეთ და ფანჯრის რაფაზე დადგით. 2 კვირის შემდეგ ნაყენი გაწურეთ და ლავანდის წყალიც მზადაა.

გამხმარი ლავანდის ყვავილებით პატარა ტომსიკა აავსეთ და კარადაში დადეთ. თქვენი ნივთები სასიამოვნო სურნელით გაიჟღინთება, ხოლო ჩრჩილი მათ არასდროს შეეხება. ან კიდევ, ტომსიკა ბალიშთან დაკიდეთ — ლავანდის არომატი დაგამშვიდებთ და ტკბილ ძილს მალე მოგგვრით.

საფეთქლებში მფეთქავი ტკივილი რომ გაქრეს, საჩვენებელი თითის წრიული მოძრაობით 2 წვეთი ლავანდის ზეთი საფეთქლების კანში შეიზილეთ.

ყვავილების კოსმეტიკა

კვირაში ერთხელ შეგიძლიათ ასეთი მკვებავი შინაური ნიღაბი გაიკეთოთ. აიღეთ ორ-ორი სუფრის კოვზი ლავანდის და გვირილის ყვავილები და ერთი სუფრის კოვზი საღბი. ყველაფერი როდინში დააქუცმაცეთ და ცოტა ცხელი წყალი დაასხით. მიღებულ სქელ ფაფას 5 წუთი თავსახური მჭიდროდ დააფარეთ. გაგრილებული, ოდნავ თბილი მასა სახეზე დაიდეთ (თვალების ირგვლივ არეს, ყელსა და დეკოლტეს ზონას მოერიდეთ). 20-25 წუთი დაიტოვეთ. ქუთუთოზე საღბის ხსნარში დასველებული ტამპონი დაიდეთ.

ყურადღება! ორსულობის პირველ თვეებში და აბორტის შემდეგ ლავანდის სამკურნალო პრეპარატების მიღება არ შეიძლება.

საინტერესო ინფორმაცია

მე-20 საუკუნის ფრანგმა ქიმიკოსმა რენე გატეფოსემ ლაბორატორიაში ძლიერი აფეთქების დროს ხელი დაიწვა. მაშინვე ლავანდის ზეთიან ჭურჭელში ჩაყო და ტკივილი მომენტალურად დაცხრა, ხოლო დამწვრობა უკვალოდ შეხორცდა. რენემ ცხოვრების დარჩენილი წლები ეთერზეთების სამკურნალო თვისებების შესწავლას მიუძღვნა. სხვათა შორის, ტერმინი არომათერაპია სწორედ მან მოიგონა.

რაში მდგომარეობს დღეგრძელობის საიდუმლო

გერონტოლოგები ირწმუნებიან, რომ 100 წელი სიცოცხლე ყველას შეუძლია. დღეგრძელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ვინაიდან ადამიანები თავიანთ საყოფაცხოვრებო პირობებს განუხრელად იუმჯობესებენ (ავტომობილი, ახალი წამლები და ტექნიკის სხვა სიახლენი სიცოცხლეს ახანგრძლივებენ).

მეცნიერთა მტკიცებით, სიცოცხლის ხანგრძლივობა 35%-ით გენებით განისაზღვრება, დანარჩენი დამოკიდებულია ცხოვრების წესზე. თუ ადამიანი კვების კალორიულობას შეზღუდავს, ღამით სიბნელეში დაისვენებს (როდესაც სასიცოცხლოდ აუცილებელი ჰორმონი — მელატონინი გამომუშავდება), არანაკლებ 6 და არაუმეტეს 9 საათი სძინავს (ძილი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი შემადგენელია), ტვინს მუშაობას აიძულებს, მაშინ მეტხანს იცოცხლებს. კვლევებით გამოვლინდა: რაც უფრო მაღალია ინტელექტი, მით უფრო დიდია სიცოცხლის ხანგრძლივობა. გასაკვირი არ არის, რომ ხელოვანი ადამიანები, გამომგონებლები, მკვლევრები დიდხანს ცოცხლობენ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები

— შენ შეგიძლია, ჩემი გულისთვის მოჯვდე? — ეკითხება ლოთი თანამეინახეს.

— ხატომ, შენ ახ გსაღია?

— რაფრაა საქმე ქუთაისში? — ეკითხება გურული ქუთაისელს.

— რავარც შოტლანდიაში. კაბა აცვიენ, მარა ლოგინში არ გიწობიენ.

❖ ❖ ❖

— ჩემი ქმარი წამყვანი ტრაქტორისტია, — ეტრაბახება მარო მეზობლის ქალს.

— წამყვანი რაღას ნიშნავს, ქა?

— მა ტრაქტორი თავისით ხომ არ ივლის?

❖ ❖ ❖

— ქალო, თუ გევიგე, რომ მღალატობ, მოგკლავ, იცოდე.

— ჯერ გეიგე.

❖ ❖ ❖

მთვრალი ქუთაისელი მიმტანს აუშარდა:

— ხაია, სიმონ, ეგი?

— ხაია და შემნვახი გოჭი.

— მეხე ხეიზა აქ დაჯახეული თვალები?

— შენ ხომ შემოგხედა, აჰა ხა მოუვიდოდა ამ სანყალს?

ზესტაფონელმა ლატარიის ბილეთი შეიძინა და გამყიდველს ეკითხება:

— როდის არის გათამაშება?

— ზეგ.

— ფუ, მე ხვალ მჭირდებოდა ფული.

❖ ❖ ❖

— მამი, დედას გედს რატომ ეძახი, ლამაზია?

— ლამაზი არა, ის, წყალში ვერ დაახრჩობ ვერაფრით მაგ ჩემისას.

❖ ❖ ❖

— ამბობენ, ყოველ ოთხ ადამიანზე ერთი დებილი მოდისო. აბსოლუტური ტყუილია! ჩემ გარდა, სახლში ცოლი და სამი შვილია და არც ერთი დებილი არაა.

❖ ❖ ❖

— შამჭამა ჩემმა ქმარმა, შამჭამა, — ქოთქოთებს თამრო.

— ხო გეუბნებოდი, ნუ გაჰყვები მაგ კაცსა, ეგ განავლის ჭამაი არ მაეშვებამეთქი, — ეუბნება დედა.

❖ ❖ ❖

თვითმფრინავმა ვარდნა დაიწყო. გურული ერთადერთ პარაშუტს ეცა და იცვამს.

— არ გრცხვენია? სალონში ამდენი ქალია, — ეუბნება სტიუარდესა.

— რას ამბობ, ქალო, სექსიზა მცალია ახლა მე? — უყვირის გურული.

❖ ❖ ❖

ქმარი კვდება და ცოლს ეუბნება:

— ერთი დარდი მიმყვება. მითხარი, რომ მოვკვდები, შენ გათხოვდები?

— ნუ დარდობ, ჩემო კარგო. გავთხოვდები, აბა რა ჭირი მომივა?!

❖ ❖ ❖

კომისარიატში წვევამდელი ამბობს, ყრუ ვარო და ექიმი სმენას უმოწმებს.

— აბა, გაიმეორე: დებილი ვარ.

— დებილი თავი გაბია!

❖ ❖ ❖

— გოგონა, რა ლამაზი ხარ! დედაშენს სიძე არ უნდა?

— არა, ქვრივია და ქმარი უნდა!

❖ ❖ ❖

— რატომ არ იყავი გუშინ სამსახურში? — ეკითხება შეფი ჟორჟიკას.

— სიდედრი მომიკვდა.

— მერე მე რატომ არ გამაგებინე?

— ახლა შენც ხომ არ გაგაცდენინებდი სამსახურს, შე კაცო!

❖ ❖ ❖

კახელმა ძროხა იყიდა და ორ კვირაში ვეტერინარს მიუყვანა:

— ჯანმრთელია, კარგად ჭამს, იწველება, მაგრამ ბუღას დაინახამს თუ არა, თავქუდმოგლეჯილი გარბის, არ უყვარ ბუღი დაჟინებული მზერა და რაღაცეები.

— ანაგაში ხომ არ გყამ ნაყიდი? — ეკითხება ვეტერინარი.

— შენ რა იცი?

— ცოლი მყავ იქაური.

❖ ❖ ❖

— მიხოვ, მიხოვ, გაიღვიძე, კაცო!

— რა გინდა, დედაკაცო?

— ეხლახან დედაჩემი დამესიზმრა, შენმა ქმარმა რო ჩემგან ასი მანეთი ისესხა და სიცოცხლეში არ დამიბრუნა, ახლა მჭირდება და მომიტანოსო.

— ქალო, ახლა ძილი შაიბრუნე და თუ კიდე დაგესიზმრა, უთხარ, ბანკში ჩაგირიცხავს, მოსასვლელად არა სცალიან-თქო.

— თეა, ხოგოხ მოგნონს ჩემი საქმხო?

— ისე, ხა.

— ხას ჰქვია, ისე ხა, ცახიელი ინტელექტია... დამინახა თუ ახა, დაეცა.

— ჯი, ეტყობა ცხვიხზე... მაგხად დაუხტყამს.

ჰოფიცარ-ტიკაში:

— ჩემი მანქანა ბევხ ზეთს ჭამს.

— მე ვაცო, აბა ვახაქიან ჰუხს ხომ ახ შეჭამს?

ზესტაფონელმა ახალშობილი მაღაზიაში შეიყვანა და გამყიდველს ეუბნება:

— ჩემი დაია, სნოხათ ამინონე ეგი, სამშობიარო ნდობა ახ შეიძლება, გაღლეტვაზე ახიენ ეგენი!

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარაზიშვილის ნახატები

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ალან ალექსანდრ მილნი

წითელი სახლის საიდუმლოება

ზაფხულის დღის ძილისმომგვრელ სიცხეში წითელი სახლი სიესტას მისცემოდა. ფუტკრები ზანტად ბზუოდნენ ყვავილების ბორდიურებში, მტრედები ნაზად ღუღუნებდნენ თელების კენწეროებში. შორეული მდელოდან გაზონსაკრეჭი მანქანის გუგუნის ხმა მოდიოდა, ყველაზე სასიამოვნო სოფლის სხვა ხმებს შორის, დასვენებას უფრო ტკბილს რომ ხდის, რადგან სხვები მუშაობენ.

ის საათი იდგა, როცა მათაც კი, ვისი მოვალეობაც სხვების მომსახურებაა, საკუთარი თავისთვის ერთი-ორი თავისუფალი წუთის გამოძებნის საშუალება ეძლევათ. ეკონომის ოთახში სანდომიანი სახის მოახლე ოდრი სტივენსი თავის საუკეთესო შლაპას აახლებდა და მამიდამისს, მისის სტივენსს, ეკონომს და მზარეულს მარკ ებლეტის მარტოხელა სახლში, ათას რამეზე ელაქლაქებოდა.

მისის სტივენსმა შლაპას შეხედა და გულთბილად გაიღიმა:

— ჯოსთვის იპრანჭები?

ოდრიმ პირიდან ქინძისთავი გამოიღო, შლაპაზე სათანადო ადგილას დაამაგრა და თქვა:

— მოსწონს ვარდისფერი.

— მეც, — თქვა მამიდამისმა, — მარტო ჯო ტერნერს არა.

— ვარდისფერი ყველას უხდება, — ოდრიმ შლაპიანი ხელი განზე გასწია და დაჟინებით მიაშტერდა, — მოდურია, არა?

— შენთვის ზედგამოჭრილია, შენს ასაკში კი მეც მომიხდებოდა. თუმცა ზოგიერთებზე უკეთესად ახლაც მოვიხდენდი. თავს იმად არასოდეს ვასაღებდი, რაც არ ვიყავი. რაკი 55 წლის ვარ, ვარ და მორჩა, არ უნდა ლაპარაკი.

— 58, არა, მამიდა?

— ეს უბრალოდ, მაგალითად მოვიყვანე, — ღირსების გრძნობით თქვა მისის სტივენსმა.

ოდრიმ ნემსში ძაფი გაუყარა, თავისი ფრჩხილები კრიტიკულად შეათვალიერა, კერვას შეუდგა და თქვა:

— მისტერ მარკის ძმის გამკვირვებია. 15 წელი ძმის უნახავად? ჯო რომ 15 წელი არ ვნახო, ალბათ გავგიჟდები.

— როგორც დღეს დილით ყველას გითხარით, 5 წელია, რაც ამ სახლში ვარ და ძმის შესახებ არაფერი მსმენია, არც არანაირი ძმა აქ არ ყოფილა. ამას ნებისმიერთან გავიმეორებ, — თქვა მამიდამ.

— არ ვიცი, ადრე რა იყო, მაგრამ, როცა შევედი, ყველა ამ ძმაზე ლაპარაკობდა, მისტერ მარკი კი მომიბრუნდა და მითხრა: „სტივენს, დღეს ჩემს სანახავად ჩემი ძმა ჩამოვა. მას სამი საათისთვის ველი. კაბინეტში შეიყვანეთ“. აი, ზუსტად ასე მითხრა. „დიახ, სერ“, მივუგე მორჩილად, თან გამიკვირდა, ძმა რომ ჰყოლია და აქამდე არ ვიცოდი. ბოლოს დაამატა: „ჩემი ძმა ავსტრალიიდანაა“.

— იქნებ ის ავსტრალიაში იყო კიდეც, მაგრამ აქ არასოდეს მინახავს. ეს კი მთელი 5 წელია, — შენიშნა მისის სტივენსმა.

— მამიდა, ის ხომ აქ 15 წელი არ იყო. გავიგონე, როგორ უთხრა მისტერ მარკმა მისტერ კეილის: „15 წელი“. მისტერ კეილიმ მას ჰკითხა, როდის იყო მისი ძმა ბოლო დროს ინგლისში. მისტერ კეილიმ იცოდა მის შესახებ, გავიგონე, როგორ უთხრა მისტერ ბევერლის, ოღონდ არ იცოდა, როდის იყო ბოლოს ინგლისში, გესმის? აი, რატომ შეეკითხა მისტერ მარკს.

— ოდრი, 15 წელზე არაფერს ვამბობ, შემიძლია დავიფიცო, რომ 5 წლის მანძილზე მისი ფეხი აქ არ დადგმულა. ხოლო თუ ავსტრალიაში იყო, როგორც შენ ამბობ, ამის მიზეზები საკმაოდ ექნება.

— რა მიზეზები? — მხიარულად შეეკითხა ოდრი.

— მთავარი ეს არაა. ოდრი, მას შემდეგ, რაც საბრალო დედაშენი გარდაიცვალა და მისი მაგივრობა მე ვითავე, აი, რას გეტყვი: რაკი ჯენტლმენი ავსტრალიაში მიემგზავრება, ამის მიზეზები აქვს და თუ იქ, როგორც მისტერ მარკი ამბობს, 15 წელი რჩება, მე კი ვიცი, რომ 5, ამის მიზეზებიც არსებობს. რესპექტაბელურად აღზრდილი ქალიშვილი კი არასოდეს კითხულობს, რა მიზეზებია ეს.

— საუზმეზე ლაპარაკობდნენ, მოურჯულებელი იყო და ვალებში იხრჩობოდაო, — თქვა უდარდელად ოდრიმ, — კიდევ კარგი, ჯო რომ ასეთი არ არის. გითხარი, საფოსტო განყოფილების შემნახველ სალაროში 20 ფუნტი რომ აქვს დაგროვილი?

მაგრამ იმ დღეს ჯო ტერნერზე საუბარი აღარ ყოფილა. ზანზალაკის ხმამ ოდრი სტივენსი ფეხზე წამოახტუნა:

— ისაა, საპარადო კარიდან! მისტერ მარკმა თქვა, კაბინეტში შეიყვანეთო. ეტყობა, არ უნდა, სხვებმა დაინახონ, თუმცა რა, ყველამ გოლფს მიაშურა. საინტერესოა, აქ გაჩერდება თუ არა. იქნებ ავსტრალიიდან უზომო ოქრო ჩამოიტანა... შეიძლება მაგ ქვეყანაზე რამე შევიტყო. ვისაც მოუნდება, ოქროს ზღვაში იძირებაო. თუ ასეა, რატომ ჯო და მეც...

— მორჩი, ოდრი!

— მივდივარ, მივდივარ, — და წავიდა.

ყველას, ვინც კი წითელი სახლის მთავარ შესასვლელში შევიდოდა, ზღაპრული ვესტიბიული ხვდებოდა, უკვე თავისი იერით სიგრილეს რომ აფრქვევდა. მუხის მორებით ნაგებ ვრცელ ნაგებობას კრემისფერი კედლები ჰქონდა, ფანჯრებზე კი, წვრილ-წვრილი რომბისებური მინებით, ცისფერი ფარდები ეკიდა. მარჯვნივ და მარცხნივ ოთახების კარები იყო, პირდაპირ ისევ ფანჯრები, საიდანაც მწვანედ მოხასხასე ეზო მოჩანდა, ღია ფანჯრებიდან კი, ყოველი მიმართულებით, ორპირი ქარი უბერავდა. მარჯვენა კედელთან, ფართო, დაბალსაფეხურებიან კიბეს მაღლა აჰყავდით, მარცხნივ შეუხვევდით და მთელი ვესტიბიულის გასწვრივ გაჭიმული გალერეის გავლით თქვენს საძინებელში მოხვდებოდით, ანუ თუ ღამის გათევას აპირებდით. მისტერ რობერტ ებლეტის განზრახვა ამ თვალსაზრისით ჯერ ისევ უცნობი რჩებოდა.

კარისკენ მიმავალი ოდრი მოულოდნელობისგან შეკრთა: ფასადის ერთ-ერთ ფანჯარასთან მისტერ კეილი იჯდა და წიგნს კითხულობდა. ცხადია, ასეთ ამინდში ამ სიგრილეში ყოფნა ჯობდა, ვიდრე გოლფის მოედანზე, არადა დღის ამ საათებში სახლი მიტოვებულს ჰგავდა, თითქოს სტუმრები სადღაც გაიკრიფნენ ან თავთავიანთ ოთახებში ეძინათ, რაც ყველაზე გონივრული იქნებოდა. მისტერ კეილი, ოჯახის პატრონის დეიდაშვილი, ოდრისთვის მოულოდნელობა იყო. როცა უეცრად დაინახა, შეჰკივლა, გაწითლდა და თქვა:

— მაპატიეთ, სერ. კინაღამ ვერ შეგნიშნეთ.

ის კი წიგნს მოსწყდა და თავის დიდ, უშნო სახეზე მიმზიდველი ღიმილი გამოესახა. „ნამდვილი ჯენტლმენია, — გაიფიქრა ოდრიმ, — რა ეშველებოდა უმისოდ პატრონს? თუ, მაგალითად, ამ ძმის უკან, ავსტრალიაში გასტუმრება გახდებოდა საჭირო, ამას მისტერ კეილი მოაგვარებდა“.

სტუმრის დანახვისთანავე ოდრიმ გაიფიქრა: „ესეც მისტერ რობერტი“.

შემდეგ მან მამიდამისს უთხრა, რომ ნებისმიერ ადგილზე მიხვდებოდა, რომ ის მისტერ მარკის ძმა იყო და ამას ნებისმიერ შემთხვევაში იტყოდა, არადა, სინამდვილეში, ძალიან გაუკვირდა: პატარა, კოხტა მარკი აკურატულად წაწვეტებული წვერითა და გაწკეპილი ულვაშებით, სწრაფი, გამჭოლი და კეთილი ღიმილით სულ არ ჰგავდა ამ... ამ გაუთლელ, ცუდად ჩაცმულ ტიპს კოლონიიდან, წარბშეკვრით რომ უცქერდა უნდობლად.

— მისტერ მარკ ებლეტის ნახვა მსურს, — მუქარასავით გაისმა მისი ნათქვამი.

ოდრი თავს ძლივს მოერია და სტუმარს გაუღიმა:

— დიახ, სერ. ის გელოდებათ. აქეთ, სერ.

— მაშ, იცი, ვინც ვარ?

— მისტერ რობერტ ებლეტი?

— მართალია. მაშ, მელოდება, არა?

— აქეთკენ, სერ. გთხოვთ, — ოდრი მარცხნიდან მეორე კართან მივიდა და შეაღო, — მისტერ რობერტ... — დაიწყო თუ არა, ხმა ჩაუწყდა: კაბინეტი ცარიელი იყო!

— სერ, — შემობრუნდა დაბნეული მოახლე, — აქ დაბრძანდით, თუ შეიძლება. პატრონს მოვძებნი. თავად მითხრა, დღეს რომ გელოდებოდათ.

— ეს რა ოთახია? — რობერტმა მიმოიხედა.

— კაბინეტი, სერ.

— კაბინეტი?

— ოთახი, სადაც ბატონი მუშაობს, სერ.

— მუშაობს? ეს რაღაც ახალია, — ჩაიხითხითა სტუმარმა, — თავის სიცოცხლეში ერთი წამითაც არ უმუშავია.

— ის წერს, სერ, — ამაყად შენიშნა ოდრიმ, — ახლავე მოვახსენებ, აქ რომ ხართ, სერ, — თქვა და კარი გამოიხურა.

Cyan Magenta Yellow Black

„Რამდენ რამეს მოვუყვები მამიდას, — გაიფიქრა ოდრიმ, — ოღონდ ჯერ პატრონი უნდა ვიპოვო“.

ქალიშვილმა ჯერ ბიბლიოთეკაში შეიხედა, სადაც არავინ იყო, მერე კი გაუბედავად კეილის წინ გაჩერდა:

— მაპატიეთ, სერ, — მიმართა ხმადაბლა და თავაზიანად, — ხომ ვერ მეტყვით, პატრონი ახლა სად არის? მისტერ რობერტი მოვიდა.

— რა თქვით? — კეილიმ თავი ასწია.

ოდრიმ კითხვა გაუმეორა.

— არ ვიცი. განა კაბინეტში არ არის? ლანჩის შემდეგ ტაძარში ავიდა. მას მერე აღარ მინახავს.

— გმადლობთ, სერ. ტაძარშია ალბათ.

მისტერ კეილი თავის წიგნს მიუბრუნდა, ოდრიმ კი ტაძრისკენ გასწია, რომელიც სახლის უკან, დაახლოებით 300 იარდში მდებარე აგურშემოვლებულ ტალავერს წარმოადგენდა და სადაც მარკი განმარტოვდებოდა ხოლმე, ფიქრს რომ მისცემოდა, მერე კი თავის კაბინეტში ეს ნაფიქრალი ქაღალდზე გადაეტანა. ეს აზრები დიდ ღირებულებას არ წარმოადგენდა და უფრო ხშირად სასადილო მაგიდასთან მჟღავნდებოდა, ვიდრე ნაწერში, გაცილებით იშვიათად კი პრესაშიც ქვეყნდებოდა. წითელი სახლის პატრონი ამ ადგილს იმდენად უფრთხილდებოდა, რომ თუ ვინმე სტუმართაგანი ტაძარში ფლირტს გააბამდა, სიგარას გააბოლებდა ან სულაც ფაიფზს ითამაშებდა, ასეთებისთვის წითელი სახლის კარი სამუდამოდ იხურებოდა.

ოდრიმ ტაძარიც მოინახულა, პატრონის საძინებელშიც ავიდა, მაგრამ უშედეგოდ, მისტერ მარკი ვერსად ნახა. ამ ძებნაში რომ იყო, უეცრად სროლის ხმა მოესმა. „ბაჭიებზე ნადირობენ, — სიამოვნებით გაიფიქრა, — მამიდა რომ ხახვის სოუსში ჩაწყობილ ბაჭიას ამზადებს, მართლა გადასარევია“.

ვესტიბიულში შესული ეკონომის ოთახს რომ გაუსწორდა, უეცრად კარი გაიღო და ქალის შეშინებული სახე გამოჩნდა.

— ეი, ოდ! — ეს ელსი იყო, მერე პირი ოთახისკენ ქნა, — ოდრია, ოდრი!

— ოდრი, შემოდი! — მოესმა მამიდის ხმა.

ოდრიმ ოთახში შეიხედა:

— რა მოხდა, მამიდა, რატომ მეძახდი?

— ძალიან შემაშინე, საყვარელო, სად იყავი?

— ტაძარში.

— იქ რა გინდოდა?

— ბატონს ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვნახე.

— ოდრი, რამე გაიგონე?

— რა უნდა გამეგონა?

— სროლა, აფეთქება, რა ვიცი.

— აა! — ოდრიმ შვებით ამოისუნთქა, — ჩვენი მუშაკებიდან რომელიღაცა ბაჭიებზე ნადირობდა. გავიფიქრე კიდეც, მამიდა რა გემრიელ ჩაშუშულს მოამზადებს-მეთქი. მოკლედ...

— არავითარი ბაჭიები, ძვირფასო, — გააწყვეტინა მისის სტივენსმა, — ეს ამ სახლში მოხდა!

— ჰო, ჰო, — დაუდასტურა ელსიმ, ერთ-ერთმა უმცროს მოახლეთაგან, — მისის სტივენსს მე ვუთხარი, აქ მოხდა-მეთქი. არა, მისის სტივენსს?

ოდრიმ ჯერ მამიდას შეხედა, მერე ელსის და ყრუ ხმით იკითხა:

— ნუთუ თან რევოლვერი აქვს?

— ვის? — იკითხა აღელვებულმა ელსიმ.

— მის ძმას ავსტრალიიდან. არ მომეწონა. უსიმპათიუროა და უხეში. ჰო, ასეა.

— კარი ჩაკეტე, ელსი! — უბრძანა მისის სტივენსმა მოახლეს, მერე სავარძელში გადაწვა და თქვა, — ოდრი, გახსოვდეს, იმათგან, ვინც ავსტრალიიდანაა, კარგს არაფერს უნდა ელოდე, — მერე დაამატა, — 100 ათასი ფუნტიც რომ გადამიხადონ, ამ ოთახიდან ფეხს არ მოვიცვლი!

— ო, მისის სტივენს! — თქვა ელსიმ, ახალი ქოშებისთვის 5 შილინგის შოვნა რომ სჭირდებოდა, — მე ამაზე, ცხადია, არ წავიდოდი, მაგრამ... ანუ მე თვითონ, ოღონდ...

— ჩუმად! — შესძახა მისის სტივენსმა, სავარძლიდან წამოიჭრა და სმენადქცეული ადგილზე გაქვავდა, — გესმით?

რომელიღაცა კარს ვიღაცა აჯანჯღარებდა, გაღებას ლამობდა.

შეშინებულმა მოახლეებმა ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ მამაკაცის ბოხი, გაბრაზებული ხმაც მოესმათ:

— კარი გააღე! გააღე-მეთქი, თორემ შემოვამტვრევ!

— არ გააღოთ! — იკივლა პანიკით შეპყრობილმა მისის სტივენსმა ისე, თითქოს საფრთხე მისი ოთახის კარს ელოდა, — ოდრი! ელსი! არ შემოუშვათ!

— გააღე-მეთქი! ახლავე გააღე! — კვლავ ღრიალებდა კაცი.

— ყველას მოგვკლავენ! დაგვხოცავენ! — ჩურჩულებდა სავარძელში მისვენებული ეკონომი ქალი და შიშისაგან აკანკალებულ მოახლეებს გულში იხუტებდა.

ბავშვობის პერიოდზე საუბარი მარკს არ უყვარდა. მამა მაშინ გარდაეცვალა, როცა კემბრიჯი დაამთავრა. შემდეგ განგებამ პატრონესას როლში ერთი შინაბერა, მდიდარი ქალი მოუვლინა და მისი მემკვიდრეობის მფლობელიც გახდა.

შემდეგ უკვე თავად გახდა სხვების შემწე, ძირითადად ხელოვნებით დაკავებული ადამიანების, თუმცა მისი ქველმოქმედება ამით არ შემოფარგლულა, ღარიბი ნათესავის მეთიუ კეილის პატრონობაც მან იკისრა, მასაც კემბრიჯი დაამთავრებინა, მერე კი თავის ახალშეძენილ წითელ სახლში მიიღო და რამდენიმე ფუნქციის შესრულება შესთავაზა, რაც მადლიერმა მეთიუმ სიამოვნებით იკისრა. ის მდივანიც იყო, მმართველიც, ფინანსური კონსულტანტიც და მარკის კომპანიონიც.

28 წლის კეი (მარკი ასე ეძახდა) 40 წლის მამაკაცივით გამოიყურებოდა: სოლიდური სუბიექტი იყო, ჩაფსკვნილი, სერიოზული და, რაც მთავარია, ზედმეტი ლაპარაკით თავს არ გაბეზრებდათ. ნამდვილი საჩუქარი იყო იმისათვის, ვინც თავად საუბარს ამჯობინებდა.

სტუმრების მოწვევა, მიღება და ა.შ. ასევე კეის მოვალეობას შეადგენდა, რასაც, ისევე, როგორც წინა ოთხს, თავს კარგად ართმევდა. მოდით, თვალი შევავლოთ მათ — საუზმეზე მიპატიჟებულ სტუმრებს.

პირველი მაიორი რამბოლდი იყო, მაღალი, ჭაღარა მამაკაცი ნორფოლკის ქურთუკსა და ნაცრისფერ შარვალში. ის თავისი პენსიით ცხოვრობდა, დროდადრო კი სხვადასხვა გაზეთისათვის ბუნებრივი ისტორიის შესახებ სტატიებს წერდა. ის იყო, ბრინჯიან თევზს მორჩა და ძეხვზე გადავიდა, რომ მომდევნო სტუმარი გამოჩნდა, ენერგიული, ახალგაზრდა ბილ ბევერლი, თეთრ სპორტულ შარვალსა და ბლეიზერში გამოწყობილი.

— ჰელოუ, მაიორო! — ხალისით წარმოთქვა მან და მაგიდას მიუჯდა, — თქვენი ნიკრისის ქარი რასა იქმს?

— ეს ნიკრისი არ არის, — ჩაიბუზღუნა მაიორმა.

— რაც არ უნდა იყოს, — ბილმა შვრიის ფაფა გადაიღო, — ადამიანების უმრავლესობა უხეშია. აი, რატომ გკითხეთ, მაგრამ, თუ საიდუმლოა, ნუ მიპასუხებთ. ყავა გნებავთ? — დაამატა მან და ფინჯანი შეივსო.

— არა, გმადლობთ. მაგას ბოლოს ვაყოლებ.

— ეს ზრდილობისთვის გკითხეთ, თუმცა სწორად იქცევით. რა დიდებული სათამაშო ამინდია, არა? ძალიან დაცხება, არადა მე და ბეტი ქულებს სწორედ ასეთ დროს ვაგროვებთ. ვშიშობ, რომ მეხუთე ჯერზე თქვენი ომისდროინდელი ჭრილობა თავს შეგახსენებთ, მერვეზე კი კარისგან გაწამებული თქვენი ღვიძლი ნაწილებად დაიშლება თორმეტგოჯა...

— მოკეტე! ვირო!

— უბრალოდ, გაგაფრთხილეთ, მეტი არაფერი. დილა მშვიდობისა, მის ნორის. სწორედ ახლა ვეუბნებოდი მაიორს, რა შეგემთხვეოდათ თქვენ და მას დღეს დილით. დაგეხმაროთ თუ თავად გადაიღებთ?

— არაა საჭირო, — მიუგო მის ნორისმა, — დილა მშვიდობისა, მაიორო.

— დილა მშვიდობისა, — თავი დაუკრა რამბოლდმა, — დღეს მაგრად დაცხება.

— აი, ბეტიც, — თქვა ბილ ბევერლიმ, — ჰელოუ, კეილი.

ბეტი კოლედაინი და კეილი ერთად შემოვიდნენ. ბეტი მხატვრის ქვრივის, მისის ჯოან კოლედაინის 18 წლის ქალიშვილი იყო, რომლის დედამაც ამ კვირაში მარკის დახმარება ითავა სტუმრების მიღების საქმეში.

რუთ ნორისი თავს სერიოზულ მსახიობად მიიჩნევდა, დასვენების დღეებში კი გოლფის ასევე სერიოზულ მოთამაშედ. ის ორივეში სავსებით კომპეტენტური იყო და არც სცენა აშინებდა და არც ყველაზე ვერაგი ფოსო.

— მართლა, მანქანა თერთმეტის ნახევარზე იქნება და ყველას წაგიყვანთ, — თქვა კეილიმ და სტუმრებს გადახედა.

— არ მესმის, მეორე პარტია რატომ არ უნდა ვითამაშოთ, — იმედნარევი ხმით თქვა ბილმა.

— დღეს ძალიან დაცხება, — შენიშნა მაიორმა, — აუჩქარებლად დაბრუნდით ჩაისთვის.

გაბრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-36

www.facebook.com/Tinatinbonney

თავი 7

„ეც კარგად“, — მესიჯი არ აყოვნებს. ზურას ეღიმება. შეიძლება ვინმეს ნომერი შეეშალა. მის გარშემო არავინაა, რომ მაიმუნობა გაუბედოს.

ვერ ვიჯერებ, რომ ზურა ვიპოვე! საოცრება მოხდა. ვიცი, რომ ის არის. ნუ, რამდენი ზურა სტეფანიდი შეიძლება არსებობდეს თბილისში. ირაკლისთან ცოტა ულამაზოდ გამოვიდა, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია. ჩემი ცხოვრება უნდა დავალაგო. მომდის მორიგი შეტყობინება:

„რომელი ხარ, არ მეტყვი?“.

ჯერ ადრეა. ცოტა მეტი ინტრიგა უნდა შემოვიტანო.

„მალე გაიგებ“, — ვაგზავნი და მობილურს მაგიდაზე ვდებ.

ირაკლი საბანს იფარებს და შუქს აქრობს. კითხვის ხასიათზე არ არის. ტელევიზორის ყურების — მით უმეტეს. ვერაფრით უპატიებია თავისთვის, რომ ინერვიულა და ნაყინის საყიდლად გავარდა. რომ არ წასულიყო, არც ალექსანდრა წავიდოდა. გადასარევად ხვდება, რომ ამ ქალის მიმართ გრძნობა უჩნდება და ამ გრძნობასთან ბრძოლა საკმაოდ ძნელია. ირაკლი ტრიალდება და ბალიშს იხუტებს. აქამდე ოჯახზე საერთოდ არასოდეს უფიქრია და ახლა ცოტ-ცოტა უშვებს მამობის იდეას. თანაც ალექსანდრაზე ეფიქრება. მასთან გატარებული ღამის შემდეგ თითქოს რაღაც შეიცვალა. იმასაც კი ნანობს, რომ აეროპორტში არ მოძებნა და განაწყენებული სხვა დღეს გამოფრინდა. ის ერთადერთი ქალი როცა გხვდება, ყველაფერი უნდა გააკეთო მის დასაპყრობად, მაგისთვის ხარ კაცი.

ირაკლი გვერდს იცვლის და ღრმად ისუნთქავს. ვერ ისვენებს. დგება და მაგიდიდან სიგარეტს იღებს. იცის, რომ უნდა დაანებოს და დაანებებს კიდევაც, მაგრამ დღეს არა. უკიდებს ღერს და აივანზე გადის. შუქის ანარეკლი მის სხეულს ეცემა და მამაკაცურ რელიეფს უფრო გამოკვეთილს ხდის. ირაკლი ლამაზია, მამაკაცურად ლამაზი. ნაფაზს არტყამს და აივნის მოაჯირს ეყრდნობა.

სიჩუმეა. ცაში იხედება და რამდენიმე ვარსკვლავს უყურებს. ირაკლი ბებიამ გაზარდა. მამამისი მუდამ მუშაობდა ან ქალებში დადიოდა, დედამისი კი ამას განიცდიდა, მაგრამ ოჯახს არ ანგრევდა და ჩუმად იტანჯებოდა... ზოგჯერ ალკოჰოლის თანადგომას მიმართავდა. ახლა, როდესაც მამამისი შეუძლოდაა და სულ სახლშია, აი, მხოლოდ ახლა არის დედამისი ბედნიერი. უვლის, საწოლში მიაქვს საჭმელები. ირაკლის კი დღემდე ბოღმა ახრჩობს. ტკივილი არ განელებულა. კაცია და უნდა გაუგოს, მაგრამ არ შეუძლია. მისი და პირიქით, მამიკოს გოგოა. სიძეც ისეთი შეხვდათ, აი, უფროს მეტრეველს რომ შეეფერება. ამიტომაც ირაკლი არც სიძესთანაა ახლოს. ძალიან განსხვავებულები არიან. ირაკლი თავის ადგილს იმ ოჯახში ვერასდროს პოულობდა. დისშვილებზე გიჟდება და მათზე ძვირფასი არავინ ჰყავს.

ირაკლი სიგარეტს აქრობს და აივანზე მოთავსებულ ურნაში აგდებს. ქალაქს არ ანაგვიანებს და ბუნებასაც უფრთხილდება. რომანტიკოსი ნატურაა. მეტრეველები კი მებრძოლები არიან. ირაკლი აივნის კარს ღიას ტოვებს და საწოლში ბრუნდება. ზურგზე წვება, თავქვეშ ილაგებს ხელებს და თვალებს ხუჭავს.

უაზროდ აცეტებული და ბედნიერი ვარ. მკიდია ფული, მკიდია გივი. უბრალოდ მიხარია ცხოვრება. ცოტა ხანი აღარ მივწერ ზურას. უფრო დაინტერესდეს ჩემი პერსონით. ვრთავ მუსიკას და ვიწყებ სახლის ლაგებას. დედა მეზობელთან არის გადასული, კომპოტებს ხუფავენ.Daft Punk - Loose yourself to dance-ზე ვძიგძიგებ და მტვერს ვწმენდ. ასეთ კარგ ხასიათზე წლებია, არ ვყოფილვარ. კაი „ტუსოვკა“ მინდა. მოვაწყობ რამეს და ყველას დავპატიჟებ. ბზრიალში გართული მიშოს ვერ ვამჩნევ. ის კი დგას და თურმე მიყურებს.

— მეცეკვე, — ვეუბნები დანახვისთანავე და ხელს ვუწვდი.

მიშო მაბზრიალებს და ბავშვებივით ვკისკისებთ. აი, ეს არის ბედნიერება.

— მე უნდა წავიდე და გვიან მოვალ დღეს, ლილის უთხარი, რა.

— კაი, — ვეუბნები და ვაგრძელებ ცეკვას.

მიშო ოთახიდან გადის და რამდენიმე წუთში კონვერტით ბრუნდება.

— ფოსტალიონი შემხვდა და ეს შენ მოგიტანეს. მე წავედი მოკლედ.

მიშო მიდის და მე კონვერტს ვუყურებ. არ აწერია გამომგზავნის სახელი. ვხსნი და ვხედავ მოსაწვევს. ხელმეორედ ვკითხულობ, რომ დავრწმუნდე ჩემ მიერ აღქმული ინფორმაციის სისწორეში. მუხლები მეკეცება და სკამზე ვეშვები. სიმღერა იცვლება და ახლა James Blake თემატურად მახსენებს, რომ „There's a limit to your love“. ხელში მიჭირავს მოსაწვევი... სადღაც თვენახევარში ქორწილში ვარ დაპატიჟებული... ქალის სახელი და გვარი არ მეცნობა, აი, სიძე კი... ღმერთო, მგონი მძინავს.. სიძე გივი დობორჯგინიძეა. ჩემს ყოფილს ქმარს ცოლი მოჰყავს, დიდ ქორწილს იხდის თბილისში და დამპატიჟა. მანადგურებს. რატომ მიკეთებს ამას? ნუთუ არ ეყო, რა ტკივილიც მომაყენა? ცრემლები მაწვება, მაგრამ ვაჟკაცურად ვიკავებ. მე არ ვიტირებ! მე ძალიან მაგარ ფორმაში წავალ ამ ქორწილში, თანაც მამაკაცის თანხლებით.

ზურა სეიფს აღებს და რამდენიმე კონვერტს დებს შიგნით. შემდეგ პაროლით ეტაკავს. ზურა, ისევე როგორც ნებისიერი ბანკირი, კლიენტზე უარს ვერ და არ იტყვის. ფულზე ხომ, მით უმეტეს. სინდისი გვერდზე გადადო და ჯონის ყველაზე მისაღები სქემა მოსთხოვა, რისკებიც გააანალიზა და გადაწყვეტილებაც მიიღო. ახლა ის კლიენტიც მოვა და ყველაფერზე ისაუბრებენ. კარზე კაკუნია.

— მობრძანდით.

— გამარჯობა, — მამაკაცი კარს კეტავს.

— დაბრძანდით.

— გმადლობთ.

— მიირთმევთ რამეს?

— არა, ნუ შეწუხდებით.

— მაშინ პირდაპირ საქმეზე გადავალ.

— გისმენთ.

— მე მზად ვარ, ოფშორის საკითხში დაგეხმაროთ, ოღონდ თანხები კონკრეტული სქემით უნდა რიცხოთ.

— გადასარევი, — მამაკაცი კმაყოფილად იღიმის.

— დეტალებს დღესვე ნუ ჩავეძიებით, დასახვეწია რაღაც მომენტები, თუმცა ფული ორ ქვეყანას გაივლის და ორ ოფშორს.

— მე მეტი არც არაფერი მინდა.

— ყველა ქვეყანაში რაღაც გადასახადი იქნება, თუმცა 5 პროცენტს არ აღემატება.

— მინდა, გაგაფრთხილოთ, რომ ოდესმე ამას თქვენი პარტნიორები გაიგებენ... და მე ამ საქმის არაფერი ვიცოდი.

— თავისთავად. ეს საუბარი არასდროს მომხდარა.

— ჩემს საკომისიოს, დანიშნულების ადგილს და სხვა დეტალებს მოგაწვდიან წერილობით.

— რა თქმა უნდა.

— ასევე, იმედი მაქვს, სხვა ბანკისკენ აღარ გაიხედავთ, — ამატებს ცინიკური ღიმილით ზურა.

— ეგ როგორ გაიფიქრეთ?!

— ოფშორ ანგარიშის გახსნა 20 000 ევრო ჯდება და ორი ანგარიშის გახსნა მოგიწევთ.

— მისაღებია.

— გადასარევი.

ზურა ხელს უწვდის და მამაკაცი ართმევს.

— ხვალ საღამოს ხომ არ გვესადილა?

— თავისთავად.

— ოჯახებით?

— სიამოვნებით.

ზურა ფეხზე დგება და მამაკაციც მას ბაძავს. ზურა კარამდე აცილებს და გასვლისას კიდევ ერთხელ ართმევს ხელს. კარი იკეტება და ზურას კმაყოფილების ღიმილი უმშვენებს უხეშ ნაკვთებს. ზურას ფული უყვარს, ძლიერ უყვარს. ფულზე ძლიერ მხოლოდ ძალაუფლება უყვარს. ზურა სკამზე ჯდება და მდივანს ურეკავს.

— შემოდი.

მდივანი მორიდებულად შემოდის.

— ჩაკეტე, — უბრძანებს.

მდივანი კარს კეტავს.

— მოდი.

მდივანი ემორჩილება ისე, რომ თვალს არ უსწორებს.

— ძირს! — ამბობს ზურა და შარვალს იხსნის.

მდივანი უსიტყვოდ ეშვება მუხლებზე. ის ხომ ამას უკვე მიეჩვია და იღებს როგორც სავალდებულოს. ეს მისი ცხოვრების განუყოფელია ნაწილია.

ერ მოშხამული ვარ. იმდენი მოახერხა, რომ ასეთი ლამაზი დღე გამიფუჭა. მივწერო ზურას? არა! ჯერ დავლაგდე. როგორ უნდა დავლაგდე, როცა თავი მიდუღს? კარი იღება და შემორბის სვეტა.

— აღარ შემიძლია! — სავარძელში ეხეთქება.

Cyan Magenta Yellow Black

— რა ხდება? — მოსაწვევს ჯიბეში ვმალავ.

— ჩემი ქმარი, ალექსანდრა, ჩემი ქმარი, აი, რა მოხდა. ხომ ვამბობდი, არ უნდა გავთხოვილიყავი.

— რა ჩაიდინა?

— მაგაშია საქმე, რომ არაფერი. ცოცხალ-მკვდარია და როდემდე უნდა ვიყოთ ნეტა ასე. გუშინ გამოვეწყვე გამჭვირვალე პენუარში და ზედაც არ შემაფურთხა. მარტო კომენტარი გამიკეთა: ქალო, მოიფარე რამე, ღიპი გიჩანსო.

— ღიპიო? — მეცინება.

— ნუ იცინი!

— ბოდიში, — ვსერიოზულდები.

— ეგ დეგენერატი! გაეჩინა ბავშვები თვითონ და ვნახავდით, ვის ექნებოდა ღიპი. თუმცა ისედაც აქვს!

— კაი, ნუ იშლი ნერვებს.

— გავგიჟდი ქალი. ლამის ინტერნეტში გავძვრე და ვიღაც მანიაკებს დავეტაკო.

— მაიცა, საერთოდ არ გეკარება?

— ნუ, ბოლოს გვქონდა საახალწლოდ.

— სვეტ...

— შენც გგონია, რომ ვინმესთან დადის?

— მეც?

— ვიცი, რომ ნინიას ასე ჰგონია.

— მე ვერაფერს ვიტყვი.

— იცი, რა, მართალი ხარ!

— მე არაფერი მითქვამს...

— არა, ნამდვილად ასიანს ამბობ!

— მე ხომ...

სვეტა ფეხზე ხტება.

— ავდგები და გავიჩენ ვინმეს.

— მაგას არ ჯობია, რომ დაშორდეთ?

— რატომ?

— იმიტომ, რომ ღალატი არასწორია.

— და მერე მე ვდიო ამ ბავშვებს მარტო?

— გოგო...

— მე ვიცი, რასაც ვიზამ!

განრისხებული სვეტა გარბის, მე არ მივდევ. მე არ შემიძლია. გასასვლელში დედაჩემს ეფეთება.

— ამას რაღა ჭირს? — დედაჩემი კარს კეტავს.

— რაც ყოველთვის, აფრენს.

— შენ რას შვრები?

— არაფერს.

— როდემდე ხარ აქ?

— დედა, არ ვიცი-მეთქი, ხომ გითხარი.

— ნუ ბრაზდები, ისე მაიტერესებს.

დედა მოდის და მეხუტება. ტირილი მინდა, მაგრამ ისევ ვიკავებ თავს.

— ჯერ აქ ვარ, დე.

— ძალიან მიხარია. დარჩენაზე არ ფიქრობ?

— შეიძლება...

— მართლა? — დედა თვალებში მიყურებს.

— ჯერ მხოლოდ ვფიქრობ.

— იმედია, მოიფიქრებ.

— გარეთ რა ხდება?

— არაფერი. შაკო დავინახე, სახლში შედიოდა.

— ხო? უნდა გადავიდე მოგვიანებით და ვნახო.

— არ გშია?

— რა გვაქვს?

— ბორშჩი და ნიგვზიანი ბადრიჯანი.

— შენ გშია?

— ცოტა. გავაწყო?

— მოდი, მე გავაწყობ, შენ დაისვენე.

— ყველაფერი რიგზეა? — დედა ეჭვის თვალით მიყურებს.

— კი, დე, რიგზეა, — ვეუბნები ღიმილით და სამზარეულოში გავდივართ.

ირაკლი პირსახოცით სახეზე ოფლს იმშრალებს. სტადიონი გაღაჟღაჟებულია. თანამშრომელი გოგოები კივიან. კაცები დაბალ ხმაზე იგინებიან. ირაკლი სკამზე ჯდება. დირექტორი როცა ხარ, ასეთ ღონისძიებებს ვერ გამორჩები. ის ვალდებულია, იყოს თავის გუნდთან ერთად. თამაში გრძელდება. ირაკლი პირსახოცს კისერზე იგდებს და საზურგეს ეყუდება.

— დაიღალე? — ნიცა მის გვერდით ჯდება.

— კი, — მშრალად პასუხობს ირაკლი.

ეს ქალი ვერა და ვერ მოიცილა. უზრდელურად არც იკადრებდა და ადამიანურად ამას არ ესმის. ყველანაირად ცდილობს, რომ ლოგინში შეეთრიოს. ისედაც არ სწყალობდა მას დიდად და ალექსანდრას მერე ხომ საერთოდ არ აინტერესებს.

— მასაჟი გინდა, გაგიკეთო? — ნიცა ბეჭებს უზელს.

— არა, არ მინდა, — იწევა ირაკლი.

ნიცა იღუშება, მაგრამ თვალს არ წყვეტს.

— რა გჭირს?

— რა მჭირს?

— რაღაც უხეში ხარ.

— ვაიმე, გეხვეწები, არ დაიწყო.

— მაინც გავარკვევ, რა გჭირს!

გაბრაზებული ნიცა დგება და მისგან მოშორებით ჯდება. თამაში გრძელდება, ყველა მხიარულობს. ირაკლიც უყურებს თამაშს, მაგრამ ვერ ხედავს. მისი გონება იქ არ არის.

ღაღამოა. ცოტა დავმშვიდდი. დედამ დაიძინა. მიშო არ მოსულა. ვიღებ მოსაწვევს და თავიდან ვკითხულობ. რა უსინდისო კაცია. მე ვიცი, ვისთან ერთადაც წავალ იქ. შაკუნას ვთხოვ, ვითომ ჩემი მეგობარი მამაკაცია. გასკდება გივი გულზე. ვიცი, რა ეჭვიანიცაა. ისიც კარგად ვიცი, რომ ჩემი წასვლა ვერ გადახარშა. შაკო სახლში იქნება. გავალ, დაველაპარაკები. ვდგები და კარისკენ მივდივარ. საკმაოდ თბილა. გავდივარ გარეთ და ვხედავ, რომ ქუჩის მეორე მხარეს შაკო ბიჭებს ელაპარაკება. ხელს მიქნევენ.

— შაკო, მოდი ერთ წამს, რა, — ვეძახი ხმამაღლა.

შაკო თავს მიქნევს და ემზადება, რომ გზა გადმოკვეთოს. საიდანღაც წამებში ჩნდება შავი BMW. შაკო ჰაერშია, შემდგომ ტროტუარზე. მანქანა ბოძზეა შემოხვეული. ყველაფერი ისე სწრაფად ხდება, რომ ვერ ვაანალიზებ, რა დავინახე. გაოგნებული ვდგავარ მოსაწვევზე ჩაბღაუჭებული. მეზობლები კივიან. პანიკაა. მოსაწვევს ხელს ვუშვებ და მიწაზე ეცემა. მე ადგილზე ვდგავარ.

რესპუბლიკურის ეზო სავსეა ხალხით. ავტომობილის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. შაკო მძიმედაა. ყველანი აქ ვართ, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებთ. ღმერთო, გევედრები, გადაარჩინე. სულ ჩემი ბრალია. რომ არ დამეძახა, ხომ არ გადმოვიდოდა გზაზე. ღმერთო,

გევედრები! შაკოს ბიძაშვილი გამოდის და შეწუხებული სახით ამბობს: ხერხემალი ისეთ დღეში აქვს, არ იციან, თუ გაივლის.

— ვაიმე, შვილო, — შაკოს დედა მისი ძმის მკლავებში მოთქვამს.

— ნუ ტირი, ყველაფერი კარგად იქნება, — დედაჩემი ძლივს იკავებს ცრემლებს.

— ისრაელში თუ გადავფრენთო, კი თქვეს რაღაცა, — ამატებს ბიძაშვილი.

— რა რაღაცა? — კითხულობს მიშო.

— მალევე თუ გააფრენთო ისრაელში, მეტი შანსები აქვსო.

— და რა ჯდება? ან როდის შეიძლება? — არ ეშვება მიშო.

— როდის, არ მიკითხავს. მგონი, როგორც კი კრიტიკული მდგომარეობიდან გამოვა.

— რა ჯდება, შვილო? — კითხულობს შაკოს დედა.

— ათასებიო რაღაც, თან ევროებში.

შაკოს დედა უფრო ხმამაღლა მოთქვამს. მათ არ აქვთ ათასები, მით უმეტეს, ევროებში.

— მე გადავიხდი! — ვამბობ მე.

ყველა მე მიყურებს.

— ვაიმე, შვილოოო... — შაკოს დედა გულში მიკრავს.

ღმერთო, რაც დამრჩა, ბოლო კაპიკამდე გადავიხდი, ოღონდ შაკო კარგად იყოს! გევედრები, უფალო, გევედრები!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

მეთოჯინე

შუაღამისას მძიმე განწყობამ გამაღვიძა. უსიამოვნო სიზმარი ვნახე. ბოლო ხანს სიზმარს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. ისედაც სავსეა ცხოვრება ათასი პრობლემით, კიდევ სიზმრები რომ არ დავიმატო საფიქრალად. ადრე, თვალს გავახელდი თუ არა, მაშინვე სიზმრის განხილვას ვიწყებდი, ვიხსენებდი მის ყოველ დეტალს და ისე გამოდიოდა, თითქოს დღის განრიგსაც სიზმრის მიხედვით ვადგენდი. ვუკირკიტებდი და ვცდილობდი, ამეხსნა, ვთქვათ, რატომაა, რომ დიდი ხნის უნახავ ნაცნობს ნახავ სიზმარში და ის ნაცნობი იმ დღესვე გხვდება. რატომაა, რომ სიზმარში შენთვის უცნობ გზაზე მიდიხარ და მოულოდნელად ცხადშიც ზუსტად ასეთ გზაზე გიწევს წასვლა, რატომაა, რომ სრულიად უცხო ადამიანს ნახულობ სიზმარში და ამ ადამიანს რეალურ ცხოვრებაში ხვდები.

მოკლედ, უცნაური ჯაჭვი იკვრება: სიზმარი-ცხადი-სიზმარი-ცხადი, ზღვარწაშლილი რეალური და ირეალური, პარალელური სამყაროები, სხვა განზომილებები და საერთოდ, სიზმრის სამყარო, სადაც შეიძლება ისეთივე სიცოცხლეა, როგორც დედამიწაზე, სადაც თავისი მზე აქვთ და თავისი მთვარე, სადაც ამებასავით ერთუჯრედიან არსებებად ვჩანვართ, რადგან იქ, იმ სამყაროში, ამ სამყაროსგან განსხვავებით, ფრენაც შეგვიძლია, მკვდრეთით აღდგომაც და დაცემაც, კილომეტრების წამში დაფარვაც და კოშმარების ციხე-დარბაზებში მოგზაურობაც, დროის მანქანებით სეირნობაც და საერთოდ, ნეტავ სიზმარია ცხადი თუ პირიქით, ცხადია სიზმარი? თუმცა რა, სიზმარს მე კი არა, ნეტავ, ვინ ხსნის ბოლომდე. ცალკე დგას, ცალკე წესები აქვს, ცალკე კანონები...

დღემდე ძალიან მწარედ მახსოვს რამდენიმე ცუდად ახდენილი სიზმარი, ისე ცუდად, რომ ერთხელ დავიფიცე, ოღონდ ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო და ჩემს თავს ვაიძულებდი, სიზმარი აღარ მენახა. კიდევ კარგი, მაშინ ყველაფერი კარგად დამთავრდა, სიზმარს კი, რა თქმა უნდა, იმის მერეც ვნახულობდი, მაგრამ ვცდილობდი, აღარ დამემახსოვრებინა, ყურადღება აღარ მიმექცია, აღარ მეფიქრა მასზე და ნელ-ნელა მართლაც დაკარგა თავისი ძალა. იმანაც მიშველა, რომ იმ პერიოდში სერიოზული შეკვეთა მივიღე და სიზმრისთვის კი არა, ცხადისთვის აღარ მეცალა.

ახლა კი ისევ ამაფორიაქა... ცუდი სიზმარი ვნახე, უფრო სწორად, ბევრი არაფერი მინახავს, მაგრამ ის უსიამოვნო შეგრძნება, რომელიც სიზმარში ჩამისახლდა, ცხადშიც ვერ მოვიშორე. სიზმრამდე ის მინდა, ვთქვა, რომ მეთოჯინე ვარ, თოჯინებს ვაკეთებ, ვკერავ და ძირითადად, ვყიდი. ეს არის ჩემი ჰობიც და შემოსავლის წყაროც. თოჯინებით გატაცება დიდი ხნის წინ, სრულიად მოულოდნელად დაიწყო:

ერთ ზაფხულს, სოფელში ნათესავთან ყოფნისას, ერთმა ქალმა, რომელიც იქ იშვიათად ჩამოდიოდა, ბებიის გარდაცვალების მერე სახლი გაყიდა და სანამ დაცლიდა, მეზობლის გოგოები დაიბარა. მეც მომკიდა ხელი ჩემმა ნათესავმა და წამიყვანა. მოხუცის შვილიშვილმა კარადიდან რაღაც ჩვენი სამყაროსა და რეალობისთვის სრულიად უცხო და ეგზოტიკური ნივთები გამოალაგა, მაგალითად, აჟურული, გადაჭრილი ხელთათმანები, ფეტრის ქუდი ვუალითა და თვლიანი ქინძისთავით და ა.შ.

— ეს ნივთები თქვენ უნდა გაჩუქოთ, — გვითხრა ქალმა, — ბებიამ ჯერ კიდევ წლების წინ დამიბარა, ჩემი სოფლის ახალგაზრდა გოგონებს დაურიგეო.

— ჩვენ? — გაიკვირვეს, ნეტავ, ვის რად უნდოდა ეს ძველმანები, ჩვენ ხომ მას არც ვიცნობდით წესიერად.

— ვიცი, მესმის თქვენი, ისიც ვიცი, ამის მომვლელები არ ხართ და სიმართლე გითხრათ, ძალიან მენანება, მაგრამ სხვა გზა არაა, მისი თხოვნა უნდა შევასრულო.

გოგოებმა ნივთები ბუზღუნით წამოიღეს და გადაწყვიტეს, მდინარეში გადაეყარათ, მაგრამ მე რაღაცნაირად, მიცვალებული შემეცოდა, შემრცხვა კიდეც მისი. გოგოებს ნივთები გამოვართვი და თბილისში წამოვიღე. სიმართლე რომ ვთქვა, წარმოდგენა არ მქონდა, რად მინდოდა ან ეს ხელთათმანები, ან საყელო, ან ღილები, ან ქუდი ვუალით... ამიტომ სათავსოში შევინახე და ძალიან, ძალიან დიდხანს აღარც გამხსენებია.

ერთ საღამოს ერთ-ერთ უცხოურ არხზე გადაცემას ვუყურებდი მეთოჯინეზე, ძალიან დავინტერესდი და მეც მომინდა თოჯინების გაკეთება. აი, მაშინ გამახსენდა სათავსოში შენახული ნივთები. ავდექი, მოვძებნე, მაგიდაზე გავშალე და სულ სხვა თვალით შევხედე: კი, ნამდვილად გამომადგებოდა, იმ თოჯინასაც კი ვხედავდი, რომელიც ამ ნივთებისგან შეიძლებოდა გამეკეთებინა.

ჯერ უამრავ ინფორმაციას გავეცანი იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა თოჯინები, მერე სხვა მასალაც მოვიმარაგე. იმანაც მიშველა, რომ სკოლის დროს ხატვით სერიოზულად ვიყავი გატაცებული და პირველი თოჯინა დიდი წვალებით, მაგრამ მაინც დავამზადე. მერე, როცა უკვე დასრულებულ ნამუშევარს შევხედე, აღმოვაჩინე, რომ თოჯინას სახე ძალიან მიუგავდა იმ მოხუცს, ვისი ნივთებიც გამოვიყენე. არ გამკვირვებია, როგორც ჩანს, მუშაობის დროს ქვეცნობიერად ამ ქალზე ვფიქრობდი და მისი კედელზე დაკიდებულ, გადიდებულ ფოტოზე აღბეჭდილი სახეც ბუნდოვნად მედგა თვალწინ. რა თქმა უნდა, უნაკლო თოჯინა არ იყო, მაგრამ მერე ნელ-ნელა დავიხვეწე, რაღაცნაირად ჩამითრია ამ საქმემ, რამდენიმე შეკვეთაც მივიღე, სტიმული მომეცა, მოკლედ, მეთოჯინედ ვიქეცი.

— ნამდვილი დედილო კარლო ხარ, — დამცინიან მეგობრები.

— აუ, ისევ ეს ბლანდები და ძონძები, რა, — ბრაზდება ჩემი შვილი.

სულ არ მიკვირს, ისეთ ასაკშია — ძმაკაცები, გოგოების გაუთავებელი მესიჯობა მობილურზე, ინტერნეტში ძრომიალი... მე კი ვზივარ: ნაჭრები, თაბაშირი, მუყაო, წებო, ნემსი, ძაფი, ღილები, თვლები, მაკრატელი... კიდევ კარგი, ჩემი ოთახი მაქვს, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევს და მე — ნემსში გაყრილ ძაფს, მაგრამ მაინც ოთახი. ჰო, რაზე დავიწყე ეს ამხელა ამბავი:

სიზმარში ჩემი პირველი თოჯინა ვნახე, მიყურებდა და თითქოს რაღაცას მეუბნებოდა, მანიშნებდა, მთხოვდა... ისეთი უსაზღვრო სევდა ედგა თვალებში, რომ ამ სევდამ ამაფორიაქა და ფეხზე წამომაგდო.

„რა იყო ეს? რას მთხოვდა? რა უნდოდა?“ — ვერაფერს მივხვდი. თოჯინა დიდი ხნის წინ გავყიდე და ისედაც, ძებნას ხომ არ დავიწყებდი. აივანზე გავედი. მთვარიანი ღამე იყო, ვარსკვლავებით მოჭედილ-მოჭიქურებული. დიდხანს ვუყურე ცას, თანდათან დავშშვიდდი, პირჯვარი გადავიწერე და დავიძინე.

შევეცადე, სიზმარი ფურცელივით ამომეხია ჩემი მეხსიერებიდან და დამევიწყებინა. გამიჭირდა, მაგრამ შევძელი, თან შეკვეთა მქონდა დასასრულებელი და ამანაც მიშველა. იმ დღეებში აღარაფერი მინახავს, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ კი ისევ ამ უცნაურმა სიზმარმა წამომაგდო. თოჯინა საშინლად სევდიანი თვალებით მიყურებდა და აშკარად რაღაცას მთხოვდა. საწოლზე წამოვჯექი და უაზროდ შევხედე კედელს.

— ასე არ შეიძლება, — გავიფიქრე, — ასე არ შეიძლება.

და გათენდა თუ არა, ჩემს მეგობარს დავურეკე. ხშირად მოდიოდა და მეხმარებოდა. ვისხედით, თან თოჯინების კაბებს ვკერავდით და თან ათას რამეზე და ათას ვინმეზე ვჭორაობდით.

— ვიკ, გამოდი ჩემთან, რა, — ვთხოვე.

— რა ხმა გაქვს? — გაუკვირდა, — არ გეძინა?

— რომ მეძინა, სწორედ მაგიტომ მინდა, გამოხვიდე. რაღაც უნდა გითხრა.

— კარგი, ჰო, სადილს გავამზადებ და გამოვალ.

მალე მოვიდა. ოთახში შევიყვანე და კარი საგულდაგულოდ მივხურე. არ მინდოდა, ჩემს შვილს გაეგო რამე. ის რომ მეთქვა, თოჯინა მესიზმრება და მაფორიაქებს-მეთქი, წარმომიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდა, სიცილისგან კარგა ხანს ვერ მოვიდოდა გონს და სტატუსსაც შესაფერისს გამოაცხობდა „ფეისბუქზე“: „დედაჩემი გაგიჟდა!“

აი, ვიკას კი ყველაფერი მოვუყევი, ან რა მომასვენებდა, რომ არ მეთქვა.

— ძალიან დიდ დროს ხომ არ უთმობ შენს თოჯინებს? წამოდი, სადმე გავისეირნოთ, არ გინდა? — შემომხედა ვიკამ.

— და მაინც, რას ნიშნავს ეს სიზმარი, შეგიძლია მითხრა? — სიტყვა ბანზე ავუგდე.

— არაფერს, — მხრები აიჩეჩა, — ეტყობა, ეს თოჯინები უკვე ყელში გაქვს ამოსული. გადაიღალე, დასვენება გინდა.

— იცი, რა უნდა გთხოვო? ის თოჯინა, რომელიც მესიზმრება, ვიცი, ვინც იყიდა, ხომ არ მივიდეთ? რატომღაც მგონია, რომ იმ ოჯახს უჭირს რაღაც. აბა, ეს გამოხედვა რას ნიშნავს? ან რატომ მესიზმრება, ან ეს შეგრძნება და ფორიაქი...

— სად უნდა მივიდეთ, გაგიჟდი? — გაუკვირდა ვიკას.

— ჯერ არა, მაგრამ თუ არ მივედი, შეიძლება მართლა გავგიჟდე.

— დავუშვათ, მივედით, მერე? — მკითხა ვიკამ.

— რა ვიცი, რამეს მოვიმიზეზებ. ვეტყვი, რომ თოჯინის ფოტოები დავკარგე და თავიდან მინდა, გადავუღო გამოფენისთვის. ჰო, ასე ვეტყვი! კარგად მოვიფიქრე და ფოტოაპარატსაც წამოვიღებ.

— ნუ, რადგან არ იშლი, კარგი, წავიდეთ, ასე იყოს, — დამეთანხმა ვიკა.

იმ ოჯახში გადავრეკე, ვინც ის თოჯინა შეიძინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცოტა ხნის წინ გაუჩუქებიათ. ტელეფონის ნომერი მომცეს. ახლა იქ დავრეკე და თოჯინის ახალ მფლობელს მისვლაზე შევუთანხმდი. მერე ფოტოაპარატი ავიღე, ვატოს დავურეკე, დავუბარე, სად იდო სადილი, დავუბარე, რომ ფრთხილად ყოფილიყო, კარი არავისთვის გაეღო და ა.შ. როგორც უბარებენ ხოლმე დედები შვილებს და ვიკასთან ერთად თოჯინის სანახავად წავედი.

— მობრძანდით, — ღიმილით შეგვიპატიჟა სიმპათიურმა მამაკაცმა, — აი, თქვენი თოჯინაც.

Cyan Magenta Yellow Black

თოჯინას გულის კანკალით მივუახლოვდი, მეგონა, იმავეს ვიგრძნობდი მისგან, რასაც სიზმარში ვგრძნობდი, მაგრამ არა, მსგავსი არაფერი მომხდარა.

— ფოტოებს გადავუღებ, კარგით? — ვთხოვე გურამს.

— კი, ბატონო, კი, ბატონო, — გამიღიმა.

სანამ თოჯინას ფოტოებს ვუღებდი, გურამმა ყავა მოადუღა, ტკბილეულიც გამოიტანა და მიგვიწვია.

— არა, იყოს, გვეჩქარება, — თავპატიჟი გამოიდო ვიკამ. მკლავზე ვუჩქმიტე და მაგიდასთან დავჯექი.

— რა გჭირს? — მკითხა გაოცებულმა ვიკამ, როცა გურამი ისევ ცოტა ხნით გავიდა სამზარეულოში.

— სად გვეჩქარება, ხომ არ გაგიჟდი, — ვუთხარი ჩუმად, — ცოტა ხნით ვიყოთ, უნდა გავიგო, ამ ოჯახს ხომ არ ემუქრება რაიმე საფრთხე.

— მოკლედ, მისტიკაში ხარ გადავარდნილი, რა, — უკმაყოფილოდ თქვა ვიკამ, დაწითლებულ მკლავზე მოისვა ხელი, — სულაც ნუ მიჩქმეტდი, რა იყო ახლა ეს, ვანომ რომ ნახოს, იმას დავაჯერებ, რომ შენ მიჩქმიტე? — ქმარზე მითხრა.

ვანოს დარდი სულ არ მქონდა. მაინტერესებდა, ჩემი თოჯინა, რომელიც ახლა იჯდა თავის ადგილზე მშვიდად და კარგად და რომელიც სულაც არ მაფორიაქებდა, რატომ მესიზმრებოდა ასე.

— იცით, ეს თოჯინა რატომ მაჩუქეს? — მკითხა უცებ გურამმა.

— რატომ, — ყურები ვცქვიტე, საუბარი ჩემთვის საინტერესო თემისკენ მიდიოდა.

— ძალიან მივამსგავსე ჩემს დიდ ბებიას, — გამიღიმა გურამმა, — დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. მაშინ, სამწუხაროდ, აქ არ ვცხოვრობდი, სულ ორიოდე წელია, რაც საქართველოში დავბრუნდი.

— ბებიის ფოტო ხომ არ გაქვთ? — ვკითხე მაშინვე, — „ახლა რომ იმ ქალის შვილთაშვილი აღმოჩნდეს, კიდევაც გავგიჟდები“, — გავიფიქრე თან და გული ამიჩქარდა.

გურამმა ძველი ალბომიდან ფოტოები ამოარჩია და მომაწოდა. ის იყო! ჩემი ნათესავის თანასოფლელი, ვისი დატოვებული ნივთებიც გამოვიყენე თოჯინის სამოსისთვის.

— რა უცნაურია! — წამოვიძახე და გურამს ყველაფერი მოვუყევი.

გაოცებული მისმენდა.

— დაუჯერებელია, — იმეორებდა დროდადრო.

ვიკა საერთოდ, ენაჩავარდნილი იჯდა.

— დედაჩემს რომ ენახა ეს თოჯინა, რა თქმა უნდა, ნივთებსაც იცნობდა, ღილებს, საყელოს მაქმანს, მაგრამ დედაჩემიც დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, მეღა დავრჩი მათი ერთადერთი შთამომავალი. აი, მეც მოვკვდები და დამთავრდება ამ ოჯახის ისტორია, — მითხრა გურამმა.

— რას ბრძანებთ, რა დროს სიკვდილია, — ისე შევწუხდი, თითქოს ხვალვე უნდა მომკვდარიყო და ამაში მე ვიქნებოდი დამნაშავე.

— არა, სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ, — გაეცინა, — მაგრამ როცა იქნება, ეს დრო ხომ დადგება.

— ასი წლის მერე, — ჩაიბუტბუტა ვიკამ.

შევატყვე, გურამის მიერ სიკვდილზე ჩამოგდებული საუბარი არც მას ესიამოვნა. დრო ისე გავიდა, ვერც გავიგეთ, გურამი საინტერესო და სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა. კიდევ დავრჩებოდი, მაგრამ ვიკას ეჩქარებოდა.

წამოვდექით, გურამმა სადარბაზომდე გამოგვაცილა. რაღაც მომენტში მის მზერაში ზედმეტი ყურადღება ვიგრძენი. ვერ ვიტყვი, რომ არ მესიამოვნა, მაგრამ დიდად არ მიმიქცევია ყურადღება ამისთვის. ჩემს უცნაურ და უსიამოვნო სიზმრებზე კი გურამისთვის არაფერი მითქვამს, ან რატომ უნდა მეთქვა, დამეფრთხო და შემეშინებინა ადამიანი.

იმ ღამეს მშვიდად მეძინა. არანაირი თოჯინა აღარ დამსიზმრებია, არც მეორე დღეს.

— მორჩა, როგორც ჩანს, უბრალოდ, ჩემს თოჯინას ვენატრებოდი, — დავასკვენი და ძალიან გამახარა ამ აღმოჩენამ.

— მორჩა შენი სევდა-ფორიაქი? — მოვიდა რამდენიმე დღის მერე ვიკა.

— ჰო, კიდევ კარგი, გურამს არაფერი ვუთხარი ამის შესახებ, — გამეცინა, — სულ ტყუილად შევაშინებდი.

— ისე, როგორ გიყურებდა, თუ გახსოვს? — გამომცდელად მკითხა ვიკამ.

— კარგი ერთი, მიყურებდა არა, ის... — კიდევ გამეცინა.

— ოჰ, ვითომ ვერ შეამჩნიე, — მითხრა ვიკამ, — იცი, რა? რაღაც ძალიან მშვიდი და წყნარი ჩანს, საინტერესო, სასიამოვნო. გამიხარდებოდა ასეთი ადამიანი შენ გვერდით, თორემ ხომ ხედავ, მარტოობისგან და ამ შენი თოჯინებისგან თანდათან ჭკუიდან გადადიხარ.

— რა მარტო, გოგო, ამხელა შვილი მყავს გვერდით, — ვუთხარი, არადა მშვენივრად მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

— ან თავს იდებილებ, ან მე მადებილებ, — ხელი ჩაიქნია ვიკამ, — კარგი, ახლა სხვა თემაზე: შენი ბოლო თოჯინით დავაინტერესე ერთი. იქნებ ფოტოები გადაუღო და ატვირთო?

— მშვენიერი ამბავია, — გამიხარდა, — ახლავე.

ახალ თოჯინას ფოტოები გადავუღე, კომპიუტერი ჩავრთე, ფოტოაპარატის კაბელი შევაერთე და მონიტორს მივაჩერდი.

— ოჰ, ეს საძაგელი ბავშვი, რამდენ ფოტოს იღებს, — მსუბუქად გავბრაზდი ვატოზე, — წავიდა, კიდევ, კიდევ... უი, აი, გურამის თოჯინაც, სულ აღარ მახსოვდა, ფოტოები რომ გადავუღეთ, რატომ ამაფორიაქე, თოჯინა? — ვლაპარაკობდი და ფოტოებს სწრაფად ვათვალიერებდი.

— ეს რა არის? — უცებ ჩუმად მითხრა ვიკამ და მონიტორს თითი მიადო.

ვიგრძენი, ვიკას ხელის მოჭერა მხარზე. ფოტოს დავაკვირდი. თოჯინას თვალები ზომაზე მეტად გადიდებოდა და სასოწარკვეთილი გამომეტყველება ჰქონდა.

— ვიკა, რაღაც ხდება, რაღაც ხდება და ვერ ვხვდები, — მეც ავჩურჩულდი, სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა, — რაღაცას მეუბნება, ხომ ხედავ, რაღაცას მანიშნებს, მაგრამ რას?!

— აქამდე არ მჯეროდა, მაგრამ ახლა... — ვიკას ხმა უკანკალებდა, ხელიც.

— და რა? რა უნდა ხდებოდეს და რატომ? და რატომ მაინცდამაინც ეს თოჯინა, რატომ? — ვკითხე ვიკას, — ალბათ გურამს ხიფათი ელოდება. ხომ ნახე, რა უცნაურად მივიდა თოჯინა მასთან. ალბათ ბებიის სული რაღაც საშიშროებას გრძნობს, ერთადერთი შვილთაშვილის დაცვა უნდა საფრთხისგან, მაგრამ მე რა შუაში ვარ, მე რა უნდა გავაკეთო?!

— დაურეკე გურამს, — მითხრა ვიკამ და მობილური მომაჩეჩა.

— რა ვუთხრა? — შევაჩერდი.

— არ ვიცი, რამე უთხარი, მოიკითხე ბოლოს და ბოლოს.

გურამთან დავრეკე, არავინ მიპასუხა, კიდევ დავრეკე, კიდევ...

— რაღაც ხდება, — წამოვხტი სკამიდან, — ახლავე უნდა წავიდე და ვნახო.

არ ვიცი, ასე რატომ ვიფიქრე, ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლებოდა, უბრალოდ თან არ ჰქონოდა მობილური?

— მოიცადე, სად მიდიხარ, — ვიკას შევატყვე, რომ ეშინოდა, — რამე შარში რომ გაეხვიო, ბავშვს რას უშვრები?

— და აბა, რა ვქნათ?

— ერთად წავიდეთ, — ვიკაც წამოდგა.

სწრაფად გამოვედით სახლიდან.

ვიკამ ვანოს გადაურეკა. გურამის მისამართი უთხრა და სთხოვა, სასწრაფოდ ისიც მოსულიყო.

— მაინც კაცია, ხომ იცი, უფრო იმედიანად ვიქნებით, — მითხრა მერე.

არაფერი მითქვამს, პირიქით, გულზე მომეშვა.

გურამის სადარბაზოს კიბეებზე როგორ ავირბინე, არც მახსოვს. ზარი დავრეკე, კარი არავინ გააღო. მერე დავაკაკუნე.

— მგონი, კარი ღიაა, — მიჩურჩულა ვიკამ.

შევხედე, ოდნავ, სულ ოდნავ შეღებულიყო, ალბათ კაკუნისგან, ფრთხილად მივაწექი.

— მოიცადე, — ხელი დამიჭირა ვიკამ, — შეიძლება... შეიძლება აქ ძალიან ცუდი რამ იყოს მომხდარი, ვანოს დაველოდოთ.

— არა, — ვუთხარი და სახლში შევედით.

გულის ფანცქალით გავიარეთ ჰოლი, ოთახები დავიარეთ... არა, სახლში არავინ იყო.

— რადგან მკვდარი არ ჩანს, ალბათ გასული იქნება სადმე, — ამოვისუნთქე ღრმად და უცებ მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი... შიშისგან განწირული ხმით დავიყვირე, თვალები დავხუჭე და იმის ნაცვლად, რომ გამოვქცეულიყავი, ერთ ადგილს მიველურსმნე.

— რა ხდება, რა მოგვიდა! — ვიკას ხმამ გამომაფხიზლა.

— ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო! — თვალები გავახილე და ვიკას ჩავებღაუჭე.

— მგონი, სულ გარეკე, — მითხრა ვიკამ.

მივხვდი, უბრალოდ გამამხნევა, თორემ თავადაც ძალიან შეშინებული იყო, ერთიანად გადაფითრებოდა სახე.

— არა, არ გამირეკავს, ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო! — გავუმეორე დაჟინებით და ოთახი მოვათვალიერე.

პირველი, რაც შევნიშნე, თოჯინა თავის ადგილზე აღარ იდო.

— სადაა თოჯინა? — ჩავიჩურჩულე გაოგნებულმა.

— თოჯინა კი არა, გურამი აღარ ჩანს, თოჯინას დაეძებ? — ჩაიჩურჩულა ვიკამაც.

— თოჯინით დაიწყო ეს კოშმარი, — ვთქვი ჩუმად.

— ვეღარ ვიტან მაგ თოჯინას უკვე! — თქვა ვიკამ და სანამ წინადადებას დაასრულებდა, უცებ ისევ ვიგრძენი ხელის შეხება, მერე აღარაფერი მახსოვს, შიშისა და გაოგნებისგან, როგორც ჩანს, გული წამივიდა...

გონს რომ მოვედი, თავთან შეშფოთებული სახეები დავინახე, ვიკა, ვანო და გურამი.

— როგორც იქნა, — ამოისუნთქა ვიკამ, — როგორ ხარ? როგორ შეგვაშინე!

— რა მოხდა? — ვიკითხე და წამოვჯექი, თავი ისევ მიბრუოდა.

— არაფერიც არ მოხდა! — ცოტა ხმამაღლა მითხრა ვიკამ, — ყველაფერი შენი უაზრო სიზმრის და ფანტაზიის ბრალია! არანაირი მისტიკა, გაიგე? არა-ნა-ი-რი!

— ვიკა, კარგი ახლა, ასე როგორ შეიძლება? — სთხოვა ვანომ, უხერხულად იგრძნო თავი ცოლის ნაცვლად.

— რა კარგი, რა კარგი? ერთი სიკვდილი გავათავე, თავად კი ლამის გადაჰყვა! რომ მომკვდარიყო შიშისგან? რომ მომკვდარიყო? — ხმა აუკანკალდა ვიკას და ოთახიდან გავარდა.

— რა მოხდა? — ისევ ვიკითხე მე.

— სიმართლე გითხრათ, მეც არ ვიცი, — გამიღიმა გურამმა, — სახლში შემოვედი, დაგინახეთ, მოვედი, მხარზე ხელი დაგადეთ და...

— გურამ, იცით რა, — და ყველაფერი მოვუყევი.

— მაინც ვერ გავიგე, პირველად ვინ დამადო მხარზე ხელი? — ეს უკვე მერე ვკითხე, როცა საღამოს მის სამზარეულოში ვისხედით და ჩაის ვსვამდით, ვიკა და ვანო უკვე წასულები იყვნენ, მე კი გურამთან ლაპარაკი მინდოდა, ბოლომდე ჩამოცლა.

— არავინ, — გამიღიმა გურამმა, — უბრალოდ, ზედმეტად დაძაბული იყავი და მოგეჩვენა.

— როგორ დაემთხვა ყველაფერი ერთმანეთს, — ვთქვი ჩაფიქრებულმა, — სიზმრები, ის, რომ სწორედ თქვენთან აღმოჩნდა ჩემი თოჯინა ბებიათქვენის სამოსით და სახით.

— მერე ის, რომ თოჯინას ადგილი შევუცვალე, მობილური სახლში დამრჩა და კარი ღია და თქვენ არ იცოდით, რომ მე საერთოდ, როგორც მარტოხელა მამაკაცების უმ-

→70

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოჩშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 14 სექტემბერი 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 27 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, დასაქმებული. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ პატიოსან, დედისერთა გოგოს. 555316787. გიო

2. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 45-50 წლამდე სერიოზულ ქალს. ვმუშაობ ბანკში, ვარ უზრუნველყოფილი. 577120405

3. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ვარ 31 წლის. 555109795. ირაკლი

4. გავიცნობ 20 წლის ზევით ქალს, თუნდაც გათხოვილს, ცოტა შეძლებულს და მოწესრიგებულს. ვარ რაიონიდან. 558692305

5. გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 35 წლის, მყავს მანქანა. 595618777. გაგა

6. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 31 წლის. 595017201

7. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. ვარ 25 წლის, ვცხოვრობ თბილისში. 555005224

8. ვარ 26 წლის. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ, სასიამოვნო გოგოს. 555108691

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე სიმპათიურ, თბილისელ გოგოს. ვარ 38 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, ვცხოვრობ მარტო. 555162802. გია

10. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს. 593168394. ზურა

11. გავიცნობ ლამაზ ქალს. 5921000123

12. გავიცნობ სულიერად მდიდარ, ლამაზ და მშვიდ ქალს. 555675264. ნიკა

13. გავიცნობ 45 წლამდე, სასიამოვნო გარეგნობის ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 48 წლის, გორიდან. 555738209. გიგა

14. გავიცნობ ლამაზ გოგონას შეხვედრებისთვის. 592100123

15. ვარ 25 წლის, ნორმალური გარეგნობის ბიჭი. გავიცნობ გოგოს ან ქალს შეხვედრებისთვის. 555108691. დათო

16. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ვცხოვრობ თბილისში. 555170658

17. ვარ 26 წლის მამაკაცი, გავიცნობ 35 წლამდე გოგოს სამეგობროდ. 555109884

18. ვარ 37 წლის მამაკაცი. გავიცნობ თელავის რაიონიდან ქალს. 595344245

19. გავიცნობ 40 წლამდე თბილისში მყოფ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ მაღალი, სიმპათიური, 30 წლის ბიჭი, მყავს მანქანა. 595750060. ნიკა

20. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ლამაზ და სუფთა წარსულის მქონე ქალს. ვარ ზრდილობიანი და კარგი ადამიანი. 551740511. გიორგი

21. ვარ 38 წლის. განქორწინებული, თბილისელი, სერიოზული მამაკაცი, გავიცნობ სასიამოვნო ქალს. 555104433

22. ვარ გულისხმიერი და ერთგული, თბილისელი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ პუტკუნა და მარტოსულ, თბილისელ ქალს. 595976976

23. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს. ვარ 20 წლის ბიჭი. 598009790. თელავი

24. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 27-40 წლამდე ქალს სამეგობროდ, ვინც თავს გრძნობს მარტოსულად. 557678311

25. გავიცნობ თბილისში მყოფ მომხიბვლელ, ლამაზ და სერიოზულ 24 წლამდე გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ დასაქმებული, სიმპათიური 24 წლის ბიჭი. 557676510. დათო

26. გავიცნობ 30 წლამდე ქალს. ვარ 27 წლის ბიჭი. სასურველია — ქუთაისელი. 514464224. დათო

27. გავიცნობ სულიერად მდიდარ, ლამაზ და მშვიდ ქალს. 555675264. ნიკა

28. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე აჭარელ ან აჭარაში მყოფ ლამაზ გოგოს. 593973884. ლაშა

29. ვარ 26 წლის ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ გოგოს ან ქალს. 557708693

30. სამეგობროდ გავიცნობ 30-დან 42 წლამდე მხატვარ, მსახიობ, ექიმ ან უბრალოდ დიასახლის ქალს. ვარ 39/174/87, სიმპათიური, უზრუნველყოფილი, ვცხოვრობ მარტო. 555953980

31. ვარ 26 წლის ბიჭი, სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე გოგოს. 555109884

32. გავიცნობ 35 წლამდე ქალს. ვარ 25 წლის ბიჭი. 577311831. ლევანი

33. ვარ 38/195/80, შავგვრემანი, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე სიმპათიურ, თბილისში მარტო მცხოვრებ ქალს. 595102101. იკა

2017

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ, მეოჯახე, უმაღლესი განათლებით, 27 წლამდე გოგოს. ვარ 43/174/80, ნაკლით. 555611755

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-დან 35 წლამდე, თუნდაც განათხოვარ გოგოს. ვარ სიმპათიური, შრომისმოყვარე, ეკლესიური ადამიანი. 599646363. გაგა

3. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ თბილისელ, ბინიან ქალს. ვარ 40 წლის, ხელოვანი მამაკაცი. 598999725

4. ვარ თბილისელი, 40 წელს გადაცილებული მამაკაცი, ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ თბილისთან ახლოს მცხოვრებ 34 წლის ქალიშვილ, გამხდარ და განათლებულ პიროვნებას, მე მისი მატერიალური მდგომარეობა არ მაინტერესებს. 558215498

5. გავიცნობ თბილისელ, წესიერ, მოსიყვარულე შეძლებულ ქალს ოჯახის შექმნის მიზნით, თუენდაც განათხოვარს. ვარ 34 წლის. 598272303

6. ვარ 30 წლის, სუფთა წარსულის, დასაქმებული, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დედისერთა ან მარტო მცხოვრებ გოგოს. 593104726

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45-დან 50 წლამდე გამხდარ ქალს, სასურველია იყოს უშვილო. ვარ 54 წლის, ვცხოვრობ თბილისში მარტო. 593787383

8. გავიცნობ 40 წლამდე დედისერთა ქალიშვილს, ვისაც უნდა თბილი ოჯახი და შვილები. მხოლოდ დარეკვით საღამოს. 591275695

9. ვარ 185/82/32, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ქალიშვილ გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-33 წლამდე ქალს, ბინით უზრუნველყოფილს. ვარ 34 წლის, სლავური გარეგნობის, ვარ ხაბაზი. 558605481. ზაზა

11. ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 35 წლამდე, თბილისში მცხოვრებ ქალს. 558270100

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შეძლებულ, დასაქმებულ ბიჭს. ვარ 25 წლის, თბილისელი. 598891581

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, სიმპათიურ, მაღალ, დასაქმებულ 50-60 წლამდე მამაკაცს. ვარ 50 წლის, სიმპათიური ქალი, დიასახლისი. 557999417

3. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ თბილისელ, წესიერ მამაკაცს. 555239742

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ ბიჭს. ვარ 25 წლის, თბილისელი გოგო. 598891581. ანასტასია

5. მყავს 52 წლის ნათესავი ქალი, მშვიდი, კარგი მეოჯახე, სტუმარ-თმოყვარე, მოკრძალებული, ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი. სასიძოდ გვსურს ეკლესიური, განათლებული, დასაქმებული, კეთილშობილი ბატონი, სასურველია თბილისელი. 557701130

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 55 წლამდე თბილისელ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 55 წლის, რუსთავიდან. 551516210

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე, შეძლებულ მამაკაცს. 555354360

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-55 წლამდე დარბაისელ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 41წლის, განათხოვარი, შვილიანი, სერიოზული ქალი. 593456802

.9. ვარ 40 წლის, განათხოვარი, სერიოზული ქალი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ 45-50 წლამდე მამაკაცს. 557350287

მიყვარხარ, მენატრები

პაჩანიკა, როგორ ხარ? იმედია — კარგად, მეც ვარ, რაა, ყველასგან დავიწყებული, მაგრამ მთავარია, შენ არ დამივიწყო და დანარჩენს გადავიტან. გული გასკდომას მაქვს დარდისგან, თან ყურის ანთება დამემართა და ლამის გამგიჟოს. ბავშვები კარგად არიან, აღარ შემიძლია ამდენი უშენობა, დამირეკე. ყველაფერმა ცუდმა ჩემთვის მოიცალა. მენატრებიიი. სკოლა იწყება და საიდან რას მოვაბა თავი, აღარ ვიცი, კარგზე ვეღარაფერზე ვფიქრობ და ნუ გაგიკვირდება ჩემი გულგატეხილობა. დამირეკე გთხოვ, მიყვარხარ ძალიან, შენი ნახვის იმედიღა მაძლევნებს, თორემ ამდენს ვეღარ გავუძლებდი. ნეტა როდის იქნები ჩემთან... ნუ გაგიკვირდება მენატრები. მიყვარხაარ. შენ?

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჩიამე ან გაუმხიროთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ სმს „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 14 სექტემბრის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნერეული, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აღრესატისადმი მინერეული ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

←69 ეტესობა, ძალიან დაბნეული ადამიანი ვარ, — გაეცინა გურამს.

— მე მგონი, ბებიათქვენი რაღაცას აშკარად ონავრობს იქიდან და ამისთვის ჩემი თოჯინა გამოიყენა, — ავყევი სიცილში.

— მე ვიცი, რასაც, — გამიღიმა გურამმა, — როგორც ჩანს, ბებია ძალიან შეწუხდა ჩემი მარტოობით, თქვენი კი მადლიერი იყო, მისი ნივთები რომ არ გადაყარეთ და თანაც თოჯინაში გააცოცხლეთ. ჩათვალა, რომ ჩვენ ერთად კარგად ვიქნებოდით, ამიტომ გადაწყვიტა, მე და თქვენ ერთმანეთს აუცილებლად შევხვედროდით და დავახლოებოდით. რადგან ჩვენი დაახლოება პირველ შეხვედრაზე არ გამოვიდა, მეორედ უფრო მეტს ეცადა. სულ ესაა და ძალიანაც კარგი, რომ ასე მოხდა.

— ოჰ, რა მარტივად ამბობ, — ვერც მივხვდი, როგორ მივმართე შენობით.

— დამიჯერე, ასე იქნებოდა, იქ, ზევით, ყველაფერი ჩვენზე უკეთ იციან, — მაღლა აიხედა და ისევ გამიღიმა, მერე ხელზე ხელი დამადო და თვალებში შემხედა.

არ დავმალავ და გურამის ეს ვერსია სიამოვნებით დავიჯერე. ასე მინდოდა, ყოფილიყო ახლაც, ხვალაც, ზეგაც... ასე, მე და გურამი, სამზარეულოში, თბილად, მყუდროდ, ერთად... და რადგან ეს ძალიან მინდოდა, ავდექი და დავიჯერე. აღარ მაინტერესებდა ეს მისტიკური სიზმრები და თოჯინა. აქ ვიყავი, რეალობაში, გურამთან. არ ვფიქრობდი, რა იქნებოდა ხვალ, ისევ გაგრძელდებოდა მისტიკა თუ არა. თავს მშვიდად და დაცულად ვგრძნობდი და ეს ძალიან კარგი იყო, მეტი არაფერი.

Cyan Magenta Yellow Black

ბასილ მკალავიშვილის ვაჟმა თავი ეკლესიას მიუძღვნა

მამა ლუკა: „პატრიარქი მე და ჩემს ოჯახს გულმხურვალედ გვლოცავს"

მამა ლუკა (მკალავიშვილი) წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის მღვდელია. არცთუ დიდი ხანია, რაც სასულიერო პირი გახდა, ეკლესიურ ცხოვრებას კი ბავშვობაში შეუდგა. მამის, ყოფილი მღვდლის, ბასილ მკალავიშვილის ფაქტორმა მის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. ეკლესიის წიაღში დიდხანს იყო, როგორც სტიქაროსანი, მედავითნე, მნათე. თავის განვლილ გზაზე მამა ლუკამ „სარკესთან" ისაუბრა.

— მამა ლუკა, რამდენ წელს ითვლის თქვენი სასულიერო ცხოვრება?

— ერთი წელია, რაც თბილისის წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარში ვარ. 2012 წლის 7 ოქტომბერს მაკურთხეს მღვდლად და მას შემდეგ აქ ვმსახურობ. დიაკვნად 2012 წლის 7 ივლისს მაკურთხეს, მაშინ სამების საკათედრო ტაძარში ვიყავი.

— პატრიარქთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს ბავშვობიდან ვიცნობდი. 10 წლის ვიყავი, როდესაც მამაჩემს დავყვებოდი პატრიარქთან და სადაც ის წავიდოდა, ჩვენც მივდიოდით. ქაშუეთში სტიქაროსნობის შემდეგ ზემო ბეთლემის შობის სახელობის ტაძარში დავდიოდი. მნათე და მედავითნე ვიყავი. იქ ჩემი მოძღვარი მამა იოანე (როსტიაშვილი) იყო. შემდეგ მამა იოანესა და მამა ელიზბარის რეკომენდაციით მეუფე იაკობი (იაკობიშვილი) გავიცანი. მისი შუამავლობით მის უწმინდესობასთან მივედი და დიაკვნად მაკურთხეს. სამი თვე პატრიარქის გვერდით გავატარე, მის წირვა-ლოცვებს ვესწრებოდი, ვეხმარებოდი. დღემდე მის უწმინდესობასთან ხშირი ურთიერთობა მაქვს. დიაკვნობის დროს ძალიან დავუახლოვდი. სამების საკათედრო ტაძარში ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში. იქ მისვლა ყოველთვის მახარებს. თვეში ერთხელ მაინც მივდივარ სამებაში და პატრიარქს ვხვდები. ის მე და ჩემს ოჯახს ყოველთვის თბილად გვიღებს და გულმხურვალედ გვლოცავს.

— მამათქვენი ბასილ მკალავიშვილია, ყოფილი მღვდელი. ალბათ მამის ფაქტორმაც დიდი გავლენა იქონია თქვენს მომავალ არჩევანზე.

— კი. საერთოდ, ჩემი ეკლესიური ცხოვრება მშობლების დამსახურებაა. მას შემდეგ, რაც ილია II ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახდა, მამაჩემს ბევრ სამღვდელო პირთან და უშუალოდ პატრიარქთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სანამ მამა მღვდელი გახდებოდა, ჩვეულებრივი მრევლი იყო. დადიოდა ტაძარში და ეკლესიურად ცხოვრობდა. მის შემხედვარეს მეც გამიჩნდა სურვილი, იმავე გზაზე მევლო. ეს იყო 1987-88 წლები. 16-17 წლის ვიყავი, როდესაც ქაშუეთის ეკლესიაში დავიწყე სიარული. თავიდანვე მნათე გავხდი. ჩემი მოძღვარი იყო დეკანოზი მამა ელიზბარი (ოდიშვილი). სკოლის დამთავრების შემდეგ სასულიერო აკადემიაში ვსწავლობდი, მაგრამ ბოლომდე ვერ მივედი. ჯანმრთელობის პრობლემები შემექმნა, მერე ოპერაცია გავიკეთე და ამის გამო სწავლა ვერ დავამთავრე.

— რამდენი წლის იყავით, როდესაც მამათქვენი მოძღვარი გახდა და როგორ აღიქვით ეს ამბავი?

— მამაჩემი მღვდლად რომ აკურთხეს, 18 წლის ვიყავი და ამას ნორმალურად შევხვდი. ალბათ განსაკუთრებული რეაქცია იმიტომაც არ მქონია, რომ იმ დროს მეც ეკლესიის წიაღში ვიყავი, სტიქაროსანი გახლდით. დღეს მამა სასულიერო პირი აღარ არის და ცოტა გაურკვევლობაშია. იმედია, მალე ყველაფერი შეიცვლება. მამაჩემი მისი უწმინდესობის ერთგული იყო, მით უმეტეს, მას მერე, რაც მოძღვარი გახდა, მაგრამ გაუგებრობა მოხდა, რაც ყველამ კარგად იცით. დღეს პატრიარქს ძალიან იშვიათად ხვდება და ისიც — ჩემი შუამავლობით. ამჟამად მამა თვითნებურ საქმიანობას ეწევა. რადგანაც აქ მღვდლის ხარისხი ჩამოართვეს, საბერძნეთში წავიდა და იქაურ ეკლესიას შეუერთდა.

— თქვენზე როგორ იმოქმედა იმ ამბებმა, რაც მამათქვენს გადახდა თავს?

— ის ამბები გულთან ძალიან ახლოს მივიტანე, მაგრამ მამას გვერდში ვერ დავუდგებოდი. არც მაშინ და არც ახლა არ მიმაჩნია, რომ სწორად მოიქცა. მე ადამიანის რწმენას ცოტა სხვანაირი თვალით ვუყურებ. ჩვენ უფლის მცნებები და მისი ნება უნდა აღვასრულოთ. რაც უფლის კანონებს ეწინააღმდეგება, იმას ვერასოდეს მოვიწონებ. საკუთარ საქციელს ყველა ამართლებს. ასე შეიძლება მეც რაღაც დავაშავო, მაგრამ ვამტკიცო, რომ მართალი ვარ. მთავარია სწორი გზა, სწორი სარწმუნოება. ვთვლი, რომ ჭეშმარიტი რწმენა სიყვარულით გამოიხატება, რადგან თავად უფალია სიყვარული. ის ამქვეყნად ცოდვილი ადამიანებისთვის მოვიდა. სხვისი განკითხვა არარელიგიურია. ცოდვაში ჩავარდნილს უნდა დავეხმაროთ და არ განვიკითხოთ.

„ის ამბები გულთან ძალიან ახლოს მივიტანე, მაგრამ მამას გვერდში ვერ დავუდგებოდი. არც მაშინ და არც ახლა არ მიმაჩნია, რომ სწორად მოიქცა.

მაინც ვნერვიულობდი იმაზე, რაც მამაჩემს შეემთხვა, ციხეში იჯდა. ეს მძიმედ გადავიტანე. დღეს მე და მამას ჩვეულებრივი მამაშვილური ურთიერთობა გვაქვს. ამჟამად შორს არის ჩემგან, ჩვენ-ჩვენი შეხედულებები გაგვაჩნია ცხოვრებაზე, რწმენაზე, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, ერთმანეთთან კარგი და არაკონფლიქტური დამოკიდებულება გვქონდეს.

„სასულიერო პირობა მძიმე ჯვარია, მაგრამ არც საერო ცხოვრებაა ნაკლები. განსხვავება იმაშია, რომ ჩასაც საერო პირი ვერ შეძლებს, ის სასულიერო პირის შეუძლია".

— როდის გადაწყვიტეთ, მამის გზას გაჰყოლოდით და თქვენც სასულიერო პირი გამხდარიყავით?

— ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში მივიღე. იმ დროს უკვე ცოლშვილი მყავდა. სხვა სამსახურებს ვერაფრით ვეწყობოდი და თავში სულ ერთი აზრი მიტრიალებდა, რომ ჩემი ადგილი სხვაგან იყო. ვიცოდი, რომ ჩემი გზა ეკლესიისკენ მიდიოდა. შეიძლებოდა სასულიერო პირი არ გავმხდარიყავი და სხვა კუთხით ვყოფილიყავი ტაძარში. მე 20 წლის ასაკში გადავწყვიტე მღვდლობა, მაგრამ უფალმა ეს მოგვიანებით დაუშვა. შეიძლება ადამიანი ფიქრობდეს, რომ სასულიერო პირობისთვის მზად არის, სინამდვილეში კი ჯერ ადრე იყოს. როცა უფალმა ინება, მაშინ გავხდი მოძღვარი.

— მამას რა რეაქცია ჰქონდა, როცა გაიგო, რომ თქვენც მღვდლობას აპირებდით?

— ჩემი ოჯახი და მათ შორის მამაჩემიც წინასწარ შემზადებულები იყვნენ, რომ მომავალში ამ გზას ავირჩევდი. რამდენი წელიც უნდა გასულიყო, გარშემომყოფებმა იცოდნენ, რომ სასულიერო ცხოვრებაში ჩავერთვებოდი. ყველაფერი ამისკენ მიდიოდა. როცა მღვდელი გავხდი, ჩემი ოჯახი ამას სიხარულით შეხვდა — დედაც, მამაც, ჩემი დაც და ჩემი მეუღლეც.

„მამა სასულიერო პირი აღარ არის და ცოტა გაურკვევლობაშია. იმედია, მალე ყველაფერი შეიცვლება".

— რადგან მამა ამ სფეროში უკვე გამოცდილი იყო, რჩევებსაც მოგცემდათ.

— კი, ძალიან საჭირო და კარგი რჩევები მომცა. ის მამაა და უფრო მეტი იცის, მით უმეტეს, თავადაც მღვდელი იყო. შეძლებისდაგვარად, მისი რჩევები გავითვალისწინე.

— ერთი წელია, რაც მოძღვარი ხართ. სასულიერო ცხოვრების შესახებ რა აღმოაჩინეთ ამ ერთ წელიწადში ახალი, რაც მანამდე არ იცოდით?

— ბევრი ახალი რამ აღმოვაჩინე. 15 წლის წინ მინდოდა სასულიერო პირობა, მაგრამ გაირკვა, რომ მაშინ საერთოდ ვერ შევძლებდი. არადა, მეგონა, მზად ვიყავი. ახლა არის სირთულეები და წარმომიდგენია, წლების წინ რომ დავმდგარიყავი ამ გზაზე, რამდენი სირთულე შემხვდებოდა. სასულიერო პირობა მძიმე ჯვარია, მაგრამ არც საერო ცხოვრებაა ნაკლები. განსხვავება იმაშია, რომ რასაც საერო პირი ვერ შეძლებს, ის სასულიერო პირს შეუძლია. 25 წელზე მეტია, რაც ეკლესიის მრევლთან მაქვს შეხება. სტიქაროსანი რომ ვიყავი, ბუნებრივია, მღვდლისა და მორწმუნეების ურთიერთობას თვალს ვადევნებდი, ამიტომ ბევრ რაღაცაში უკვე გარკვეული ვიყავი. ასე რომ, ამ გამოცდილებით მრევლთან ურთიერთობა შედარებით გამიადვილდა. ჩვენს საქმიანობაში ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, სიყვარულია აუცილებელი. მრევლის ყველა წევრი ერთნაირად უნდა გიყვარდეს.

— ადრეულ ასაკში შეგიქმნიათ ოჯახი. მეუღლეზე გვაამბეთ.

— ცოლი 19 წლის ასაკში შევირთე. ჩემი მეუღლე, ირმა ჯინჭველეიშვილი, ქაშუეთის ეკლესიის მრევლი იყო და ერთმანეთი იქ გავიცანით. ერთი მოძღვარი გვყავდა — მამა ელიზბარი. მან ჩემს მეუღლეს ეკლესიური სახელი — სიდონია დაარქვა, მე კი — ლუკა (ერისკაცობაში როინი მერქვა). ჩემი მეუღლე დიასახლისია. მე და ირმას შვილი ექვსწლიანი ლოდინის შემდეგ შეგვეძინა. ჩვენი ქალიშვილი 17 წლისაა. მარიამი ილია მართლის გიმნაზიაში სწავლობს დამამთავრებელ კლასში. სამივეს ერთი მოძღვარი გვყავს — მამა იოანე.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**

Cyan Magenta Yellow Black

ღვთისადმი რწმენა არის იარაღი, რომელიც აგვარიდებს თვით უცნაურ განსაცდელებსაც კი

ცხოვრება ღირსისა მამისა მიქაელ აღმსარებელისა, სინაიდელი ეპისკოპოსისა

გაგრძელება

ომხდარი სასწაულები სულ სხვაზე მეტყველებდნენ, ხშირად სკეპტიკოსებსაც კი ეჭვი ეპარებოდათ საკუთარ მტკიცებულებებში, თუმცა წინაღმდეგობას მაინც განაგრძობდნენ. მომხდარის შესახებ ადგილობრივი მმართველის ყურამდეც მიაღწია, რომელმაც ბრძანება გასცა, ვინც განსაკურნებლად ან ღვთის სიტყვის მოსასმენად მიაკითხავდა წმინდანს, უსასტიკესად დაისჯებოდა. ეს ყოველივე კი იმას ნიშნავდა, რომ წმინდა მამას აქაც აღარ დაედგომებოდა. საკუთარი თავი არ ადარდებდა, ახლა მისი საფიქრალი იყო, თუ როგორ მიხმარებოდა ხალხს ისე, რომ მმართველს არაფერი შეეტყო.

ადგილობრივი ქრისტიანების უსაფრთხოების მიზნით წმინდანმა თვითონ დაიწყო სოფელ-სოფელ, ქალაქიდან ქალაქში სიარული და ასე ავრცელებდა ღვთის სიტყვას. ერთხელაც არეუსელთა ქალაქში მოგზაურობისას ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთების მიზეზი იკითხა, რის შემდგომაც მოახსენეს: „ჩვენს ბაღ-ვენახებს თაგვები შეესივნენ და ვერაფერი გაგვიწყვია, სრულად ანადგურებენ მოსავალს, ჩვენ კი გამოსავალი ვერ გვიპოვია“. წმინდა მიქაელმა უპასუხა: „ჩვენი ცოდვების და მოუნანიებლობის გამო ღვთის განსაცდელი არის მოვლენილი მაგ მღრღნელების სახით და თუ არ გინდათ, რომ საერთოდ მოსავლის გარეშე დარჩეთ და შიმშილით დაიხოცოთ, უფალს უნდა მოუხმოთ ხსნისთვის“.

ადგილობრივებიც სერიოზულად დაფიქრდნენ წმინდა მამის სიტყვებზე, რადგან სმენოდათ მის მიერ მომხდარი სასწაულების შესახებ და მიუგეს: „შეგვეწიე ჩვენ, წმინდაო ღვთისგან მოვლენილო, ნუ დაგვტოვებ უნუგეშოდ, ილოცე ჩვენთვის და ჩვენი ნათესებისთვის შენი ღვთის წინაშე, ვინაიდან გვწამს, რომ უცილობლად შეისმენს შენს ლოცვას და სათხოვარს“. წმინდა მამამ კი მიუგო: „მარხვა უნდა შეინახოთ სამი დღე და უნდა განიწმინდოთ ყოველგვარი უწმინდურებისგან. რასაც გეტყვით, ისე მოიქეცით, ვინძლო ამ გზით შეისმინოს ჩვენი სათხოვარი და აგარიდოთ ეს მოვლენილი განსაცდელი ყოვლადმოწყალე ღმერთმა“.

სამი დღის შემდეგ უთხრა წმინდანმა: „ყველანი, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც, რჯულიანიც და ურჯულოც საკუთარ ბაღ-ვენახებში და ნათესებში უნდა გამოხვიდეთ და მარხვადაჭერილებმა მოკრძალებით და ღვთის შიშით უნდა უგალობოთ უფალს, უფალო, შეგვიწყალენო“. მართლაც, მთელი მოსახლეობა მინდვრებს მოედო გალობით და ლოცვით, თვითონ წმინდა მამაც მუხლმოყრილი ევედრებოდა გულმხურვალედ უფალს: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო, შემოქმედო ხილულისა და უხილავისა სამყაროისაო, შეიეედრე შენი ხალხის ვედრება და მოჰმადლე მათ მოწყალეობაი შენი, ნუ მიაგებ მათი საქმისაებრ, არამედ შენი მოწყალებისაებრ, შესცოდეს შენ წინაშე უცოდინაროობით. შეისმინე ჩვენი, ყოვლადმოწყალეო და კაცთმოყვარეო ღმერთო“.

წმინდა მამამ ლოცვა დაამთავრა და ჟხმოდ შესცქეროდა ზეცას სასწაულის მოლოდინში. მართლაც, იძრა მიწა და ყველა მღრღნელი, რომელიც კი მოსავალს ანადგურებდა, პირწმინდად დაიხოცა. ამის მხილველი ადგილობრივები ადიდებდნენ და ჰმადლობდნენ ღმერთს. უთხრეს წმინდა მამას, ჩვენს ქალაქში ღვთის შთაგონებით მოხვედი, რადგან, რომ არ გამოჩენილიყავი, განწირულები ვიყავით და შიმშილით ამოვწყდებოდითო.

მიუხედავად მომხდარი სასწაულისა, წმინდა მამას აქაც უწია მმართველის განკარგულებამ და იძულებული გახდა, არეუსელთა მხარესაც გასცლოდა. იყო ასეთი დასახლება — ევრანდისია, სადაც მივიდა წმინდანი. ყველა სიხარულით შეხვდა მის გამოჩენას და იმ ამბავს იხსენებდნენ, თუ როგორ მოაშორა თავისი ლოცვით არეუსელთა ბაღ-ვენახებს მღრღნელები და როგორ იხსნა ადგილობრივები შიმშილისგან. ყველგან, სადაც კი მიდიოდა, მალევე პოულობდა ადგილობრივების ნდობას და სიყვარულს, ყველას თავისი ცოცხალი სარწმუნოებით და სასწაულით დაამახსოვრა თავი.

ასეთმა ცხოვრების წესმა და სულ გადასახლებაში ყოფნამ ბოლოს და ბოლოს წმინდანის ჯანმრთელობაზეც იმოქმედა. ოთხმოც წელს მიტანებულ მოხუცს უკვე უჭირდა ძველებურად სიარული. ერთხელაც იგრძნო აღსასრულის მოახლოება და განმარტოებით მყოფმა შეჰღაღადა უფალს: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, რომელმაც მოუწოდე მოწაფეთა და მოციქულთა შენთა, რომ შენი მიმდევარი ყოველთვის იქნება დევნილი და შევიწროებული და არ იქნება ადგილი, სადაც თავი თვისი მიიდრიკოს. რა არ გადამხდა, რისთვისაც მინდა, მადლობა მოგიძღვნა და გთხოვო, მიიბარო ჩემი ნატანჯი და ნაგვემი სული, რათა კიდევ უფრო განდიდდეს ყოვლადწმინდა სახელი შენი წმინდათა შენთაგან აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ“.

ლოცვაში დალია სული წმინდა მიქაელმა, რომელმაც დაიმკვიდრა წმინდა მღვდელმთავართა შორის ადგილი, როგორც ღირსეულმა მღვდელმთავარმა; მოწამეთა შორის, როგორც ღირსეულმა მოწამემ, რომელთაგან უმრავლესობამ იწამა მხოლოდ რამდენიმე საათი, ან რამდენიმე დღე, ან რამდენიმე კვირა, ხოლო წმინდანი ყველასგან განსხვავდება, რადგან მან მთელი ცხოვრება დევნაში, გადასახლებაში, მუქარაში, განსაცდელში გაატარა და ისე მიაბარა სული თვისი უფალს.

წმინდანის სხეული იქ მიაბარეს მიწას, სადაც აღსასრულმა უწია. სასწაულები აღესრულებოდა არა მხოლოდ მის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალების შემდგომაც, რომელთა სრულად გარდამოცემა უბრალოდ შეუძლებელია. აღბათ მაინც უნდა აღინიშნოს კუნძულ სკოპელონზე წმინდა მიქაელის მიერ აღსრულებული სასწაული. როცა მოსახლეობამ შეიტყო წმინდა მამის თავის ქალის მათ კუნძულზე მობრძანების შესახებ, მისი მონახულება და საკუთარ პრობლემებზე მასთან საუბარი გადაწყვიტეს. კუნძულზე მომრავლებული იყო მატლების ნაირსახეობა, რომელიც პირწმინდად ანადგურებდა არა მარტო მოსავალს, არამედ ნარგავებსაც, ძირიანად ახმობდა ვაზსაც და ხეხილსაც, რითაც საზრდოობდა კუნძულ სკოპელონის მოსახლეობა.

ბუნებრივია, ადგილობრივებმა იცოდნენ აღსრულებული სასწაულების შესახებ და ისიც, თუ როგორ აარიდა წმინდა მამამ თაგვებისაგან მიყენებული ზარალი არეუსელთა მხარეს, ამიტომაც სასოებდნენ წმინდა მიქაელს და სწამდათ, რომ მათაც იხსნიდა განსაცდელისაგან. მატლები შენახულ, დაბინავებულ მოსავალსაც კი უნადგურებდა ხალხს, რომ აღარაფერი ვთქვათ ყანაში დასაბინავებელ მოსავალზე.

იყო აპრილის თვე, დიდმარხვა, როცა წმინდა მიქაელ სინაიდელის თავის ქალა შემოატარეს მთელ კუნძულს გალობით და აიაზმის სხურებით. სასწაული ყველასთვის თვალნათლივ დასანახი იყო — მეორე დღეს უკლებლივ ამოწყდა ყველა მატლი, რომლებიც ანადგურებდნენ მოსავალს. ეპისკოპოსმა მიტროფანემ მოსახლეობის მხარდაჭერით და მომხდარი სასწაულის უკვდავსაყოფად კუნძულის შუაგულში ააგო საკათედრო ტაძარი წმინდა მიქაელ სინაიდელის სახელზე, სადაც კარგახანს ინახებოდა კიდეც წმინდა მამის თავის ქალა.

სავარაუდოდ თურქოკრატიის მომძლავრების შემდგომიდან დღემდე წმინდა მამის თავის ქალა ინახება ათანასეს ლავრაში ათონის წმინდა მთაზე, სადაც აგრეთვე შემონახულია წმინდა მამის ცხოვრებაც და აღსრულებული სასწაულებიც. თუ ამის აუცილებლობა არსებობს, გამოაქვთ წმინდანის თავის ქალა და წმინდა მიქაელ სინაიდელი დღემდე ითვლება ამგვარი განსაცდელების ჟამს შემწედ და მფარველად.

წმინდაო მიქაელ აღმსარებელო, მეოხ, მფარველ და შემწე გვეყავ ჩვენ, ცოდვილთა და ღვთივკურთხეულსა მამულსა ჩვენსა, რათა მარადჟამ იდიდებოდეს ყოვლადწმინდა სამების სახელი მამისა, ძისა და წმინდისა სულისა აწ და უკუნისამდე!

✓ ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

დასასრული

Cyan Magenta Yellow Black

„ჯვრისწერის ბეჭდების გაყიდვა ან გადადნობა, თუნდაც გაჭირვების გამო, არ შეიძლება“

ქალისა და მამაკაცის სიყვარული მრუშობაში რომ არ გადაიზარდოს, ქრისტიანული ეკლესია აუცილებლობად მიიჩნევს ქორწინებას ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულებით. კომუნისტურ ხანაში, როცა ეკლესია პრაქტიკულად დევნაში იყო, ეს უმნიშვნელოვანესი რიტუალი თითქმის აღარ ტარდებოდა. მეტიც, უმრავლესობამ არც კი იცოდა მის შესახებ. ახლა კი, როცა ეკლესიამ და ქრისტიანულმა რწმენამ თავისი ადგილი დაიბრუნა ერის ცხოვრებაში, დაქორწინების მსურველი წყვილები ჯვრისწერას სავალდებულოდ მიიჩნევენ, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრ მათგანს ისევ არ ესმის ამ საღვთო საიდუმლოს არსი და მას მხოლოდ ფორმალურ, ღამაზ „თეატრალურ“ სანახაობად აღიქვამს.

სულიერი მამები გვირჩევენ, მამაკაცმა და ქალმა შეუღლებამდე ბევრი იფიქრონ, სანამ ამ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს გადადგამენ, გააცნობიერონ, რომ ეს არის კავშირი სიცოცხლის ბოლომდე და, გარკვეული გაგებით, მას შემდეგაც. სასურველია ჯვრისწერამდე მომავალმა ცოლ-ქმარმა მარხვა შეინახონ, ილოცონ, რომ სულიერად განმტკიცდნენ. ეს მათ დაიცავს დიდი ცოდვისგან — განქორწინებისგან. ამ აქტუალურ თემებზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— მამაო, რა არის ჯვრისწერის საიდუმლოის არსი?

— ჯვრისწერის საიდუმლოს აუცილებლობის შესახებ თვით ქრისტე გვამცნობს. სახარების მიხედვით, როდესაც ქორწინების საიდუმლოში მონაწილე ადამიანებს ღვინო გაუთავდათ, უფალმა სასწაულებრივად აღასრულა წყლის ღვინოდ გარდაქცევა. ჯვრისწერის საიდუმლოების აღსრულებისას ადამიანს ეძლევა უხილავი მადლი, რომ მათ მიეცეთ შვილიერების საშუალება. უწინ სანამ უშუალოდ გვირგვინები დაიდგმებოდა ნეფე-დედოფლის თავზე, მანამდე ხდებოდა დაწინდვა. მომავალი მეუღლეები მარხვას იცავდნენ და უფრო მტკიცდებოდნენ თავიანთ გადაწყვეტილებაში. მარხვის გასვლის შემდეგ კი ხდებოდა მათთვის გვირგვინის დადგმა, ანუ ჯვრისწერა. ეს წესი შემდგომ გარკვეულწილად საერო ტრადიციაში გადავიდა. დღევანდელ სინამდვილეში გაგვიგონია, რომ ბეჭდების მიტანა იციან ერთმანეთის სახლებში. ეს არის ერის ტრადიციებში გადმოტანილი ჯვრისწერის საიდუმლოს შემადგენელი ნაწილი.

თუ ადამიანს რწმენა, სარწმუნოებრივი და ეკლესიური აზროვნება გააჩნია, აცნობიერებს, რომ ჯვრისწერის გარეშე თანაცხოვრება უმადლოა და ოჯახს არანაირი შემწეობა, მფარველობა, მადლმოსილება არ გააჩნია. ადამიანები ამას გარკვეულწილად გრძნობენ.

ამ ნაბიჯის გადადგმისაგან ხშირად თავს იმის გამოც იკავებენ, რომ სუფრას ვერ შლიან და მრავალრიცხოვან სანათესაო წრეს ვერ პატიჟებენ. ეს არასწორი მიდგომაა, რადგან ჯვრისწერის დროს ღვთის უხილავი მადლი, პირველ რიგში, ცოლ-ქმარს გარდამოეფინება და შემდეგ შვილ-მომავალს, რომლებიც ამ საიდუმლოს აღსრულების გარეშე არაკანონიერად იწოდებიან და მრუშობის ნაყოფიც კი არიან.

წმინდა პავლე მოციქული ამბობს, საწოლი უნდა იყოს უბიწო და შეუგინებელიო. ევროპული თუ ამერიკული წესი კი უშვებს შეუღლებამდე თანაცხოვრების შესაძლებლობას. ადამიანს გემოვნება მარტის თუ აპრილის თვესავით ეცვლება და ადვილი შესაძლებელია, დღეს ერთი მოინდომოს, ხვალ მეორე. როცა არსებობს ნება-სურვილი, პასუხისმგებლობა ოჯახის შექმნისა, მათ იციან, რომ ჯვრისწერის მადლითა და ეკლესიური ცხოვრებით სრულყოფილი ძალა და მადლი ღვთისა მიენიჭებათ იმ შვილების წინაშე, რომელიც მათ შეეძინებათ. ეკლესია უხსნის მრევლს, რომ საკმარისი არაა სამოქალაქო ქორწინება, რომელიც შვილ-მომავალს გვარს უკანონებს, რადგან ღმერთია უზენაესი სამართალი. არასარწმუნოებრივად მცხოვრებ ადამიანს ვერანაირად აუხსნი ამის მნიშვნელობას, ეკლესიაში მოსულები კი აცნობიერებენ მას და ჯვრისწერის გადაწყვეტილებასაც იღებენ.

— ჯვრისწერა თუკი წყვილისთვის არ არის პირველი, ვთქვათ, მეორე ირიგესთვის ან რომელიმე მეუღლისთვის, ზუსტად იმავე წესებით აღესრულება, როგორც პირველად?

— ჯვრისწერის საიდუმლოებას, როგორც ეს უფლისგანაა დადგენილი, სასულიერო პირი აღასრულებს. ჯვრისწერის პროცესში ის უფლისაგან გამოითხოვს კურთხევას, რომ ორი სული, რომელიც ერთ ხორცად ერთიანდება, იყვნენ ზნეობრივები, მართლმადიდებლური ცხოვრების წესის დამცველნი. მოძღვარი კი იმ არსებით და მნიშვნელოვან ლოცვებს კითხულობს, რომლებიც ჯვრისწერის საიდუმლოების წიგნშია ჩაწერილი. სახარების წაკითხვისას ასეთი სიტყვები იკითხება: „ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი“. მტკიცე გადაწყვეტილებით, სარწმუნოებითა და სიყვარულით შექმნილმა ოჯახმა ცხოვრებისეული განსაცდელი უნდა დაძლიოს ერთობით და კეთილსინდისიერად უნდა

„ჯვრისწერის გარეშე თანაცხოვრება უმადლოა და ოჯახს არანაირი შემწეობა, მფარველობა, მადლმოსილება არ გააჩნია“.

შეასრულოს ის პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რომელიც ღვთისა და ერთმანეთის წინაშე გააჩნია.

მეორედ ჯვრისწერის შემთხვევაში არ ხდება სრულყოფილი ლოცვების წაკითხვა, რადგან მეორე ჯვრისწერა აღარ შეიცავს იმ სისავსეს, იმ მადლს, რასაც ჯვრისწერის პირველად აღსრულების შემთხვევაში ატარებს ეს საიდუმლოება. ამიტომაც არის ლოცვები შემოკლებული, მაგრამ ნეფე-დედოფალს გვირგვინები თავზე მაინც ედგმებათ. შეიძლება ითქვას, რომ მეორე ჯვრისწერის საიდუმლოების აღსრულება გარკვეულად უფლისაგან კურთხეულია სხვა ცოდვებისაგან განსაშორებლად. პავლე მოციქული წერს, რომ თუ არსებობს საშიშროება ცოდვაში ყოფნისა, უმჯობესია, ქვრივმა დედაკაცმა და ქვრივმა მამაკაცმა მეორედ იქორწინოს, სხვა ცოდვას რომ განშორდეს.

— რა შეიძლება იყოს ჯვრისწერის დაბრკოლებელი?

— ჯვრისწერის დაბრკოლების მიზეზი შეიძლება იყოს ნათესაური, სულიერი, ხორციელი კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის. ყოველივე სასულიერო პირთან უნდა იყოს გარკვეული და, თუ მღვდლის უფლებებს აღემატება, მაშინ ამ საკითხს ქორეპისკოპოსი წყვეტს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მარხვის პერიოდში, დედათა წესის დროს, მარხვის შემდგომი მსგეფსის პერიოდში (აღდგომიდან ერთი კვირა, ასევე შობის მარხვის შემდგომი ორი კვირა, ნათლისღების დღესასწაულამდე) არ სრულდება ჯვრისწერა. ამასთან, სამშაბათს და ხუთშაბათს დღის მეორე ნახევარში, რადგან შემოდის ოთხშაბათი და პარასკევი, მარხვის დღეები.

მსგეფსის დროს ჯვრისწერის აღსრულება იმიტომ არის დაუშვებელი, რომ ამ საეკლესიო და საუფლო დღესასწაულების

■ მამა გიორგი

მადლი მთელი ამ ხნის განმავლობაში ძალიან დიდია და მის მნიშვნელობას არ უნდა გარდაემეტებოდეს ყოფით ცხოვრებაში მომხდარი რაიმე მოვლენა, თუნდაც ჯვრისწერა.

— რა შემთხვევაში ხდება ჯვრის აყრა?

— ეკლესია ჯვრის აყრის ერთადერთ შემთხვევას უშვებს, როდესაც მამაკაცის ან დედაკაცის მხრიდან ხდება ღალატი. დღეს კი ოჯახის შექმნის გადაწყვეტილების მიღებაც გაადვილდა და ჯვრის აყრაც. როდესაც რომელიმე მეუღლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ან ღოთობის და ნარკომანიის სენს არის დამონებული ადამიანი, შესაძლოა მოხდეს ჯვრის აყრა, მაგრამ ეკლესია მაინც ურჩევს ცოლ-ქმარს, ის სიყვარული, რომელიც ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ, ამ განსაცდელის დროს გამოამჟღავნონ. ის უფრო მეტი ცოდვაა, ადამიანს ხელი ჰკრა მაშინ, როცა შეიძლება მისთვის მაკურნებელიც გახდე.

წმინდა ეკლესიას უფლისგან მინიჭებული აქვს რა შეკვრისა და გახსნის ძალაუფლება, ქორწინების საიდუმლოებაში ერთ არსებად (სამარადისოდ) ადუღაბებს ორ პიროვნებას და უფლისმიერ მოითხოვს, რომ ღვთისაგან შეერთებულს კაცნი ნუ განაშორებენ. ამიტომაც განქორწინება ღვთის საწინააღმდეგო და არაბუნებრივი ქმედებაა. განქორწინება (ჯვრის აყრა) განსაკუთრებული ღვთისმსახურების გარეშე ხდება: ეპისკოპოსი ღვთისაგან მინიჭებული ძალაუფლებით სიტყვიერად გახსნის ცოლ-ქმარს, რის შედეგადაც ყოფილი მეუღლეები ერთმანეთისთვის უცხო ადამიანები ხდებიან.

— რა ფუნქცია ეკისრება მეჯვარეს და როგორ უნდა შეეარჩიოთ იგი?

— მეჯვარეობა ფაქტობრივად მოწმეობას ნიშნავს ღვთის, ეკლესიის, მოძღვრის წინაშე. მეჯვარედ უახლოეს ადამიანს ირჩევენ, რომელიც სურთ, შემდგომ მათი შვილების ნათლიებად იწოდებოდნენ. ბავშვის მონათვლის შემდეგ ისინი ამ ბავშვის სულიერი მშობლები ხდებიან.

— რა დანიშნულება აქვს ჯვრისწერის ბეჭდებსა და სანთლებს?

— ბეჭდების წრიული ფორმა მარადიულობას ნიშნავს, რომ მიწიერ ცხოვრებაში მეუღლეები მარადიულად არიან შეერთებული და ხდება მათი შემზადება მარადიული ცხოვრებისათვის. ჯვრისწერის აღსრულების შემდეგ მათ ღვთის წინაშე არამარტო საკუთარ თავზე გააჩნიათ პასუხისმგებლობა, არამედ ერთმანეთის საქციელზეც. ჯვრისწერის ბეჭდების გაყიდვა ან გადადნობა, თუნდაც გაჭირვების გამო, არ შეიძლება, რადგან ეს იმ მადლის, სისავსის დაკარგვას ნიშნავს, რომელიც ჯვრისწერის საიდუმლოებაში ეძლევა მოსიყვარულე ცოლ-ქმარს და არანაირმა გაჭირვებამ არ უნდა აიძულოს მამაკაცი და დედაკაცი, რომ ეს მადლი განაქარვოს.

სანთლები, შეიძლება ითქვას, ღვთისადმი აღვლენილი მსხვერპლია. როგორც სანთლის ალი აღიწევა ღვთის წინაშე, ასევე ჩვენი სულთქმა, ჩვენი ვედრებაც და ლოცვაც ღვთის წინაშე გულწრფელად უნდა აღიწეოდეს. ნათლობის სანთლების მსგავსად მათი დანთება საუფლო, სადღესასწაულო დღეებში შეიძლება.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

6 ფიქრე, რამდენიმე თვე ჩვენთან იწვეს-მეთქი, მაგრამ დათო გაგიჟდა, მაშინ პეტრეს ოთახში შენ დაიძინეო. ახლა პეტრეს ცალკე რომ სძინავს, დათო უფრო ხშირად ითხოვს, მომიყვანე, ჩვენთან დავაძინოთო.

— ძიძა არ აიყვანეთ?

ანნა: არა, ძიძა არ მინდა. როცა აქტიურად ცხოვრობ, ძიძა საჭიროა, მაგრამ დედამთილი და დედაჩემი მეხმარებიან. სამსახურში როცა მივდივარ, ხშირ შემთხვევაში პეტრეც თან მიმყავს. სამშობიაროდან გამოყვანის შემდეგ სულ ასე დავატარებთ.

— სანამ პეტრე გაჩნდებოდა, ახალი საცხოვრებელიც აგიშენებიათ და მისთვის დაგიხვედრებიათ. ეტყობა, დროს არ კარგავდით.

დათო: ახალი სახლი ავაშენეთ, სარემონტო სამუშაოები ჯერ ბოლომდე დასრულებული არ არის, ამიტომ მე და ანნას საყიდლებზე ერთად სიარული ხშირად გვიწევდა. პეტრე სამშობიაროდან დღეების გამოყვანილი იყო, როცა მანქანაში თავისთვის იწვა და ჩვენ დაგვყვებოდა.

ანნა: ორსულობისას სულ დავდიოდი, ხან სად და ხან სად. პლუს ამას, „ახალი ხმა“ მიმყავდა. ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ, ბავშვი რომ გაჩნდება, ან იმღერებს, ან „ბარგალკა“ ეჭირება ხელშიო.

დათო: იმედი მაქვს, რომ არც ერთი ახდება.

ანნა: რატომ, ხომ შეიძლება იმღეროს?

დათო: არ მინდა, მომღერალი გამოვიდეს და არც კონკურსები მინდა.

— თქვენი, ცოლ-ქმრის ურთიერთობაში რა ფერები შემოიტანა შვილის დაბადებამ?

ანნა: ჩვენი ურთიერთობა აქამდეც იდეალური იყო, მაგრამ მგონია, რომ პეტრე კარგ დროს გაჩნდა — არც ძალიან ადრე და არც ძალიან გვიან. მგონია, რომ ამან მე და დათო კიდევ უფრო დაგვაახლოვა.

დათო: მოიწყო ცხოვრება, სახლი აიშენა და ისე მოევლინა ქვეყანას.

ანნა: პეტრემ ჩვენს ურთიერთობას ახალი ხიბლი შესძინა, ურთიერთობა უფრო მაგარი გახდა. მე და დათოს აღარც გვახსოვს, ჩვენი ცხოვრება როგორი იყო, პეტრე რომ არ გვყავდა.

დათო: პეტრემ ჩვენს ურთიერთობას სიმყარე შესძინა, როგორც ანნამ თქვა, ეს არც მანამდე გვაკლდა, მაგრამ ბავშვმა საერთო დიდი საყრდენი და საერთო დიდი საზრუნავი გაგვიჩინა. თუმცა არასდროს ვფიქრობდი, რომ შვილები ოჯახის და ორი ადამიანის ურთიერთობის აბსოლუტური გარანტი იყო. საპირისპიროდ ძირითადად ქალები ფიქრობენ ხოლმე.

— ანნა, თქვენს ქმარს კონკრეტულად რა ცვლილებებს ამჩნევთ მესამე შვილის დაბადების შემდეგ?

ანნა: ვერ წარმომედგინა, დათო ასეთი თუ შეიძლებოდა ყოფილიყო. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის ბავშვს აბანავებდა, მოუვლიდა და ასე შემდეგ.

დათო: რატომ, ხომ იცოდი, რომ ჩემს შვილებს ვაბანავებდი? საერთოდ ითვლება, რომ კარგი მამა ვარ. მე და ჩემს შვილებს ის შეგრძნება არ გვაქვს, რომ ცალ-ცალკე ვართ. ეს ჩვენი ახალი სახლიც ისე დავგეგმეთ და ისე მოვაწყვეთ, რომ ჩემს ყველა შვილს თავისი კუთხე ჰქონოდა. და-ძმებს არანაირი გაუცხოება არ ექნებათ ერთმანეთთან. ჩემს ბიჭს ლუკას და ქალიშვილ ელენეს ერთმანეთთან არანაირი პრობლემა არ აქვთ, ერთად გაიზარდნენ, ერთ სკოლაში სწავლობენ, ზეიმები ერთად აქვთ... პეტრეც დიდი ოჯახის ფერხულში ჩაებმება.

დათო: „მეც პეტრესავით ვარ, არ უნდა მშიოდეს და არაფერი მაწუხებდეს. თუ მშია და პრობლემა მაქვს, მეც ცუდ ხასიათზე ვარ“.

— პროექტ „ახალ ხმაში“ თქვენი და ანნას, როგორც შეფის და ხელქვეითის, სამსახურებრივი ტანდემი როგორ გრძელდება?

დათო: ერთად მუშაობა ფაქტობრივად არ გვიწევს. საერთოდ ცუდია, როცა ცოლ-ქმარი ერთ სამსახურში არიან. „ახალი ხმის“ მთელ პროცესში მე და ჩემი გუნდი ვართ ჩართული. წამყვანებს უფრო სცენარისტებთან უწევთ მუშაობა, როცა ყველაფერი აეწყობა, წამყვანები შემდეგ შემოდიან. სისტემა ისეა აწყობილი, ჩემი ჩარევა არ სჭირდება ხოლმე.

— ანნა, დათო ძალიან მკაცრი ჩანს, როგორც უფროსი. სინამდვილეშიც ასეთია?

ანნა: საშინელი უფროსია! არასდროს ვისურვებდი ეგეთი უფროსის ყოლას, ძალიან მკაცრი და მომთხოვნია, მაგრამ ობიექტური. როცა საქმე აწყობილია, წესრიგშია, დათო ძალიან საყვარელია.

დათო: საერთოდ არ ვარ მკაცრი, უბრალოდ, როცა საქმეს და თან ასეთ დიდ პროექტს აკეთებ, იმ ადამიანების წინაშე ხარ პასუხისმგებელი, ვინც ამაში ფული დახარჯა, საზოგადოების, მაყურებლის წინაშე გაქვს ვალდებულება. როგორ შეიძლება ვიღაცის სიზარმაცეზე, უნიჭობაზე, არცოდნაზე თვალი დახუჭო?!

— სიბრაზეს როგორ გამოხატავთ ხოლმე?

დათო: თუ საქმე ზარალდება, შეიძლება ადამიანი სამსახურიდან დავითხოვო, ან სერიოზული შენიშვნა მივცე. როცა ვხვდები, რომ ის პიროვნება პრობლემას მიხვდა და ამის გამოსწორების რეალური შანსი არსებობს, ამაზეც ვსაუბრობ და ვაგვარებ. ყველა საქმეში აბსოლუტური მობილიზებაა საჭირო, სხვანაირად ხარისხი არ იქნება.

— ანნა იმსახურებს თქვენს შენიშვნებს?

დათო: მინდა ვაღიარო, რომ ანნა ერთ-ერთი საუკეთესო წამყვანია, ვისთანაც ურთიერთობა მქონია. მასთან ფაქტობრივად პრობლემა არ მაქვს. არადა თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, რადგან ის ჩემი ცოლია და რაიმე პრობლემა რომ შექმნილიყო, როგორც სხვას, მასაც მხოლოდ შენიშვნას ვერ მივცემდი, ის უნდა დამესაჯა. ეს სხვებისთვის მაგალითი იქნებოდა, მაგრამ ანნამ ფაქტობრივად ხელ-ფეხი შემიკრა და ამის საბაბს არ იძლევა.

ანნა: მე მხოლოდ წამყვანი კი არა, პროდიუსერის ცოლიც ვარ, ამიტომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ვცდილობ, სამსახურში ადრე მივიდე, პუნქტუალური ვიყო, შენიშვნა არ დავიმსახურო და ასე შემდეგ. თანაც ეს საქმე ძალიან მიყვარს, ჩემი პარტნიორები და ის ადამიანები, ვისთან ერთადაც მიწევს მუშაობა, ძალიან მომწონს.

— დათო, ანნა მალე „ახალი ხმის“ მეორე სეზონს წაიყვანს. როგორ ატყობთ, პროფესიულად გაიზარდა?

დათო: წინა წელს, როცა ჩვენ ლაივ შოუები დავიწყეთ, ანნა უკვე ჩამოყალიბებული წამყვანი იყო. ასე რომ, წელს ამის პრობლემა უკვე აღარ არის.

ანნა: თქვენს ჟურნალზე ვგიჟდები იმიტომ, რომ ჩემი ქმრისგან „სარკის“ საშუალებით ვისმენ ხოლმე კომპლიმენტებს!

— სხვა დროს არ გეუბნებათ ხოლმე?

ანნა: არა.

— როცა დათო ცუდ ხასიათზეა, რა შვილის?

ანნა: თავიდან რთული იყო, გამეგო, რა უნდოდა. ახლა ერთმანეთს იმდენად კარგად ვიცნობთ, დათოს ყველა მიმიკა ვიცი, რისი მაუწყებელია.

დათო: მეც პეტრესავით ვარ, არ უნდა მშიოდეს და არაფერი მაწუხებდეს. თუ მშია და პრობლემა მაქვს, მეც ცუდ ხასიათზე ვარ. ანნა ცუდ ხასიათზე არ არის ხოლმე, მაგრამ მე და პეტრეს შეგვიძლია, რომ ვიყოთ.

ანნა: პეტრე ცუდ ხასიათზე არასოდეს არის. სამი დე ექოსკოპიაზე რომ მივედით, პეტრე იცინოდა, ექიმმა მითხრა კიდეც, ხასიათით აშკარად დედას ჰგავსო.

— ახალ სახლში სამუშაოები როდის დასრულდება?

დათო: ერთ კვირაში. წესით, უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფასადი არ მომეწონა და ჩამოვანგრევინე.

— ანნა, დიდი სახლის დიასახლისობა მოგიწევთ. თავს გაართმევთ ამდენ რამეს — ბავშვი, ოჯახის წევრები, სახლი, სამსახური?

ანნა: მართლა რთულია ყველაფერი მოახერხო, მაგრამ ნელ-ნელა მივეჩვევი, თუ არა და — მომეხმარებიან.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

← 7 ჭირს, ამიტომ ჩემი შვილი მანქანით სკოლაში რომ წამიყვანია, დიდი სტაფილოსფერი ხალათი მცმია, მაგრამ ახლა ასეთ რაღაცას ვერ გავაკეთებ. ახლა უკვე მაკიაჟს ვიკეთებ, თავს მეტ ყურადღებას ვუთმობ, რადგან ქუჩაში ყველა თვალს მაყოლებს.

— როცა განმარტოება, მასისგან თავის არიდება გინდათ, როგორ იქცევით?

— როცა მინდა, მარტო ვიყო, ყველასგან მოშორებული, მაშინ აგარაკზე მივდი-

„ედა სულ მეუბნება, მინიმალური ნუ ხარ ამაყოფილი, მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ მომთხოვნი ვარ".

ვარ. ამ ზაფხულს მხოლოდ 11 დღით შევძელი დასვენება. ბათუმში ვიყავი, ოღონდ, მგონი, უფრო დავიღალე. მთელი ზაფხული ვგეგმავდი ჩემს აგარაკზე წასვლას, მაგრამ თბილისიდან ვერ გავაღწიე, ხან რა პრობლემა მქონდა, ხან რა.

— ბათუმში მარტო იყავით?

— შვილთან და ბიძაშვილთან ერთად. სანამ მე ვმუშაობდი, ჩემი შვილი, ნუცა, ნათესავებთან სიონში მყავდა გაშვებული. წამოსაყვანად რომ ჩავაკითხე, ორი დღით მეც დავრჩი და ცოტა განვიტვირთე. ნუცამ, ჩემგან განსხვავებით, ძალიან კარგად დაისვენა.

— აქტიური დასვენება მოგწონთ თუ გირჩევნიათ, დრო მშვიდ გარემოში პასიურად გაატაროთ?

— აქტიური დასვენება მიყვარს, მაგრამ კლუბებში ვერ დავდივარ, რადგან ნუცა 13 წლის არის და მასთან ერთად არ შემიშვებენ. ბარებში ჯდომა ძალიან მსიამოვნებს. მთაში თუ წავალ დასასვენებლად, წიგნებს დიდი სიამოვნებით წავიღებ. იქ სიწყნარეა, სიმშვიდე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც ბევრი საქმე მექნება. როცა დედა ხარ, უამრავი საქმეა, შვილს მოვლა სჭირდება, საჭმელების კეთება, რეცხვა... ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ კარგი დასვენება გამომდის. უბრალოდ გარემოს ვიცვლი ხოლმე, რაც საშინლად არ მიყვარს. ცვლილებებს ვერ ვიტან, შეგუება მიჭირს.

საოცრად დამღალა მგზავრობამ, ბათუმში ჩემი მანქანით წავედი და მივხვდი, რომ ასეთ შეცდომას აღარასოდეს დავუშვებ. სრული შოკი მივიღე. საოცარ წვიმაში ვიარე, თან ჩემ წინ ტრაილერს საბურავი გაუსკდა და, კიდევ კარგი, ცოტა შორს ვიყავი, თორემ არ ვიცი, როგორ გადავრჩებოდით. მოკლედ, ბათუმიდან ძალიან დაღლილი ჩამოვედი. სახლში კი კარი დამხვდა გაფუჭებული, ორი დღე ელიავას ბაზრობაზე ვირბინე.

— დასვენებიდან სამუშაო რეჟიმზე როგორ

„თინაში ყველაზე მეტად სნოჰიედ მამაკაცებთან მიდგომა მომწონს. მშვენივრად იქცევა, ხას ეჩრით?!"

გადაეწყვეთ, ხომ არ გაგიჭირდათ?

— ცოტა მიჭირს. ზაფხულში სხვა ტემპზე გადავდივარ, მაგრამ დასვენების დროსაც სულ სადღაც მეჩქარება. ბათუმში დილით რომ ვიღვიძებდი, პლაჟზე მიმეჩქარებოდა — კატეგორიულად აკრძალული მაქვს 12 საათის შემდეგ მზეზე წოლა. იქიდან სახლში მოვრბოდი, რადგან ძალიან მშიოდა. საღამოს ისევ პლაჟზე მეჩქარებოდა და 11 დღე ასე გადარბენაში გავიდა. ეს ყველაფერი ისეთი დამღლელი იყო, თბილისში რომ ჩამოვედი, დღის 3 საათამდე ვეღარ ვფხიზლდებოდი. რომ ვიღვიძებდი, ყავას ვიდუღებდი და ერთი საათის განმავლობაში მაინც ვსვამდი, ნახევარ საათში ხელახლა ვიდუღებდი და ასე გამყავდა დღე. სახლში საჭმელსაც კი აღარ ვაკეთებდი, ისე ვიყავი რეჟიმიდან ამოვარდნილი. მარტივი გზა სოსისის მოხარშვაში ვიპოვე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჩემი შვილისთვის ამდენი სოსისიც არ შეიძლებოდა. ახლა ნელ-ნელა ტემპს ვკრეფ, რომ საჭმელებიც ვაკეთო, სახლიც დავალაგო და ვიმუშაო კიდეც.

✓ ქეთი დინოშვილი

ქეთა თოფურიამ 500 კაციანი ქორწილი საკუთარ დაბადების დღეზე გადაიხადა

„ა სტუდიოს" ქართველმა სოლისტმა ქეთა თოფურიამ 9 სექტემბერს, საკუთარ 27-ე დაბადების დღეს, ქორწილი გადაიხადა. ოფიციალურად კი ქორწინება ბიზნესმენ ლევ გეიხმანთან ორი დღით ადრე, 7 სექტემბერს, მოსკოვში, კუტუზოვის ქუჩაზე, მმაჩის ბიუროში გააფორმა, სადაც წყვილმა ხელი მოაწერა. ქეთა თოფურია ყოველთვის გამოირჩევა ორიგინალური გადაწყვეტილებებით, ამიტომაც ხელის მოწერაზე მინი თეთრი კაბა და სპორტულძირიანი ფეხსაცმელები ეცვა. ცერემონიალს სიძე-პატარძლის ათი უახლოესი მეგობარი ესწრებოდა.

ლევ გეიხმანი ქეთაზე 12 წლით უფროსია. ერთმანეთი ოთხი წლის წინ საერთო მეგობართან გაიცნეს. იმ პერიოდში ორივეს სხვა გატაცება ჰქონდა. ერთი წლის შემდეგ კი, როცა ორივე თავისუფალი ადამიანი აღმოჩნდა, მათ შორის რომანიც გაიბა.

■ სიძე-პატარძალი

„როცა ის პირველად დავინახე, მაშინვე ჭკუიდან შევიშალე და დღემდე შეშლილი ვარ. ქეთა ძალიან ლამაზი და ხანდახან არამიწიერი ქალიც კია", — ამბობს გეიხმანი ჟურნალ „ო, კეისთან".

ოფიციალურად ხელი ებრაული წარმოშობის ბიზნესმენმა ქართული წარმოშობის მომღერალს რამდენიმე თვის წინ სთხოვა, უფრო კონკრეტულად კი, მაქსიმ გალკინის დაბადების დღეზე. ქეთამ იმავე დღეს გადაწყვიტა, რომ საქორწინო ცერემონიალი და სტუმრების მიღება საკუთარი დაბადების დღისთვის დაემთხვია. თავდაპირველად საქორწილო ცერემონიალისათვის ქეთას საფრანგეთში ერთ-ერთი ციხესიმაგრე ჰქონდა შერჩეული, მაგრამ იმის გამო, რომ ქორწილში მთელი რუსული შოუბიზნესი იყო დაპატიჟებული, ეს ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ ქორწილისათვის ბოლო მომენტში მოსკოვის ერთ-ერთი საკონცერტო დარბაზი შეირჩა, სადაც ამ დღეს 500 კაცი შეიკრიბა, ალა პუგაჩოვასა და იოსებ კობზონიდან დაწყებული ქეთას ქართველი დაქალებით დამთავრებული.

პატარძალმა საქორწილო კაბა პარიზში სტეფან როლანის მოდის სახლის ბუტიკში შეიძინა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

თავსატეხი

იპოვეთ განსხვავება



გაიფერადეთ



Cyan Magenta Yellow Black

კალმარები არაჟნით

მასალა:
კალმარები — 1 კგ
კარაქი — 30 გ
ფქვილი — 1 ს.კ.
არაჟანი — 300 გ
კამა — 1 კონა
მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: კალმარები გაასუფთავეთ და გარეცხეთ. დაჭერით რგოლებად. ფართო ტაფაში კარაქი გადნეთ და კალმარები მოშუშეთ. მოაყარეთ ფქვილი და სწრაფად მოურიეთ. ალს დაუწიეთ და ცოტა ხანს კიდევ შუშეთ. შემდეგ ჩაუმატეთ არაჟანი, შეაზავეთ მარილითა და პილპილით. გადმოდგით ცეცხლიდან და გააგრილეთ.

კამა აკეპეთ, ჩაუმატეთ ტაფას, მოურიეთ და კერძიც მზადაა.

სალათა «თაფლიანი კომბოსტო»

მასალა:
კომბოსტო — 500 გ
ბულგარული წიწაკა — 1-2 ცალი
მჟავე კიტრი — 3-4 ცალი
ხახვი — 1 თავი
თაფლი — 1,5 ს.კ.
მარილი — 1 ჩ.კ.
ძმარი — 2-4 ს.კ.
ზეითუნის ზეთი — 3-4 ს.კ.

მომზადება: კომბოსტო ასანთის ღერებივით დაჭერით, ხელით მოსრისეთ, რომ დარბილდეს და წვენი გაუვიდეს. ბულგარული წიწაკა და მჟავე კიტრი გრძივ ნაჭრებად დაჭერით, ხახვი — რგოლებად. ყველაფერი სასალათეში მოათავსეთ და აურიეთ.

ცალკე ჯამში თაფლს ძმარი და მარილი დაუმატეთ (შეგიძლიათ ორთქლის აბაზანაზე გაადნოთ). მოურიეთ, შეაგრილეთ და სალათას დაუმატეთ. დააყოვნეთ და სუფრასთან მიტანის წინ სალათა ზეითუნის ზეთით შეაზავეთ.

ლობიოს თბილი სალათა ჰეჰანით

მასალა:
დაკონსერვებული ლობიო — 2 ქილა
პომიდორი — 2 ცალი
ზეთი — 2 ს.კ.
ხახვი — 2 თავი
რეჰანი — 1 კონა
მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ხახვი აკეპეთ და ზეთში მოშუშეთ. ლობიოს წვენი გადაწურეთ და ტაფას ჩაუმატეთ. პომიდორი გაფცქვენით და კუბიკებად დაჭერით. რეჰანი აკეპეთ. ორივე ტაფაში ჩაუშვით, ცოტა ხანს შუშეთ, შეაზავეთ მარილით და პილპილით და კერძიც მზადაა.

ქათმის ფილე თხის ყველით

მასალა:
ქათმის ფილე — 500 გ
თხის ყველი — 50 გ
ნიგოზი — 50 გ
პიტნა — 2-3 ძირი
მარილი, პილპილი — გემოვნებით

სოუსისათვის:
არაჟანი — 250 მლ
მდოგვი — 1 ჩ.კ.
კამა — 2 ძირი
თხის ყველი — 20 გ
კარაქი — გემოვნებით

მომზადება: ფილე გარეცხეთ და შეაშრეთ. თოთოეულ ნაჭერს გვერდით გრძივი ნაჭდევი გაუკეთეთ დანით ისე, რომ პატარა ჯიბესავით მიიღოთ. შეაზავეთ მარილითა და პილპილით.

ნიგოზი წვრილად დაჭერით, თხის ყველი (რბილი) ჩანგლით დასრისეთ. რეჰანს ფოთლები მოაცალეთ და დაჭერით, ღეროები გადაყარეთ. ყველაფერი ჩანგლით აურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. ამ მასით ფილეს ჯიბეები ამოავსეთ და გვერდები ხის პატარა ჯოხებით მოუკარით.

გამოსაცხობ ფორმას კარაქი მოუსვით, ჩაალაგეთ ფარშირებული ფილე და 180 გრადუსზე 20-25 წუთი გამოაცხვეთ.

სანამ ფილე ცხვება, სოუსი მოამზადეთ. არაჟანი ჯამში ჩაასხით და წამოადუღეთ. შემდეგ ალს დაუწიეთ და ჩაუმატეთ მდოგვი და აკეპილი კამა, მოურიეთ. 2-3 წუთი ადუღეთ და ცეცხლიდან გადმოდგით. ჩაუმატეთ გახეხილი ყველი, მოურიეთ.

გამომცხვარი ფილე ლანგარზე გადაიტანეთ, მოასხით სოუსი და სუფრასთან მიიტანეთ.

ფარშირებული ყაბაყი

მასალა:
ყაბაყი — 1 ცალი
ღორის ხირცის (მჭლე) — 300 გ
ხახვი — 1 თავი
სტაფილო — 1 ცალი
არაჟანი — 2 ს.კ.
მაიონეზი — 2 ს.კ.
წყალი — 1/2 ჭიქა
ოხრახუში, კამა, მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ყაბაყი გათალეთ. დაჭერით ნაჭრებად და ამოაჭერით გული. ღორის ხორცი და ხახვი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მოაყარეთ მარილი, პილპილი, მოურიეთ და ყაბაყი ხორცით ამოავსეთ.

დაალაგეთ გამოსაცხობ ფირფიტაზე, თავისუფალი ადგილები შეავსეთ გახეხილი სტაფილოთი და ზემოდან მოასხით მაიონეზის, არაჟნისა და წყლის ნაზავი.

შედგით 200 გრადუსამდე გახურექულ ღუმელში და დატოვეთ 40-50 წუთით. სუფრაზე გატანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

საყურე მავთულით

ასეთი და მსგავსი საყურეების დამზადება თავდაპირველად შეიძლება რთულად მოგეჩვენოთ, მაგრამ თუ ფოტოებს ყურადღებით დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ძალიან ადვილია. დაგჭირდებათ: ორი ერთი ფერის მძივი, საყურის საკიდი, ვერცხლისფერი მავთული, პატარა ზომის ბრტყელტუჩა.

მავთული გავუყაროთ მძივში, ბრტყელტუჩას დახმარებით ერთი ბოლო შემოვახვიოთ მეორეს და მივცეთ სასურველი ორნამენტის ფორმა. მეორე ბოლო მოვრკალოთ ისე, რომ მასში შემდეგ თავისუფლად გაეყაროს საყურის საკიდი და დარჩენილი მავთული მძივის გარშემო დავახვიოთ ისე, როგორც მე-5 და მე-6 ფოტოებზეა ნაჩვენები. რგოლზე წამოვაცვათ საყურის საკიდი (ასევე ბრტყელტუჩას დახმარებით) და საყურეც მზადაა.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე



წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

3	7	4	2	1	8	6	9	5
8	6	2	5	4	9	3	7	1
5	1	9	7	6	3	4	8	2
1	9	6	4	7	2	8	5	3
2	8	3	6	9	5	1	4	7
4	5	7	8	3	1	9	2	6
6	4	5	1	8	7	2	3	9
9	2	1	3	5	4	7	6	8
7	3	8	9	2	6	5	1	4

№ 2

2	7	5	1	6	9	3	4	8
1	4	8	3	5	2	9	6	7
9	3	6	4	7	8	1	2	5
6	2	4	8	9	7	5	3	1
7	5	9	2	1	3	6	8	4
3	8	1	5	4	6	7	9	2
4	9	7	6	2	5	8	1	3
8	6	2	7	3	1	4	5	9
5	1	3	9	8	4	2	7	6

ეს იცოდით?

❖ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კბილი ისააკ ნიუტონისაა. 1816 წელს ერთმა არისტოკრატმა ეს კბილი აუქციონზე 3.300 დოლარად შეიძინა და თავისი ბეჭდის თვლად აქცია.

❖ 20 სექტემბერს ჩინეთში აღინიშნება ნაციონალური დღესასწაული „საკუთარი კბილების სიყვარულის დღე“.

❖ ძველად იაპონელი სტომატოლოგები კბილს შიშველი ხელებით იღებდნენ.

❖ პირველ სტომატოლოგებად აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები უძველესი ხალხი ეტრუსკები მიიჩნევიან. როგორც არქეოლოგები ირწმუნებიან, სტომატოლოგიით ისინი ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ-ით მე-7 საუკუნეში იყვნენ დაკავებულები.

❖ კაცობრიობის ისტორიაში ცხვირის ოპერაცია პირველად ძვ.წ.აღ-ის 600 წელს ინდოეთში გაკეთდა. ექიმები ცხვირს იმავე ადამიანის შუბლსა და ლოყაზე მოჭრილი ტყავის გამოყენებით გარდაქმნიდნენ.

❖ ინდონეზიის შემადგენლობაში შემავალი 17 508 კუნძულიდან ყველაზე მეტი მოქმედი ვულკანი კუნძულ ბანიაზეა. დღევანდელი მონაცემებით, იქ 6 მოქმედი ვულკანია.

❖ ერთადერთი ადგილი დედამიწაზე, სადაც მარჯნის გზებია განფენილი, კუნძული გუამი გახლავთ. აქ არ არსებობს ბუნებრივი ქვიშა, რის გამოც ასფალტს მარჯნისა და ნავთობისაგან ამზადებენ.

❖ ყველაზე დიდ ქალაქ-სახელმწიფოდ სინგაპურია მიჩნეული.

❖ თურქეთის უდიდესი ქალაქი სტამბოლი 7 ბორცვზეა გაშენებული.

❖ ამერიკის შტატი ფლორიდა უფრო დიდია, ვიდრე ინგლისი.

❖ ნიუ იორკს ადრე ნიუ ამსტერდამი ერქვა, რადგან ის ნიდერლანდების კოლონია იყო.

❖ ადრე ტაილანდელები მხოლოდ სახელით მოიხსენიებოდნენ და 1913 წლის შემდეგ მიეცათ სახელთან ერთად გვარის ტარების უფლება.

❖ 1892 წელს იტალიაში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, ქალის გათხოვების მინიმალური ასაკი 12 წელი იყო.

❖ აფრიკაში ყველაზე გავრცელებული ენა არაბული გახლავთ. მეორე ადგილზეა სუაჰილი, რომელსაც ამ კონტინენტის თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფი მეტნაკლებად ფლობს.

❖ პირველი მზის საათები ეგვიპტეში აღმოაჩინეს. მათი ასაკი ძვ.წ.აღ-ით მე-15 საუკუნით თარიღდება.

Cyan Magenta Yellow Black

ლონდონში 2013 წლის მამაკაცები გამოავლინეს

ჯასტინ ტიმბერლეიკი

მაიკლ დუგლასი

ელტონ ჯონი

ლონდონში მამაკაცური ჟურნალის, „ჯიქიუს“ დაჯილდოების ცერემონიალი შედგა. წლის ადამიანის ცერემონიალი, რომელიც სამეფო ოპერაში გაიმართა, ვარსკვლავებით ბრწყინავდა. აქ იყვნენ ჯასტინ ტიმბერლეიკი, მაიკლ დუგლასი, ტომ ფორდი, ემა უოტსონი, როზი ჰანტინგტონ-უაიტლი, რიტა ოპრა და სხვა ცნობილი ადამიანები. ცერემონიალების წესი არც ამ შემთხვევაში დაირღვა და ვარსკვლავებმა ჯერ წითელ ხალიჩაზე გაიარეს. მიუხედავად იმისა, რომ საღამო მთლიანად მამაკაცებს ეძღვნებოდა (ორი გამონაკლისის გარდა — ნომინაცია წლის ქალი და წლის მხატვარი), წითელ ხალიჩაზე მშვენიერი სქესის წარმომადგენლები უფრო ბრწყინავდნენ.

ემა უოტსონი

„ჯიქიუს“ ვერსიით, „წლის ქალის“ ნომინაცია 23 წლის ინგლისელ მსახიობ ემა უოტსონს ერგო. ის ცნობილია თავისი კონსერვატორული ჩაცმულობით, ამჯერად კი წითელ ხალიჩაზე მოშიშვლებული სხეული გამოაჩინა. მსახიობმა ბალენსიაგას თეთრი, მოკლე ტოპი აირჩია, რომელსაც შავი ქვედატანი ასრულებდა. წითელ ხალიჩაზე მას კოლეგა ედი რედმეინი ახლდა.

26 წლის ბრიტანელი მოდელი და მსახიობი როზი ჰანტინგტონ-უაიტლი თავის ცნობილ ბოიფრენდ ჯეისონ სტეტჰემთან დაშორების შემდეგ საზოგადოებაში პირველად გამოჩნდა და საყვარელი მამაკაცის დაკარგვას საერთოდ არ დარდობდა. ის წითელ ხალიჩაზე ვერსაჩეს თეთრი კაბით იწონებდა თავს.

როზი ჰანტინგტონ-უაიტლი

ჯილიან ანდერსონი

სერიალ „საიდუმლო მასალების“ ვარსკვლავი, 45 წლის ჯილიან ანდერსონი კლასიკურ ფორმაში იყო გამოწყობილი — შავი აბრეშუმის კაბა და ბრილიანტის საყურეები.

ბუნებრივია, მამაკაცები ცერემონიალზე კლასიკური შავი კოსტიუმებითა და სმოკინგებით იწონებდნენ თავს.

68 წლის მაიკლ დუგლასი დაჯილდოვდა ნომინაციაში „ადამიანი ლეგენდა“. როგორც მოსალოდნელი იყო, ის ცოლის, კეტრინ ზეტა-ჯონსის გარეშე მივიდა. ჟურნალისტებმა კითხვა დაუსვეს, რა ხდება მასა და კეტრინს შორის, რაზეც მაიკლმა უპასუხა: „ჟურნალისტები სკანდალს აღვივებთ და ბევრ რამეს ამეტებთ. მე და კეტრინს ყველაფერი კარგად გვაქვს. დიახ, ჩვენ დავშორდით, მაგრამ დროებით“.

32 წლის მსახიობი და მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი ცერემონიალზე შავი სმოკინგით გამოცხადდა. მის გვერდით რატომღაც არ იყო ცოლი — ჯესიკა ბილი.

„ჯიქიუს“ პრიზები ასე გადანაწილდა:

ყველაზე გემოვნებიანი მამაკაცი ჰუგო ბოსის ვერსიით — დენ სტივენსი.
საუკეთესო კომიკოსი — საიმონ პეკი.
საუკეთესო პოლიტიკოსი — ბორის ჯონსონი.
პრემია ცხოვრებისეული მიღწევებისათვის — სერ ბობი ჩარლტონი.
წლის შეფმზარეული — ჯეისონ ეტერონი.
წლის სპორტსმენი — კარლ ფროჩი.
წლის მწერალი — ჩარლზ მური.
წლის ქალი — ემა უოტსონი.
საუკეთესო მხატვარი — ტრეისი ემინი.
წლის შემსრულებელი — ფარელ უილიამსი.
წლის დიზაინერი — ტომ ფორდი.
გენიოსი — სერ ელტონ ჯონი.
ადამიანი ლეგენდა — მაიკლ დუგლასი.

მაილი საირუსის უხამსობას მისმა შეყვარებულმა ვერ გაუძლო

„ემტივი“-ს დაჯილდოების ცერემონიალზე 20 წლის მაილი საირუსის გამოსვლა შოკისმომგვრელი იყო არამარტო საზოგადოებისათვის, არამედ მისი ბოიფრენდის, 23 წლის ლიამ ჰემსვორტისათვის. მაილისა და ლიამის ურთიერთობაში დაძაბული პერიოდია, წყვილი რამდენჯერმე გაიყარა და შერიგდა.

ლიამ ჰემსვორტი და მაილი საირუსი

შოუში მომღერალი ერთობ სკანდალურად გამოვიდა — სცენაზე საცვლებისამარა იყო. შეყვარებულის ასეთ საქციელს, როგორც ჩანს, ლიამი არ მოელოდა. მისი პირველი კომენტარი ასეთი იყო: „ჩემთვის ამაზრზენი ხარ, ასეთი ქალი ჩემ გვერდით ვერ იქნება!“.

არადა მათი რომანი კარგად მიდიოდა, ისინი დანიშნულებიც იყვნენ. ერთი წლის წინ ლიამმა საყვარელ ქალს ასეთი სიტყვებიც კი მისწერა: „მე შენ მიყვარხარ იმაზე მეტად, ვიდრე გუშინ, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე ხვალ მეყვარები“.

თავად მაილი სასცენო სკანდალს არ ნანობს: „ემტივი“-ზე სკანდალები ყოველთვის არის, გაიხსენეთ ბრიტნისა და მადონას გამოსვლა. ვისიამოვნე ჩემი შოუთი. მე და ჩემმა პარტნიორმა რობინ ტიკემ ვიცოდით, რომ ჩვენი მუსიკალური ნომრით ისტორიაში შევიდოდით“.

რობინ ტიკე და მაილი საირუსი

აპატიებს თუ არა ლიამი შეყვარებულს ასეთ საქციელს, ძნელი სათქმელია. როგორც კი მსახიობმა მაილის მიმართ ზიზღით დაიწყო ლაპარაკი, მაშინვე მის გვერდით მომხიბვლელი და მოკრძალებული გოგონები გამოჩნდნენ.

სილქნეტი
SILKNET
Silk SPORT HD
BARCLAYS
PREMIER LEAGUE
პრემიერ ლიგის თამაშები
ექსკლუზიურად Silk Sport HD-ზე
მხოლოდ სილქტივის აბონენტებისთვის, ინგლისის
პრემიერ ლიგა, 17 აგვისტოდან, ახალ არხზე!
Silk TV
Find us on: facebook
2 100 100
www.silknet.com
ინტერაქტიული ტელევიზია